ერიკ-ემანუელ შმიტი
კონცერტი „ანგელოზის ხსოვნას“

ფრანგულიდან თარგმნა მერაბ ფიფიამ

ქალი, რომელიც მამაკაცებს წამლავდა

- თავს უშველეთ, სამსალა მოდის!

მოულოდნელი გაფრთხილებისგან ბიჭები გაირინდნენ, შემდეგ ერთ მუჭად შეიკრნენ და თავქუდმოგლეჯილები დაეშვნენ ფერდობზე, რათა მდინარის ნაპირას სახელდახელოდ გაშენებული სამრეცხაოსთვის შეეფარებინათ თავი. ქვის გრძელი სკამის ქვეშ შეძვრნენ და სიგრილესა და ჩრდილში თავი უსაფრთხოდ იგრძნეს. აქედან გზა ხელისგულივით ჩანდა და თვალთვალიც სრულიად შეუმჩნევლად შეეძლოთ. გვარიანად დაზაფრულებმა დროებით სუნთქვაც კი შეწყვიტეს.

შუადღის მცხრუნვარე მზის ქვეშ მარი მორესტიემ სრულიად აუჩქარებლად გზა გადაჭრა: ეს მაღალი, ტანადი და წელში გამართული, გაბრაზებულიერიანი ქალი სავარაუდოდ სამოცდაათი წლის მაინც იქნებოდა. წელში გამოკვართულ შავ კოსტუმში გამოპრანჭული საოცრად მოზომილი მოკლე ნაბიჯებით მიიწევდა წინ. იფიქრებდით, სიცხისგან შეწუხებული ჩქარ სიარულს ერიდებაო, ან სახსრების გაუსაძლისი ტკივილი ბოჭავსო. დროდადრო მარჯვნივ შეაქანებდა ხოლმე, ხანაც - მარცხნივ. გაუბედავი და თავშეკავებული გადაადგილების მანერა ამ შთამბეჭდავ სილუეტს უდავოდ მეფურ დიდებულებას სძენდა.

ბიჭებს ელდამ გაუარა და ერთმანეთს გადაუჩურჩულეს: - ფიქრობ, რომ დაგვინახა?

- მოდი, ყველამ ერთად მოვრთოთ ყვირილი. ძალიან შეეშინდება.

- ნუ ხარ იდიოტი! მისი შემშინებელი ჯერ არ დაბადებულა. დედამიწის ზურგზე არაფრის და არავის ეშინია. თუ ვინმეს უნდა ეშინოდეს, ეს შენ ხარ!

- მე არ მეშინია.

- აბა, გაბედე და რამე ისეთი ჩაიდინე, მას რომ არ მოეწონება! შენგან ბუნდღლი არ დარჩება. ისევე გაგაქრობს, როგორც არაერთი სხვა გაუქრია.

- გიმეორებ, არ მეშინია-მეთქი...

- მისი ქმრები როგორმე შენზე ჯანიანები და უშიშარნი იყვნენ, მაგრამ...

- დაიწყო ახლა არაკების როშვა! გეუბნები, ერთი წუთითაც კი არ შემშინებია.

ბიჭებმა მაინც იფიქრეს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და, სანამ მარი მორესტიე თვალს არ მიეფარა, ხმამაღალი მკვახე შენიშვნებისა და ხუმრობისგან თავი შეიკავეს.

ორი ათეული წლის წინ, ორი სასამართლო პროცესის შემდეგ მართლმსაჯულებამ მარი მორესტიეს საქმე დახურა და ეჭვმიტანილი ციხიდან გამოუშვა, სადაც მან წინასწარი დაკავების საკანში ორი სრული თვე დაჰყო. სენ-სორლენის მობინადრეთა უმრავლესობა მას უდანაშაულოდ მიიჩნევდა. ბავშვებს კი, ნურას უკაცრავად - მისი უცოდველობისა ჯიუტად არ სწამდათ. ერჩივნათ, ნამდვილი მკვლელის გვერდით ეცხოვრათ. ეს მომნუსხველი საფრთხე მათ წარმოსახვას აღაგზნებდა და მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. მოკლედ, მოზარდებმა მშვენიერი თავშესაქცევი გაიჩინეს. სხვათა შორის, ვერც ის მიზეზი, რითიც ზრდასრულები მარი მორესტიეს ამართლებდნენ, ვერ გამოირჩეოდა დიდი გონიერებით, გამჭრიახობითა და რაციონალურობით. ცოცხალი თავით არ სურდათ ერწმუნათ, რომ თავისუფლად მიშვებული მკვლელის თანასოფლელები იყვნენ; მკვლელისა, რომელსაც შეხვედრისას სალამს ეუბნებოდნენ; ურჩხულისა, მათ ქუჩებში ამაყად რომ დააბიჯებდა და მათივე მაღაზიებით სარგებლობდა, მეტიც, მათსავე ეკლესიაში ლოცულობდა. მათთვის სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო, მარი პატიოსანი და ცამდე მართალი ჰგონებოდათ, ისეთი, როგორებიც თავად

იყვნენ.

თუმცა, სინამდვილეში ადგილობრივ მოსახლეთა შორის ერთსაც ვერ მოიძიებდით, ეს ამაყი, თავშეკავებული და გასაოცრად ენაკვიმატი ქალი რომ ხიბლავდა. გარშემო მყოფთა შორის უბრალო სიმპათიასაც კი არ აღძრავდა, კეთილგანწყობაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია. მიუხედავად ზემოთქმულისა, სენ-სორლენში დიდი და პატარა სიხარულს ვერ მალავდა იმის გამო, რომ სწორედ მათ სოფელთან იყო დაკავშირებული ისეთი ექსტრავაგანტული პიროვნების ისტორია, როგორიც მარი მორესტიე იყო. „მწამვლელი სენ-სორლენიდან“, „ჯადოქარი ბუჟედან“, „მესალინა[1] სენ-სორლენიდან ან ბუჟედან“ - ზედიზედ რამდენიმე თვის განმავლობაში ამ ხმაურიანი სათაურებით იყო ჟურნალ-გაზეთების პირველი გვერდები აჭრელებული. არც რადიო და ტელევიზია ჩამორჩნენ მოვლენებს. საინფორმაციო გამოშვებებში მორესტიეს სახელდახელოდ მომზადებული სიუჟეტები მიუძღვნეს. მასმედიის საშუალებების მიერ ატეხილ ხმაურს შედეგად ცნობისმოყვარეთა რიცხვის გასაოცარი ზრდა მოჰყვა. სწორედ ამ საყოველთაო, თუმცა არაჯანმრთელი ინტერესის წყალობით სენ-სორლენი ავანსცენაზე ავიდა, უჩვეულო რეპუტაციამ არაერთი ავტომობილის მძღოლს უბიძგა, მთავარი გზიდან გადაეხვია და ამ ყბადაღებულ დაბაში გარკვეული დროით შეყოვნებულიყო, დაელია ყავა რომელიმე კაფის ტერასაზე, წაეხემსა სადმე დუქანში, გაცნობოდა პრესას და სადღაც გულის სიღრმეში იმედი არ დაეკარგა, რომ გაუმართლებდა და შემთხვევით მარი მორესტიესაც შეავლებდა თვალს. ეს საოცრად კოპწია, მშვიდი და წყნარი სოფელი რონას ქარიყლაპიებითა და კალმახით მდიდარი შენაკადის სანაპიროზე იყო გაწოლილი. წრიული გალავანი, გაზაფხულზე ვარდებისა და ასკილის ყვავილების ოკეანეში რომ იძირებოდა, ასევე წყაროებისა და კუსტარული სამრეცხაოების სიმრავლე მას გასაოცარ სიკეკლუცესა და ლაზათს სძენდა. სოფლის სტუმრები გაკვირვებას ვერ მალავდნენ, რომ ხმაურიან გარესამყაროს მოწყვეტილი ეს წალკოტი შავბნელი სულის თავშესაფრად შეიძლებოდა ქცეულიყო. პარადოქსული, უფრო სწორად, ორაზროვანი რეკლამაც ამას ჰქვია. ამ სულ რაღაც ათასი კომლით დასახლებული დაბის საინიციატივო კომიტეტს ტურისტული სააგენტოს შექმნაზე რომ ეზრუნა, სარეკლამო კამპანიის

გასაწევად და მიმზიდველი სახელის დასამკვიდრებლად მარი მორესტიეს ამბავზე უფრო მომნუსხველს ვერაფერს მოიფიქრებდა. სხვათა შორის, სენ-სორლენში ტურისტების მოზღვავებით უზომოდ კმაყოფილმა მერმა ერთ მშვენიერ დღეს მარი მორესტიეს ხმამაღლა განუცხადა, თქვენი უპირობო და ნომერ პირველი ფანი ვარო. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, მსგავს ქათინაურზე სოფლის ღირსშესანიშნაობის რეაგირება: მარიმ მტრული სიჩუმითა და გამყინავი მზერით ადგილობრივ ხელისუფალს აღტყინება წამში ჩაუცხრო.

...მარი მორესტიემ დაწნული კალათით ხელში დუქნის წინ ამაყად ისე ჩაიარა, შიგნით არც შეუხედავს. შესანიშნავად გრძნობდა, ფანჯრის მინებზე ცხვირით მიწებებული მუშტრები გაფაციცებით რომ ათვალიერებდნენ.

- შეხედეთ, შეხედეთ, მომწამვლელი მოდის!

- თან რა ქედმაღალი ჩანს...

- აბა, გამოლაპარაკება რომ მოგინდეს, ვერც შეჰბედავ.

- წარმოუდგენელია, რამდენი მამაკაცი გაგზავნა იმ ქვეყნად.

- წარმოუდგენელი ის არის, რომ გაამართლეს, როგორც იტყვიან, გაათეთრეს.

- გაასამართლეს, ანუ როგორ შენ ამბობ, გაათეთრეს, ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ ჭუჭყიანი იყო და უბრალოდ ტალახის ჩამორეცხვა სჭირდება, ჩემო ძვირფასო.

მედუქნემ, რომლისგანაც მეტი დეტალების დაცინცვლა ვცადე, მოკლედ მომიჭრა: ცეცხლი უკვამლოდ არ არსებობს... სოფლის მაცხოვრებლების უმრავლესობა მარი მორესტიეს უდანაშაულობას ხმამაღლა აღიარებდა, მაგრამ ამ თემაზე გაუთავებელ ყბედობას თავს მაინც არიდებდა. მიიჩნევდნენ, რომ დამთვალიერებლებისთვის იმედები არ უნდა გაეწბილებინათ და სოფლისთვის თავისი მიზიდულობის ძალა შეენარჩუნებინათ. ისე, ბევრს დიდი ხვეწნა-მუდარა არც სჭირდებოდა: მოხსნიდნენ ხოლმე გუდას თავს და ჰყვებოდნენ და ჰყვებოდნენ. მაგალითად, სიამოვნებით მუთითებდნენ ხოლმე მარშრუტზე, რომლითაც მარი ყოველდღურად სარგებლობდა. არც მისი დღის განრიგი წარმოადგენდა საიდუმლოს, არც მისი ჩვევები და არც ბორცვის

მწვერვალზე შემოსკუპებული მისი კუთვნილი სახლის ზუსტი მისამართი. როგორც კი ჯერი მორესტიეს მიერ ჩადენილ ყბადაღებულ დანაშაულებებზე მიდგებოდა, აი, მაშინ კი სოფლელები ენაზე კბილს აჭერდნენ და, აბა, ჩვენ რა ვიცითო, პასუხობნენ.

სხვათა შორის, ლეგენდას არა მარტო სოფლის მაცხოვრებლები კვებავდნენ, არამედ მასმედიის საშუალებებიც: ტელევიზიამ არაერთი გადაცემა მიუძღვნა მას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი ბურუსით მოცულ ეპიზოდებზე გაკეთდა. ჟურნალისტები ვალდებულნი იყვნენ, ეღიარებინათ, მათი სიუჟეტის მთავარი გმირი უდანაშაულოდ რომ ცნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მარის ადვოკატისგან ცილისწამებისთვის უეჭველად ჯარიმა დაეკისრებოდათ. მიუხედავად ამისა, საქმის დახურვას ისინი უფრო მამხილებელი საბუთების არარსებობას მიაწერდნენ და არა სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის ზეიმს.

მარი მორესტიემ კიდევ ათიოდე ნაბიჯი გაიარა და ფართლეულის მაღაზიის აბრის ქვეშ შეჩერდა. უმალვე მიხვდა, რომ მისი დაუძინებელი მტერი ადგილზე იყო. აბა რა, სხვანაირად წარმოუდგენელიც იქნებოდა. საგუშაგოს ხომ არ მიატოვებდა? რაიმონ პუსენი ვიტრინისკენ ზურგით იდგა, ხელში სხვადასხვა ქსოვილის ნიმუშები ეჭირა და დუჟმორეული ყბედობდა. წყვილი, მისთვის სავარძლის შეკეთება-გადაკვრა რომ მიენდო, გულშეღონებული უსმენდა. „ხეპრე, ჩლუნგი და გაუთლელი! ისეთივე უხეში და უბადრუკი, როგორც ის კანაფის ანაჩეჩი, რომლითაც სკამის საზურგეებს ტენის! ისეთივე მახინჯი და საზიზღარი, როგორიც იმ ცხენის ძუა, რომელსაც გასაკერად იყენებს!“ - გაიფიქრა მარი მორესტიემ. მართალია, პუსენის ნაყბედი მის სმენამდე ვერ აღწევდა, მაგრამ კაცს კეფა ზიზღით აღსავსე გამჭოლი მზერით მაინც აუწვა.

- მარი მორესტიე გაინტერესებთ? ახლავე მოგახსენებთ, ბატონებო და ქალბატონებო! ეს გახლავთ ყველაზე პირსისხლიანი დაუსჯელი დამნაშავე, რომელსაც საფრანგეთმა თავშესაფარი უბოძა. სამჯერ გათხოვდა და გამოთხოვდა. სამჯერვე მასზე ბევრად უფრო ახალგაზრდასა და შეძლებულს გაჰყვა ცოლად. სამივე ქმარი ქორწინებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ გაემგზავრა იმ ქვეყანად. უბრალოდ არ გაუმართლა

საწყალ ქალსო, მეტყვით თქვენ. მოიცა, ჯერ სად ხართ: სამივე ჯერზე, აბა, თუ მიხვდებით, ვის დარჩა მემკვიდრეობა? რა თქმა უნდა, ამ უბედურ მორესტიეს, ასე რომ უმუხთლა ბედმა! მესამე რომ მოინელა, ხუთ შვილს ეჭვი გაუჩნდა და გამოძიებაც დაიწყო. ჟორ ჟარდენს პირადად ვიცნობდი, ახლობელი იყო ჩემი. მისი ავადმყოფობის შესახებ არავის არასდროს სმენოდა, კენჭივით საღსალამათი კაცი იყო. როგორც კი ამ კუდიანზე იქორწინა, ჯანმრთელობაც მალევე შეერყა, ლოგინად ჩავარდა და გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე ანდერძი ამ ქალბატონის სასარგებლოდ შეცვალა. ეს უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა. დაიწყო ძიება. მიცვალებულები საფლავებიდან ამოყარეს და ექსპერტიზამ მათ სხეულში დარიშხანის საეჭვო ნაკვალევი დაადასტურა. მორესტიე სასამართლო პროცესის დანიშვნამდე გასკვანჩეს და დილეგში უკრეს თავი. სამწუხაროდ, გვიანი აღმოჩნდა. მისი დაპატიმრებით ვერც შვილებმა იხეირეს და ვერც მკვდრებმა იგრძნეს უკეთ თავი. და რა უყო დაგროვილ ქონებას მხიარულმა ქვრივმა? წირვა გამოუყვანა, რა თქმა უნდა. არ გაინტერესებთ, ვის დაახარჯა? თავის საყვარელს, რუდის, თუ ჯონის, შეიძლება სულაც ედი ერქვა, არც კი მახსოვს უკვე. ყოველ შემთხვევაში, ასე ერქვა იმ უიღბლო ამერიკელს. სხვათა შორის, ძალიან ყრმა გახლდათ. არა ისეთი, როგორც მისი წინამორბედი ბეხრეკი და უძლური ქმრები. წარმოშობით ბიარიცელი გიჟდებოდა სერფინგზე. სისხლი უდუღდა. მარიმაც ამ ჯანიანს დაადგა თვალი. ისიც კაი ჩიტი აღმოჩნდა. სულ მოდურ ტანსაცმელში, მანქანებსა და კაზინოებში აყრევინა ფული. მოკლედ რომ გითხრათ, მარი ჩამოყალიბებულ თაღლითს, მოიცათ, როგორ ამბობენ? - ჰო, ჟიგოლოს გადაეყარა. მაგრამ იმ ყეყეჩსა და გაუთლელს გრამი ტვინი არ ჰქონდა თავში. ამიტომ, აი, მას ნამდვილად შეიძლება არ გავუნაწყენდეთ და ყველაფერი მივუტევოთ. უბრალოდ მან ავხორც დედაკაცს წაართვა ის, რაც ამ დედაკაცმა სხვებს ასწაპნა. ახია მასზე! თქვენ იტყვით, რომ სამართალი არსებობს, მაგრამ ნება მიბოძეთ, საწინააღმდეგო დაგიმტკიცოთ. მარი მორესტიემ ამ ფლეიბოისაც აუგო ანდერძი და თქვენ გგონიათ, ფულის გამო? სრულიადაც არა! იმის გამო, რომ ასე უგულოდ მიაგდო! მოკლედ, ფლეიბოისთვის არავის მოუკრავს თვალი. მარი კი იფიცებოდა, საზღვარგარეთ გაიქცაო. თუმცა, მე ძალიან კარგად მომეხსენება, სადაც არის. ალბათ, ფეხებზე ქვებგამობმული ზღვის ფსკერზე განისვენებს და ლპება. ამქვეყნად ერთადერთი ადამიანი არსებობდა, რომელსაც

ხსენებული მკვლელობების შესახებ სხვებზე მეტი შეიძლება სცოდნოდა. ეს ბლანში გახლდათ, მარის უმცროსი და, უბრალო და სრულიად უწყინარი ადამიანი, რომელიც, სხვათა შორის, კუდიანს ძალიან უყვარდა და მფარველობდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ბილწს შეეძლო ადამიანური გრძნობების განცდაც. ისე, ხომ ამბობენ, ვარდი შეიძლება ნეხვშიც აღმოცენდეს და გაიხაროსო. დიახ, ვიმეორებ, უმცროსმა დამ უთუოდ ბევრი რამ იცოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მანაც ერთ მშვენიერ დღეს გააფრთხო სული. და ეს მოხდა მაშინ, როცა ძიება კულმინაციურ წერტილს აღწევდა. გეთანხმებით იმაში, რომ ამ შემთხვევაში მარიზე ხელის დადება ყოვლად გამორიცხული იყო, ვინაიდან წინასწარი დაკავების საკანში იყო გამომწყვდეული. ბლანში კი დანარჩენ 132 მგზავრთან ერთად ავიაკატასტროფაში დაიღუპა. წარმოიდგინეთ, ერთ წამში ამდენი ადამიანი ფერფლად იქცა. ალიბია ისეთი, ქვას რომ გახეთქავს, დამეთანხმეთ! როგორც ჩანს, უკეთურებსა და ბოროტმოქმედებს თავიანთი მფარველი ღმერთი ჰყავთ. სულელი და ჩერჩეტი დის გარდაცვალების შემდეგ, დაკითხვებზე ყოველ ჯერზე ბრიჯივით რომ იბნეოდა, დღეს ერთს მოროშავდა, ხვალ კი სრულიად საწინააღმდეგოს, ხან ბრალდების მოწმის როლს ირგებდა, ხანაც დაცვისა, ადვოკატმა და ბრალდებულმა შვებით ამოისუნთქეს და თავიანთი ვერსიის მტკიცება ჯიუტად იწყეს: ჩვენებები, როგორც იტყვიან, თავიანთ გემოზე ჭრეს და კერეს. და სულ მალე ძიება თავიანთ სასარგებლოდ შემოაბრუნეს. მოკლედ, არ იყო გამორიცხული, ეს ავაზაკი უდანაშაულოდ ეცნოთ.

რაიმონ პუსენის ხელების გამწარებულ ქნევასა და სახეზე მოკიდებულ მზარდ ალმურზე მარი მორესტიე ადვილად მიხვდა, ნოქარს სწორედ ის რომ ჰყავდა მიზანში ამოღებული.

პუსენის მონათხრობით მოჯადოებულმა მუშტრებმა ვერც კი შეამჩნიეს, ქმრების რისხვა მორესტიე პირდაპირ მათ თვალწინ, გამყიდველის ზურგს უკან რომ იდგა, „პროკურორისა“, წყევლა-კრულვად რომ იღვრებოდა.

- მარიმ დის გარდაცვალება მაქსიმალურად სათავისოდ გამოიყენა! იტირა და იჩხავლა. ცრემლების შადრევნები ღვარა. მადლობა განგებას, ბლანში ასეთ საშინელ ავიაკატასტროფაში რომ დაიღუპა, თორემ საკუთარი დის მკვლელობაშიც დამდებდნენ ბრალსო, იძახდა. არავისთვის წარმოადგენდა

საიდუმლოს, რომ მორესტიე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ ადამიანებს უსწორდებოდა, ძალიან რომ უყვარდა - ქმრებს, დას. იმას კი ეჭვობდნენ, რომ იმის მკვლელობა... რა ერქვა, ღმერთო, მომკალი, იმ ტიპს... რუდი? ჯონი? ედი? ყოველ შემთხვევაში იმის, როკერის სახელი რომ ერქვა, მის სინდისზე იყო. ჰოდა, აი, იმ ვითომ საყვარლის გვამს ვერსად მიაგნეს. სინამდვილეში, ვფიქრობ, სულ სხვა რამ მოხდა. ვალებით იყო დახუნძლული და საზღვარგარეთ მოუსვა. ღმერთმა იცის, კიდევ რომელ შავბნელ საქმეებში ჰქონდა ცხვირი ჩაყოფილი. ძიება ყველას და ყველაფერს შეეხო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მართლმსაჯულება, როგორც იქნა, გონს მოეგო და ეძებდა საბაბს, რომ ეს ქალბატონი ბოლოს და ბოლოს დილეგში გამოემწყვდია. ბრალდებულის ადვოკატი კი თავისას აწვებოდა. რეგიონის სასაფლაოებზე ჩატარებულმა ნიადაგის ქიმიურმა ანალიზმა გმოავლინა, რომ სარეველა ბალახის გასანადგურებლად დარიშხანგარეულ ჰერბიციდს იყენებდნენ. ამის გამო ნებისმიერი მიცვალებული დასაფლავებიდან რამდენიმე წლის თავზე რომ ამოგეთხარათ, ჩატარებული ექსპერტიზა გაფიქრებინებდათ, რომ ეგზჰუმირებული დარიშხანით იყო მოწამლული. თუ საფლავში წვიმა ძალუმად ჩადიოდა, ამ შედეგის მიღებას დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირდებოდა. მოკლედ გეტყვით, რომ მარი მორესტიემ და მისმა ადვოკატმა ორი სასამართლო პროცესი მოიგეს! ქალბატონებო და ბატონებო, ვიმეორებ, „მორესტიემ და მისმა ადვოკატმა“ და არა - „მართლმსაჯულებამ და კანონმა“.

ამ დროს რაიმონ პუსენმა კეფაში საშინელი ტკივილი იგრძნო. თავზე ხელი გადაისვა, რამე მწერმა ხომ არ მიკბინაო და შემოტრიალდა: მარი მორესტიეს მისთვის გამჭოლი მზერა მიეპყრო. მოხუცს კინაღამ თავისი დაემართა: გულისცემა გაუხშირდა, მწვავე არითმია დაეწყო...

რამდენიმე წამის განმავლობაში ისინი თვალებით ბურღავდნენ ერთმანეთს. მარის წარბიც არ შესტოკებია, მისი მზერა ულმობელი და უმოწყალო ჩანდა. რაიმონს კი აშკარად ეტყობოდა, რომ შიშმა სძლია. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს მარის თანდასწრებით ყოველთვის ძლიერი მღელვარება ეუფლებოდა დ საშინლად იბნეოდა. ადრე ფიქრობდა, რომ ასე სიყვარულის გამო ემართებოდა და არშიყიც კი უცდია. დღეს კი სრულიად საწინააღმდეგოში იყო დარწმუნებული - მთელი

არსებით სძულდა ეს საძაგელი ადამიანი.

ხანგრძლივმა წუთმა ჩაიარა. მარიმ მზერათა გაცვლა-გამოცვლას წერტილი დაუსვა. მხრები აიჩეჩა და გზა, ვითომც არაფერი, მშვიდი ნაბიჯებით განაგრძო. წელში გამართული და თავაწეული კაფის ტერასას აუყვა. მის დანახვაზე იქ მყოფებს ენა ჩაუვარდათ. კიდევ რამდენიმე წუთიც და მარი საყასბოსში გაუჩინარდა. აქაც იგივე სცენა გათამაშდა. კლიენტებმა პირში წყალი დაიგუბეს. აუღელვებელი მარი კი რიგში ჩადგა. ყასაბი, გეგონება, დაუწერელ გარიგებას ემორჩილებაო, მუშტარს შეეშვა და ამით ახალმოსულს აგრძნობინა, პირველს შენ მოგხედავო.

პროტესტის გამოხატვა არავის გაუბედავს. დაბის მაცხოვრებლები არა მარტო აღიარებდნენ მარი მორესტიეს განსაკუთრებულ სტატუსს, არამედ მისი თანდასწრებით მორჩილებისა და მოწიწების გრძნობა ეუფლებოდათ. დაწყებულ საუბარს ვეღარ აგრძელებდნენ, მასთან გამოლაპარაკებას ხომ საერთოდ ერიდებოდნენ, - ხალხში დარხეულმა ხმებმა ის ხომ სისხლისმწოველ ურჩხულად აქციეს! - უბრალოდ იდგნენ და ელოდნენ, სანამ საქმეს მოითავებდა და იქაურობას გაეცლებოდა.

რატომ არ ივიწყებდნენ ადამიანები მარი მორესტიეს? მართლმსაჯულების მიერ უდანაშაულოდ აღიარებული რატომ იქცა ლეგენდად? ძიების დამთავრებიდან 10, 20 წლის შემდეგაც რატომ განაგრძობდნენ მასზე ასეთ ცხოველ საუბარს? იმიტომ, რომ მარი მორესტიე არ გახლდათ ერთმნიშვნელოვანი ფიგურა. ორბუნებოვანი ხასიათი ჰქონდა. ეს თვისება ყოველთვის აღვივებს ადამიანთა ინტერესს, ფიქრისა და ოცნებისთვის განაწყობს მათ. დუალობა წინაპირობაა ვარსკვლავის შესაქმნელად, მაგალითად, როცა მისი იერი სულაც არ შეეფერებოდა საქციელს. ყოველდღიურ ყოფაში მედდები მათზე ბევრად ასაკოვან მდიდარ პაციენტებზე ნადირობენ და ნებისმიერ ფასად ცდილობენ მათ ცოლქმრულ უღელში შებმას. მომხიბლავი და მიმზიდველი გოგონები სექსუალური ჩაცმულობით საკუთარი ფიზიკური ღირსებების გამოკვეთას ახერხებენ. მათთვის სხეულის კონკრეტული ნაწილების ბარაქიანობის ხაზგასმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მარი მორესტიეს, ახალგაზრობაშიც კი არ გამოიყურებოდა ახალგაზრდულად. თითქოსდა ვარდი

გაფურჩქვნამდე დაჭკნა და ჩამოხმაო. წარმოუდგენლად ნაადრევად დაედო კლიმაქსიანი ქალის იერი, ქალურობისა და სინაზისაც დიდი არაფერი ეცხო. გაყინულგამომეტყველებიანი ეს უშველებელი ძროხა ყოველთვის მკაცრ, მაღალყელიან პერანგებს ირგებდა, უშველებელი შავი სათვალის გამო სახე თითქმის აღარ უჩანდა. მაღალყელიან უხეშ ფეხსაცმელზე შემომდგარი შორიდან მთამსვლელს წააგავდა. მოკლედ, ქალი, ჟურნალ-გაზეთები „მამაკაცთა გულისმჭამელად“ რომ ნათლავდნენ, თავისი გარეგნობით საერთოდ მოკლებული იყო ყოველგვარ სექსუალურობას, ვნებისა და წადილის აღძვრის უნარზე ხომ ლაპარაკიც უადგილოა. საკითხავია, რა კავშირის გავლება შეიძლება ამ, ერთი შეხედვით, უმანკოების განსახიერებასა და იმ მრავალრიცხოვან ქორწინებას შორის? კიდევ უფრო გაუგებარია, მარის რომელმა ღირსებებმა აუმღვრია გონება რუდის? იმ თავქოჩორა კანაფის დიდ თაყვანიმცემელს, გარუჯულ ფლეიბოის, ერთთავად გაღეღილი პერანგი რომ ემოსა? კიდევ ერთი წინააღმდეგობა: ჩვეულებრივ საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვის მომწამვლელი, განსაკუთრებით მომწამვლელი-რეციდივისტი, სახის წვრილი ნაკვთებით შეიცნობა, სადაც აშკარად იკითხება ყველა არსებული თუ არარსებული მანკიერება, ბოროტება, ზიზღი, შურისძიების სურვილი. მარი მორესტიე კი ზედმეტად პედანტ, მეტიც - ღვთისმოშიშ სკოლის მასწავლებელს მოგაგონებდათ, ბავშვებს კატეხიზმოს ყოველდღიურ გაკვეთილებს პატიოსნად და დაუზარლად რომ უტარებს. მოკლედ, რასაც მარიზე ყბედობდნენ, სრულიადაც არ მიესადაგებოდა მის იერს - არც მისი რომანები და არც ჩადენილი ბოროტმოქმედებანი.

- არა, როგორ გეკადრებათ, მეც შემიძლია რიგში დგომა. ამ ქალბატონებსა და ბატონებს ვერანაირად ვერ გავუსწრებ, - წაილუღლუღა მარიმ უხერხულად, მორჩილი, თბილი ხმით, გეგონება, მსგავსი პატივი ცხოვრებაში პირველად მიაგესო.

- ჩემს მაღაზიაში უფლებას ვიტოვებ, მოვიქცე ისე, როგორც მომეპრიანება, მადამ მორესტიე! - მშვიდად შეეპასუხა ყასაბი, - ვფიქრობ, ქალბატონები და ბატონები წინააღმდეგნი არ იქნებიან, პირველს მოგემსახუროთ, არა?

მუშტრებმა თანხმობის ნიშნად თავი დააკანტურეს.

- მაშინ ხბოს პაშტეტი ამიწონეთ ჩემთვის და ერთი ნაჭერი რბილი ხორცი ჩემი ფისუნიასთვის.

მყიდველებმა მარის შეკვეთა უნებურად მორიგი საწამლავის შემადგენელ კომპონენტებად აღიქვეს.

ისე, ერთი შეხედვით, მარი მორისტიეს უბრალო, უწყინარი და უცოდველი ადამიანის გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... თუ ყურადღებით დააკვირდებოდით, უმალ ეჭვი შეგიპყრობდათ: დროდადრო თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდა... წარმოიდგინეთ მოწმენდილ ცაზე მოულოდნელი გაელვება... მზერას მოკვლა რომ შეეძლოს, ცხადია, მარი სასამართლო პროცესზე მოსამართლეს ნამდვილად გამოუყვანდა წირვას, შემდეგ კი პროკურორსა და მოსარჩელეთა მოწმეებსაც ზედ მიაყოლებდა. გამოსვლებიც მკაცრი, ხისტი და კატეგორიული ჰქონდა. ზოგ მოწმეს იმბეცილი უწოდა, ზოგი კრეტინად მონათლა, ზოგსაც ნარცისის იარლიყი მიაკერა. ყველა ჩვენება კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მის წინააღმდეგ მიმართული მტკიცებულებანი დაამსხვრია და გაანადგურა. ვერც ერთი არგუმენტი ვერ გადაურჩა მის კვიმატ და გესლიან ენას. ზუსტი შენიშვნებით ყველა განაიარაღა. განსაკუთრებით მომხიბლავი და შეუდარებელი იყო მაშინ, როცა მართებული შენიშვნებით პირდაპირ მიზანში ურტყამდა: მისდამი მტრულად განწყობილ, მუხლებზე დაჩოქილ მოწმეს წელში გამართვის ყოველგვარ საშუალებას უსპობდა, სამუდამოდ უკარგავდა მოსამართლის ნდობას. მარის გასვლის შემდეგ, როგორც იტყვიან, გადაბუგული და გადახრუკული მიწა რჩებოდა, სადაც ეკალიც კი არ ხაროდა. გონიერება (იერით ამას არც კი დაუშვებდით) ამ ქალს ეშმაკისეულს ხდიდა. არა აქვს მნიშვნელობა, როგორ იქცეოდა, გარშემომყოფთ აოცებდა, ხშირ შემთხვევაში ზაფრავდა. იქნებ მართლაც იყო დამნაშავე? ალბათ, არა. მის მკაცრ გამომეტყველებას ამისათვის საკმარისი მანკიერება არ გააჩნდა. ნუთუ უდანაშაულოა? ამისათვის მის სახის ნაკვთებს ნამდვილად აკლდა აუცილებელი სითბო და სირბილე. იქნებ სულაც მეძავია და საკუთარი სხეულით ვაჭრობს (თანაც ბებრუხუნებთან)? ამისთვის გასაყიდ საქონელს ვნება მაინც უნდა ეფრქვია, მამაკაცებში წადილი რომ გაეღვიძინებინა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოფილი ქმრები გულწრფელად უყვარდა? დაუშვებელია! მარი არ ტოვებდა ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას, სიყვარული რომ ძალუძს.

ხანდაზმულმა ქალბატონმა ყასაბს მისკენ გამოწვდილი ფუთა

ჩამოართვა.

- გმადლობ, მარიუს.

ყასაბს გააჟრჟოლა. სალაროს უკან მდგარმა მისმა მეუღლემ ხველა ვერ შეიკავა. მარი მოერსტიეს ბაგეთ მოწყვეტილი ნებისმიერი სიტყვა აღიქმებოდა, როგორც პირდაპირი სამხილი. ამას გარდა, ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების გარდა მესიე ისიდორეს ნათლობის სახელით არავინ მიმართავდა. უცხოებისგან ფამილარულ გამოხტომებს ყასაბი უბრალოდ ვერ ეგუებოდა. ამჯერად მეხდაცემულმა დარტყმა უდრტვინველად აიტანა. პირმოკუმულმა ცოლმა კი საკუთარ თავს კომენტარის გაკეთების უფლება არ მისცა და მუშტარს ხურდა უსიტყვოდ ჩაუთვალა. ქმართან გარჩევა მოგვიანებით ამჯობინა, როცა მასთან მარტო აღმოჩნდებოდა.

მარი მორესტიემ ყველას წარმატებული დღე უსურვა და მაღაზია დატოვა. რიგში მდგომმა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა მუშტრებმა ზრდილობის ამ გმოვლინებას ნაჩქარევად, ლამის ჩურჩულით, მაგრამ მაინც მართებული ქცევის წესების შესატყვისად უპასუხეს.

ქუჩაში მარი ივეტას შეეფეთა ბავშვთან ერთად. დედას არც კი მისალმებია, იერიში ახალშობილზე მიიტანა: - გამარჯობა, ჩემო ძვირფასო. აბა, მითხარი, რა გქვია? - ჰკითხა ჩვილს დაშაქრული ხმით. ოთხი თვის ბავშვი, ცხადია, პასუხს ვერ გასცემდა. საშველად საუბარში ივეტა ჩაერია.

- მარჩელო.

მარიმ ივეტა შეხედვის ღირსადაც არ ჩათვალა. ჩვილს გაუღიმა, გეგონება, პასუხი მან გასცაო.

- მარჩელო? რა ლამაზი სახელია! ბევრად უფრო დახვეწილი და ელეგანტური, ვიდრე მარსელი.

- მეც ზუსტად ასევე ვფიქრობ, - ხალისიანად დაეთანხმა კმაყოფილი ივეტა.

- რამდენი და-ძმა გყავს?

- ორი და და სამი ძმა.

- გამოდის, რომ შენ მეექვსე ხარ. ნამდვილად ბედნიერი ციფრია.

- მართლა? - შეჰყვირა გაოცებულმა დედამ.

მარიმ ივეტას კომენტარი უყურადღებოდ დატოვა და ჩვილთან საუბარი განაგრძო.

- და რატომ მაინცდამაინც მარჩელო? მამაშენი, რა, იტალიელია?

დედას სახე აუჭარხლდა. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ივეტა ნებისმიერ პირველ შემხვედრს უგორდებოდა ლოგინში. გამორიცხული არ იყო, მამის სახელზე წარმოდგენაც არ ჰქონოდა, ისევე, როგორც წინამორბედებზე, სხვათა შორის. მორესტიე ივეტას მიუტრიალდა და ფართოდ გაუღიმა. შემდეგ საფუნთუშეში შერგო თავი. „ოქროს ორცხობილას“ კლიენტები უკვე დიდი ხანია, ივეტასა და მარის შორის გამართულ საუბარს თვალყურს ადევნებდნენ და უხერხულად იშმუშნებოდნენ.

საინტერესოა, ამჯერად ივეტასთან საუბარში იყო კი მარი მორესტიე თავაზიანი და კეთილგანწყობილი? თუ გესლიანი საყვედური შეფარულად ანთხია. ძნელი სათქმელია. როცა მორესტიე საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამდა, არავის სჯეროდა, რომ გულწრფელი იყო, ეგონათ, გამუდმებით ფარისევლობდა, თავს იკატუნებდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რას გამოხატავდა მარის ჟესტები, მიმიკა და სიტყვები, ისინი ნებისმიერ შემთხვევაში მკაცრ კონტროლზე მეტყველებდა. თვალების ფახული, ინტონაციათა ვირტუოზული მონაცვლეობა მხოლოდ ერთ მიზანს - განსხვავებული ადამიანის ნიღბების შექმნას ემსახურებოდა, საჭიროების მიხედვით, რიგ-რიგობით რომ ირგებდა. აქედან გამომდიარე, მსმენელებს ხან გულჩვილი და გულმოწყალე, ხან ბრაზიანი და ფხუკიანი, ხანაც მორჩილი, ხან კი გულის სიღრმემდე შეძრული და აღელვებული მოევლინებოდა ხოლმე. არც მის გულამომჯდარ ზლუქუნს, არც დაღვრილი ცრემლების ნაკადულებს, არც დუმილს არაფერი ეცხო ბუნებრივობისა. მარი მომაჯადოებელი მსახიობი გახლდათ და არც ცდილობდა საკუთარი გარდასახვის უნარის მიჩქმალვას. თუმცა გარდასახვის ეს ხელოვნება ბუნებრივობის ილუზიის შექმნას კი არ ემსახურებოდა, არამედ მისი ხასიათის ხელოვნურობის გამოკვეთას. თავის არაბუნებრივ თამაშში მსახიობი თავდავიწყებას არასდროს მისცემია, სიფრთხილეს ყოველთვის ინარჩუნებდა. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ეს მისი სიყალბის ნათელი დასტური იყო, სხვანი კი მასში მარის პატიოსნებისა

და ღირსეულობის გამოვლენას ხედავდნენ.

- ნახევარი ბაგეტი, გეთაყვა.

მარი მორესტიეს გარდა სოფელში ბაგეტის ნახევარს აღარავინ ყიდულობდა. და თუ ვინმეს მსგავსი აზრი თავში გაუელვებდა, ახალგაზრდა მეფუნთუშის რისხვას საღ-სალამათი ნამდვილად ვერ გადაურჩებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ეს უკანასკნელი მაინც ეცადა, მარისთვის აეხსნა, კლიენტს მხოლოდ ან მთლიანი ბაგეტი შემიძლია მივყიდო ან არაფერიო, რაზეც სოფლის ღირსშესანიშნაობისგან შემდეგი პასუხი მიიღო: - კეთილი, მესიე! როცა ისეთი პურის ცხობას დაიწყებთ, ნახევარ საათში რომ არ გამოხმება, აუცილებლად შემატყობინეთ და ორ დღეში ერთხელ ერთ მთლიან ბაგეტს შევიძენ. ჯერჯერობით კი ვიტოვებ უფლებას, მხოლოდ ნახევრით შემოვიფარგლო.

სანამ მარი მორესტიე ფულს იხდიდა, ერთმა ტურისტმა თავი ვერ შეიკავა და მონდომებულმა ხმამაღლა შეჰყვირა: - მადამ, ჩემს დღიურში ავტოგრაფის ჩაწერაზე უარს ხომ არ მეტყვით?

მორესტიე მოიქუფრა, იფიქრებდით, წამიც და აფეთქდებაო. მსგავსი არაფერი მომხდარა. საკმაოდ გამოკვეთილად წარმოთქვა: - რა თქმა უნდა, არა!

- ოო, დიდი მადლობა, მადამ, დიდი მადლობა. მინდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენით აღფრთოვანებული ვარ. ტელევიზორში თქვენზე შექმნილი ყველა გადაცემა მინახავს.

მარიმ უცხო ქალს მრავალმნიშვნელოვანი მზერა შეავლო, რომელშიც აშკარად იკითხებოდა: „ღმერთო, რა უბედურია ეს ქალი!“ მოაწერა ხელი, ტურისტს ბლოკნოტი დაუბრუნა და გავიდა.

და როგორი იყო მარი მორესტიეს დამოკიდებულება საკუთარი პოპულარობისადმი, ჟამთასვლამ ვერაფერი რომ ვერ დააკლო? ბევრის აზრით, ეს მისთვის ძნელად სატარებელი ტვირთი უნდა ყოფილიყო. თუმცა არა ერთი დეტალი მეტყველებდა იმაზე, რომ ეს პოპულარობა ართობდა კიდეც. საპატიო მოქალაქის წოდება სრულ უფლებას აძლევდა, დღესასწაულებზე, ქორწილებსა და ბანკეტებზე თვალსაჩინო ადგილას გამოჯგიმულიყო; მასმედიის საშუალებები თუ მისგან ინტერვიუს ან ფოტოსესიას ითხოვდნენ, უმალ პირად ადვოკატს უკავშირდებოდა, რომ ჰონორარზე

მოლაპარაკებოდა. გასულ ზამთარს მარის საზიზღარი გრიპი შეეყარა და ლოგინად ჩავარდა. სადღაც გულის სიღრმეში უხაროდა კიდეც, დაბის მთავარი ისტორიული ღირსშესანიშნაობის დროებითი გაქრობით შეწუხებული მობინადრენი მოსაკითხად ერთიმეორის მიყოლებით რომ ამოდიოდნენ. ამ ზაფხულს ერთ მშვენიერ ნაშუადღევს მარი ტერასაზე ერთ-ერთ მაგიდას მიუჯდა. საშინლად ცხელოდა და პიტნის სიროფში გაზავებული ჭიქა წყლის დალევა ისურვა. გადახდის დრომ რომ მოაწია, აღმოაჩინა, საფულე სახლში დარჩენოდა. ბოდიშის მოხდის სანაცვლოდ მორესტიემ კაფის მფლობელს მიახალა: „ჩემზე ხომ კარგად მოითბეთ ხელი?! არაფერი დაგიშავდებათ ერთხელ უფასოდ თუ გამიმასპინძლდებით!“

მარი მორესტიე აუჩქარებელად, - ოდნავ წელში მოხრილი, გეგონება საკუთარი სხეული სიმძიმეს ვერ უძლებსო, - შემოტრიალდა და საკუთარი სახლისკენ მიმავალ აღმართს აუყვა. დროის გასვლასთან ერთად ის სულ უფრო და უფრო ოსტატურად ირგებდა სასამართლო პროცესის შეცდომის უდანაშაულო მსხვერპლის როლს. თუმცა, თავიდან თვითონაც დაუშვა რამდენიმე უპატიებელი შეცდომა. აი, გათავისუფლებიდან ლამის მეორე დღეს ერთმა მრავალტირაჟიანმა და მეტად პოპულარულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ფოტო, სადაც ლაღი და ყურებამდე მომღიმარე ყოფილი ეჭვმიტანილი იყო აღბეჭდილი. იდგა საკუთარ ბაღში ვარდების ფონზე და გულში ჩახუტებულ კატას ეფერებოდა. ფოტომასალამ საშინელი ეფექტი იქონია. მარი მორესტიეს გამომწვევ მხიარულებას არაფერი ჰქონდა საერთო არც დამწუხრებულ ქვრივთან და არც დილეგში დაუმსახურებლად გატარებული თვეების გამო წელში გატეხილ და უზომოდ დათრგუნულ ქალთან. სტატიის დაბეჭდვას უმალ ზიზღის შემცველი პუბლიკაციების უზარმაზარი ტალღა მოჰყა. არაერთს შეეპარა ეჭვი მის უცოდველობაში. ისევ დადგა საკითხი, ზოგი ბნელი მხარისთვის ნათელის მოფენის მიზნით, წარმოებაში საქმის ხელმეორედ ჩაშვების თაობაზე. მოგვიანებით მარიმ ჭკუა ისწავლა და სამუდამოდ შეერწყა უბედური მსხვერპლის როლს.

გზა, მარი რომ აუყვა, სოფელს ორ ნაწილად ყოფდა: ბორცვზე, კრამიტის სახურავებისა და ფოთლებშემოძარცვული ჭადრების ზემოთ, სევდიანი, გაშიშვლებული, გამაღიზიანებლად

სიმეტრიული ვენახის რიგები გადაჭიმულიყო. მარტის ამ უღიმღამო და ჯერ კიდევ სუსხიან ამინდში მხოლოდ აქა-იქ თუ მოეხერხებინათ ნორჩ ყლორტებს გაფურჩქვნა.

ეკლესიას რომ გაუსწორდა, მარი კანკალმა აიტანა. იქიდან მომაჯადოებელი გალობა ისმოდა. დაუჯერებელია! ნუთუ შესაძლებელია, რომ...

მარიმ იმდენად სწრაფად აირბინა საფეხურები, რამდენად ამის საშუალებას ართრიტი და ნიკრისის ქარი აძლევდა. მიაწვა კარს, რომელიც საშინელი ჭრიალით გაიღო და ნანახით გაოგნებული დანებდა მუსიკას...

ჰანგებს მთელი მისი არსება დაემონებინა, მძაფრი არომატივით ნაზად შეხებოდა, მოფერებოდა, მისი სულის სიღრმეშიც შეეღწია.

ახალგაზრდა მღვდელი ფიზჰარმონიაზე უკრავდა. სუნთქვის შემკვრელად ლამაზი და მომაჯადოებელი ჩანდა, სრულიად მარტო იყო ნეფში, ფერმკრთალი, გეგონება, პუდრი წაუსვესო, უზადოდ გამოჭრილი, ოდნავ გამობურცული ტუჩებით. ის სინათლეს აფრქვევდა, ვიტრაჟებიდან შემოჭრილი მზის ნათება მხრებზე ოქროსფერ ნაკადულებად ეღვრებოდა. საკურთხეველზე უფრო ძლიერ გაჩახჩახებული და გაცილებით მიმზიდველი ჩანდა, ვიდრე ჯვარცმული იესო. ადამიანი, რომლის წყალობითაც ინსტრუმენტი ღვთაებრივ, მათრობელ ჰანგებს გამოსცემდა და თაღებამდე აღწევდა, ეკლესიის ცენტრად ქცეულიყო. მღვდლის ნატიფი, ქათქათა თითები კლავიშებს ეფერებოდა. მონუსხული მარი მორესტიე ახალგაზრდა მამაკაცს თვალს ვერ აცილებდა. რაღაც მომენტში ემოციებით შეპყრობილს მოეჩვენა, რომ თავად იესო ქრისტე გამოეცხადა. გარედან შემოჭრილმა მოტოციკლეტის ხმაურმა ორივე გამოაფხიზლა: დამკვრელიც და მსმენელიც მიწიერ სამყაროს დააბრუნა.

როგორც კი მიხვდა, რომ მარტო აღარ იყო, მღვდელმა დაკვრა შეწყვიტა, წელში გაიმართა და მლოცველს მიესალმა.

მარი მორესტიეს კინაღამ გული შეუღონდა. მღვდელმსახური ჯერ კიდევ სრულიად ყრმა, წარმოუდგენლად ახოვანი და ტანადი აღმოჩნდა. მარის რომ გამოხედა, სახე გაუბრწყინდა, როგორც მიჯნურს სატრფოსთან შეხვედრისას. იფიქრებდით, კიდევ წამიც და მარის გადაეხვევა და გულში ჩაიკრავსო.

- გამარჯობა, შვილო ჩემო. მე სენ-სორლენის ახალი მღვდელი გახლავართ და ბედნიერი ვარ, რომ აქ მიწევს მსახური. სასულიერო სემინარია ახლახან დავამთავრე და ეს ჩემი პირველი მრევლია. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა ასეთი არაჩვეულებრივი სილამაზის, ღვთაებრივად ფერწერულ სოფელში რომ აღმოვჩნდი.

მღვდლის ხავერდოვანი, ღრმა ბოხი ხმით შეცბუნებულმა მარიმ გაურკვევლად წაილუღლუღა, სენ-სორლენის მაცხოვრებლებს უფრო მეტად გაუმართლათ, ღმერთმა ასეთი ღვთისმსახური რომ არგუნაო.

მღვდელი მარის სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა.

- მე აბატი გაბრიელი ვარ.

მარის დაბურძგლა. ეს ანგელოზის სახელი სრულიადაც არ შეეფერებოდა მის დაბალ ხავერდოვან ხმას.

- ვისთან მერგო საუბრის პატივი? - იკითხა მარის დუმილით ცოტა გაკვირვებულმა მღვდელმა.

- მარი...

მარი ორჭოფობამ შეიპყრო: ღირდა კი გვარის გამჟღავნებაც? შიშობდა, ჟურნალ-გაზეთების კრიმინალურ ქრონიკაში არაერთგზის ნახსენებ გვარს ახალგაზრდა მღვდლის მშვენიერი სახე არ დაემწუხრებინა და მისი სახიდან ბავშვური ღიმილი უგზო-უკვლოდ არ გაექრო. მიუხედავად ყველაფრისა, მარიმ გარისკა: - მარი მორესტიე.

- ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით, მარი მორესტიე.

სუნთქვაშეკრულმა მარიმ შეამჩნია, რომ მისი სახელის გაგონებაზე მღვდელი არც შემცბარა, არც დაბნეულა, არც უკან დაუხევია და არც გულისწყრომა გამოუხატავს. დაუჯერებელია!.. გაუგონარია! მღვდელი მას მიესალმა და გამოელაპარაკა, როგორც ჩვეულებრივ მრევლთაგანს. არც მისი განსჯა უცდია და არც გარეული ცხოველებისათვის განკუთვნილ გალიაში გამოკეტვა.

- მარი, ეკლესიაში თუ შემოდიხართ დროდადრო?

- ყოველდღე ვესწრები წირვას.

- თუ გქონიათ ოდესმე განცდა, რომ რწმენა შეგერყათ?

- ღმერთი ვეღარ აიტანდა ჩემს სისუსტეს, ვერც ორჭოფობასა და ახირებებს. მისი ღირსი რომ არ ვიყო, წამში გამიღვივებდა რწმენას.

მარის სურდა, ფრაზაში მორჩილება და კრძალვა ჩაექსოვა, მაგრამ უმალ გაიაზრა, რომ სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო რამ მოიმოქმედა. წარმოჩინდა არა როგორც თავმდაბალი, არამედ უზომოდ ამაყი ადამიანი. ღმერთო, რა მოვროშე: „მე მისი ღირსი რომ არ ვიყო, წამში გამიღვივებდა რწმენას!..“

აბატი გაბრიელი წამიერად, ცოტა არ იყოს, დაიბნა, დაფიქრების შემდეგ ნათქვამის არსს მაინც ჩაწვდა.

- რწმენა მოწყალებაა.

- ჭეშმარიტებას ბრძანებთ: როცა ჩვენი რწმენა სუსტდება, ღმერთი პანჩურს ამოგვარტყამს ხოლმე, რათა აზრზე მგვიყვანოს და ღმერთისადმი ნდობა განგვიმტკიცოს.

მარის საკუთარი ყურების არ სჯეროდა - პანჩურის ამორტყმა! რატომ დასჭირდა ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო მის ყოველდღიურ ლექსიკასთან. რა ჯანდაბა ეტაკა ნეტა? გაჰყვიროდა, როგორც პოლკის მეთაური ბრძოლის ველზე მანევრირებისას; ნამდვილი კაპრალი პირის ამყრალებას რომ არ ერიდება. იქნებ უეცრად მოუნდა ამ ნაზი არსების გვერდით მამაკაცის როლი მოერგო? მარი დაიბნა. თვალები მორჩილად დახარა. მზად იყო, შეცდომა ეღიარებინა.

- მაშ ასე, შვილო ჩემო, ერთმანეთს დილის შვიდ საათზე წირვაზე შევხვდებით.

მარიმ პასუხად პირი დააღო და თავის კანტურით დაეთანხმა. „მომიტევა, - გაიფიქრა თავისთვის, - არაჩვეულებრივი ადამიანია!“

*

მეორე დღეს, დილაუთენია მარი მორესტიემ ყველას დაასწრო და წირვაზე პირველი გამოცხადდა.

როცა მწვანე აბრეშუმის აშურმასა და ქათქათა სტიქარში გამოწკეპილი აბატი გაბრიელი სამოსლისა და ჭურჭლის

საცავიდან გამოვიდა, მარი მორესტიეს აღფრთოვანებისგან ცოტა ხნით მეტყველების უნარი წაერთვა. ის ისეთივე ყრმა და ხიბლიანი იყო, როგორც მის მოგონებებში. შემდეგ ორივემ წირვისთვის ერთად განალაგეს მთელი გრძელი სკამები, დამტვრეულები და მოყანყალებულები კი გვერდზე მიდგეს. მოაწესრიგეს თაიგულები, ლოცვანი დასტებად დაალაგეს. უცხო თვალისთვის ეს ორი ადამიანი მეგობრების მისაღებად ემზადებოდა.

ნელ-ნელა მრევლმა მოგროვება იწყო. ყოველი მათგანი საშუალოდ ოთხმოცის მაინც იქნებოდა. ეს ჭაღარა შავებში მოსილი ადამიანები შემოსასვლელთან შეყოვნდნენ. მათი დუმილი და თავშეკავება ახლად დანიშული მღვდლისადმი მტრულ განწყობას კი არ გამოხატავდა, არამედ წინამორბედისადმი ერთგულებასა და პატივისცემას.

აბატმა გაბრიელმა უმალ იგრძნო მრევლის განწყობა. გადაწყვეტილებაც შექმნილი მდგომარეობისთვის უპრიანი მიიღო: თვითონ გაეშურა მათთან შესახვედრად, თბილად მიესალმა, წარუდგა, იპოვა საჭირო სიტყვები, რათა აწ გარდაცვლილი, ლამის საუკუნეს მიღწეული წინამორბედი აბატისთვის მიეგო პატივი და ამ უკანასკნელის ღვაწლი და ამაგი მოწიწებით აღენიშნა. ბოლოს სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილი ხმით მრევლი შიგნით შეიპატიჟა და უმორჩილესად სთხოვა, ადგილები გუნდთან ახლოს დაეკავებინათ.

სანამ აბატი საკურთხევლისკენ მიემართებოდა, ვერა ვერნემ, მარი მორესტიემ გონებაში გადაღძუებულ როკაპად რომ მონათლა, თავისთვის ჩაილუღლუღა: - არა, ეს ნამდვილად მოკლებულია სერიოზულობას. ეპარქია დაგვცინის, არც მეტი, არც ნაკლები. ეს მღვდელი მეტისმეტად ყრმაა ჩვენი მრევლისთვის. მგონი, სემინარისტი შემოგვაჩეჩეს.

მარის ამ სიტყვებზე გაეღიმა, მაგრამ პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. ისეთი განცდა დაეუფლა, რომ წირვას ცხოვრებაში პირველად ესწრებოდა. თითქოსდა აბატი გაბრიელი აგერ მის თვალწინ იგონებდა ღვთისმსახურების რიტუალს. აღტყინება, გატაცება, მორჩილება და რწმენა იგრძნობოდა მის ყოველ ქმედებასა და ნებისმიერ სიტყვაში. გულში ჩამწვდომი ხმა სახარების კითხვისას მღელვარებისგან აუთრთოლდა. დროდადრო თვალებს ხუჭავდა და ისეთი ვნებით

ლოცულობდა, გეგონება, მისი ხსნა სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული. რიტუალს, აბატი გაბრიელი რომ ასრულებდა, არაფერი ჰქონდა საერთო ყოველდღიურ უფერულობასა და უღიმღამობასთან. ის სასიცოცხლო მოთხოვნილებად აღიქმებოდა.

მარი მორესტიე გარშემო თავმოყრილი დარბაისელი და ფრიად პატივსაცემი მრევლის შეთვალიერებას მოჰყვა. სახეზე სრული იმედგაცრუება და უკმაყოფილება აღბეჭდვოდათ. ეკლესიის გრძელ სკამებზე ჩამომწკრივებულ მლოცველებს კი არა, არამედ ტურბულენტურ ზონაში მოხვედრილი თვითმფრინავის მგზავრებს ჰგავდნენ. მიუხედავად მსგავსი განწყობისა, ცოტა ხანში აბატის გულწრფელ და ამაღლებულ წირვას ვეღარ გაუძალიანდნენ და გადაწყვიტეს, ისე მოქცეულიყვენ, როგორც ჭეშმარიტად მორწმუნე კათოლიკეს შეშვენის: ფეხზე დგებოდნენ, ისევ სხდებოდნენ, მორჩილად იჩოქებდნენ მუხლებზე, ბებერი ძვლების ხრჭიალს ყურადღებას არ აქცევდნენ, გალობდნენ მთელი ხმით, ადიდებდნენ ღმერთს, მკაფიოდ და გრძნობით წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ღრმა მნიშვნელობას სძენდნენ. ნახევარი საათის შემდეგ უკვე ძნელად თუ გაარკვევდით, ვინ ვის შთააგონებდა - მღვდელი სამწყსოს თუ პირიქით - სამწყსო ღვთისმსახურს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ადამიანები გულწრფელი გრძნობებისა და ჭეშმარიტი რწმენის გამოხატვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. იმ ჯაგლაგმა ვერამაც კი, სანამ ზიარებას მიიღებდა, ნათელგადმოფენილი მლოცველის იერი მოირგო.

- ხვალამდე, მამაო, - ჩურჩულით გამოემშვიდობა მარი აბატ გაბრიელს და კიბეს ფრთხილად ჩაუყვა.

მარი მორესტიეს ისევ დაურბინა მთელ სხეულში ჟრუანტელმა. ღმერთო, რა სიამოვნებაა ამ ასაკში ასე ყრმა მღვდელს „მამაოთი“ მიმართო!

წირვიდან გამოსული მარი ბედნიერებისაგან ბრწყინავდა. ცდილობდა, ეს ამაღლებული განწყობა სახლამდე მიჰყოლოდა და კიდევ დიდხანს შეენარჩუნებინა. გულწრფელად უხაროდა ახალი აბატის გამოცხადება. უცნაური სიამაყის განცდაც კი დაეუფლა, გეგონება, მამა გაბრიელის გამარჯვება მისი გამარჯვებაც იყო.

*

გაბრიელმა სულ მოკლე ხანში მოიპოვა სოფლის მობინადრეთა კეთილგანწყობა. რამდენიმე დღეში დასახლების ყველა კუთხე-კუნჭულს იცნობდა. შეიარა კაფესა და მაღაზიებში, გულთბილად ესაუბრა ყოველ შემხვედრს, ჩამოაყალიბა საკვირაო სკოლაც, სადაც მსურველებს კატეხიზმოს გაკვეთილებს უტარებდა, არაერთს ასწავლა გამართული წერა-კითხვა. გაბრიელი მოსწონდა ხალხს. ადვილად შეეძლო მსმენელის მოხიბვლა და დარწმუნება. მალე მისი გაცნობა და მოსმენა მეზობელი კომუნების მრევლმაც ისურვა. სენ-სორლენს ყველა მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ თავისი ახალგაზრდა მღვდლით ეამაყა. ურწმუნოებმაც კი აღიარეს აბატი გაბრიელის არაჩვეულებრივობა და გამორჩეულობა.

მარი გულისყურით უსმენდა ნებისმიერ მითქმა-მოთქმას, ნებისმიერ ჭორს, გაბრიელის წინსვლა კი ჭეშმარიტ სიამოვნებას ჰგვრიდა. ამ დროს საკუთარი შვილის წარმატებით გულსავსე დედას ემსგავსებოდა. „რამდენი ხანი მოანდომეს იმის გაგებას, რაც მე პირველ შეხვედრაზევე აშკარად დავინახე“.

აბატი გაბრიელის სიახლოვეს მარი მორესტიე დიამეტრულად იცვლებოდა და სრულიად განსხვავებულ ადამიანად გარდაიქმნებოდა ხოლმე, თუმცა ამას თვითონ ვერანაირად ვერ აცნობიერებდა. ის კია, რომ ჩვევები (რიგიდული!) უცვლელი დარჩა, მაგრამ მის სულში აშკარად დაიბუდა მისთვის აქამდე უცნობმა გრძნობებმა.

მარი მორესტიე ზუსტად ექვს საათზე დგებოდა და ფიქრობდა, რომ ამ დროს იღვიძებდა გაბრიელიც. სანამ სარკის წინ სრულიად შიშველი ბანაობდა, თავის წარმოსახვაში ახალგაზრდა აბატს ხედავდა, ასევე შიშველს ნიჟარასთან, მასთან უახლოესი შეხვედრისათვის რომ ემზადებოდა. როცა ხვნეშითა და ქლოშინით კიბეს აირბენდა და ეკლესიის ზღურბლს გადააბიჯებდა, დარწმუნებული იყო, რომ არა მარტო ღმერთის ადგილსამყოფელს სტუმრობდა, არამედ გაბრიელისასაც. წინამორბედი მღვდლის ხანაში სენ-სორლენის ეკლესიაში დაახლოებით ისეთივე გრძნობა ეუფლებოდათ მლოცველებს, როგორიც კლიენტებს აყროლებული ხორცისა და სისხლის სუნით გაჟღენთილ საყასბოში შესვლისას. გაბრიელის გამოჩენის დღიდან კი ღმერთის სავანე შროშანების,

საკმევლისა და თაფლის სანთლების სურნელებაში ჩაიძირა. ვიტრაჟები გაიწმინდა, დიდი ფილებით დაფარული იატაკი მოიხეხა, საკურთხევლის გადასაფარებლები გაირეცხა და გაუთოვდა. მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ღმერთმა და ამ ახალგაზრდა მამაკაცმა ეს მშვენიერი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ერთობლივი თანაარსებობისათვის სათუთად კეთილმოიწყვეს.

იმ დროს, როდესაც მწვანე აბრეშუმის მანტიამოსხმული მომხიბლავი გაბრიელი წმინდა სამოსის საცავს ფართოდ აღებდა, წარმოთქვამდა „დილა მშვიდობისა, დანო ჩემნო, მიხარია თქვენი ნახვა“, მარი მიიჩნევდა, რომ ეს მიმართვა პირადად მისი მისამართით იყო წარმოთქმული. მარი ემორჩილებოდა ბრძანებებს: „მუხლებზე!“ „წამოვდგეთ ფეხზე“, „ვიგალობოთ!“, „ვილოცოთ“ და ამ დროს ერთნაირად ემორჩილებოდა როგორც ჟამის წირვის ცერემონიალს, ისე მამაკაცის ნებას. რწმენით ანთებული აბატის ყოველ სიტყვას ისრუტავდა. ძველად, ქადაგების დროს, მარი მხოლოდ ხეივნის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ მარმარილოს ფილებზე ამოტვიფრული თანასოფლელ მიცვალებულთა სახელ-გვარებისა და ამ ქვეყანაზე მათი მოსვლა-წასვლის მაუწყებელი თარიღების დამახსოვრებით იყო დაკავებული. გაბრიელის წყალობით, მარი სრულფასოვნად ეზიარა სახარების სიბრძნესა და ძლიერებას. გაბრიელი მის თვალში არა მარტო ჭეშმარიტების მთხრობელი გახლდათ - არამედ ღმერთის როლის საუკეთესო შემსრულებელიც, ახოვანი, მიმზიდველი, მომაჯადოებელი, მოწყვლადი და ადამიანთა მოდგმის სიყვარულით შეპყრობილი. ხშირად ოცნებებში გადავარდნილი მარი საკუთარ თავს მარი მაგდალელის ადგილას წარმოიდგენდა ხოლმე. სითბოთი და სიყვარულით სავსე მზერით შესცქეროდა იესო-გაბრიელს, საკუთარი ხელით აჭმევდა მას, ჰბანდა ფეხებს და მხრებზე ჩამოყრილი საკუთარი თმით უმშრალებდა. განსხეულებული წმინდა წერილი ამგვარად აზრს იძენდა.

ერთი რამ აღიზიანებდა უზომოდ მარის - კვირაობით მრევლის სიმრავლე: ბრბო, რომელსაც გაბრიელის გამოჩენამდე წირვაზე წასვლა აზრადაც არ მოსდიოდა.

ერთხელაც დილით, როცა მღვდელთან მარტოდმარტო აღმოჩნდა, მარის მათი დასმენის სურვილი დაეუფლა.

- მამაო, იცით თუ არა, რომ უწინ დიუბროების, მორენების, ისიდორებისა და დეპრერების ოჯახები წირვაზე საერთოდ არ დადიოდნენ?

- მით უკეთესი. ეკლესიისკენ მობრუნება არასდროსაა გვიან. გაიხსენეთ იგავი იმ ადამიანზე, რომელმაც მხოლოდ მაშინ ირწმუნა ღმერთი, როცა მისმა ბოლო საათმა ჩამოკრა.

- კეთილი, მამაო, მაგრამ ვფიქრობ, იესოს მხედველობიდან გამორჩა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ვერ გაითვალისწინა, რა შეიძლებოდა ეფიქრათ ადამიანებს იმის დანახვაზე, თუ როგორ მხურვალედ იკრავს უფალი გულში დაგვიანებულებს.

- იესომ იფიქრა ამის შესახებაც. მან იცოდა, რომ მორწმუნენი საკუთარ თავში სათნოებასა და რწმენას მარად აღვივებენ და ელოლიავებიან.

მარი სულაც ვერ მიხვდა, რომ მღვდელი თავისი პასუხით მასაც მეტი მოთმინების, შემწყალებლობისა და თავაზიანობის გამოჩენისკენ მოუწოდებდა და ბუზღუნით დაასკვნა: - დიახ... ეს ტურისტები აქ მხოლოდ გასართობად თუ შემოდიან. ერთი სული აქვთ, სანამ ახალ პასტორს თვალს შეავლებენ. ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, ახალი ცოცხი კარგად გვისო.

- შესაძლოა, მართლა ცნობისმოყვარეობის გამო მობრძანდებიან. ჩემი მოვალეობაა მათში ინტერესის აღძვრა და აქ უფრო დიდხანს შეყოვნება! იმედს ვიტოვებ, რომ ამას მოვახერხებ, დაო ჩემო!

მარიმ აბატ გაბრიელს - შთაგონებულ, კეთილ და გულმოწყალე ღვთისმსახურს, დაჟინებული მზერა მიაპყრო. საკუთარი პესიმიზმისა და ადამიანებისადმი მსგავსი უნდობლობის გამო სახეზე სიწითლე გადაეკრა და გულწრფელად წარმოთქვა: - თქვენ ყველაფერს შეძლებთ, მამაო. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მათ რწმენით აღავსებთ და ეკლესიის ერთგულ ადამიანებად გარდაქმნით.

სინამდვილეში მარის სულით და გულით, მთელი თავისი არსებით სურდა, მღვდელს მის მიმართ მეტი ყურადღება გამოეჩინა. მარი ხომ უდრტვინველად ითმენდა გაბრიელის სხვა ადამიანებზე ზრუნვას, მის ზემოქმედებას ურჯულოებზე და ამ უკანასკნელთა ეკლესიისკენ მოქცევას. იტანდა მხოლოდ იმიტომ, რომ გრძნობდა გაბრიელის მისადმი გამორჩეულ

დამოკიდებულებასა და განწყობას. ვერც იმის უფლებას მისცემდა თავს, რომ საკუთარი არეული და ერთობ რთული გრძნობები ერთი სრულიად მარტივი სიტყვით - ეჭვიანობით მოენათლა.

მარის ასევე ცუდად ენიშნა ეკლესიაში ივეტას სრულიად მოულოდნელი შემოჭრა.

ივეტა, არც მეტი, არც ნაკლები, მოსიარულე თეძოები გახლდათ. ქალების არსენალი მდიდარია მოხიბვლის საშუალებებით: ერთნი მამაკაცების ყურადღებას არაჩვეულებრივად ლამაზი თვალებით იქცევენ, სხვანი ტუჩებით ან გამოხედვით ნუსხავენ მათ. აი, ივეტას მთავარი იარაღი კი თეძოები გახლდათ. როცა საუბრობდა, მსმენელი მის მიმიკაზე ყურადღების კონცენტრირებას, რომც ეცადა, ვერ მოახერხებდა და თვალი რაღაც მომენტში აუცილებლად მისი ბარაქიანი თეძოებისკენ გაექცეოდა. ორი არაჩვეულებრივი ხორცითა და სისხლით ნაგები სვეტი, რძისფერი, ნაზი და თბილი! მათ დანახვაზე უმალ შეგიპყრობდათ სურვილი, შეგემოწმებინათ, შეხებაზე რა რეაქცია ექნებოდათ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რითი შეიმოსებოდა ივეტა. პირველ ყოვლისა, თვალში მაინც მისი თეძოები გეცემოდათ: მათ მაინც დომინანტური პოზიცია ეკავათ: მოკლე კაბა ივეტას სხეულზე აუცილებლად გაფიქრებინებდათ, განგებ დაამოკლა, თეძოები რომ გადმოეყარაო. ბოლოკაბები, გეგონება, თვითონ იწელებოდნენ, რათა ივეტას თეძოებს მეტი ეშხით ესუნთქათ. შორტები კი ვიწროვდებოდნენ, რათა ტოტები თეძოების შესანახ ზარდახშებს დამსგავსებოდნენ. შარვლები მის ტანზე თეძოთა ჩამოსაქნელ ყალიბებად გარდაიქმნებოდნენ.

მარის გონებაში ივეტას არსი თეძოებამდე დაიყვანებოდა. ეს ქალი-თეძოები რომც გამოლაპარაკებოდა, მარი თავს ვალდებულად არ მიიჩნევდა, მათთვის ხმა გაეცა.

ზემოთქმულს ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ივეტა ადგილობრივი მეძავი გახლდათ; უფრო ზუსტად, საკუთარი სხეულით შემთხვევითი მოვაჭრე. როცა თვის მიწურულს სარჩო შემოაკლდებოდა (ანუ ყოველთვე!) და აღარ იცოდა, რა წყალში გადავარდნილიყო, ივეტა საკუთარ სხეულს უწევდა ექსპლოატაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექვს პირღია ნაშიერს ვერ დააპურებდა. თუმცა მისი საქმეა, როგორ მოექცევა საკუთარ ანატომიას. ფაქტია, რომ სოფელი მას გაუმაძღარ

ავხორცად მოიხსენიებდა. თვითონ ივეტა სულაც არ ფიქრობდა, რომ ბოზობდა. არც არავინ იყო წინააღმდეგი, რაც უნდოდა, ის ექნა, ვის რა ეკითხებოდა?! არც მარის ადარდებდა მისი ამბავი: სოფელში ერთი ბოზი მაინც ხომ უნდა იყოსო, - ხუმრობით იტყოდა ხოლმე. ამ აზრს იზიარებდა უკლებლივ ყველა, გარდა ივეტასი. თუ მისი მისამართით წარმოთქმულ ხუმრობას მოჰკრავდა ყურს, ან რომელიმე მამაკაცი წადილით აღსავსე მრავალმნიშვნელოვან მზერას მიაპყრობდა, ივეტა უმალ ღრმად შეურაცხყოფილი და ტანჯული, უმწიკვლო და კდემამოსილი ქალის ნიღაბს ირგებდა. რაც მართალია, მართალია - პატივშელახული უცოდველის როლის გათამაშება შესაშურად კარგად გამოსდიოდა. იმასაც კი გაფიქრებინებდათ, ამ პატიოსანმა ქალმა გმირულად გადატანილი წამებისთვის მკერდზე მედალდაკიდებულმა და თავაწეულმა უნდა იაროსო.

მარი ივეტას საქციელს სასაცილოდ მიიჩნევდა; მაგრამ როგორც კი დაინახა, თუ როგორ დაბორიალობდა თეძოთა ეს ურცხვი წყვილი მღვდლის გარშემო, სერიოზულად გაბრაზდა და განგაშის ატეხაც არ დაახანა: - ძუნძგლიანი ღორი!

მარი წყობიდან გამოდიოდა, როცა ხედავდა, თუ როგორ უღიმოდა გაბრიელი ივეტას, ართმევდა ხელს და ისეთივე ყურადღებით ეპყრობოდა, როგორც ყველა დანარჩენს.

- საბრალო აბატი იმდენად უცოდველია, რომ იმ საძაგელი ივეტას თვალთმაქცობას ვერც კი ხვდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გაბრიელი ხომ უპირველეს ყოვლისა მამაკაცია. ის ავხორცი ქალი აუცილებლად ეწევა საწადელს...

მარის ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, ივეტას მღვდლის ლოგინში შეტყუება რომ ჰქონდა განზრახული.

ერთ დღესაც მარიმ სადილის შემდეგ ეკლესიაში შეიარა. იფიქრა, საკურთხეველთან ყვავილებს გამოვცვლიო. სრულიად წარმოუდგენელი სცენის მოწმე კი გახდა: უეცრად ნახევრად თეძოებშიშველი ივეტა სააღსარებოდან ხმაურით გამოვარდა. ცრემლებისგან ქუთუთოები შეშუპებოდა, სახე ალეწვოდა. „მსგავსი ალმური ქალებს მხოლოდ წადილის ჩაცხრომის შემდეგ ასდით ხოლმე, - გაიფიქრა მარიმ, - მოსახდენი, ანუ ყველაზე ცუდი უკვე მოხდა“. მარის ერთი სული ჰქონდა, მივარდნოდა ივეტას და სახეში ერთი ბარაქიანად ეთავაზებინა, მაგრამ რაღაც ეშმაკის მანქანით თავი შეიკავა. მადლობა

ღმერთს, უსირცხვილო გომბიოს აბატი გაბრიელიც მოჰყვა კუდში. მშვიდი, წყნარი, თავშეკავებული, უფრო ცივი და დაუჯერებლად სუფთა ჩანდა. მარი შეყოვნდა, დაბნეულ და სახეალეწილ ქალს ეკლესიის დატოვება აცალა. როგორც კი ივეტამ კარი ხმაურით გაიჯახუნა, მარი ვითომც არაფერი, დამჭკნარი თაიგულების შესაცვლელად საკურთხევლისკენ დაიძრა. „აბატმა უკუაგდო ის. უსირცხვილო თეძოები გაცოფდნენ“, - გაიფიქრა მარიმ.

სანამ ლარნაკებიდან თითქმის დამპალ შროშანებს ამოიღებდა და საკუთარ ბაღში მოჭრილი ხასხასა ვარდებით ჩაანაცვლებდა, მარის გული საგულეში ჩაუდგა.

სევდიანი აბატი მარის მიუახლოვდა. მარიმ მღვდელი ყურადღებით შეათვალიერა. მას ხომ დანაშაულის ადგილზე წაასწრეს?

ცოდვით დამწუხრებულმა მარის მწველ და გამომცდელ მზერას ვერ გაუძლო.

გაბრიელმა თვალები დახარა.

მარიმ გადაწყვიტა, მღვდელთან სიმარტოვით ყველანაირად ესარგებლა.

- ლამაზია, არა, ივეტა?

გაკვირვებულმა გაბრიელმა სრულიად გაუგებრად რაღაცა ჩაიბურდღუნა.

- ლამაზია, არა? - ჯიუტად გაიმეორა მარიმ.

- მე ერთგულ და ჭეშმარიტ მორწმუნეებს სილამაზით არ ვაფასებ.

მღვდლის ხმას სიმტკიცე და სიმკაცრე შეეპარა. მისმა გულწრფელად წარმოთქმულმა სიტყვებმა მარისაც მოჰგვარა შვება, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დააწყნარა. საშინელ განწყობაზე დადგა. შინაგანად დუღდა, როგორც ცეცხლიდან გადმოდგმული წვნიანით სავსე ქვაბი, კიდევ კარგა ხანს რომ განაგრძობს თუხთუხს.

- მამაო, ვვარაუდობ, შესანიშნავად მოგეხსენებათ, ვინ არის სინამდვილეში ივეტა?

- რის თქმა გსურთ?

- ივეტა სოფლის მეძავია. შემთხვევით ხომ არ დაუმალავს თქვენთვის საკუთარი ავხორცობა?

- ყველაფერი აღიარა. ძალიან ცოდვილი ადამიანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ როგორ ფიქრობთ, ამდენ დროს შევწირავდი?

- ვატყობ, მის მიერ ჩადენილმა ცოდვებმა გაგიტაცათ...

- სრულიადაც არა. განა ჩემი მოვალეობა ტანჯულ სულთა განკურნება არ არის? სენ-სორლენშიც ამ მისიით გამომგზავნეს. პარადოქსულია, მაგრამ იძულებული ვარ, ცოდვილებს მეტი დრო დავუთმო, ვიდრე სულით წმინდა, უცოდველ ადამიანებს.

ბოლო სიტყვებმა მარის რეტი დაასხა, თვალთ დაუბნელდა. აი, თურმე რა ხდება! - აბატი გაბრიელი ცოდვას უფრო მეტ დროს სწირავს, ვიდრე სათნოებას. ეშმაკმა დალახვროს, ამაზე რატომ უფრო ადრე არ იფიქრა?

- მამაო, შემიძლია აღსარებაზე გეახლოთ?

აბატი და მარი ლაქით მოპრიალებულ პატარა სააღსარებოში შევიდნენ. ერთმანეთს მხოლოდ თხელი ცხაურა აცილებდათ. მარის ისეთი განცდა დაეუფლა, თუ ისურვებდა, თავისუფლად შეეხებოდა მღვდელს.

- რამდენიმე წლის წინ რამდენიმე მამაკაცის მკვლელობაში მედებოდა ბრალი. თუ გსმენიათ რამე ამის შესახებ?

- მსმენია, შვილო ჩემო.

- ბრალს ჩემი სამი ქმრის მოკვლაში მდებდნენ. ასევე ეჭვობდნენ, რომ კიდევ ერთი მამაკაცი გამოვასალმე სიცოცხლეს... მათი რწმენით, ჩემი ყოფილი საყვარელი.

- დიახ, მსმენია თქვენი ტანჯვა-წამების შესახებ. ისიც მომეხსენება, რომ კეთილი ადამიანების მართლმსაჯულებამ თქვენ უდანაშაულოდ გაღიარათ.

- სწორედ ამიტომაც არ მწამს ადამიანური მართლმსაჯულების.

- ვერ მიგიხვდით, შვილო ჩემო...

- მე მხოლოდ მაღალი ღმერთის მართლმსაჯულების მწამს და მჯერა.

- მართალი ბრძანდებით.

- რადგან თუ მოკვდავთა თვალში უდანაშაულო ვჩანვარ, ღმერთის წინაშე სავსე ვარ ცოდვებით.

- რა თქმა უნდა, როგორც ჩვენ ყველანი.

- საქმე ისაა, რომ...

მარი მღვდლისკენ გადაიხარა და დაიჩურჩულა: - მე მართლა დავხოცე ისინი.

- ვინ?

- ჩემი სამივე ქმარი.

- ო, ღმერთო ჩემო!

- ჩემი საყვარელი რუდიც ზედ მივაყოლე.

- უბედუროოო...

მარის სახეზე არაჯანმრთელმა, ბოროტმა ღიმილმა გადაურბინა: - ოლგაც. რუდის საყვარელი იყო, წარმოშობით რუსი. გაგეცინებათ, მაგრამ მის მკვლელობაში ბრალი არავის წაუყენებია. ოლგას გაქრობა კაციშვილს არ შეუმჩნევია. იმ ნეხვის ხოჭოს დამტირებელიც არ აღმოაჩნდა.

- იესო, მარიამ, იოსებ, გვიშველეთ! სასწრაფოდ იხსენით ჩვენი ცოდვილი სულები.

ახალგაზრდა მღვდელმა პირჯვარი უფრო შიშის და არა ღმერთისადმი სიყვარულის გამო გადაიწერა. დაზაფრული ჩანდა მარის მიერ გაცხადებული დანაშაულებებით.

მღვდლის პანიკამ კი მარის პირიქით, ენით აღუწერელი სიამოვნება განაცდევინა: ჯოჯოხეთამდეც ჰქონია გზა ივეტას. და საერთოდ, რა სახსენებელი ეგ მყავს. მარი უძლეველია! მასვე ეკუთვნის პირველი ადგილიც!

*

იმ დღეს მარიმ გაბრიელს პირველი მკვლელობის შესახებ გაანდო. მღვდლის ძლიერ დაზაფვრას მოერიდა, ამიტომაც

მოწამვლა წარმოაჩინა, როგორც წმინდა წყლის თანაგრძნობის გამოვლინება! ჩემი მეუღლე იმდენად იტანჯებოდა, იმდენად იტანჯებოდა, ეს ტანჯვა რომ შევუმსუბუქე, მოწყალების და უფრო მეთქმის, ვიდრე მკვლელიო! მარისთვის რომ გესმინათ, რაული კი არ მოკლა, უბრალოდ ევთანაზიის უფლება გამოიყენა.

მიტკალივით თეთრი გაბრიელი ყურადღებით უსმენდა. სახეზე ხან ზიზღი აღებეჭდებოდა, ხან შიში, ხანაც ძრახვა. ბოლოს საშინელებათა მთხრობელს პირჯვარი გადასწერა და სააღსარებო უსიტყვოდ დატოვა.

მეორე დღეს მარი შვიდსაათიან წირვაზე გამოცხადდა. მღვდლის ჩაჟამებულ თვალებზე უმალ მიხვდა, რომ ღამით გაბრიელს ცუდად ეძინა, ან საერთოდ არ მოუხუჭავს თვალი.

სადილის შემდეგ სააღსარებოში შეხვედრისას მღვდელმა დაუდასტურა, რომ ღამე თეთრად გაატარა.

აბატის აღიარებამ მარი აღაფრთოვანა, ის მღვდლის ფიქრებს დაეპატრონა - ღამით ლოგინში აწრიალა, მოსვენება არ მისცა, აიძულა, გამუდმებით მასზე ეფიქრა. თავის მხრივ, მარიმაც ღამე მსგავს მდგომარეობაში გაატარა. თუ ოდნავ ლმობიერებას გამოვიჩენთ და ნაკლებად მკაცრი ვიქნებით შეფასებისას, შეიძლება ვთქვათ, რომ მათ ღამე თითქმის ერთად გაატარეს.

იმავე დღის ნაშუადღევს მარი ისევ თავის პირველ დანაშაულს მიუბრუნდა - რაულის მკვლელობას. ამჯერად მარი ამ სულისშემძვრელ ამბავს ინსტინქტურად, სრულიად გაუცნობიერებლად, ბევრად უფრო რეალისტურ ფერებში მოჰყვა. არ დაუმალავს ის საშინელი ზიზღი, ავადმყოფი ქმარი რომ განაცდევინებდა. მაიძულებდა, რომ მოვფერებოდი და ეს მისი ახირება გულს მირევდაო, აღიარა. მოკლედ, მარიმ აბატს ახურებული ბეხრეკი ქმრის სექსუალური ახირებებისგან ტანჯული ქალის პორტრეტი დაუხატა. ამავდროულად საკუთარი შავბნელი სულიც გამოამზეურა: ანგარიშიანობა და სისხლის დაღვრის სურვილი. მარი დაწვრილებით ჰყვებოდა დარიშხანით მოწამვლის ხანგრძლივი პროცესის შესახებ. ცხრა ხანგრძლივი თვე ურევდა მეუღლეს მომაკვდინებელ ფხვნილს საჭმელში, სანამ სასურველ შედეგს მიიღებდა. დოზას ვერანაირად ვერ გაზრდიდა, რათა უცაბედი სიკვდილით ეჭვი არ გამოეწვია. ამიტომაც გაუჭიანურდა ჩანაფიქრის სისრულეში

მოყვანა. შვება მაშინ იგრძნო, როცა სნეულმა ქმარმა სული ამოუშვა. გასვენებაზე მწუხარებით გათანგული ცოლის როლიც შესანიშნავად გაითამაშა, ნამდვილ კომედიანტს დაემსგავსა. უზომოდ გაიხარა, როცა ქმრის მთელი ქონება გადმოიბარა. ფულიც მას დარჩა და სახლიც. არც მოცილე ჰყოლია, არც ვინმე, ვისთვისაც ანგარიში უნდა ჩაებარებინა. მოკლედ, მარი სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვრივი გახდა.

მარი ეკლესიაში თითქმის ყოველდღე დადიოდა. მოხსნიდა გუდას თავს და დაუღალავად, ერთიმეორის მიყოლებით ჩადენილ კრიმინალურ აქტებზე ჰყვებოდა. საწყალი მღვდელი, მარის თხრობა აკვიატებად რომ ექცა, ყოველ ღამე იტანჯებოდა და თვალის მოტყუებასაც ვერ ახერხებდა.

გულის გადახსნის შესაძლებლობამ მარის თავი ბედნიერ ადამიანად აგრძნობინა. თხრობით მოგონებების გაზიარების წყურვილს იკლავდა; დანაშაულის ჩადენის ჭეშმარიტ მიზეზებსაც მიაგნო, რომლებზეც ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა - მარიმ გაისიგრძეგანა, რომ ერთსა და იმავე დანაშაულს მის გონებაში სავსებით განსხვავებული მიზეზები კვებავდა. წამქეზებელი იმპულსი მთელი კვირის განმავლობაში იცვლებოდა. საკითხავია, რომელი მათგანი მიეჩნია მარის ჭეშმარიტად? მიზეზი, რომელიც თავში სამშაბათს მოუვიდა, თუ ოთხშაბათს? იქნებ შაბათის მიზეზი იყო ყველაფრის თავი და თავი? პასუხი მხოლოდ ერთადერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: ყველა მიზეზს ჰქონდა არსებობის უფლება! ნიუანსების სიმრავლეს მარი ლამის ჭკუიდან გადაჰყავდა. არადა, წლების განმავლობაში საკუთარ გონებაში უდანაშაულობის იდეას ელოლიავებოდა, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ საპირისპირო ვერსია - დანაშაული - საკუთარი თავის შეცნობის, სკუთარ განზრახვათა და ქცევის კვლევისა და შეცნობის ამოუწურავ შესაძლებლობებს სთავაზობდა. მარის გულწრფელად უხაროდა, რომ მისი შინაგანი სამყარო ასეთი მდიდარი, მრავალფეროვანი და ღრმა აღმოჩნდა... წარმოგიდგენიათ? თურმე მარი ზებუნებრივი ნიჭითაა დაჯილდოებული: ის არა მარტო ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლეს განაგებდა, არამედ თავად განსჯიდა საკუთარ თავს, თავად უწყობდა მას სამსჯავროს - ეძიებდა ჭეშმარიტებას, იკვლევდა საკუთარ ქმედებებს, აანალიზებდა და განსხვავებულ კვალიფიკაციას ანიჭებდა მათ, იქექებოდა ფაქტებში, ანგრევდა დრომოჭმულ სქემებს, იგონებდა

სიუჟეტს საკუთარი რომანისთვის.

აბატზე საკუთარი ძალაუფლების ზემოქმედებას მარი დღითი დღე აძლიერებდა. გაბრიელმა საბოლოოდ დაკარგა ძილი და მოსვენება. ვერც სხვა რამეზე ახერხებდა ყურადღების გადატანას, სხვა თემებმა მისთვის აქტუალურობა დაკარგა. სააღსარებოში მარისთან შეხვედრას შიშითა და ინტერესით ელოდა: ფიზიკურადაც დაძაბუნდა. თვალსა და ხელს შუა ჩამოდნა და ჩამოჭკნა. იფიქრებდით, მარიმ გაბრიელი საკუთარ სამყაროში ჩაითრია და თავისი ასაკი, დაღლილობა და სიმახინჯე უწილადაო... თვითონ მარი ვერაფერს ამჩნევდა და მღვდელთან შესახვედრად ყოველ ჯერზე ახალგაზრდული შემართებით ემზადებოდა.

როგორც მღვდლისათვის, ასევე ცოდვილისთვისაც აღსარების ყველა მძაფრი და შემძვრელი ნაწილი რუდის, იმ სერფინგის დიდი ქომაგისა და მარის ცხოვრებაში ერთადერთი სენსუალური გატაცების სახელთან აღმოჩნდა დაკავშირებული. მასთან შეხვედრამდე მარის წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სექსუალური ლტოლვა შეიძლებოდა გამანადგურებელიც ყოფილყო. ერთსა და იმავე მამაკაცზე დილიდან საღამომდე ფიქრით გაკვირვებულმა თავიდან ისიც კი ირწმუნა, რომ რუდი ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარდა. ოდნავ მოგვიანებით მოისაზრა, რომ ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა წმინდა წყლის ფიზიკური ლტოლვა. უბრალოდ, სულით და გულით სურდა, მოწონებული მამაკაცი მოფერებოდა, სხეულით შეჰხებოდა, ეგრძნო მისი ბალნის საკუთარ ტანზე გახახუნება, ეყნოსა მისი სურნელით. რუდის ერთდროულად ჰქონდა რაღაც გამაღიზიანებელი, მიმზიდველიც, ჩამთრევიც და ნერვების მომშლელიც. შეეძლო გარშემო დამათრობელი ატმოსფერო შეექმნა. ამავე დროს ის მარის სისავსის, სრულყოფილებისა და განუმეორებლობის განცდას უნერგავდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ საყვარელი გვერდით ეგულებოდა. როგორც კი გაეცლებოდა, მარი სრულ სიცარიელეში იძირებოდა. რუდისთან დაკავშირებული ეროტიკული ზმანებების თხრობისას მარის ერთგვარი ციებ-ცხელება შეეყარა, შეახურა, სასიამოვნო და თან უხერხული გრძნობები დაეუფლა. წარსულის მხურვალება თითქოსდა აწმყოს გადაედო. თხრობას როგორც კი მორჩა, სააღსარებოდან გამოვარდა. აღგზნებულს ერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ - მივარდნოდა აბატს და ტუჩებზე დაკონებოდა. მისთვის

ანაფორა შემოეხია და სხეულის ყოველი უჯრედი ხელით შეეგრძნო. მარი წადილის მძვინვარებას ვეღარ ერეოდა.

უზომოდ ძლიერი აღმოჩნდა მღვდლით გატაცება.

*

ამასობაში გაზაფხული ძალ-ღონეს იკრებდა. ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა და იფურჩქნებოდა. ვიწრო და უჰაერო სააღსარებო სულთამხუთავ კამერად გარდაიქმნა. შეხვედრები წამებად იქცა. მღვდელი და ცოდვილი ქანცგაწყვეტილები სცილდებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად ყველაფრისა, მეორე დღეს ისინი უღალატოდ უბრუნდებოდნენ შეხვედრის ადგილს.

თუ მონათხრობი გაბრიელს შოკში აგდებდა, მარი ლამის ხორციელ სიამოვნებას განიცდიდა. გეგონება, მღვდელი მისი საყვარელია და ლოგინში გაბედული, მოულოდნელი, ხშირად აკრძალული ჟესტების დეტალებს აზიარებსო. მარიმ დეტალურად უამბო, თუ როგორ დაახრჩო რუდი. განსაკუთრებით გამოკვეთა თავისი საქციელის სიუხეშე და ვერაგობა. სხვათა შორის, იმ საღამოს რუდიმაც ზედმეტი ჩაისხა მუცელში, ამიტომ არც ძალა ეყო, არც სიმარჯვე და გამჭრიახობა, რომ მარის განზრახვისთვის ხელი შეეშალა და აბაზანაში დამხრჩვალს არ დაესრულებინა სიცოცხლე. შემდეგ ცოდვილმა ბევრი იყბედა იმის შესახებ, თუ როგორ აუღელვებლად შლიდა დანაშაულის კვალს. განსაკუთრებული სიამოვნებით გაანდო, თავის დასთან ერთად თუ როგორ გაახვია გვამი ხალიჩაში და მოპარული მანქანის საბარგულში შეჩურთა... მარი და ბლანში დანაშაულის ადგილს 700კილომეტრით დასცილებიან, ბრეტანამდე ჩაუღწევიათ და ფეხებზე ქვებგამობმული მიცვალებული ღია ზღვაში გადაუგდიათ. დილით ადრე სახლში დაბრუნებულან, მანქანა საგულდაგულოდ გაუწმენდიათ და შუაგულ სადგომზე გასაღებიანად მიუგდიათ იმის იმედით, რომ შემთხვევითი გამვლელები თავიანთი თითის ანაბეჭდებს დატოვებდნენ. ეს თურმე სენ-სორლენიდან საკმაოდ შორს - ბიარიცში ხდებოდა, სადაც მარი წინამორბედი სამი ქმრის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის წყალობით, ძვირადღირებულ ვილას ქირაობდა.

პირველად ცხოვრებაში მარიმ ოლგას, რუდის მუდმივი

საყვარლის მკვლელობაც აღიარა. დიახ, ოლგაზეც მოურიდებლად ალაპარაკდა, რომელსაც ფლეიბოი რუდი აუცილებლად უბრუნდებოდა, როგორც კი მორიგ ხანდაზმულ ქალბატონთან ჩაიცხრობდა ვნებას. მაშინ კი საყვარლის ხანგრძლივი მოუბრუნებლობით შეშფოთებული ოლგა პირდაპირ მარის მიეჭრა. ბევრი იკივლა და იჩხავლა, სპორტსმენის გაქრობა ნამდვილად შენს კისერზეაო, დაადანაშაულა. ამას არ დასჯერდა, პოლიციაში დასმენითაც დაემუქრა. მარიმ უმალ მოთოკა ემოციები, შიშიც დათრგუნა და წარბშეუხრელად უპასუხა, რუდი უცხოეთში გაიქცა, მაგრამ სამაგიეროდ ფული დამიტოვა შენთვის გადმოსაცემადო. გამორჩენის შანსმა ოლგას გონება დაუბინდა, მარის მონაჩმახში ეჭვი წამითაც არ შეუტანია და ცხადია, პოლიციაში ლაშქრობაც გადადო. მარიმ ოლგას შეხვედრა გვიან ღამით ერთ-ერთი ბარის ტერასაზე დაუნიშნა, სადაც მთელი ადგილობრივი ახალგაზრდობა იყრიდა თავს. აქ მომჩივანს კონვერტი გადასცა რამდენიმე ქაღალდის ბანკნოტით, მის კოქტეილში დარიშხანის გარევაც მოახერხა და შეჰპირდა, დარჩენილ თანხას ხვალ დილით მოგართმევო. ბოლოს ადგა და იქაურობა ამაყად დატოვა, ახალგაზრდა ქალი აცვენილი ახალგაზრდების ბრბოს შეატოვა.

ინფორმაცია ოლგას უგზო-უკვლოდ გაქრობის შესახებ პრესაში არასდროს გახმაურებულა. ადგილობრივებმაც პირში წყალი დაიგუბეს. მარი, თავის მხრივ, დარწმუნებული იყო, რომ გოგონა გარდაიცვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად მოიკითხავდა შეპირებულ თანხას.

მარი მკვლელობებზე, ქურდულ სამყაროზე, შანტაჟსა და კორუფციაზე სრულიად აუღელვებლად, გასაოცრად ბუნებრივი ხმით ყვებოდა. საწყალ მღვდელს, მუცელში ენა ჩავარდნილს, კინაღამ თავისი დაემართა. ამის დანახვაზე მარი შინაგანად ხარობდა და ტკბებოდა. ისეთი განცდა ეუფლებოდა, რომ აბატს ნამდვილ, სასტიკ და მტრულად განწყობილ სამყაროს აზიარებდა. ერთგვარი გაგებით, მარი მღვდელს უცოდველობას აცლიდა, უსაფრთხოების ჯავშანს უნგრევდა.

ამიერიდან ივეტას ისღა დარჩენოდა, რომ ეკლესიაში სადმე კუთხეში მიმჯდარიყო და თავისთვის ჩუმად ეზლუქუნა, რამდენიც მოეპრიანებოდა. მღვდელი როგორც კი მოჰკრავდა თვალს, ეუბნებოდა, ძალიან დაკავებული ვარ და ბოდიშს

გიხდი, ყურადღებას რომ ვერ გაქცევო. როგორც კი წამი თავისუფალი მექნება, თავად გაუწყებ და მოსმენას არ დაგზარდებიო. გაბრიელი არც სხვა მომნანიებლებს ანებივრებდა ზედმეტი ყურადღებითა და უსაზღვრო მოცალეობით. წირვას უწინდებურად გასაოცარი მხურვალებით, შთაგონებითა და შემართებით აღავლენდა, მაგრამ სხვა რამისთვის წამი აღარ რჩებოდა. მთელი მისი გონება მწამვლელის მიერ ჩადენილი მკვლელობებით იყო დაკავებული. ეს იყო ერთგვარი აკვიატება, რომელსაც ვეღარ იცილებდა. მარი მორესტიემ ბრძოლა მოიგო. მღვდელიცა და სოფელიც საკუთარ ძალაუფლებას დაუქვემდებარა.

მარი ზეიმობდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. უზომოდ ტკბებოდა იმის გაფიქრებაზე, აბატი თავის საიდუმლოთა თანაზიარი რომ გახადა. აღფრთოვანებას ვერ მალავდა მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი მისი დაცვის მიზნით ტყუილსაც არ თაკილობდა: სოფლის ავი ქალები თავიანთი იხვივით ჭყვიტინა ხმით საშინელ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, გაბრიელი კახპა მარის ამდენ დროს რომ სწირავდა.

- აბატო, იმედია, იმის მტკიცებას არ დაიწყებთ, რომ მარი უდანაშაულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცოდველი ქალი თქვენს სააღმსარებოში არ შესახლდებოდა.

- ეს ტანჯული სული ცხოვრებაში არა ერთ უსამართლობას გადაეყარა. თქვენც, შვილო ჩემო, ახლა სრულიად უსაფუძვლოდ სდებთ მას ბრალს და გავიწყდებათ ადამიანური შემწყალებლობა.

ისე, სასწაული რამ კი მოხდა - დროის უმნიშვნელო მონაკვეთში ღვთისმსახური გაბრიელი ლამის დანაშაულის თანამონაწილედ გარდაიქმნა. ამიერიდან, თამამად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მარისთან მას არა მარტო ჭეშმარიტება აერთიანებდა, არამედ ბოროტმოქმედებაც. ამის გააზრება მარის პირდაპირ ათრობდა.

*

ხუთკვირიანი აღსარების შემდეგ მარი მიხვდა, რომ ცოდვათა მარაგი ამოეწურა. მოსაყოლი თითქმის აღარაფერი დარჩა, გარდა რამდენიმე სიმდაბლისა, ბოლო ორი სასამართლო პროცესის დროს რომ ჩაიდინა. მარი საგონებელში ჩავარდა. ამ ორი უბადრუკი ვაზნის გასროლის შემდეგ სრულიად უიარაღო

რჩებოდა. შიშობდა, რომ მის ძალაუფლებას სულ მალე წყალი შეუდგებოდა.

იმ ოთხშაბათს ახალგაზრდა მღვდელმა მრევლს აუწყა, ხვალ და ზეგ არ ვიქნებიო. ესეც ასე! მოკლედ და კონკრეტულად. ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე, შეიძლება ითქვას, თითქმის უხეშად! არც მარი მიიჩნია მეტი ინფორმაციის ღირსად. ცოდვილისთვის აბატის ოფიციალური განცხადება შუბლში ტყვიის დახლას უდრიდა.

საინტერესოა, რა მოხდა?

ნუთუ გაბრიელი მარისთან შეხვედრებს მხოლოდ იმიტომ გაურბოდა, რომ ამ უკანასკნელმა დამზაფვრელი ამბების მთელი საგანძური ძირამდე დაიყვანა? რა, ამჟამად ზღაპრების შეთხზვას უნდა შესდგომოდა? გაუგებარია პირდაპირ! ეტყობა, აბატი როგორმე რომ შეეყოვნებინა, შეჰერაზადას უნდა დამსგავსებოდა!

გაბრიელთან განშორების ხანგრძლივი საათები მარისთვის გაუსაძლისი, ლამის მომაკვდინებელი აღმოჩნდა. საშინლად იტანჯებოდა. აბა, რა გამოვიდა? მღვდელს გული გადაუშალო, მისგან პასუხად კი მხოლოდ დუმილი და გაქცევა მიიღო? არა, არა, ეს აბატიც ნამდვილად არ უქნია ღმერთს. ერთი მითხარით, რითაა ყველა დანარჩენისგან გამორჩეული?

პარასკევი. 7 საათი. დაღლილ-დაქანცულმა, უკიდურესობამდე დათრგუნულმა, ლამის შეშლილობის ზღვრამდე მისულმა მარი მორესტიემ ფეხები განსატვირთად ტაბურეტზე შემოაწყო და რას ხედავს? წვივებზე ეგზემის ლაქები გამოჰყრია. გაბრიელზე ფიქრისა და დარდისთვის საკუთარი თავის დასჯის მიზნით მარი სნეული ფეხის უსულგულო ქავილს მოჰყვა. სულ გადაიტყავა, სისხლი თქრიალით წამოუვიდა. მუშამბის სუნით აქოთებულ სახლში სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. მარი ყურადღების კონცენტრირებას ვერაფერზე ახერხებდა. ვერც ფანჯრის რაფაზე მიგდებულ ცხენის ჟანგმოკიდებულ ნალზე და ვერც ფოსტალიონის ნაჩუქარ კალენდარზე. კიდევ უფრო წარუმატებელი აღმოჩნდა გაზეთში ანონსების კითხვით თავის შექცევა. საერთოდ ვერ გაარჩია ასოები ერთმანეთისგან.

რვა საათზე კარზე კაკუნი გაისმა.

გაბრიელი იყო.

მარიმ სიხარული ვერ დამალა. სასწრაფოდ წელში გაიმართა. მართალია, გაბრიელი მრევლს გამოემშვიდობა და მცირე ხნით სადღაც გაემგზავრა, მაგრამ ვის დაუბრუნდა ყველაზე უწინ? რა თქმა უნდა, მარის! მარიმ სასწრაფოდ დამალა გასისხლიანებული ფეხები, სტუმარი შემოუშვა და საჭმელ-სასმელიც კი შესთავაზა. მღვდელმა სერიოზული ხმით იუარა. დაჯდომაც არ ისურვა. შუაგულ ოთახში ქანდაკებასავით გაშეშდა.

- მარი, მე ბევრი ვიფიქრე თქვენს მონათხრობზე, იმ საშინელ აღიარებებზე, რომელთა სიმძიმეს მეც თან დავატარებ. დიახ, მე ამ საიდუმლოებათა მუნჯი შემნახველი ვარ, ვინაიდან ვერასოდეს ვუღალატებ აღსარების საიდუმლოს. აქაურობას განვერიდე, რათა დავფიქრებულიყავი, რჩევა ვკითხე ეპისკოპოსს, ასევე მოვინახულე ჩემი სულიერი მამა და პედაგოგი, სასულიერო სემინარიაში წლების მანძილზე რომ მასწავლიდა... თქვენი სახელი, ცხადია, არ მიხსენებია, მაგრამ მათ მთელი თქვენი ისტორია მოვუყევი. მსურდა, რჩევა მიმეღო მათგან, როგორ მოვქცეულიყავი მომავალში. მივიღე გადაწყვეტილება, რომელიც ორივეს გვეხება.

მღვდელი საზეიმო იერით, გეგონება, ხელი უნდა სთხოვოსო, მარის მიუახლოვდა და მაჯებზე თითები მთელი ძალით მოუჭირა. მარის გააჟრჟოლა.

- თქვენ თქვენი ცოდვები ღმერთის წინაშე აღიარეთ.

მღვდელმა ამჯერად მარის თითები მოიქცია ხელში.

- დადგა დრო, ეს ცოდვები ადამიანებს გაუზიაროთ.

მარიმ მღვდელს ხელები მყისიერად გამოსტაცა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

გაბრიელი მარის შეგონებას მოჰყვა: - დიახ, მარი. თქვენ უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულებზე. ასე მართლმსაჯულებას ამოუდგებით გვერდში და სიმართლეც იზეიმებს: გააკეთეთ ეს დაღუპულთა ოჯახების გულისთვის. გააკეთეთ ეს ჭეშმარიტების გულისთვის.

- მიმიფურთხებია ჭეშმარიტებისათვის!

- არა, პირიქით. ჭეშმარიტება თქვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მას არ

აღიარებდით.

- მე მხოლოდ გამოგიტყდით... თქვენ ერთადერთს, სხვას არავის.

გულის სიღრმემდე შეძრულმა მარიმ მოისაზრა, რომ გაბრიელი ვერაფერს მიხვდა. მარი სიმართლის მსახური კი არ გახლდათ, პირიქით, სიმართლე იყო მისი მსახური, მისი მონა-მორჩილი. მარიმ ჭეშმარიტება უბრალოდ მღვდლის დასატყვევებლად, მოსაჯადოებლად გამოიყენა. მღვდელი კი დარწმუნებული იყო, რომ მარი მაღალ ღმერთს გაეხსნა. რა სისულელეა! მარი ღმერთს კი არა, მხოლოდ მას მიმართავდა - მას, გაბრიელს, ერთადერთსა და განუმეორებელს.

მღვდელმა თავი გააქნია.

- მე მსურს, რომ თქვენ ადამიანებმა ცოდვებისგან თავისუფალი გიხილონ. მიდით მოსამართლესთან და ყველაფერი მოუყევით მას.

- მოსამართლესთან? ვაღიარო? არავითარ შემთხვევაში! წლების განმავლობაში ჩემს პოზიციას აღიარებისთვის კი არ ვიცავდი?! გეტყობათ, არ გესმით, რას ნიშნავს ორი სასამართლო პროცესის გადატანა და... მოგება. გესმით კი, რას ნიშნავს სიტყვა „მოგება“?

- და მაინც, რა მოიგეთ, მარი?

- პატიოსნება, პატივი და საკუთარი რეპუტაცია.

- ყალბი პატიოსნება, ყალბი პატივი... ყალბი რეპუტაცია.

- ამ საკითხებში გარეგნულ იერს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა. მთავარია, როგორ გამოიყურები.

- მე კიდევ მოგახსენებთ, რომ პატივი და რეპუტაცია თქვენ უკვე გაწირეთ. თქვენ მე გული გამიხსენით და ცოდვილის მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდით...

- გული მხოლოდ თქვენ გაგიხსენით.

- ღმერთსაც.

- დიახ...

- ღმერთმა, ისევ როგორც მე, ისეთი მიგიღოთ, როგორიც

სინამდვილეში ხართ: დამნაშავე! ღმერთს უყვარხართ. მეც.

- ჰოო?

გაბრიელი ისევ შეეხო მარის ხელებს, გეგონება, თხელი და ნაზი ხელის გულების სიმხურვალე სურს, გადასცესო.

- მოყევით სიმართლე, მარი, მოუყევით ის ყველას. მე დაგეხმარებით, გვერდში ამოგიდგებით. ამიერიდან ეს ჩემი მთავარი მოვალეობა გახდება. სენ-სორლენში მხოლოდ ამისთვის, მხოლოდ თქვენთვის ვცხოვრობ. თქვენ ხართ ჩემი ცხოვრების, ჩემი ლოცვების და რწმენის არსი, მარი. კიდევ ერთს დავძენ: თქვენი ხსნაა ჩემი მთავარი მისია. მე შეგანჯღრევთ, მე გავაღვიძებ თქვენში მიძინებულ ჭეშმარიტ ქრისტიანს. ჩემი რწმენის ალი თქვენსას ააგიზგიზებს. ერთად გადავლახავთ ყველა წინააღმდეგობას და გავიმარჯვებთ. თქვენ ამას ჩემი გულისთვის გააკეთებთ. გააკეთებთ თქვენი და მაღალი ღმერთის გულისთვისაც.

მარის გაეღიმა. მღვდელმა გაიფიქრა, რომ ცოტაც და მისი გამარჯვების ჟამიც დადგებოდა.

*

იმ ზაფხულის თვეები ყველაზე ბედნიერი აღმოჩნდა მარის ცხოვრებაში. გაბრიელი გვერდიდან არ მოსცილებია. დგებოდა დილაუთენია და მასთან შესახვედრად ემზადებოდა. აღებდა ეკლესიის კარს, რათა მარის პირველს შემოებიჯებინა ღმრთის სავანეში, ნაჩქარევად საუზმობდა, რათა ცოდვილთან მეტი დრო გაეტარებინა. ყოველ ნაშუადღევს მოთმინებით ისმენდა მარის აღსარებას. ამას გარდა, საკურთხეველში მარისთან საათობით საუბრობდა, სახლშიც სტუმრობდა. შთაგონებულსა და ანთებულს ცოდვილის ხსნის სურვილი წამითაც არ განელებია.

მარი ცინიკურად ტკბებოდა საკუთარი პრივილეგიებით. სხვანაირად ვერც წარმოედგინა. მან ხომ შესანიშნავად მოახერხა, გაბრიელი სხვებისთვის ხელიდან გამოეგლიჯა. მარი უძლეველია! ეს რიგით მეორე გამარჯვება გახლდათ მის ცხოვრებაში. „მე რა მენაღვლება, იჯდეს და იღიმოს, რამდენიც უნდა, დავარდეს ქადაგებად, გადმომილაგოს შეურყეველი არგუმენტები, მიმტკიცოს მეგობრული კეთილგანწყობა და ჰუმანურობა პირადად მე ქედის მოხრას და მორჩილებას

სულაც არ ვაპირებ“. საკითხავია, რატომ? განა გაბრიელმა თვითონ არ დათმო პირველმა? განა თვითონ არ მოევლინა მორჩილის როლში?

ნეტარმა მარიმ ჯეროვნად მაინც ვერ შეაფასა აბატის შესანიშნავი ნიჭი დარწმუნებისა, დაბნეული სულების ღმერთისკენ მოქცევისა.

მარიმ გაბრიელის მიერ დაგებული მახე თვალნათლივ ვერ დაინახა. მღვდელი დაჟინებით ითრევდა მას დისკუსიებში, მოუწოდებდა ჩადენილი ქმედებების გადაფასებისკენ. ამ უთანასწორო ორთაბრძოლაში მარი თავს უმწეოდ გრძნობდა. ივლისის თვიდან მოყოლებული, მარი მორესტიეს მეტი სითამამე და გამბედაობა შეემატა. ცდილობდა, გაბრიელის არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ დაეტოვებინა, მსჯელობდა, ბჭობდა, მღვდლის შემოტევას საკუთარი არგუმენტებით იგერიებდა. მიუხედავად ყველაფრისა, მჭევრმეტყველებასა და საორატორო ხელოვნებაში გაბრიელი უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. ნელ-ნელა მარი სრულიად გაუცნობიერებლად (თავად დარწმუნებული იყო, ღვთისმსახურს მედგარ წინააღმდეგობას რომ უწევდა!) მღვდლის ზეგავლენის ქვეშ მოექცა. შეიცვალა, განსხვავებული აზროვნება იწყო, შეიცნო და აღიარა მანამდე მისთვის უცნობი, სრულიად წარმოუდგენელი იდეალების აუცილებლობა და მნიშვნელობა.

მარი ღმერთზე უკვე განსხვავებულად ლაპარაკობდა. უწინ ღმერთი მისი აბჯრისა და აღჭურვილობის მხოლოდ ერთ დეტალს თუ წარმოადგენდა, თავდაცვითი ფუნქცია რომ ჰქონდა. ღმერთის ხსენება, მისი სახელის წარმოთქმა მარისთვის კარაბინის გასროლის ტოლფასი გახლდათ. „ღმერთო, მაღალო“ - ხმამაღალი და გამოკვეთილი წარმოთქმით მყისიერად გარშემო სიჩუმისა და სიცარიელის დსადგურებას აღწევდა, სადაც დაუპატიჟებლად შემოჭრილებს არ დაედგომებოდათ. ზოგჯერ თუ შეწინააღმდეგების, არგუმენტების ან რაღაცის მტკიცების აუცილებლობა დადგებოდა, მარი სახარების ან ეკლესიის მამათა უწესრიგო ციტირებას იწყებდა და ამით მოწინააღმდეგეთა შემოტევისგან თავდაცვას ლამობდა. უკუაგდებდა მტერს, ხშირად იმავე არსენალით თავად გადადიოდა იერიშზე, გზად ყველაფერს თელავდა და ანადგურებდა, მოუშუშებელ ჭრილობებს აყენებდა, კლავდა. ყოველ ჯერზე მარი ზუსტად უმიზნებდა,

გამორიცხული იყო, მის მარჯვე და გამოცდილ ხელს აეცილებინა. ბოლოს და ბოლოს, ღმერთის წყალობით მარიმ არა ერთხელ აღიდგინა შერყეული რეპუტაცია, შურით, ღვარძლით, ავსიტყვობით შებილწული სათნოება.

ამჯერად ღმერთი მარის თვალში შიშისმთესველი და შურისმაძიებელი ვინმე კი არა, არამედ სითბოსა და სიკეთის მჩქეფარე და წყალუხვი შადრევანი იყო. როცა გაბრიელი წარმოთქვამდა: „ღმერთო, მოწყალევ“ (ის ყოველთვის ასე მიმართავდა იესოს), მარი თავის წარმოსახვაში გაცოცხლებულ ანკარა წყაროს ხატავდა, ან საუკეთესო ღვინოს, ან წამალ-სასწაულს, ყველა სნეულების მკურნალს. აბატის გვერდით მარის ახალ თეოლოგიასთან ზიარების განცდა ეუფლებოდა. ზურგს აქცევდა ძველი ფიშტოთი შეიარაღებულ შერიფს, თვალებში შესციცინებდა სათნო, მომხიბლავ, ახოვან იესოს, სიმაღლეში გაბრიელივით 195 სმ-ს რომ აღწევდა და გაბრიელისავე სახეს ირგებდა.

უწინ მარის რწმენა შეზღუდული, ვიწრო სივრცეში გამოკეტილი, სევდისმომგვრელად დამამშვიდებელი თუ იყო. ამჟამად ის ლოცვებისა და ქადაგებების შინაარსისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა. საღამოობით ზოგჯერ სახარებას გულმოდგინედ კითხულობდა.

მარის ვერ გაეცნობიერებინა, მთლიანად გაბრიელზე რომ გახდა დამოკიდებული. თავიდან ეს დამოკიდებულება ხორციელი იმპულსებით იყო განპირობებული. ახლა კი აბატისკენ მხოლოდ სულიერება იზიდავდა. მარი ოცნებობდა სიკეთის ქმნაზე, სათნოებაზე; გული უჩუყდებოდა, როცა ვინმეს მიმტევებელი და დიდსულოვანი საქციელის შესახებ ამბებს ისმენდა, ლამის ექსტაზში ვარდებოდა, როცა გაბრიელი წმინდანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ჰყვებოდა. განსაკუთრებით წმინდა რიტა ხიბლავდა: გაბრიელი მის ცხოვრებას იკვლევდა და უახლოეს მომავალში სემინარიაში დისერტაციასაც დაიცავდა სახელწოდებით „სასოწარკვეთილთა მხსნელი“. გამოდის, რომ რიტა ჩემი მსხნელიცაა, ფიქრობდა ხოლმე მარი.

მარი და გაბრიელი ბჭობასა და დავაში საათებს ატარებდნენ. ეს იყო მომქანცველი საქმიანობა მღვდლისათვის, აღმაფრთოვანებელი და სასოების ჩამსახველი კი ცოდვილისთვის.

მარი რატომღაც ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო, რომ სიტუაცია მის სრულ კონტროლს ექვემდებარებოდა. სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო რამ ხდებოდა - მღვდელი ზრდიდა გავლენის სფეროებს. გაბრიელის გვერდით მარი მხოლოდ თრთოდა. გეგონება, მოუწოდებსო: „დამანგრიე, გამანადგურე, შემქმენ ჩემგან რაც მოგეპრიანება!“

სხვისი ნებისადმი დამორჩილებით მარის ცხოვრებაში პირველად დაეუფლა ბედნიერების განცდა. მართალია, ახალგაზრდა მამაკაცი სექსუალურად ვერ დაეუფლა, მაგრამ სამაგიეროდ სრულად განაგებდა მის აზრებს. მარი მღვდლის მანიპულაციებს წინააღმდეგობას არ უწევდა, როგორც ხელფეხშეკრული, ნეტარებით გაბრუებული მაზოხისტი. მარიმ ბოლოს და ბოლოს თავის მრისხანებასა და მძვინვარებას გამოსავალი უპოვა. წლების განმავლობაში გულქვა და გაუტანელი ქალის ნიღაბს ირგებდა, მბრძანებლობდა, შეწინააღმდეგებას ვერ იტანდა, აზრადაც არ მოსვლია, რომ თურმე მონობაც ზედმიწევნით შეუძლია. ამჟამად მარი საკუთარი თავისგან ისვენებდა. მასში გამჯდარმა აკვიატებულმა კონტროლის სურვილმა ადგილი თავდავიწყებასა და მორჩილებას დაუთმო. გაბრიელის ქადაგით მთვრალი მარი მორესტიე აღფრთოვანებით, ვნებითა და შემართებით დაემონა ღვთისმსახურის დამანგრეველ ჰეგემონიას.

ერთ დღესაც აბატს ნერვებმა უმტყუნა. დაასკვნა, რომ მარი მის მოთმინებას ბოროტად იყენებდა. გაცოფებულმა თითი ცოდვილისკენ გაიშვირა და სახეზე ალმურგადაკრულმა ხმამაღლა შეჰკივლა: - თქვენ ნამდვილი სატანა ხართ, მაგრამ მე თქვენგან ფრთაშესხმულ ანგელოზს შევქმნი.

იმ დღეს მარიმ იგრძნო, მთელ სხეულში, ფეხებიდან კეფამდე როგორ დაუარა ერთგვარმა ორგაზმმა. ღამით, რამდენჯერაც ეს სცენა გაიხსენა, იმდენჯერვე ეს განცდა დაუბრუნდა.

იმ დღიდან მოყოლებული მარიმ თავდაცვა ოდნავ მოადუნა, თუმცა საბოლოოდ ფარ-ხმალის დაყრისგან ჯერჯერობით თავს იკავებდა. ის კია, რომ ფიქრობდა, როგორც გაბრიელი, გრძნობდა, როგორც ის, სუნთქავდა, როგორც ის.

- მე და თქვენ მხოლოდ სიკეთის, მხოლოდ სათნოების ძლიერებას ვაღიარებთ, - უთხრა ერთხელაც პასტორმა.

მიუხედავად იმისა, რომ მარიმ გონებაში გაიფიქრა - შენთან ერთად სიკეთის ქმნაზეც თანახმა ვარ და ბოროტებისაზეც, იმიტომ, რომ შენ მე მფლობო, - ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

მარი ჯერ კიდევ ფართხალებდა, წინააღმდეგობას უწევდა, ორჭოფობდა, სრული მორჩილება მისთვის ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა.

საღამოობით, როცა საკუთარ თავთან სრულიად მარტო აღმოჩნდებოდა, მარი ერთგვარ ექსტაზში ვარდებოდა. გონებაში წამდაუწუმ იმეორებდა: „დიახ, მე წავალ და ვაღიარებ ჩადენილ დანაშაულებს! დიახ, მე მზად ვარ! დიახ, მზად ვარ, სიმართლის აღსაზევებლად საკუთარი კომფორტი მსხვერპლად შევწირო“.

მიუხედავად ყველაფრისა, მარის დილაობით გამბედაობა ღალატობდა.

- თუ დავთანხმდები, მოხვალთ თუ არა ციხეში ჩემს სანახავად?

- ყოველდღე, მარი, ყოველდღე, თუ თქვენს დარწმუნებას მოვახერხებ, ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებს, საუკუნოდ დავუკავშირდებით ერთმანეთს და არა მარტო ადამიანების თვალში, არამედ ღმერთის წინაშეც.

„ეს ხომ... ეს ხომ ქორწინებაა ერთგვარი გაგებით? რა თქმა უნდა, მის სიტყვებს სხვა ახსნას ვერ მოვუძებნი. გაბრიელი ქორწინებას მთავაზობს“.

მარი მორესტიე თავის წარმოსახვაში სულ უფრო და უფრო ხშირად ხედავდა, თუ როგორ უყვებოდა მთელ სამყაროს გაბრიელთან კავშირის შესახებ. ტელეჟურნალისტებს, სამართალდამცველებს, მოსამართლეებს... „სწორედ მან, გაბრიელმა დამარწმუნა, ყველაფერი საჯაროდ განმეცხადებინა. ის რომ არა, აზრადაც არ მომივიდოდა ჩადენილი მკვლელობების აღიარება. გაბრიელის გარეშე სიმართლეს სამარეში ჩავიტანდი. გაბრიელმა არა მარტო ღმერთის რწმენა მასწავლა, არამედ ადამიანების სიყვარულიც ჩამისახა“. ბუნებით სიტყვაძვირი და თავშეკავებული მარი ოცნებებში მჭევრმეტყველი ხდებოდა. სიტყვა არ ელეოდა განცდილ ჯადოსნურ მეტამორფოზაზე ყბედობისას, რომლსაც ახალგაზრდა მღვდელს ასე უმადლოდა. იმედოვნებდა, რომ გაბრიელთან ერთად ან სასამართლოს დარბაზში ან პაემნების

ოთახში სურათსაც გადაუღებდნენ.

მარის მშვენივრად ჰქონდა გააზრებული, რომ მოცემულ სიტუაციაში აბატთან ერთად თანასწორი უფლებებით ვერ ისარგებლებდა. მას დილეგში ჩააყუდებდნენ, მღვდელი კი თავისუფალი დარჩებოდა. ისე, შესაძლებელი კია თავისუფალი იყო, როცა მღვდელი ხარ? რა თქმა უნდა, არა! განა შესაძლებელია დარდსა და ჭმუნვას მიეცე, როცა საყვარელი ადამიანი გსტუმრობს? ცხადია, არა! სიყვარული განა თავისთავად მორჩილებას, მეორისადმი პრივილეგიის მინიჭებას არ გულისმობს?

- მსხვერპლი ნებისმიერი სიყვარულის საზომია!

ასე ბრძანა ერთხელ გაბრიელმა, როცა მაღალი კათედრიდან ქადაგებდა. მარი მალევე მიხვდა, ეს სიტყვები მისი მისამართით რომ იყო წარმოთქმული და გადაწყვიტა, გამონათქვამისთვის ცხოვრებაში ფრთები შეესხა. დიახ, დიახ, მარი საკუთარ თავს ზვარაკად შესწირავს, ყველაფერში გამოტყდება. მთავარია, მრევლმა აღიაროს, რაოდენ დიდებული ღვთისმსახურია გაბრიელი. თანახმაა, მთელი სიმკაცრით დაისაჯოს, თუ სამყარო გაბრიელის მიერ მასზე განხორციელებული ზემოქმედების შესახებ შეიტყობს. მარი მოინანიებს, ოღონდ ადამიანების მეხსიერებას ისინი შემორჩნენ, როგორც ყველაზე უჩვეულო წყვილი. მარი გაბრიელს ბავშვს ვერ აჩუქებდა, სამაგიეროდ, მოუტანდა დიდებას, ხმაურს მასმედიის საშუალებაში, სკანდალურ სასამართლო პროცესს და ბოლოს, მისი სახელის ჩასაწერად ისტორიაში ადგილსაც გამოუთავისუფლებდა. ადამიანები კიდევ დიდხანს აიქაფებდნენ პირს მარისა და გაბრიელზე ორმაგ წარმატებაზე: მარის ვირტუზულ სიცრუეებზე თითქმის ყველა სასამართლო პროცესზე, მღვდლის სულიერ გმირობაზე - ამქვეყნად ყველაზე დიდი ცოდვილის რწმენისა და სიმართლისკენ მოქცევაზე. გაბრიელი რომ არა, მარი დარჩებოდა გამოუსწორებელი. გაბრიელი რომ არა, მარის სულის ხსნის შანსი შესაძლოა, ცხოვრებაში არ მისცემოდა. გმადლობ, წმინდაო რიტა, დაცემულთა შთამაგონებელო. როცა ზნეობის ამბავი წმინდა ისტორიაში აითქვიფება... თუმცა, ვინ იცის? შესაძლოა, ამან გაბრიელი რომში ჩაიყვანოს.

მარის აღგზნებულ წარმოსახვაში დაუჯერებელი ხატებანი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

დაუჯერებელი, მტანჯველი და ამაღელვებელი ზაფხული, როგორც იქნა, მიიწურა. შემოდგომის გარიჟრაჟზე მარი მიხვდა, რომ სხვა ადამიანად გარდაიქმნა.

იმ კვირას მარი მორესტიე ნაკლებად გულღია და ღრმად ჩაფიქრებული ჩანდა. წირვის დასრულების შემდეგ პირდაპირ სახლში დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ ჭამის თავიც არ ჰქონდა. სამაგიეროდ, მისმა კატამ გაიხარა, - მარის მიერ ხელუხლებელი ხორციანი სადილი მთლიანად გადასანსლა. ორ საათზე მარი გაბრიელს საკურთხეველში ეახლა და გამოუცხადა, რომ მზად იყო, დანაშაული ოფიციალურად ეღიარებინა.

- გეფიცებით, მამაო ჩემო, მზად ვარ, ეს ნაბიჯი გადავდგა! ღმერთსა და თქვენს თავს ვფიცავარ.

გაბრიელი მარის გადაეხვია, ღრმად ჩაიკრა გულში. ცოდვილს სულაც არ სურდა მღვდლის მაღალ, გახურებულ სხეულს სწრაფად მოსცილებოდა. ჯადოსნური წუთების გახანგრძლივების მიზნით, რამდენიმე ცრემლის გადმოგდებაც კი სცადა, მაგრამ ფუჭი აღმოჩნდა მისი ძალისხმევა: ყელიდან მხოლოდ სასაცილო წვრილი და გამყინავი სლოკინი ამოუშვა.

გაბრიელმა მარის მიულოცა, ასჯერ გაუმეორა, რომ ამაყობდა მისით, მისი რწმენის ურყეველობით, ხასიათის სიმტკიცით, მის მიერ მონანიების მძიმე გზის ასე წარმატებულად დაძლევით. ბოლოს აბატმა ცოდვილს მოუწოდა, მუხლებზე დაჩოქილს ღმერთისთვის მადლიერების სიტყვები აღევლინა.

სანამ ლოცულობდნენ, მარის თავბრუ დაეხვა, უკვე გრძნობდა მიღებული გადაწყვეტილების სიმძიმეს, ემოციამ პასუხისმგებლობის გრძნობა გაუმძაფრა. ამავდროულად, მოზღვავებულ უცნაურ გრძნობებსაც ვერ უმკლავდებოდა, აბატთან ფიზიკური სიახლოვე ენით აღუწერელ სიხარულს ჰგვრიდა. გრძნობდა სითბოს, მისი მხარი რომ აფრქვევდა, თვრებოდა მისი კანისა და თმის სურნელით. მარი ფიქრობდა, რომ ამიერიდან გაბრიელი მას ციხეში ყოველ ცისმარე დღეს მოინახულებდა. ილოცებდა ზუსტად ასე, როგორც ამ წუთებში, მის გვერდით, და იქნებოდა უზომოდ ბედნიერი ადამიანი.

გაბრიელთან გამომშვიდობების შემდეგ მარიმ სახლში დაბრუნება ბორცვების გავლით გადაწყვიტა. თავისუფლების ბოლო საღამო მან სენ-სორლენის მაღლობიდან ცქერაში გაატარა. რა დიდებული ჩანდა ფერდობებზე შეფენილი

ვენახები. მწუხრიც მომაჯადოებელი ეჩვენა. მზის ჩასვლისას ცა ჯერ იასამნისფრად შეიღება, შემდეგ კი იისფრად, მელანქოლიური ნათება ზვრებსა და ველ-მინდვრებსაც გადაეფინა. კრამიტის სახურავებზე კატები ნებივრობდნენ, გეგონება, მზის უკანასკნელი მოფერებით ტკბებიანო. ამ ხილვამ მარის ჩინური ჩრდილები მოაგონა.

მოკლედ, ამ კვირას მარი ბურ-ლა-ბრესს უნდა გამგზავრებულიყო და მოსამართლეს შეხვედროდა; იმას, რომელიც რამდენიმე წლის წინ მის საქმეს იძიებდა. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ბრგე მართლმსაჯულების მსახური დასანახად ვერ იტანდა მარის, რადგანაც ამ უკანასკნელის გამართლებამ მისი კარიერული წინსვლა კარგა ხნით დაამუხრუჭა. არადა, მარის ციხეში ჩაყუდება უეჭველ დაწინაურებას უქადდა. ცხადია, მოსამართლე მარის ამჯერად მოსაცდელში დიდხანს აღარ აყურყუტებდა.

მარი ისევ სოფელს გადაჰყურებდა. ხან აქ ინათა, ხან იქ. აი, შორს, ფერდობზე სახლი გამოიკვეთა, გეგონება, ჰაერშია დაკიდებულიო. აი, ოთახიც, აი, ქუჩაც მთელ სიგრძეზე... ზურგს უკან ჰამაკქვეშ ლაბრადორი თავის ნაშიერებს ლოკავდა. ბაღი ცაცხვის მძაფრი არომატით სუნთქავდა. „ეჰეე, ხეპრეებო, გესმით ჩემი? ხვალ უფრო სახელგანთქმულ სოფელში გაგეღვიძებათ, მარი მორესტიეა მისი ნათლობის სახელი. გაუთლელებო, გაიგეთ, ყოფილმა ჯადოქარმა ანგელოზის ფრთები შეისხა; მკვლელმა, ყველა და ყველაფერი რომ სძულდა, გარდა ღმერთისა. უგუნურნო, გაუწყებთ, რომ სისხლის მღვრელი მესალინა წმინდანად ეკურთხა!!!“ მარის ისეთი განცდა ჰქონდა, რომ მისი სულიერი განწყობა გადამდები იყო. ერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ - სიკეთე ეთესა ირგვლივ და სინათლე, გაბრიელისგან ძღვნად რომ ერგო, ყოველი შემხვედრისათვის ეწილადა. „ქალბატონებო და ბატონებო, მე წილად მხვდა ბედნიერება, შევხვედროდი მღვდელს, რომელიც ენით აღუწერელ სასწაულებს ახდენს. ეს არ გახლავთ უბრალო მოკვდავი, ფრთაშესხმული ანგელოზია. ის რომ არა, ახლა თქვენ წინაშე ვერ აღმოვჩნდებოდი“.

დიახ, მარის მიეცა შანსი, გაბრიელსა და თავის შორის არსებულზე მთელი სამყაროსთვის მოეთხრო. ასე რომ, მომავალში ცხოვრება მხოლოდ საამური იქნება, ცხოვრება აღსავსე მოულოდნელობებითა და საოცრებებით...

მარი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კაბადონის სილამაზით ტკბებოდა, ღმერთს შესთხოვდა, მისთვის გამბედაობა და მორჩილება ებოძა, უფრო სწორად, გამბედაობა მორჩილებისა. მარი სახლში გვიან ღამით დაბრუნდა.

კარის გაღებისას მეზობელმა დარაბები გასწი-გამოსწია და მარის უთხრა: - აბატი გეძებდათ, ორჯერ იყო ამოსული.

- რას ამბობთ? მადლობა, რომ დროულად მითხარით. ახლავე ჩავალ მის სანახავად.

- მგონი, აბატს ეკლესიაში ვეღარ ნახავთ. მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. საკუთარი თვალით დავინახე.

მანქანაში? გაბრიელმა მანქანის ტარება საერთოდ არ იცის. ცხადია, არც მართვის უფლება აქვს და არც მანქანა.

მარი სასწრაფოდ ეკლესიის გზას დაადგა. იგრძნო, რომ დახურულ ფარდებს მიღმა ბნელი და უკაცრიელი სივრცე დახვდებოდა. კარზე ჯერ მორიდებულად დააკაკუნა, დაელოდა, შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. აღელვებული ბრახუნზე გადავიდა. სულ ტყუილად.

მარი შინ დაბრუნდა. ნერვებს არ უნდა აჰყოლოდა. რაც მთავარია, გაადაწყვეტილება უკვე ჰქონდა მიღებული; ასევე გაბრიელის ლოცვაც და თანადგომაც. ალბათ, იმიტომ შეიარა მარისთან, რომ კიდევ ერთხელ სურდა, მისი საქციელით აღფრთოვანება გამოეხატა, აევსო ის ქათინაურებით ან ბურ-ლა-ბრესში მანქანით წაყვანა შეეთავაზებინა. რა თქმა უნდა, სხვა მიზეზი წარმოუდგენელიც კია. მარის, იმის იმედით, რომ ყველაფერს მეორე დღესვე ნათელი მოეფინებოდა, ღრმად ჩაეძინა.

გამთენიისას მარის სახლში ტელეფონი აწკრიალდა. უმალ იცნო მღვდლის ხმა და გულზე მოეფონა.

- ძვირფასო მარი, მინდა გაუწყოთ, რომ დაუჯერებელი რამ მოხდა.

- ღმერთო, დიდებულო, ხომ მშვიდობაა?

- ვატიკანში მთავაზობენ სამსახურს!

- უკაცრავად, ვერ გავიგე?

- პაპი გულისყურით გაეცნო ჩემს დისერტაციას წმინდა რიტას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ძალიან მოეწონა და მთავაზობს, კვლევა მის ბიბლიოთეკაში სახელგანთქმულ თეოლოგებთან ერთად განვაგრძო.

- კი მაგრამ...

- დიახ, მე აუცილებლად მომიწევს თქვენი დატოვება. თქვენი და სენ-სორლენის სამწყსოსი.

- და ჩვენს ჩანაფიქრს რა ბედი ეწევა?

- ჩვენი ჩანაფიქრი ძალაშია. თქვენ ხომ უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება?

- კი მაგრამ...

- გადაწყვეტილებას დაპირებისამებრ სისრულეში მოიყვანთ.

- თქვენ ხომ ჩემ გვერდით არ იქნებით... არც ჩემ სანახავად მობრძანდებით ყოველდღე, როცა გისოსებს მიღმა აღმოვჩნდები.

- თქვენ მოსამართლეს აღიარებით ჩვენებას მისცემთ, მარი, თქვენ შემპირდით.

- დიახ, თქვენ და ღმერთს... ვიცი, რომ...

მარიმ ყურმილი დაკიდა. შეცბუნებული და გაორებული გრძნობდა, რომ ცოტაც და წინა დღის აღფრთოვანებას, ლამის ექსტაზს აულაგმავი მძვინვარება ჩაენაცვლებოდა. „გამოდის, რომ ვატიკანში მიბრძანდება. და ვისი წყალობით? ჩემი, რა თქმა უნდა: ჩემი აღიარებისა და აღსარების წყალობით. როგორც ჩანს, პაპის კეთილგანწყობა დაიმსახურა. არადა, მხოლოდ სულ ცოტა უნდა მოეთმინა, სულ ცოტა მოეცადა. დიდების შარავანდედში გაეხვეოდა და თანაც დამსახურებულად. მან ხომ შეუძლებელი შეძლო. პირსისხლიანი მარი მორესტიეს საკუთარი პირით ყველა ჩადენილი დანაშაული აღიარებინა და სწორ გზაზე დააყენა. იტყოდნენ, ამასთან შედარებით ვიღაც უცნობ წმინდანზე დაჩხაპნილი დისერტაცია აბა რა მოსატანიაო. რა ხდება სინამდვილეში გაბრიელის თავს? რას დახარბდა? ნუთუ შეუძლია ასე ფლიდურად გამწიროს?“

ორი დღის თავზე „გადაღძუებულმა კახპამ“, უსურვაზივით დაგრეხილმა ვერა ვერნერმა მარი მორესტიეს ახალი აბატის

ჩამოსვლა აღგზნებული ხმით აუწყა.

მარი ეკლესიისკენ მიმავალ გზას მორჩილად თავდახრილი დაადგა.

ვიწრო, ნაცრისფერი, წლებისგან დაღლილი სუტანა მღვდელს ტანზე ასკდებოდა. ხელში ცოცხი ეჭირა და ეკლესიისკენ ამავალ კიბის საფეხურებს გვიდა, თან მრევლთან ყბედობდა.

მარი შეჩერდა და ღვთისმსახურს ყურადღებით დააკვირდა. გაბრიელს ჯუჯა, დაგვაჯული, ჩაკურატებული და ლოყებღაჟღაჟა აბატი ჩანაცვლებოდა. მარის დიდი ტვინის ჭყლეტა არ დაჭირვებია იმის დასადგენად, თუ როგორ გაატარებდა მომდევნო წლებს: მოუვლიდა ბაღს და საყვარელ ფისუნიას, იშვიათად ივლიდა წირვაზე და პირში წყალს დაიგუბებდა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

დაბრუნება

- გრეგ...

- ვმუშაობ.

- გრეგ..

- შემეშვი, არ მცალია, კიდევ 23 ცილინდრი დამრჩა გასახეხი.

გრეგი მეორე ტურბინაზე გადაყუდებულიყო, საქმით გართული შემობრუნებასაც არ აპირებდა. ენერგიული მოძრაობებისგან ძლიერ ზურგზე კუნთები ებურცებოდა. იფიქრებდით, ცოტაც და მაისური შემოეხევაო.

მატროსი დექსტერი კი ჯიუტად განაგრძობდა: - გრეგ, კაპიტანი გელოდება.

გრეგი ისე სწრაფად შემოტრიალდა, რომ დექსტერს მოულოდნელობისგან კინაღამ თავისი დაემართა. მექანიკოსს შიშველი მხრებიდან ოფლი მთელ მკერდზე წურწურით ჩამოსდიოდა და შარვალში ეღვრებოდა. დაკუნთული სხეული ბზინავდა და ელვარებდა. კოლოსი გრეგი წარმართთა კერპს

დამსგავსებოდა: საქვაბის მეწამული ალების ნათებაზე ორთქლის შარავანდში გახვეული სხეული ლაქით გაპრიალებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ამ ათლეტის მოხერხებულობისა და ტექნიკური გამოცდილების წყალობით სატვირთო გემი „გრანდვილი“ ოცდაოთხი საათის განმავლობაში თითქმის შეუსვენებლად მიიწევდა წინ, სერავდა ოკეანეებს და პორტიდან პორტში დათქმულ დროზე ჩაჰქონდა ტვირთი.

- რამე ხომ არ აქვს სასაყვედურო? - იკითხა კოლოსმა და თითივით სქელი წარბები შეჭმუხნა.

- არა. გელოდება.

გრეგმა თავი ჩაქინდრა, გეგონება, დანაშაული აღიარაო. თავისი წინათგრძნობის დასადასტურებლად კი მტკიცე ხმით გაიმეორა: - არა, აუცილებლად რაღაცა ექნება სასაყვედურო.

დექსტერს მთელს სხეულში სიბრალულის ჟრუანტელმა დაუარა. მშვენივრად იცოდა კაპიტნის მიერ გრეგის გამოძახების მიზეზი, მაგრამ თქმა ვერ გაებედა. შეეცოდა მეგობარი.

- ბოდავ რაღაცას, გრეგ. რა უნდა გისაყვედუროს კაპიტანმა? რასაც შენ აკეთებ, ბარე ოთხი კაცი ვერ გაუმკლავდება.

გრეგი უკვე აღარ უსმენდა დექსტერს, საპოხისგან გაშავებულ თითებს ჩვრით გულმოდგინედ იწმენდდა. გრეგი მზად იყო, მიეღო საყვედური. საკუთარ სიამაყესა და პატივმოყვარეობაზე მნიშვნელოვანი მისთვის დისციპლინა იყო. ბორტზე თუ უფროსი გჯორავს, ესე იგი, ასეა საჭირო. უფროსი ყოველთვის მართალია.

გრეგს მიზეზზე ფიქრით თავი არ შეუწუხებია. ცოტაც და თავად კაპტნისგან გაიგებდა. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, რამეზე დაფიქრება გრეგს არასდროს ხიბლავდა. ყოველთვის გაურბოდა ნებისმიერ ფიქრს. არც ჰქონდა ამის თავი. რა ძალა მადგას, ტვინი ვიჭყლიტო, თუ ამისთვის არაფერს მიხდიანო, ამბობდა. მიიჩნევდა, რომ როცა საქმე კაპტანს ეხებოდა, რომელთანაც ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ფიქრი უბრალოდ სისულელე იყო, დროისა და ენერგიის ფუჭი ხარჯვა.

40 წლის ასაკში გრეგი ისევე თავგადადებული მუშაობდა,

როგორც დასაწყისში, 14 წლის ასაკში. დგებოდა სისხამ დილით და გვიან ღამემდე არ ჩერდებოდა. ათასჯერ მაინც შემოირბენდა მთელ გემს - ხეხავდა, წმენდდა, არემონტებდა... ძრავის ნაწილების გამართვის შეუდარებელი ოსტატი იყო. სამუშაოს უზადოდ შესრულება აკვიატებად ექცა. მისი ერთგულება და თავგანწირვა, ძნელი წარმოსადგენია, რამეს შეერყია ან შეებღალა. თხელმატრასდაგებულ ვიწრო ნარს მისთვის მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდა: ოდნავ სული მოეთქვა, რათა მერე ისევ ქანცგამწყვეტ სამუშაოს შერკინებოდა.

გრეგმა პერანგი გადაიცვა, მხრებზე წყალგაუმტარი ლაბადა მოიგდო და დექსტერს გემბანზე ფეხდაფეხ მიჰყვა.

ზღვა დღეს აშარ ქალს წააგავდა. არც განრისხებული ჩანდა, არც მშვიდი, უბრალოდ ცუდ გუნებაზე იყო. ხანდახან აქა-იქ ქაფქვეშ ჩასაფრებული მომცრო ტალღები ამოიბურცებოდა ხოლმე მოლივლივე ზედაპირზე. წყნარ ოკეანეში, როგორც ყოველთვის, ახლაც ირგვლივ ყველაფერი ერთფეროვანი ჩანდა. ცის თვალსაწიერი ტყვიისფრად შეიღება. ტყვიისფერი იყო ტალღებიც, ღრუბლებიც, გემბანიც, მილებიც, ბრეზენტიცა და ადამიანებიც. დექსტერის ჩვეულებისამებრ შავგვრემანი სახეც დღეს ფერმწერის მიერ ნახშირით მუყაოზე ნაჩქარევად გამოყვანილ ჩანახატს მოგაგონებდათ.

მსტვინავ ქართან ჭიდილში მამაკაცებმა მართვის პუნქტს მიაღწიეს. როგორც კი ზურგს უკან კარი მიიხურეს, გრეგმა უმალ თავი უხერხულად იგრძნო: დანადგარებისა და ოკეანის გამუდმებული ღმუილისგან შორს, მაზუთისა და წყალმცენარეების მძაფრ, მწკლარტე სუნს მოგლეჯილს, უკვე აღარ ჰქონდა განცდა, გემზე რომ იმყოფებოდა, სადღაც ხმელეთზე, რომელიღაც სალონში შემთხვევით გაცნობილ ადამიანებთან ერთად ეგონა თავი. რამდენიმე მამაკაცი, მათ შორის, უფროსი თანაშემწე და რადისტი კაპიტანის სიახლოვეს გაჭიმულიყვნენ.

- კაპიტანო... - კაპიტულაციისათვის მზადმყოფმა გრეგმა თვალები დახარა.

პასუხად კაპიტანმა მონრომ რაღაც გაუგებრად ჩაიბურდღუნა, შემდეგ ჩაახველა და ყელი ჩაიწმინდა. ლაპარაკის დაწყება უმძიმდა.

გრეგიც დუმდა. განაჩენის მოლოდინში გაირინდა.

ვერც გრეგის უკიდურესი თავმდაბლობა და მორჩილება წაეშველა კაპიტან მონროს ხმის ამოღებაში. ქვეშევრდომებს მზერით რჩევა ჰკითხა. აშკარად ჩანდა, რომ არც ისინი ისურვებდნენ მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენას. კაპიტანი გრძნობდა, რომ გაჭიანურებით მხოლოდ ეკიპაჟის პატივისცემასა და რიდს დაკარგავდა. მძიმე ინფორმაციით აღელვებულმა ემოციებს მაინც სძლია, თავი ხელში აიყვანა და ბორძიკით, მაგრამ სრულიად მშრალი ხმით წარმოთქვა: - თქვენს სახელზე დეპეშა მივიღეთ, გრეგ. ლაპარაკია პრობლემაზე, რომელიც უშუალოდ თქვენს ოჯახს ეხება.

გაკვირვებულმა გრეგმა თავი ასწია.

- მოკლედ რომ მოვჭრა, დეპეშა ცუდ ამბავს იუწყება... ძალიან ცუდს, გრეგ. თქვენი ქალიშვილი გარდაიცვალა.

გრეგმა მოულოდნელობისგან თვალები გადმოკარკლა. ამჯერად სახეზე მხოლოდ გაკვირვება გამოეხატა, არანაირი გრძნობის ნატამალიც!

კაპიტანმა განაგრძო: - დიახ, ასეა... დოქტორი სემბადური დაგვიკავშირდა, თქვენი ოჯახის პირადი ექიმი ვანკუვერიდან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ საშინელი ინფორმაციის გარდა, ვერაფერს გატყობინებთ. ძალიან ვწუხვართ, გრეგ. გულწრფელად თანაგიგრძნობთ და ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას.

სანამ კაპიტანი ლაპარაკობდა, გრეგს სახის გამომეტყველება არ შესცვლია. პირვანდელი გაკვირვება შერჩენოდა, მხოლოდ გაყინული და უემოციო.

ირგვლივ ყველა მდუმარებას მოეცვა.

გრეგმა რიგრიგობით ყველას შეავლო მზერა. ამაოდ ეძებდა პასუხს კითხვაზე, რომელსაც თავის თავს უსვამდა. იმედგაცრუებულმა ბოლოს და ბოლოს დიდი ძალისხმევის ფასად ამოილუღლუღა: - ჩემი ქალიშვილი? რომელი ქალიშვილი გარდაიცვალა?

- უკაცრავად, რა ბრძანეთ? - იკითხა შემკრთალმა კაპიტანმა.

- რომელი ქალიშვილი? ოთხი მყავს.

კაპიტანს სახე აელეწა. იფიქრა, ინფორმაცია ამომწურავად ვერ მივაწოდეო. ხელის კანკალით დეპეშა ჯიბიდან ამოიღო და სწრაფად გადაიკითხა: - მმმ... არა. სხვა არაფერი წერია. მხოლოდ ის, რაც უკვე მოგახსენეთ. კიდევ ერთხელ გაუწყებთ, რომ თქვენი ქალიშვილი გარდაიცვალა.

- რომელი, ვერ მეტყვით? - ჯიუტად გაიმეორა კითხვა გრეგმა. უზუსტობისგან ისეთი გაღიზიანებული ჩანდა, რომ მიწოდებული ამბავი ვერც გადაეხარშა, - ქეითი? გრეისი? ჯოანი თუ ბეტი?

სასწაულის იმედით კაპიტანმა ისევ ჩარგო გზავნილში თავი. იქნებადა, მოულოდნელად ბწკარებს შორის რომელიმე სახელი გამოჩნდესო. ფუჭი აღმოჩნდა მისი მცდელობა, მოკლე შეტყობინება მხოლოდ ფაქტის მშრალი კონსტატაციით შემოფარგლულიყო.

იმედის უსაფუძვლობით დაუძლურებულმა კაპიტანმა დეპეშა გრეგს გადააწოდა, რომელიც თავის მხრივ მის გაშიფვრას მყისიერად შეუდგა.

მექანიკოსმა თავი გაიქნია, ღრმად ამოიოხრა, შემდეგ კიდევ კარგა ხანს ატრიალა ეს ერთი ბეწო ქაღალდი ხელში და ბოლოს ისევ უფროსს დაუბრუნა.

- გმადლობთ.

კაპიტანს კინაღამ წამოსცდა: „არაფრის“. მოისაზრა, რომ ეს სრული სისულელე იქნებდა, ბრაზმორეულმა კბილებს შორის რაღაც გინების მსგავსი გამოცრა და ბოლოს მზერა მარჯვენა ბორტის წინ გადაშლილ ჰორიზონტზე გადაიტანა.

- ეს იყო და ეს? - იკითხა გრეგმა და თავი ასწია. ისეთი ნათელი და კრიალა თვალებით იცქირებდა, გეგონება, არც არაფერი მომხდარაო.

გრეგის მიერ დასმული კითხვისგან მეზღვაურებს ლაპარაკის უნარი წაერთვათ. თავიდან ისიც კი იფიქრეს, იქნებ სხვა რამ თქვა და ჩვენ ვერ გავიგეთ ან მოგვესმაო.

კითხვაზე პასუხის გაცემა, წესით, კაპიტანს მართებდა, მაგრამ მოკირებულს საჭირო სიტყვებისთვის ვერა და ვერ მოეყარა თავი. უშფოთველი გრეგი ჯიუტად განაგრძობდა.

- შემიძლია, სამუშაოს დავუბრუნდე?

მსგავსი აუღელვებლობისა და გულარხეინობის შემხედვარე კაპიტანს ერთგვარი შინაგანი ამბოხის გრძნობა დაეუფლა და ეცადა, ამ აბსურდული სცენისთვის ცოტა მეტი ადამიანურობა შეეძინა: - გრეგ, ვანკუვერში ჩვენ მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ თუ ჩავალთ. თუ გნებავთ, ვეცდებით, აქედან დავუკავშირდეთ ექიმს. ვინიცობაა, სწორედ მან მოგვაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია.

- შეძლებდით ვითომ?

- რა თქმა უნდა. მართალია, ჩვენ არ ვიცით მისი კოორდინატები, ვინაიდან ის პირდაპირ კომპანიის შტაბ-ბინას დაუკავშირდა, მაგრამ თუ კარგად მოვიძიებთ...

- დიახ, ძალიან კარგი იქნებოდა.

- მე თვითონ მივხედავ ამის გარკვევას.

- მართლაც, - ავტომატურად განაგრძო გრეგმა, - უპრიანი იქნებოდა, მცოდნოდა, ჩემი ოთხი ქალიშვილიდან რომელი...

აქ გრეგი შეყოვნდა. იმ დროს, როდესაც ეს საბედისწერო სიტყვა უნდა წარმოეთქვა, მის გონებამდე, როგორც იქნა, დავიდა მომხდარი უბედურების მთელი არსი: ერთ-ერთი მისი შვილი გარდაცვლილიყო. თავზარდაცემულს ყბა ჩამოუვარდა, გაირინდა, აწითლდა, მუხლებშიც ძალას ვეღარ გრძნობდა. ძირს რომ არ გაშხლართულიყო, ბანქოს სათამაშო მაგიდას დაეყრდნო. გრეგის გარშემო მყოფთ გულზე მოეფონათ, ერთგვარი შვებით ამოისუნთქეს: ამ უსულგულო ქანდაკებას, ბოლოს და ბოლოს, ტანჯვის ნიშან-წყალი დაეტყო. კაპიტანი მექანიკოსს მიუახლოვდა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

- მე ვიღებ ამას საკუთარ თავზე და გარწმუნებთ, მალე მოვფენთ ნათელს, ამ ცოტა არ იყოს, ბუნდოვან სიტუაციას.

გრეგი ყურადღებით დააკვირდა კაპიტნის ხელს, სველ ლაბადაზე კრაჭუნით რომ გასრიალდა. კაპიტანმა მალევე აიღო ხელი. ორივე უხერხულობის გრძნობამ მოიცვა. ერთმანეთისთვის თვალი ვერ გაესწორებინათ. მექანიკოსი საკუთარი ტკივილის გამოხატვის შიშს შეეპყრო, კაპიტანი კი უბედურებასთან პირისპირ შეჯახებისას.

- თუ გნებავთ, დღეს ნუღარ იმუშავებთ.

გრეგს მთელი სხეული დაეჭიმა, ისევ გაშეშდა. უსაქმურობის პერსპექტივამ მხოლოდ დააფრთხო. აბა, რა ჯანდაბა აკეთოს, თუ არ იმუშავებს?

- არა, მირჩევნია, ვიმუშაო.

იქ მყოფთაგან ყველამ ნათლად წარმოიდგინა ის ტანჯვა-წამება, რომელთან გამკლავებაც გრეგს მომდევნო საათებში მოუწევდა. ცხრაკლიტულში გამოკეტილს, უტყვსა და ეულს სევდა დარევდა ხელს, ისეთივე მძიმე, როგორც თავად ეს ხომალდია. გააწამებდა ერთი კითხვაც: ოთხი ქალიშვილიდან რომელი გარდაიცვალა?

სამანქანო განყოფილებისკენ მიმავალ გრეგს ერთი სული ჰქონდა, სანამ საქმეს შეებმებოდა, ისე, როგორც ტალახში ამოგანგლულს - შხაპქვეშ დადგომა. ასე ენერგიულად და მონდომებით, როგორც ამ ნაშუადღევს მუშაობდა, გრეგს არც არასდროს ეხეხა, შეეზეთა და ეპრიალებინა ცილინდრები, არც ჭანჭიკებისთვის მოეჭირა მსგავსი თავგამოდებით.

მიუხედავად საქმისა, გრეგს თავში დაბუდებული ერთი აზრი მოსვენებას არ აძლევდა. გრეისი... მექანიკოსის წარმოსახვა მთლიანად წალეკა მეორე ქალიშვილის ხატებამ. ნუთუ გრეისი უკვე მკვდარია? 15 წლის სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილი, სახეზე მარად ღიმილგადაფენილი გრეისი... მხიარული, ხალისიანი, სასაცილო, ენერგიული და გაუბედავი გრეისი. განა, გრეისი არ იყო ყველაზე სუსტი, ავადმყოფური და ცოტა შეუხედავიც? განა ხალისიანობამ არ აღჭურვა იგი იმ ნერვიული ძალით, ჯანმრთელი მოზარდის იერს რომ სძენდა. თუმცა ამისგან სხვებზე უფრო ჯანიანი და გამძლე არ გამხდარა. იქნებ ეს ავადმყოფობა რომელიმე თანატოლმა გადასდო და სულაც ბაგა-ბაღიდან, სკოლიდან ან ლიცეუმიდან მოჰყვა? ზედმეტად კეთილი გრეისი, ცხადია, ღია იყო ყველასა და ყველაფრისთვის - თამაშებისა და მეგობრობისათვის, არც ვირუსებს, ბაქტერიებსა და მიკრობებს ჩაურაზავდა კარს. გრეგმა წარმოიდგინა, რომ ამიერიდან ვეღარ ექნებოდა ბედნიერი შესაძლებლობა, ახლოდან ეცქირა, თუ როგორ ანცობდა და დახტოდა გრეისი, ვეღარ ნახავდა, როგორ ხრიდა თავს, სწევდა მაღლა ხელებს, ვეღარ გაიგონებდა გოგონას მხიარულ და ხმამაღალ კისკისს.

არა, ეს ნამდვილად გრეისი იყო. დაეჭვების საფუძველიც კი არ არსებობს.

და რატომ მოეძალა მსგავსი აზრები? ნუთუ ეს უბრალოდ წყლის ინტუიციაა? იქნებ ტელეპატიური ინფორმაცია გადმოეცა? გრეგი წამიერად ლითონის ზედაპირის ნერვიულ ხეხვას შეეშვა. არა, არა. სინამდვილეში ხომ გრეგმა დანამდვილებით არაფერი იცის. ის უბრალოდ შიშობს. გრეისზეც ყველაზე წინ იმიტომ გაიფიქრა, რომ ის... მისი რჩეული გახლდათ.

აღმოჩენისგან თავზარდაცემული გრეგი ჩამოჯდა. შვილების მსგავსი იერარქიული დაყოფა უწინ თავში არასდროს მოსვლია. გამოდის, რომ ფავორიტი ჰყოლია... ვაითუ ეს თვალში საცემი იყო? ვაითუ საკუთარი განწყობა გრეისს ან რომელიმე სხვას აგრძნობინა? არა, შეუძლებელია. არა, არა! უპირატესობის მინიჭების სურვილი მხოლოდ მის გულის სიღრმეში იყო დაბუდებული. ეს ჯერ კიდევ ბუნდოვანი, თუმცა აქტიური სურვილი წარმოუდგენელია, ვინმესთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. თავად გრეგისთვის ეს ნათელი მხოლოდ დღეს გახდა.

გრეისი... უხვთმიანი თხელკისერა გოგონას გახსენებაზე გრეგს გული აუჩუყდა. გრეისი... ისე ადვილად და ძალდაუტანლად შეიძლებოდა მისი შეყვარება. გრეისი... მარად ბრწყინვალე, ღიმილით გასხივოსნებული... ნაკლებად სერიოზული, ვიდრე მისი უფროსი და. მოძრავმა და მოუსვენარმა არც იცოდა, რას ნიშნავს სევდა ან მოწყენა... თან რა გასაოცარი ნიჭი ჰქონდა ნებისმიერ სიტუაციაში თავშესაქცევის პოვნისა. გრეგი მიხვდა, თუ გრეისის სავარაუდო სიკვდილზე ფიქრს სასწრაფოდ არ შეწყვეტდა, საშინელი ტანჯვა ელოდა.

გრეგმა განახლებული შემართებით განაგრძო ხეხვა.

- ღმერთმა ქნას, რომ გრეისი არ იყოს!

გრეგმა ისე ძლიერ მოუჭირა ჭანჭიკს, რომ გასაღები ხელიდან გაუვარდა.

- აჯობებდა, ჯოანი...

ჯოანის დაკარგვა გრეგს ნაკლებად დაამწუხრებდა. ჯოანი ხისტი და ცოტა უხეში, ეშმაკი და ქვეშქვეშა იყო, ტლანქი

სახით, ყორანივით შავი მბზინვარე თმით, ერთგვარ თივის ზვინს რომ მოგაგონებდათ. ჯოანი... პატარა ვირთხა. არა, ჯოანი და გრეგი ნამდვილად ვერ იყვნენ სულით ნათესავები. უნდა ითქვას, რომ ჯოანი რიგით მესამე ქალიშვილი იყო, ამ ქვეყანას რომ მოევლინა. ამიტომ მოკლებული იყო მშობლებისთვის მიმზიდველ ყველა თვისებას: პირველი ბავშვის დაბადების თანმდევ სიახლის განცდას, ასევე იმ სიმშვიდეს, უკვე გამოცდილ დედ-მამას მეორის მოლოდინში რომ ეუფლებათ ხოლმე. ზოგადად მესამეს არასდროს ანებივრებენ ზედეტი ყურადღებით. უფროსი ქაიშვილები როგორმე მიხედავენო, ფიქრობენ. გრეგს ჯოანის ნახვის შესაძლებლობა არ მისცემია: მაშინ დაიბადა, როცა ახალ საზღვაოსნო კომპანიაში მექანიკოსის ადგილს გამოჰკრა ხელი და ხმელეთზე ჩამოსვლა თითქმის აღარ უწევდა. ერთხელ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებშიც კი მოუწია ჩასვლა. ყველაფერთან ერთად გრეგი ვერ იტანდა ჯოანის სახეს - მისი კანის ფერზე გული ერეოდა. როცა აკვირდებოდა, ვერც ცოლთან, ვერც სხვა შვილებთან მსგავსებას ვერ პოულობდა. ერთი სიტყვით, ჯოანი მისთვის უცხო, უკანონოდ შემოხიზნული არსება იყო. არა, არა, ჯოანი ნამდვილად მისი სისხლი და ხორცია. ამაში ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი. ის ღამეც დღესავით ახსოვს, როცა იგი ჩასახა. ომანიდან ახალი დაბრუნებული იყო. მერე მეზობლებსაც ხომ დაეჯერებათ - ყველა ერთხმად იძახდა, გადახატული მამაო. ახლა თმას არ იკითხავთ? ზუსტად ისეთივე, როგორიც თვითონ აქვს. ეს ხომ ცხადზე უცხადესია! შეიძლება ძაღლის თავიც სწორედ აქ ემარხა: გოგონა თავისი თვისებებით უფრო ბიჭს რომ წააგავდა, გრეგში უხერხულობის გრძნობას ბადებდა. იმიტომ, რომ გრეგმა მხოლოდ გოგონების ჩასახვა თუ შეძლო. მისი სპერმა უძლური აღმოჩნდა, მამრისთვის დაედო დასაბამი, ვერ აიძულა მარის საშო, მდედრისთვის დროდადრო საპირისპირო სქესი ჩაენაცვლებინა. გრეგი ამაში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებდა. ოჯახში ხომ თვითონ, მამაკაცი იყო ყოველგვარ მამაკაცურზე პასუხისმგებელი? და რა აღმოჩნდა? თურმე ამ კოლოსს გაურკვეველი და განსაკუთრებით უხილავი მიზეზების გამო ვაჟკაცობა არ ეყო, გოგონებისთვის განკუთვნილ ყალიბში ერთი ბიჭი მაინც გამოექნა.

როგორც ჩანს, ჯოანს სულ ერთი ბეწო დააკლდა, ბიჭად რომ მოვლინებოდა ამ ქვეყანას...ჯოანი,ეს შეუმდგარი მამრი,

გრეგის მამაკაცური უძლურების დასტური აღმოჩნდა. გასაგებია ის ბრაზიც, რომელიც გრეგს ასე ადვილად ეუფლებოდა ხოლმე, როცა ქათინაურები მის ნაშიერებს ეხებოდა. ამას, არც მეტი არც ნაკლები, მზაკვრულ დაცინვად აღიქვამდა.

- რა ბედნიერებაა ოთხი ქალიშვილის ყოლა, სერ გრეგ. ოთხი ქალიშვილი! საერთოდ, გოგონებს ძალიან უყვართ მამიკოები. ალბათ გაღმერთებენ, არა?

რასაკვირველია, მათ უყვარდათ მამა. აბა, არ უნდა ჰყვარებოდათ? გრეგი ხომ წელში წყდებოდა მათი გულისთვის. სახლში ყველას მოანატრა თავი. გემიდან ფეხის ჩამოდგმა იშვიათად თუ უწევს. დღედაღამე ოფლს ღვრის, რათა ორი კაპიკი იშოვოს, ოჯახს საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური არ მოაკლდეს, ბავშვებმა სწავლის გაგრძელება შეძლონ... რა თქმა უნდა, მათ უყვართ მამა. სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია. ეს მათი მხრიდან საზიზღარი უმადურობის გამოვლინება იქნებოდა. გრეგი თითქმის მთელ ჯამაგირს მათ უგზავნის. თავისთვის ნამცეცებს თუ იტოვებს. აბა, ასეთი მამა არ უნდა უყვარდეთ?..

გრეგის შეხედულებით, სიყვარული ან ვალდებულება იყო ან მოვალეობა. რახან საკუთარი ქალიშვილებისთვის თავს არ ზოგავდა, მათაც მართებდათ მამის სიყვარული. მამობრივ სიყვარულსა და ერთგულებას გრეგი ტიტანური შრომით ამტკიცებდა. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ შესაძლებელია სიყვარული ღიმილით, მოფერებით, სინაზით ან სიცილით გამოიხატოს. არც არასდროს უფიქრია, რომ სიყვარულია მათთვის შეწირული დროც, მათთან ერთად თამაშებში მონაწილეობის მიღებაც. ასე რომ, გრეგი დარწმუნებული იყო, ყველა მიზეზი ჰქონოდა საიმისოდ, თავი საუკეთესო მამად რომ მიეჩნია.

- მაშ, გამოდის, რომ ჯოანი გარდაიცვალა.

ეს ჰიპოთეზა გრეგს ტანჯვას კი უმსუბუქებდა, მაგრამ მისი ჯეროვნად გააზრებისთვის სრულიად უუნარო აღმოჩნდა.

საღამოს, როცა კაპიტანმა თავისთან იხმო, გრეგი რატომღაც ელოდა, რომ მონრო ვარაუდს დაუდასტურებდა.

უფროსის წინაშე გაჯგიმულმა საკუთარი თავი დაიჭირა იმაში,

რომ რაღაც მოკლე ვედრების მსგავსს დაჟინებით იმეორებდა: „ღმერთმა ქნას, რომ გრეისის სახელი არ წამოსცდეს. ღმერთო, ოღონდ გრეისი არა! იყოს ჯოანი... დაე, იყოს ჯოანი, ჯოანი, ჯოანი...“

- ჩემო საბრალო გრეგ, - ომახიანად წამოიწყო კაპიტანმა, - უნდა გამოგიტყდე, რომ აქამდე ვერაფერი შევიტყვეთ. უამინდობის გამო ხმელეთთან კავშირის დამყარება თითქმის შეუძლებელია. მოკლედ, ვერაფრით ვერ დავადგინეთ, თქვენი ქალიშვილებიდან რომელი...

- გმადლობთ, კაპიტანო...

გრეგი კაპიტანს გამოემშვიდობა და გავიდა. ის თითქმის სირბილით გავარდა კაიუტისკენ. როგორც კი შიგნით აღმოჩნდა, კარი ჩარაზა. სირცხვილისგან ყურები ეწვოდა. ეს რა ხდება მის თავს? სულ რამდენიმე წუთის წინ ერთ-ერთი ქალიშვილის სიკვდილი ისურვა? შეარჩია კიდეც. არა, რომელი შეიძლებოდა საიქიოს გაეგზავნა? კი მაგრამ, რა უფლებით? ვინ მისცა ნება, კაპიტნისთვის ჯოანის სახელი ეკარნახა? მისი სახელის მითითებით განა მკვლელივით არ მოიქცა? მსგავსი უგვანო აზრები ღირსეულ მამებს განა თავში ოდესმე მოუვათ? ერთგული და თავგამოდებული მამა უკლებლივ ყველა ქალიშვილის გადასარჩენად თავდადებით იბრძოლებდა...

გრეგს საკუთარი თავი შესძულდა, ვიწრო საკანში ვეღარ ეტეოდა, ლამის კედლებზე ევლო. ჯავრი რკინის ტიხარზე იყარა. უბრახუნა და უბრახუნა მუშტები მთელი ძალით.

- ო, სირცხვილო! ო, თავის მოჭრავ! როცა გესმის: „თქვენი ქალიშვილი“, შენ გრეისზე ფიქრობ. როცა გამოგიცხადეს თქვენი ქალიშვილი გარდაიცვალაო, მაშინვე ჯოანი დაასამარე. სირცხვილისგან მიწა უნდა გაგისკდეს და ქვესკნელმა შთანგთქას.

მართალია, მისი განსჯისთვის ყური არავის მოუკრავს, მაგრამ თვითონ ხომ არ იყო ყრუ. ამიერიდან თავს სრულ არარაობად, ჩამოყალიბებულ ნაძირალად მიიჩნევდა.ვერასოდეს მოიშუშებს ამ ღია ჭრილობას.

- არ მაქვს უფლება, ჯოანი სხვებზე ნაკლებად მიყვარდეს! არც იმის უფლება მაქვს, გრეისი სხვებზე მეტად შევიყვარო. ქეითმა და ბეტიმ რა დააშავეს? მათზე რატომ არ ვიფიქრე?

მოულოდნელად კარზე დექსტერმა დააკაკუნა.

- როგორ ხარ, გრეგ?

- ნორმალურად.

- სისულელეებს ნუ როშავ. მოდი ერთი აქ, რაღაცა მაქვს შენთვის... ცოტა დაგამშვიდებს... იქნებ გიშველოს...

გრეგი კარს ისე მიაწვა, ლამის გაანგრია. დექსტერს აგრესიულად მიახალა: - მე ვერავინ მიშველის!

დექსტერმა თანხმობს ნიშნად თავი დააკანტურა. წიგნი კი მაინც მიაწოდა: - გამომართვი.

- ეს რაღაა?

- ჩემი ბიბლია.

გრეგი შემოთავაზებისგან ისე დაიბნა, რომ რამდენიმე წამით საკუთარი სადარდებელიც კი გადავიწყდა. ხელები უარობდნენ დროისგან გაცვეთილ და ცხიმისა და ლაქებისგან გაზიპული ტილოგადაკრული წიგნის აღებას. თვალებშიც მოუთოკავი აგრესია ჩაუდგა. ლამის მთელი არსებით ეყვირა: „აბა, რა თავში უნდა ვიხალო ეს შენი ბიბლია?“

- გამომართვი. თუ ვინიცობაა... ისეთ ტექსტს გადააწყდი, რომელიც დაგეხმარება...

- მე არ ვკითხულობ.

- ბიბლიის გადაშლა კითხვას არ ნიშნავს, ეს ფიქრია.

დექსტერმა გრეგს წიგნი ხელებში ლამის ძალით ჩასჩარა და მის მაგივრად სამორიგეოდ წავიდა.

გრეგმა წიგნი ლეიბზე დაახეთქა. მიხვდა, რომ წაძინებას ვერ შეძლებდა. ფეხები სპორტულ ფეხსაცმელებში ჩაყო, ზემოდანაც სპორტული კოსტიუმი მოიცვა და გემბანზე გავარდა. გადაწყვიტა, მანამ ემუშავა, სანამ დაღლილობისგან მუხლები არ მოეკვეთებოდა.

*

მეორე დილით თვალები რომ გაახილა, გრეგი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ჯოანი ცოცხლებში აღარ ეწერა. მსგავსმა

აზრმა ამჯერად სულაც არ მოჰგვარა სიმშვიდე, პირიქით, ააფორიაქა, მძიმე ჭრილობა მიაყენა. ღამეც ესიზმრა, რომ ჯოანი საშინელ აგონიაში იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდი მამა ჰყავდა, უგულო ჩამსახველი. გრეგმა თავი ბალიშში ღრმად ჩარგო და აზლუქუნდა. დასტიროდა ქალიშვილის ბედ-იღბალს, მის ხანმოკლე ცხოვრებას უხეში და სასტიკი მამის გვერდით. თვითონ ხომ ისეთი სუსტი იყო, გრეისსაც ვერ გამოუტყდა, ყველაზე მეტად რომ უყვარდა. სამაგიეროდ, მშვენივრად აგრძნობინა ჯოანს, მისი ატანაც რომ არ შეეძლო. ვარიანტს არ უშვებდა ხელიდან, რომ არ გაეჯორა, უთვალავი შენიშვნა არ გამოეთქვა, ხმა ჩაეკმენდინებინა, არ შეპასუხებოდა, სიტყვა დებისთვის დაეთმო. ერთხელ მაინც თუ უკოცნია საწყალი გოგოსთვის ალალი გულით? ბავშვი ალბათ გრძნობდა, რომ მამას ჩახუტებისას მოვალეობის მოხდის სურვილი უფრო ამოძრავებდა, ვიდრე მამობრივი გრძნობა.

ლოგინში წრიალისას გრეგმა იგრძნო, რომ გვერდით დექსტერის ბიბლიას გაჰკრა ხელი. უნებლიეთ გადაფურცლა. წვრილმა, თითქმის გაურკვეველმა შრიფტმა გააღიზიანა, სარჩევსაც ნაჩქარევად გადაავლო თვალი. სადღაც შუა წიგნიდან საფოსტო ბარათი დააძრო. მუყაოს პრიალა ზედაპირზე უბრალო რელიგიური სცენა მიამიტურად გაეფერადებინათ. წმინდა რიტას თავზე ოქროს შარავანდედი ადგა. წმინდანის ღიმილმა გრეგი სულით ხორცამდე შეძრა. გამოსახულების მიღმა საკუთარი მეუღლე და ქალიშვილები, მათი სილამაზე, სულიერი სიწმინდე და სათნოება დაინახა. ეს იყო მისი ოჯახის ინკარნაცია.

- გემუდარებით, მოახერხეთ ისე, რომ ეს ჯოანი არ იყოს, - ჩურჩულით მიმართა გრეგმა ხატს, - გთხოვთ, ეს ჯოანი ნუ იქნება. მომეცით შანსი, რომ ჩადენილი შეცდომა გამოვაკეთო, ათმაგად მივუძღვნა ის სითბო და სიყვარული, ასე რომ არ მემეტებოდა მისთვის, ყურადღება, ჯოანი სამართლიანად რომ იმსახურებს. გემუდარები, ნუ იქნება ეს ჯოანი.

გრეგმა თავად გაიკვირვა, მუყაოს ზედაპირზე აღბეჭდილ სახეს მსგავსი აღტყინებით რომ მიმართავდა. იგივე გრძნობა შეიპყრობდა ალბათ, ცოცხალი რიტას პირისპირ რომ აღმოჩენილიყო. მას ხომ არც ღმერთისა სწამდა და არც წმინდანების. მაგრამ ამჟამად, როცა დოქტორ სემბადურის დეპეშამ ასე აურია გონება და ასე დაუკარგა სულიერი

სიმშვიდე, გრეგი მზად იყო, ნებისმიერი საშუალება ეცადა, მათ შორის ლოცვაც. რამდენადაც გუშინ ჯოანის გაქრობას ნატრობდა, იმდენად ძლიერ სურდა დღეს, რომ გოგონას ეცოცხლა, რათა დაკარგული დრო აენაზღაურებინა და ასე დიდხანს დათრგუნული სინაზისა და სითბოსთვის გამოსავალი მიეცა.

*

გრეგი ისევ შეუდგა სამუშაოს, მაგრამ ამჯერად ნაკლები შემართებით. ფიქრმა და დარდმა ენერგიის მეტი წილი შეიწირა. მიღებულმა ცნობამ მასში მტკივნეული ფიქრების სამყარო გააღვიძა. მის წინ სულიერი წამების კარიბჭე შეიხსნა. რაღაც მომენტში გრეგის ფიქრებში უფროსი ქალიშვილიც შემოიჭრა. მუდამ ჩუმი და გატრუნული ქეითი ფიზიკურად კოპიო დედამისი იყო, ხასიათიც კი მისი გამოჰყვა. 18 წლის უკვე მუშაობდა ვანკუვერის ერთ-ერთ მაღაზიაში... იქნებ სულაც ქეითი მოკვდა? თუ ეს ნამდვილად ქეითია, საინტერესოა, რა ფიქრებსა და ოცნებებს დაუსვა წერტილი ამ ნაადრევმა სიკვდილმა?

გრეგმა შეიგნო, რომ საერთოდ არ იცნობდა საკუთარ ქალიშვილებს. მათ შესახებ თითო-ოროლა კონკრეტულ ინფორმაციას თუ ფლობდა. მაგალითად, იცოდა მათი ასაკი, ჩვევები, დღის განრიგი, მაგრამ სამაგიეროდ, წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რა ტრიალებდა მათ გონებაში, რაზე ფიქრობდნენ, რაზე ოცნებობდნენ. უცნობი ნაცნობები! მის ძალაუფლებას დაქვემდებარებული გამოცანები. ოთხი ქალიშვილი. ოთხი უცნობი.

შესვენებისას გრეგმა განმარტოება ისურვა. აუცილებლად მხაპი უნდა მივიღოო და ფიცრულში ჩაიკეტა, საბაზანო ოთახის მაგივრობას რომ სწევდა. როგორც კი თავი მარტო იგულა, მექანიკურად გაიხადა ტანსაცმელი. სარკის წინ შიშველი სხეულის თვალიერებას შეუდგა... ჯან-ღონით აღსავსე მხარბეჭიანი მამაკაცი. სახე ნამდვილად არ მეტყველებდა იდეების მოზღვავებაზე. არა, გარეგნული იერი არ ტყუოდა. ვიწრო შუბლი გონიერებისა და აზროვნებისთვის ადგილს თითქმის აღარ ტოვებდა. სქელი თეძოები და განიერი მენჯი, თუმცა ნაკლებად შთამბეჭდავი, ვიდრე ძლიერი კუნთებით დაბურცული ტორსი. სარკეში არეკლილი მამაკაცის ანატომია იმ ადამიანის უტყუარ ისტორიას ჰყვებოდა, რომელმაც თავი

დაუზოგავ ჯაფას შესწირა. ვინ მოსთვლის, რამდენი წელია, თავდაუზოგავად იღვწის. სიქა სძვრება, მაგრამ პირნათლად შესრულებული სამუშაოს გახსენება ყოველღამე სიამაყის გრძნობითა და ენით აღუწერელი სიამოვნებით აღავსებს. არა, ეს მამაკაცი უბრალო ცხოვრებით ცხოვრობს, რომელიც არც არასდროს მობეზრდება. ერთი რამე რომ მოგბეზრდეს, ელემენტარულად, მეორეზე ფიქრის თავი მაინც უნდა გქონდეს...

სარკეში ანარეკლის თვალიერებისას გრეგი საკუთარი თავის ანალიზსა და კრიტიკასაც ეცადა. რაც თავი ახსოვს, სულ ზღვაში ცხოვრობდა, რათა ხმელეთს გასცლოდა. დიახ, ლოთი მამისა და დაბეჩავებული დედის მიერ ჩამოყალიბებულ ოჯახს გაქცეოდა. ღია ზღვაში, რათა ამჯერად უკვე მის მიერვე შექმნილი მეორე ოჯახისგან შორს ეგულა თავი. სიტყვა „შექმნა“ გრეგს, ცოტა არ იყოს, პრეტენზიული ეჩვენებოდა. კანონიერი მეუღლის მფლობელობა სრულიად აკმაყოფილებდა. ქორწინებაც განა ამას არ ემსახურებოდა? იქნებ სხვა რამეს? - გრეგმა ტალღებზე მთელი მსოფლიო გადასერა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ რამე ნახა. ვინ მოთვლის, რამდენ ქალაქში შეუვლია მის სატვირთო გემს, მაგრამ გრეგს პორტს მიღმა თავგადასავლები არასდროს უძებნია. სანაპიროთი კმაყოფილდებოდა, გეგონება, თავადაც იქვე შორიახლო ჩაუშვა ღუზაო... უცხო გარემო მასში ნაკლებად აღძრავდა ნდობის გრძნობას, პირიქით, შეუცნობელი ძლიერ შიშს უნერგავდა. ხშირად იმასაც კი ფიქრობდა, პორტს რომ დავშორდე, ვაითუ დავიკარგო და გემმა გამასწროსო. მოკლედ, მიუხედავად ასეულ ათასობით უკან ჩამოტოვებული კილომეტრისა, ქალაქებისა და ხალხებისა, მიუხედავად ამ უსასრულო ხეტიალისა უცხო ქვეყნებში, გრეგი ამ ქვეყანაზე მხოლოდ საკუთარ კაიუტაში ან პორტის შორიახლო ლუდხანაში თუ ოცნებობდა. მის წარმოსახვაში ისინი ისევ ისე შორეულ, შეუცნობელ და იდუმალ სივრცეებად დარჩნენ, როგორც საკუთარი ქალიშვილები, ეგზოტიკურები და ამოუცნობნი. არც მეტი, არც ნაკლები.

რა შეიძლებოდა ბეტის - უმცროსი ქალიშვილის შესახებ გახსენებოდა? ალბათ მხოლოდ ის, რომ 9 წლის იყო, სწავლობდა არცთუ ისე ცუდად და ცხოვრობდა მამის მიერ ოთახად გადაკეთებულ საკუჭნაოში. სხვა რა?

ბევრი იჭყლიტა ტვინი, მაგრამ გრეგმა ბეტის სახე გონებაში უფრო კონკრეტულად და გამოკვეთილად ვერ აღიდგინა. წარმოდგენა არ ჰქონდა გოგონას არც გემოვნებაზე და არც სურვილებზე, არც არასდროს დაინტერესებულა, ვინ უყვარდა, ვინ სძულდა, რისკენ ილტვოდა. რატომ ვერ გამოძებნა მცირეოდენი დრო მაინც, რათა ქალიშვილებს დაახლოვებოდა? ფაქტია, რომ წარმოუდგენლად პრიმიტიულად ცხოვრობდა. როგორც ხარი, ღია ზღვას რომ ხნავდა.

გრეგმა ბოლო მზერა შეავლო დაკუნთულ სხეულს, რომლითაც ჯერ კიდევ გუშინ ასე ამაყობდა. შემდეგ სწრაფად გადაივლო წყალი და ჩაიცვა.

საღამომდე გრეგი სხვა მატროსებთან ყოელგვარ შეხვედრასა და საუბარს ერიდებოდა. არც მათ გამოუჩენიათ ინიციატივა, თანაუგრძნობდნენ გრეგს, ვინაიდან ღრმად სწამდათ, რომ თანამოძმე ჯვარცმულის ტკივილებით იტანჯებდა. მათ ერთი დეტალი გამორჩათ მხედველობიდან: გრეგი არა მარტო თავს დატეხილი უბედურებისგან იტანჯებოდა, არამედ იმის შეგნებითაც, რომ საკუთარ ქალიშვილებს ჯეროვანი მამობა ვერ გაუწია, უვარგისი მამა აღმოჩნდა.

შუაღამისას, როცა ცას შავი სუდარა გადაეკრა და დრაკონის ხახას დაემსგავსა, დექსტერმა შემოფიცვრითა და ტუმბოების გამართვით ქანცგაწყვეტილ გრეგს ჰკითხა: - ჯერ კიდევ ვერ შეიტყვე შენი ოთახი ქალიშვილიდან რომელი...

გრეგს კინაღამ წამოსცდა: „აბა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მიიბარა უფალმა. არც ერთ მათგანს ვიცნობ დანარჩენებზე უკეთესად“, მაგრამ თავი შეიკავა და ბრაზიანად ჩაიბურტყუნა: - არა!

- არც კი ვიცი, რას ვიზამდი, მსგავსი უბედურება თავს რომ დამტყდომოდა, - ჩაილაპარაკა დექსტერმა.

- შენ წარმოიდგინე, არც მე.

პასუხი დექსტერს ისეთი მართებული და გონივრული ეჩვენა, რომ გრეგისგან მარად აბდა-უბდას ჩვეული, ცოტა არ იყოს, დაიბნა.

გრეგს კი მისთვის მანამდე უცნობი ტკივილი სტანჯავდა: მან ფიქრი იწყო! მთელ მის არსებაში გაუნელებელი პროცესი

ამოქმედდა - აზრების გადამუშავება. პროცესი მძიმე და დამღლელი. გველივით კანი კი არ გამოუცვლია, მაგრამ კანქვეშ ვიღაც უცნობი შეეხიზნა, რომელიც წინამორბედ გრეგს შეერწყა. ახალმა ძველი გრეგი გაავსო. ამ ოდესღაც უწყინარ და უშფოთველ ცხოველში თვითშეგნებამ გაიღვიძა, მორალური და ინტელექტუალური სიმები აუჟღერა.

საწოლზე პირქვე დამხობილი გრეგი გულამომჯდარი დიდხანს ტიროდა. არც უცდია, გაერკვია, ვინ გაემგზავრა იმ ქვეყნად. ნელ-ნელა დაღლილობამ სძლია. თვალები უნებლიეთ ეხუჭებოდა. გახდისა და საბნის გადაფარების თავიც არ ჰქონდა. ის მძიმე, ღრმა და მტანჯველი ძილი დაეპატრონა, რომლის შემდეგაც ადამიანს დილითაც ღონემილეულს ეღვიძება.

გაღვიძებისას გრეგი მიხვდა, რომ დღიდან საბედისწერო დეპეშის მიღებისა, ცოლი ერთი წამითაც კი არ გახსენებია. ისე, უკვე კარგა ხანია, მერის არა მარტო თანამეცხედრედ, არამედ ოჯახურ პარტნიორად, კოლეგადაც მიჩნევდა, ქალიშვილებს სამსახურს რომ უწევდა. ფული გრეგს შემოჰქონდა ოჯახში, მერი კი საკუთარ დროს სწირავდა შვილებს. აი, ასე იყო საქმე აწყობილი. ბარი-ბარში იყვნენ. თანამშრომლობის კლასიკური ფორმაა, ვერაფერს დაუწუნებ. გრეგმა უცებ წარმოიდგინა, რომ მეუღლე საშინლად იტანჯებოდა. ამ აზრმა მეზღვაური ორ ათეული წლით წარსულში გადაისროლა. მერი ოცის თუ იქნებოდა, პირველად რომ შეხვდა. და აი, სწორედ ეს მერი - სუსტი და დაუცველი შეიძლება თავსდამტყდარი უბედურებისგან მიწასთანაა გასწორებული. საინტერესოა, რა დრო გავიდა, რაც მასთან სიყვარულზე არ უსაუბრია? რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მისდამი ყოველგვარი გრძნობა გაუქრა? შფოთვის ურდულები ისევ შეიხსნა. ახლა გრეგი უკვე დილიდან საღამომდე ფიქრობდა, ღამესაც ემოციების ტყვეობაში ატარებდა.

ყოველწუთიერად ან ქალიშვილებზე დარდი თრგუნავდა ან მეუღლეზე. მაშინაც კი, როცა თავდაუზოგავად ღვრიდა ოფლს, მის სულს სევდის ღრუბელი ავსებდა, დარდი, რომელსაც ვერანაირი ფიზიკური დატვირთვა ვერ ერეოდა.

დაბრუნების წინა დღეს მთელი ნაშუადღევი გრეგმა გემბანის მოაჯირს დაყრდნობილმა გაატარა. ტალღები, ტალღები, მხოლოდ ტალღები, ჰორიზონტზე სანახავი თითქმის არაფერი

იყო. გრეგი დროდადრო თავს უკან გადაიგდებდა, ცას ასცქეროდა. ღია ზღვაში ადამიანის თვალს ყველაზე მეტად სწორედ ცა იპყრობს. ის ბევრად უფრო მრავალფეროვანი, მდიდარი და ცვალებადია, ვიდრე ტალღები. ყველა მეზღვაური ღრუბლებზეა შეყვარებული.

გრეგის გონება ვერ ისვენებდა, ხან ცის უკიდეგანო სივრცეებში დანავარდობდა, მისი თბილი ნათებით ტკბებოდა, ხანაც გრეგის აბობოქრებულ სულში იმღვრეოდა. ადრე ამ კოლოსს არც მისცემია საშუალება, ჩვეულებრივი უბრალო ადამიანი ყოფილიყო. ერთი პაწაწინა არსება, ნაწილაკი უნაპირო ოკეანის შუაგულში საკუთარი ფიქრებისა და დედაბუნების უსასრულობაში გაბნეული.

ბინდი როგორც კი ჩამოწვა, გრეგმა მედიტაცია ცრემლების ნაკადულით დაასრულა.

მამამ, რომელსაც ხვალ ვანკუვერში ხმელეთზე გადასვლა მოუწევს, ამ ბოლო სამი დღის განმავლობაში ყველა ქალიშვილი დაკარგა. ყველა! არა ერთი, არამედ ოთხივე.

სატვირთო გემი ხმელეთს უახლოვდებოდა. შორს ვანკუვერის კონტურები იკვეთებოდა.

გემის გარშემო მარდი თოლიების მთელი გუნდი ირეოდა. სანაპიროს ეს ჭეშმარიტი დიასახლისები ბევრად უკეთ იცნობდნენ, ვიდრე მრავალ ჭირვარამგადამხდარი გამოცდილი მეზღვაურები და ისევე სწრაფად შეეძლოთ არემარე დაეზვერათ, როგორც ამას ვერც ერთი გემი ვერ მოახერხებდა.

სულთმხუთავი ზაფხულის შემდეგ ხმელეთზე შემოდგომას გაეშალა ფრთები. ხეებს ფერად-ფერადი სამოსი მოეცვათ. ზოგი ყვითელ მანტიაში იწონებდა თავს, ზოგიც ნარინჯისფერში. ფოთლები დიდებულად ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს. გეგონება, სიცოცხლის ბოლო წამს ამ მძაფრი ფერებით მზეს ემადლიერებოდნენ და მიაგებდნენ სამაგიეროს თავისი ხელგაშლილობისა და გულუხვობისათვის.

როგორც იქნა, გემი ვანკუვერის პორტში შევიდა. სანაპიროს გაყოლებაზე გუშაგებივით ჩამწკრივებული მაღალსართულიანი შუშის სახლები ტალღებსა და ღრუბელთა ქარავანს ირეკლავდა. ამინდი გამუდმებით იცვლებოდა. ხან მზე აცხუნებდა, ხანაც წვიმა დასცხებდა. კოკისპირულ

თავსხმაში, ადგილობრივები „თხევად მზეს“ რომ უწოდებდნენ, „გრედვილი“ ნავსადგომს მიადგა, რომელსაც წითლად შეღებილი ამწეები ზემოდან ქედმაღლურად დაჰყურებდა.

დოკების ფონზე ნაცნობი სილუეტების დანახვისას გრეგი შეცბა. დაუჯერებელია, მას ელოდებიან!

გრეგი მყისიერად შეუდგა თვლას. ცოლი და სამი ქალიშვილი უმალ იცნო.

სათვალავში ერთი ქალიშვილი დააკლდა: გრეგს ჯერ კიდევ არ სურდა, დაედგინა, რომელი. გვერდით გაიხედა. ნავსაბმელის ბაგირებს ეცა.

როგორც კი გემმა მოძრაობა შეწყვიტა, გრეგი თავისი შაოსანი ქალების თვალიერებას შეუდგა. ისინი ქვემოთ, გრეგისგან დაახლოებით ოცი მეტრის სიშორეზე ერთ რიგად გამწკრივებულიყვნენ. პაწაწინები კი ჩანდნენ, მაგრამ მათი ერთიმანეთისგან გამორჩევა მაინც მოახერხა...

ესეც ასე...

ახლა უკვე ყველაფერი დადგენილია: იცის, რომელი გარდაიცვალა და ვინ გადაურჩა სიკვდილს.

გრეგს გული საგულეში ვეღარ უჩერდება, ლამის ათას პატარა ნაწილაკად გაუსკდეს. კი, დაკარგა ერთი ქალიშვილი, სამაგიეროდ, სამი საღსალამათია. ერთი გაქრა, მაგრამ სამი ცოცხალია. გრეგს რეაგირების ყოველგვარი უნარი წაერთვა. ერთადერთი სიცილის სურვილიღა შერჩა, თან თვალებზე ცრემლებიც მოაწვა.

ბეტი... გამოდის, რომ ბეტი მომკვდარა. ყველაზე ყრმა, რომლის შეყვარება ვერც კი მოასწრო.

ტრაპი დაუშვეს.

გრეგი ნაპირზე გადადის. კი მაგრამ, რა ხდება?უეცრად კონტეინერის უკან დამალული ბეტი გამოვარდა და დებისკენ გაქანდა, რათა ოთხივე ხელიხელჩაკიდებულნი მისალმებოდნენ მამიკოს.

ნუთუ ეს შესაძლებელია?

გრეგი გაშეშდა, ადგილიდან ვეღარ იძვრის. გეგონება, ფეხებით ასფალტს მიეწებაო. ითვლის. აგერ, სულ რაღაც ოცდაათ ნაბიჯზე მისი ოთხი ქალიშვილი დგას. ვერაფერი გაუგია. დამბლა დაეცა: მისი ოთხივე გოგონა ცოცხალია. ზურგს უკან სახელურს ჩაებღაუჭა. პირი გაუშრა. ნერწყვსაც ვეღარ ყლაპავს. მაშ ეს შეცდომა იყო? თავიდანვე... დეპეშის ადრესატი თვითონ არ ყოფილა? სხვისთვის იყო განკუთვნილი... უბრალოდ მას გადასცეს, სინამდვილეში ამბავი სხვა მეზღვაურსა და მის ერთადერთ ქალიშვილს ეხებოდა. სიკვდილი გრეგის ოჯახს არ შეჰხებია.

ცოლ-შვილისკენ ბედნიერი გაქანდა. ჯერ მერის გადაეხვია, გულში ძლიერ ჩაიკრა. სიცილი აუვარდა. გაკვირვებული მეუღლე დანებდა. ვეღარ ინძრევა. გრეგი ისე უჭერს მკლავებს, ვეღარ სუნთქავს. მსგავსი მგზნებარებით ქმარი არასდროს გადახვევია. ბოლოს ქალიშვილების რიგიც დადგა. სათითაოდ ჩაიკრა გულში, თანაც არა ერთხელ. ეხება ხელით, უთათუნებს, სინჯავს, ხომ არაფერი ეშლება? მართლა ცოცხლები არიან თუ არა? გრეგმა მეტყველების უნარი დაკარგა. მის ბაგეთ მხოლოდ სიხარულის გაურკვეველი შეძახილები სწყდება. მოზღვავებული გრძნობებისგან თვალები დაენამა. ჯანდაბას! აბა, რა ქნას? ვეღარ იკავებს თავს, უკვე აღარ რცხვენია. ეს ბუნებით მორიდებული, უწყინარი და უტყვი მამაკაცი მზადაა, სიხარულის ნაკადულები ღვაროს. გრეგი გულში იკრავს თითოეულს, განსაკუთრებული სინაზით ჯოანს კოცნის, რომელიც მამის საქციელისგან უსაზღვროდ გაკვირვებული ჩანს. გრეგის თვალში თითოეული ქალიშვილი დაუჯერებელი სასწაულია.

ბოლოს მეზღვაური წაიჩურჩულებს: - ისეთი ბედნიერი ვარ, ყველას ერთად რომ გხედავთ!

- ალბათ მიიღე შეტყობინება, - კითხულობს მერი.

კი მაგრამ, რის შესახებ ესაუბრება მეუღლე? არა, არა, ოღონდ მერი არა... მერი მაინც ნუ გაახსენებს იმ აბსურდულ დეპეშას. ის მახსოვრობიდან ამოშალა, აღარ ეხება. უბრალოდ, შეცდომა იყო.

- რის შესახებ?

- დოქტორი სემბადური მარწმუნებდა, რომ გემზე დეპეშა გააგზავნა.

უეცრად გრეგი გაშეშდა. ხომ არ მოესმა? გამოდის, რომ არავის არაფერი შეშლია და შეტყობინება მის სახელზე მოვიდა!

მერიმ თავი ჩაქინდრა და მწუხარე ხმით წარმოთქვა: - საშინელი ტკივილი დამეწყო. საავადმყოფოში წავედი. მუცელი მომეშალა, გრეგ. ჩვენი ბავშვი ვერ შევინარჩუნე.

უეცრად გრეგს გაახსენდა ის, რაც აქამდე თავშიც კი არ მოსვლია. წასვლისას მან ხომ ცოლი ფეხმძიმედ დატოვა, თუმცა, საერთოდ გადაავიწყდა. ახლა კიდევ ისეთი ძნელი დასაჯერებელი იყო ცნობა ჩვილის გარდაცვალების შესახებ, როცა არც კი ენახა, როგორ დაუმრგვალდა ცოლს მუცელი. მერის უეჭველად ისევ ქალიშვილი უნდა შესძენოდა. თუ ექიმმა სემბადურმა დეპეშაში სახელი არ მიუთითა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნაყოფს ჯერ კიდევ არ აღენიშნებოდა სქესი.

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში მერისა და მის ოთხ ქალიშვილს შეხვედრის სცენა და გრეგში მომხდარი რადიკალური ცვლილებები თავიდან არ ამოსდიოდათ. გაოცებას ვერ მალავდნენ. გრეგი ზრუნავდა მეუღლეზე, ყურადღებას წამითაც არ აკლებდა. ის კი არა, დაჟინებით მოითხოვა ჩანასახში დაღუპული ბავშვის მონათვლაც.

- რიტა... დარწმუნებული ვარ, რომ მას რიტა ჰქვია.

გრეგმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ რიტა მიწისთვის მიებარებინათ. ყოველ ცისმარე დღეს სასაფლაოს სტუმრობდა და ჩვილის საფლავს ყვავილებით ამკობდა. ყოველდღე რიტას პაწაწინა საფლავზე დახრილი ცხარე ცრემლებთ ტიროდა, მოთქვამდა ბავშვზე, რომელიც არც უნახავს, არც არასდროს შეჰხებია და არც მოსაფერებელი სიტყვები უჩურჩულია ყურში. ქეითს, გრეისს, ჯოანსა და ბეტის ვერც კი წარმოედგინათ, რომ ამ უხეშ და გაუთლელ მამაკაცს ამდენი ყურადღების, სითბოსა და სინაზის ფრქვევა შეეძლო. გოგონები შეეჩვივნენ ამ ჯან-ღონით სავსე მამა-კოლოსის მუდმივ გადაადგილებებს. ხანმოკლე მობრუნების დროს ყოველ მის ბრძანებას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ და დაზაფრულები ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ. ახლა კი გრეგს სულ სხვა თვალით შეხედეს. თურმე ის უწინდელი მკაცრი და მარად მოქუფრული მამიკო არც ისე საშიში ყოფილა.

ორი თვის თავზე გრეგმა გოგონებს გამოუცხადა, მორჩა, აღარ

გავალ ზღვაში, რადგან პორტში მტვირთავის ადგილს გამოვკარი ხელიო. გოგონების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ეს ნაცნობი უცნობი, ასეთი შორეული და ასეთი მრისხანე ბოლოს და ბოლოს მათ ნამდვილ მამად იქცა.

კონცერტი „ანგელოზის ხსოვნას“

კრისი მონუსხული უსმენდა მუსიკოსს. მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რამდენად აღმატებული იყო აქსელი მასზე.

მუსიკის ჰანგები ვიოლინოს მოსწყდა და აფრინდა, გადაუფრინა ხეების კენწეროებს, რათა მალე ცის ლაჟვარდს, ტროპიკულ ბურუსს, ჩიტების ჟივილ-ხივილს, ღრუბლების სიმსუბუქესა და სიფაფუკეს შერწყმოდა. აქსელი კი არ უკრავდა, არამედ სუნთქავდა მუსიკით, ქმნიდა მელოდიას. განწყობათა მონაცვლეობა, სისწრაფე და შენელება მისგან მოდიოდა, ორკესტრი კი მორჩილად მიჰყვებოდა. თითები წამიერად აცოცხლებდა მუსიკოსის გონებაში დაბადებულ სიმღერას. ვიოლინო გარდაიქმნებოდა ხმად. ხან მოდუნდებოდა და მინავლდებოდა, ხან ისევ ენერგიას იძენდა და ბობოქრობდა.

კრისი ერთდროულად ემორჩილებოდა და ეწინააღმდეგებოდა კიდეც ხიბლის ამ უწყვეტ ნიაღვარს. გრძნობდა საშიშროების მოახლოებას: თუ აქსელი საბოლოოდ მონუსხავს, ის საკუთარ თავს სამუდამოდ შეიძულებს.

აბა, რა უნდა თქვას ადამიანმა ჩვეულებრივ მოკვდავ მუსიკოსებზე? გრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი დარბაზში სხვებთან ერთად ისხდნენ, რომ ეს-ესაა მოსწყდნენ თავიანთ სავარძლებს და სცენისკენ გაემართნენ. ფესტივალის ორკესტრის უმრავლესობაც ამასვე გაფიქრებინებდათ. ერთი მათთვის უნდა შეგეხედათ. შეუმდგარი მუსიკოსები, სახეზე აზრის ნატამალი რომ არ ეკითხებოდათ, იაფფასიან ჩარჩოებში ჩასმული სათვალით, უგემოვნო და სისწრაფეში დაუფიქრებლად შერჩეული ტანსაცმლით მოსილნი. მათ გვერდით აქსელი უცხო სამყაროდან ჩამობრძანებულს ჰგავდა,

სადაც მხოლოდ გონიერება, გემოვნება და კეთილშობილება ბატონობს. მაღალი არ ეთქმოდა, უფრო საშუალო აღნაგობის, საკმაოდ ტანადი იყო და ტორსიც დაკუნთული ჰქონდა. იერით კატას მოგაგონებდათ. სამკუთხა სახეში დიდრონ თვალებს საკმარისი ჰარმონია შეჰქონდათ. აი, გამოხედვა კი ნამდვილად ჰიპნოზური ჰქონდა, დამანგრეველ ენერგიას აფრქვევდა.

პატიოსანი, გულუხვი, ექსპანსიური, მაგრამ ამავდროულად თავშეკავებული და გაწონასწორებული აქსელი ბრბოს კერპს მოგაგონებდათ, მოელვარესა და გაბრწყინებულს, ნდობის ჩამსახველს, ამაღლებულთან ნაზიარებს, გონიერებითა და გენიით სავსეს. შთაგონების ყოვლისშემძლეობით აღჭურვილს, ვიოლინოზე დაკვრისას მედიტაციების მორევი ითრევდა. ყოველ წამს გამოკვეთდა მუსიკის მკურნალ ძალას, მსმენელში მიძინებული სულიერება იღვიძებდა, ის უკეთესი ხდებოდა. აქსელი... ხელი იდაყვში ოდნავ მოხრია... როგორი კრიალა და ნათელი შუბლი აქვს... უსმინეთ, ცხოვრების მთელ ფილოსოფიას მისი ხემი წამში კანტილენად გარდაქმნის.

კრისი ფეხსაცმელებს მიაშტერდა. არა, ნამდვილად გაღიზიანებული ჩანს. ფორტეპიანოზე მას მსგავსად ცხოვრებაში არ დაუკრავს. რა წყალში გადავარდეს ახლა? დაანებოს მუსიკას თავი? ის ხომ მხოლოდ 19 წლისაა, არაერთ პრიზს გამოჰკრა ხელი, მედლებიც დაკიდეს, პრემიებითაც დაასაჩუქრეს, არც წოდებები დააკლეს. ამ ეგრეთ წოდებულ საკონკურსოდ გაწვრთნილ მხეცს რა მახე არ დაუგეს. სულ ტყუილად. ყველაფერს გაუმკლავდა, ლისტსაც და რახმანინოვსაც. ახლა კი აქსელად წოდებული ამ სასწაულის შემხედვარემ გაისიგრძეგანა, რომ ყველა გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ ოფლის ღვრისა და გულმოდგინების წყალობით მოიპოვა. მხოლოდ ის თუ იცოდა, რისი შესწავლაც შესაძლებელია. აქსელი კი შეუძლებელს ფლობდა. სცენაზე სოლისტს მხოლოდ ნოტების სიზუსტე არ შველის. მან ჭეშმარიტი, წრფელი მუსიკა უნდა ააჟღეროს. აქსელი ამას აღწევდა. განგებამ მისთვის ეს ნიჭი არ დაიშურა. კრისი ნამდვილ ჟღერადობას მხოლოდ თუ წაეპოტინებოდა და ისიც არაადამიანური ჯაფის, ქანცგამწყვეტი მეცადინეობის, ტვინის ჭყლეტისა და მიმბაძველობის ხარჯზე.

კრისი აძაგძაგდა. არადა, მზეს ტაილანდის ამ მშვენიერ კუნძულზე ჰაერი 35 გრადუსამდე გაეთბო. ამ ჟრჟოლამ მისი

მოუთმენლობა გამოააშკარავა. დაე, შეწყვიტოს დაკვრა აქსელმა, ნუღა მოახვევს თავს ამ დიდებულებას. დაე, მალე განახლდეს შეჯიბრი.

პროგრამა სახელწოდებით „music and sports in winter“[2] კონსერვატორიის სტუდენტებს, ასევე მუსიკაში კარგად გათვითცნობიერებულ მოყვარულებსა და პროფესინალებს შესანიშნავ შესაძლებლობას სთავაზობდა, გართობა, ფიზიკური ვარჯიში და პროფესიული წვრთნა ერთმანეთისთვის შეეხამებინათ. კონსერვატორიის ყველა სტუდენტი მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ რეპეტიტორთან ყოველდღე მეცადინეობდა, საღამოს კი ყველანი ერთად უკრავდნენ ან სპორტულ შეჯიბრებებში იღებდნენ მონაწილეობას. აფრიანი ნავებით შეჯიბრს, ყვინთვას, ველორბოლას, დოღსა და რალის პირველი პრიზის მფლობელი უნდა გამოევლინა, რაც მერლინის ფილარმონიის ორკესტრში მსოფლიოს საუკეთესო მუსიკალურ კოლექტივთან ერთად ერთკვირიანი სტაჟირების გავლას გულისხმობდა.

აქსელმა მეორე ნაწილს შეუტია. კრისი, რომელიც ამ საკმაოდ ეკლექტურ ფრაგმენტს მუსიკალური ხელწერის თვალსაზრისით უღიმღამოდ და ბრწყინვალებას მოკლებულად მიიჩნევდა, ფიქრობდა, რომ აქსელი კისერს წაიტეხდა, ხიბლიც გაუნავლდებოდა და პუბლიკასაც სევდას მოჰგვრიდა. ამაო აღმოჩნდა მისი იმედი. აქსელმა ნოტებს სრულიად მოულოდნელი შეფერილობა შესძინა: ყველა ბგერა თითქოს აღშფოთებას, ამბოხსა და მძვინვარებას გამოხატავდა. ფორმაც გამოიკვეთა და შინაარსიც: ალბან ბერგის ნაწარმოები, რომელიც პირველ ნაწილში „ანგელოზს“ - გარდაცვლილ ბავშვს გვახსენებდა, ხოლო მეორეში მშობლების მოუშუშებელ ტკივილს, გამთლიანდა.

- წარმოუდგენელია! დაუჯერებელია! ჩემი საუკეთესო ჩანაწერებიც კი დაჩრდილა.

როგორ ახერხებს სულ რაღაც ოციოდე წლის ახალგაზრდა ფერარები და გრუმიოები, თვით მენუჰინი, პერლმანი და კიდევ ვიღაც შტერნები უკან ჩამოიტოვოს?

კონცერტი ხემის წვერებზე დაკრული ბახის ღვთიური ქორალის რემინისცენციებით დასრულდა, რამაც მსმენელი In extremis[3] კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ყველაფერს,

ყველაზე ტრაგიკულსაც კი შეიძლება გამართლება მოეძებნოს. მოდერნისტი კომპოზიტორისათვის რწმენის ეს სრულიად უცხო და გასაკვირი სიმბოლო აქსელმა დაუჯერებლად დამარწმუნებლად და შთაგონებულად გადმოსცა.

პუბლიკა ლამის ხელების მტვრევამდე უკრვდა ტაშს, მუსიკოსები ხემებს პიუპიტრებზე უკაკუნებდნენ. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ავსტრალიელს ერჩივნა, იქიდან შეუმჩნევლად გამქრალიყო, ოღონდ ყველა აპლოდისმენტი მხოლოდ მუსიკის ავტორს, ალბან ბერგს რგებოდა. არადა ეს ოვაციები მას, ერთ მოკვდავ შემსრულებელს მოუწყვეს. პუბლიკის ენთუზიაზმი აქსელმა უადგილოდ კი მიიჩნია, მაგრამ მაინც ეცადა, დარბაზს მისალმებოდა. მორიდებულად დახარა თავი. თუმცა ამ მოუხერხებლობასა და დაბნეულობაშიც კი იგრძნობოდა დახვეწილობა და მოხდენილობა.

კრისი იძულებული გახდა, სხვებისთვის მიებაძა და ფეხზე წამომდგარიყო. დარბაზში ხმაურიან ოვაციებს დასასრული არ უჩანდა. კრისმა ტუჩები სულ დაიკბინა და დაბნეულმა აქეთ-იქით მიმოიხედა. ხედავ? აქსელმა ამ უმეცარი დარბაზის ანთებაც კი მოახერხა. დეკაფონისტური მუსიკა მოცურავეებს, პლაჟზე კოტრიალისა და გარუჯვის მოყვარულებს, ადგილობრივ მოსახლეებსაც კი შეასმინა! სამი გამოძახების შემდეგ კრისს ნერვებმა უმტყუნა. ეს გამარჯვება მისთვის აუტანელი ხდებოდა. გაძვრა-გამოძვრა აღელვებულ და აგზნებულ მსმენელებს შორის, პალმების ქვეშ საგანგებოდ იმპროვიზებული საკონცერტო მოედანიც დატოვა და საკუთარი კარვისკენ სწრაფად გაეშურა.

გზად ნიუ-იორკელ პოლ ბრაუნს, ამ საერთაშორისო შეხვედრების ორგანიზატორს შეეფეთა.

- აბა, როგორ მიდის საქმეები, პატარა კორტოს[4] მოეწონა კონცერტი?

პოლ ბრაუნმა კრისი „პატარა კორტოდ“ მონათლა, ვინაიდან ყრმა შემსრულებელი პიანისტი იყო და თანაც ფრანგი. ტრადიციულად, ამერიკელი პედაგოგები კორტოს ფრანგული საფორტეპიანო მუსიკის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.

- აქსელმა განსხვავებული კუთხით აღმომაჩენინა მუსიკა, რომელზეც აქამდე მაინცდამაინც არ ვგიჟდებოდი.

- უფრო გაჯავრებული მეჩვენები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ წინააღმდეგობას ვერ უწევ და მზად ხარ, უბრძოლველად დაყარო ფარ-ხმალი. დავიჯერო, კონცერტმა არ აღგაფრთოვანა? ვერც ბერგი დააფასე და ვერც აქსელის ოსტატობა?

- აღფრთოვანება არ არის ჩემი თვისება. გამოწვევას, შეჯიბრსა და გამარჯვებას ვამჯობინებ.

- ძალიან კარგად მესმის შენი განწყობა. შენ და აქსელი ძალიან განსხვავდებით ერთმანეთისგან. ერთს სახეზე მარადი ღიმილი აკერია, მეორე წელებზე ფეხს იდგამს და ოფლში იწურება. შენ მებრძოლი ხარ, ის ნეტარი გენია. შენ ცხოვრებას აღიქვამ, როგორც უსასრულო ბრძოლას, აქსელი კი მშვიდად მიიწევს და აზრადაც არ მოსდის, რომ შესაძლოა სადმე საფრთხემ შეაბრკოლოს.

პოლ ბრაუნმა კრისს შემფასებელი მზერა შეავლო. დიდი-დიდი, 19 წლის თუ იქნება. ვერ იტყვი, რომ შავი თვალები და ეს გრუზა შავი თმა არ უხდება; საკმაოდ ქედმაღალი ჩანს. ეტყობა, შეძლებულ ოჯახში გაიზარდა და განებივრებულია. ძლიერი აღნაგობა კი აქვს, მაგრამ არაფრით გამორჩეული. ცხვირზე მგოსნის სათვალე დაუკოსებია, წვერიც მაკრატლით კოხტად შეუკრეჭია, რაც ძლიერი მამრის იერს სძენს. ცხადია, ითხოვს, რომ მოეპყრან, როგორც ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ მამაკაცს და შესაბამისი პატივიც სცენ...

- თქვენი აზრით, ვის მხარეზეა სიმართლე?

- ვშიშობ, რომ მართალი შენ ხარ.

- ოოო.

- დიახ, ჩემო პატარა კორტო. ამერიკელი ტყუილად კი არ ვარ! უცოდველობა და უბოროტობა, რწმენა და ნდობა თავისთავად მშვენიერია, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარი ამ სამყაროსთვის. კარიერა რომ დაიწყო, უწინარეს ყოვლისა, დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყო, მაგრამ ნუ გგონია, რომ ეს სავსებით საკმარისია. შენი კარიერა ვერა და ვერ შედგება, თუ მიზანდასახული, ამბიციური და - რატომაც არა - ღვარძლიანი არ ხარ. შენ, ჩემი აზრით, მსგავსი მენტალობის ადამიანი ხარ.

- აჰ, შენ ამით იმის თქმა გსურს, რომ აქსელზე უკეთ დაკვრას

შევძლებ?

- არა, მე ეს არ მითქვამს. აქსელზე უკეთ ვერავინ დაუკრავს. სამაგიეროდ, შენ შეძლებ, ბევრად უკეთესი კარიერა გაიკეთო.

ამ შენიშვნის უკან დიდი თავშეკავება იმალებოდა, მეტიც - მწარე განაჩენი. კრისი სულელი ნამდვილად არ იყო. ნათქვამი მშვენვრად გაიგო, მაგრამ ამჯერად გადაწყვიტა, მასში მხოლოდ ქათინაური ამოეკითხა. პოლ ბრაუნმა შუბლზე ხელი იტაკა და მხიარული ხმით შეჰყვირა: - აბელი და კაენი! ჩემთვის ვინმეს რჩევა რომ ეთხოვა, აი, როგორ მოგნათლავდით ორივეს: ორი ძმა რადიკალურად განსხვავებული ხასიათით - კაენ მრისხანე და აბელ მორჩილი.

საკუთარი გამჭრიახობით აღფრთოვანებული ამერიკელი გამოხმაურების მოლოდინში კრისს პირდაფჩენილი მიაშტერდა. ეს უკანასკნელი მხრების აჩეჩვით დაკმაყოფილდა.

- „პატარა კორტო“ სრულიად საკმარსია, ჩემი აზრით. იმედი მაქვს, სიტყვა „პატარაში“ მხოლოდ ჩემი ასაკი მოიაზრება, - თქვა მან და გზას გაუდგა.

ბოლო კვირის დილას თმააბურდული კრისი მოუთმენლობამ ლოგინიდან წამოაგდო. კმარა ამდენი ძილი. დადგა მოქმედების დრო. მოსალოდნელი შერკინების წინ მთელი სხეული აექავა.

წინა დღეს ფინალური რალი კინაღამ გამორჩა. მშობლებმა დაურეკეს პარიზიდან და აუწყეს, სამშაბათს ცნობილი იმპრესარიოების თანდასწრებით სერიოზული მოსმენის გავლა მოგიწევსო. კეთილგონიერება ამ ამბის შეტყობისთანავე გამგზავრებას ითხოვდა. მას ხმელეთისთვის რომ მიეღწია, ჯერ გემით უნდა ემგზავრა, შემდეგ კი ბანგკოკში ჩასულიყო, - ოთხი საათი მგზავრობა! - და ბოლოს, თვითმფრინავით 12 საათში ნახევარი დედამიწა გადაესერა. ამ განრიგითაც კი ვერ შეძლებდა ტაილანდსა და საფრანგეთს შორის არსებულ დროში განსხვავებას შეჰგუებოდა. ეს გონივრული გამოსავალი კრისმა თავიდანვე დაგმო. ისევ გადახედა გადაჯდომა-გადმოჯდომების განრიგს და, როცა დარწმუნდა, რომ კვირას გამგზავრების შემთხვევაშიც ყველაფერი ესწრებოდა, რაღაც ეშმაკის მანქანით შეჯიბრში მონაწილეობის უფლებაც შეინარჩუნა.

რატომ მოუწყო საკუთარ თავს მსგავსი სტრესი? მას ხომ პირველი პრიზის მოპოვება საერთოდ არ აინტერესებდა? პიანისტს ორკესტრთან (თუნდაც ბერლინის) გატარებული ერთი კვირა სულაც არ აძლევს კონცენტრირების საშუალებას. არადა ბრძოლაში ჩაბმისა და გამარჯვების ჟინი კლავდა. რაო? ისე წასულიყო აქედან, რომ აქსელი ორთაბრძოლაში არ გამოეწვია? არ უნდა დაემარცხებინა ის ავსტრალიელი? არა, აქსელისთვის თავისი აღმატებულობა აუცილებლად უნდა დაემტკიცებინა, მეტიც, ფეხქვეშ გაეგდო და ჭიანჭველასავით გაესრისა.

საუზმეზე პიანისტმა გრძელ სკამს გადაალაჯა და მევიოლინეს ცხვირწინ დაუჯდა. ამ უკანასკნელმა ამოხედა.

- გამარჯობა, კრის, - მიესალმა აქსელი, - გამიხარდა შენი დანახვა.

უცნაურად აპრეხილი წამწამები აქსელის ღიმილს ერთგვარ სინაზეს სძენდა, რისგანაც გოგონებს გული მისდიოდათ, ბიჭები კი სრულიად განიარაღებულნი რჩებოდნენ. ვერც მისი ცისფერი თვალების გამჭოლ მზერას უძლებდა ვერავინ. ადამიანებს რჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ აქსელი მათ რენტგენის სხივებში ატარებდა.

- გაგიმარჯოს, აქსელ. ვატყობ, დღეს მადას არ უჩივი.

- რატომ მეუბნები? რა, დღეს რამე განსაკუთრებული ხდება? ოჰ, სულ გადამავიწყდა. დღეს ხომ რალია დანიშნული...

გაცინებისას აქსელი თავს უკან გადაიგდებდა ხოლმე, გეგონება, გიხმობდათ, ყელზე რომ მთხვეოდით.

კრისს ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ეს შეჯიბრი აქსელს ასე გულგრილს ტოვებდა. როგორც ჩანს, ორთაბრძოლა მისი აკვიატება ნამდვილად არ არის. „არა, აქსელი აშკარად დამცინის. თავს იკატუნებს, რომ უზრუნველი და უდარდელია. სინამდვილეში დღეს ადრიანად ამისთვის თუ ადგა. ხომ ვიცი, რომ თავში სულ რალი უტრიალებს“.

- ნამდვილად არ ვიცი, - განაგრძო აქსელმა, - წავალ თუ არა. ღირს კი ჩიტი ბრდღვნად? მე თუ მკითხავს კაცი, ნაშუადღევს პლაჟზე კითხვას ვამჯობინებდი. პარტიტურები მაქვს თან წამოღებული. ერთი წიგნიც გამოვაყოლე, რომელიც დავიწყე და

ბოლომდე ვერა და ვერ ჩავიკითხე.

- ჰო, მაგრამ სხვებს ასე კატეგორიულად ვერ გამოეთიშები. ისინი შენგან თანადგომასა და სოლიდარობას მოელიან, - აღშფოთდა კრისი, - პუბლიკამ კი დააფასა შენი სოლო გამოსვლა, მაგრამ სოლო ცალკე, სხვებისგან მოწყვეტილი, არა მგონია, ისეთივე წარმატებული იყოს.

აქსელს სახეზე ალმური გადაეკრა.

- მართალი ხარ, მომიტევე, მე მივიღებ მონაწილეობას. მადლობა, სწორ გზაზე რომ დამაყენე! ზოგჯერ საშინლად ვიქცევი ხოლმე. მხოლოდ საკუთარი თავი მახსოვს, გუნდი კი მავიწყდება.

- გირჩევნია, ჩემზე იფიქრო. აი, რომ დაგაჩოქებ, მაშინ ნახავ, - ჩაიბურდღუნა კრისმა.

შეჯიბრი ცრა საათზე დაიწყო. მონაწილეებს ველოსიპედები და კუნძულის გეგმა დაურიგდათ, პირველი ორიენტირიც მიენიშნათ. სტარტის შემდეგ პუნქტიდან პუნქტამდე უნდა გადაადგილებულიყვნენ. ყოველ წერტილში უნდა მიეღოთ ინფორმაცია, როგორ მიეღწიათ მომდევნომდე და ამგვარად მისულიყვნენ ბოლო სამალავამდე, სადაც საგანძური უნდა აღმოეჩინათ. იმას, ვინც პირველი გატეხდა მეკობრის სკივრს, ჟეტონი №1 უნდა რგებოდა, მორიგს - ნომერი მეორე და ასე შემდეგ.

- დაე, საუკეთესომ გაიმარჯვოს! - იხავლა პოლ ბრაუნმა. სახე აუჭარხლდა, კისრის ძარღვები სულ დაებერა.

ფირუზისფერ ცაზე რაკეტამ გაიშხუილა.

კრისი შურდულივით მოსწყდა სასტარტო წერტილს. ისე ძლიერ აჭერდა პედლებს, გეგონება, ფინალური მონაკვეთი უნდა დაეფარაო. ვინც გზაზე გადაეღობა, იდაყვებით მიყარ-მოყარა.

მესამე ეტაპის გადალახვის შემდეგ კრისი მრბოლელთა სათავეში მოექცა. რებუსის ამოხსნა და სამალავების აღმოჩენა ბავშვურ თამაშად ეჩვენებოდა, მაგრამ თავს მოდუნებისა და სიჩქარის შენელების უფლებას მაინც არ აძლევდა. ერთ გარემოებას მაინც გამოჰყავდა წყობიდან. ბობი და კიმი, ტექსასელი და კორეელი პირდაპირ კუდში მიჰყვებოდნენ.

შეურაცხყოფილი კრისი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა: შეჯიბრში იმიტომ კი არ ვმონაწილეობ, რომ ამ ორს გავეჯიბრო, მომშორდენ ეს ტუბისტი და პერკუსიონისტიო. როგორც ყველა მუსიკოსი, კრისიც იერარქიული დაყოფის ქომაგი იყო: მწვერვალზე მხოლოდ აღიარებულ სოლისტებს, პიანისტებს, მევიოლიონეებსა და ვიოლონჩელისტებს მოიაზრებდა, ქვედა სართულზე - ფლეიტისტების, ალტისტების, არფისტებისა და კლარნეტისტების ამალას, სულ ქვემოთ კი ჯურღმულებში მოსამსახურეები ბინადრობდნენ, ანუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ინსტრუმენტებზე დამკვრელები, როგორებიც არიან მესაყვირეები ან დრამერები.

„ნეტა რატომ მოჩანჩალებს აქსელი ყველაზე უკან?“ - მკითხაობდა თავისთვის კრისი.

კრისი სხვებს საკუთარი ქმედებების მიხედვით აფასებდა. ამიტომაც წარმოიდგინა, რომ აქსელი განგებ ითრევდა ფეხს, რათა მასთან შეჯიბრი როგორმე თავიდან აეცილებინა. ასე, თუ შეიძლება ითქვას, ნახევარ რეჟიმში მონაწილეობით აქსელი თავისთვის იტოვებდა შესაძლებლობას ეთქვა: „რომ მდომოდა, აუცილებლად გავიმარჯვებდი!“ - ნაძირალა! მატყუარა! უსუსური და არარაობა! - ბურდღუნებდა საშიში აღმართის გადასალახად უკვე პედლებზე წამომართული კრისი.

მეათე ნიშნულთან კრისმა უკან მოიხედა და რას ხედავს? აქსელი ბობსა და კიმს საცაა დაეწევა.

- აჰა, იკადრა, როგორც იქნა, ბიჭმა შეჯიბრში მონაწილეობა.

მოწინააღმდეგეთა ღირსეულობა და ღირებულება განსაზღვრავს შეჯიბრის მნიშვნელობასა და მოპოვებული გამარჯვების ფასეულობას. როგორც კი კრისმა დაინახა, რომ აქსელი ლიდერებს უახლოვდებოდა, ენერგიის მოზღვავება იგრძნო.

მზე ზენიტს უახლოვდებოდა. თაკარა მზე საშინლად იკბინებოდა. კრისმა ხვატის მიუხედავად გადაწყვიტა, დამასრულებელ ეტაპებზე მთელი თავისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული მობილიზაცია მოეხდინა. გზად დაგებული მახეები სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. კიმი და ბობი რებუსების ამოხსნას დიდ დროს ანდომებდნენ, მოპოვებული პოზიციაც მალევე დაკარგეს და ჩამორჩენილთა ამალაში აღმოჩნდნენ. ავანგარდში მხოლოდ

კრისი და ავსტრალიელი მოექცნენ. როგორც იქნა, კრისის გულის გასახარად, შეჯიბრი დუელს დაემსგავსა.

„დუელი და დუეტი... ის ბეხრეკი და გამოტვინებული პასტელა მიმტკიცებდა, რომ კამერულ მუსიკაში ამ ორ ცნებას ერთმანეთში ვურევდი! დუეტი ერთად დაკვრას, შეთანხმებულ ჰარმონიას ნიშნავს, მესიე კრის, დუელი კი განსხვავებული რამაა: ეს მოწინააღმდეგესთან შეტაკებაა, სამკვდრო-სასიცოცხლო შებმაო - მიჩიჩინებდა ის ხეპრე. არცაა გასაკვირი, რომ პედაგოგის პოსტს ვერ გასცდა. პუბლიკასთან პირისპირ არც არასდროს აღმოჩენილა. საწყალი ვერ ტვინავდა, რომ მზისქვეშეთში ყველაფერი მარადი დუელია!“

სხვათა შორის, ზუსტად ასე გამოვიდა გასულ ოთხშაბათს, როცა პოლ ბრაუნმა აქსელსა და კრისს ფრანკის სონატის დაკვრა მოსთხოვა ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის. კრისი რამდენიმე ტაქტში მიხვდა, თუ როგორი სიმსუბუქით, თავდაჯერებულობითა და სისავსით შეება აქსელი ნაწარმოებს. რაღაც მომენტში კი სრული განცდა დაეუფლა, რომ მელოდიის ავტორი თავად აქსელი იყო და არა ფრანკი, რომ მის შეთხზვას სწორედ ამ დილით მორჩა. არა, კრისს ყურადღება საკუთარ თავზე სხვა რამით უნდა მიექცია: საკუთარ შესაძლებლობათა დიაპაზონი ნიუანსებით, კონტრასტების გამძაფრებით, სისხარტით, ტემპის აჩქარებით უნდა წარმოეჩინა; ყოფილიყო, რაც შეიძლება თბილი და ნაზი, ხანდახან მეოცნებეც, ზოგჯერ მდუღარე და დაუოკებელი, მანერულიც და ზღვარგადასულიც. ერთი სიტყვით, საგანგებოდ უნდა ეცვალა სახე სეზარ ფრანკის სონატისთვის. აქსელის დაკვრა მასთან შედარებით მორცხვი, გაუბედავი და მქრქალი უნდა გამოჩენილიყო. ჩაფიქრებულმა სტრატეგიულმა გეგმამ გაამართლა. კრისი ქათინაურებით გაავსეს. პოლ ბრაუნმა კი სკეპტიკური სახით აგრძნობინა ფრანგს, რომ მის მიერ მოფიქრებული ხრიკი იაფფასიანი იყო და ჭეშმარიტი პიანისტისთვის უკადრისი.

მეოცე ნიშნულის სიმბოლოების გაშიფვრამ კრისს აფიქრებინა, რომ საგანძური არა ხმელეთზე, არამედ წყლის სიღრმეში - მარჯნის რიფების მასივქვეშ უნდა ყოფილიყო გადამალული. დადგა დრო, როცა მას ერთთვიანი დამქანცველი ვარჯიში თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა.

კრისი ნაპირს უახლოვდება. ოთხი წუთით უსწრებს აქსელს: ველოსიპედს ბუჩქნარში მალავს და რუკაზე მითითებული

უბისკენ თავქუდმოგლეჯილი გარბის. იქ წნულ ჯიხურში მყვინთავის აღჭურვილობა ელოდა წარწერით „Music and sports in winter“ - შესანიშნავია! არ შევმცდარვარ.

ყოველ ათ წამში ერთხელ უკან იხედებოდა, რათა საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებულიყო. ღელავდა. სასწრაფოდ მოიცვა ჰიდროჟილეტი, ზურგზე ჟანგბადის ბალონები თასმებით დაიმაგრა, ფეხები ფარფლებს გაუყარა, ნიღაბიც მოხერხებულად მოირგო.

ამ დროს კრისმა ჰორიზონტზე აქსელიც დალანდა. ელდანაკრავივით ჩახტა წყალში და ფარფლების ენერგიული მოსმით მარჯნის რიფებისკენ გაუტია.

- ჩემი გათვლით სამალავი აღმოსავლეთით უნდა იყოს.

კრისი ტალღოვანი მოძრაობებით საკმაოდ დაწინაურდა. ასიოდე მეტრის გაცურვის შემდეგ უკან ინსტინქტურად მიიხედა: „აბა, სად ბრძანდება ვაჟბატონი?“ აქსელს გეზი დასავლეთისკენ აეღო.

- რატომ დასავლეთით? კი მაგრამ, იქით რა უნდა?

აქსელის ადგილას სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, კრისი ამ დეტალს საერთოდ არ მიაქცევდა ყურადღებას. მაგრამ მოქიშპის გადაწყვეტილებამ მის აფორიაქებულ გონებაში სერიოზული ეჭვი დაბადა...

დგაფუნით მიიწევდა წინ, თან ფიქრობდა. რებუსიც აღიდგინა მეხსიერებაში: „რა სულელი ვარ, აქსელი მართალია!“ გაცოფებული კრისი მოტრიალდა, ძლიერი ბიძგებით სიჩქარის გაზრდა სცადა. დამფრთხალი თევზები აქეთ-იქით გარბოდნენ. „იქნებ შანსი ჯერ კიდევ არ დამიკარგავს?! ის კლდის გასწვრივ მიცურავს. ჩემთვის აქედან პირდაპირზე გზის მოჭრა ბევრად უფრო ადვილია“.

მარჯნის მეჩეჩს რომ მიუახლოვდა, მისგან საკმაოდ შორს კრისს უჩვეულო ფორმის ნივთი მოელანდა. ვითომ სკივრია? „არა, სიჩქარეს უნდა ვუმატო. სულიც რომ შემეხუთოს, მაინც არ უნდა გავჩერდე. ჯანდაბას, მყესებიც რომ დამეჭიმოს და გამისკდეს, მაინც უნდა დავასწრო“.

მისგან მარჯვნივ მოცურავე აქსელმა საერთოდ მოარიდა თავი მარჯნის პრერიას და ორ უზარმაზარ, ბასრშვერილებიან მასივს

შორის შერგო თავი. იქნებ რამე ცხოველმა დააფრთხო და აიძულა, უკან დაეხია? იქნებ ჯანმრთელობამ უმუხთლა? იქნებ მოყანყალე შვერილს მოერიდა? აი, კლდის ნაწილიც ჩამოიქცა, მეორეც მიჰყვა. მოცურავის სილუეტი ნამსხვრევთა ღრუბელში გაუჩინარდა.

კრისი შეყოყმანდა. რა ქნას? აქსელისკენ გაცუროს? დაეხმაროს? განა ამას არ ასწავლიდნენ მყვინთავის დიპლომის აღებამდე? ამავდროულად ერთი სული ჰქონდა, დარწმუნებულიყო, მუქი ლაქა მისგან მარცხნივ 10 მეტრის სიღრმეში ნამდვილად მეკობრის სკივრი იყო თუ არა.

კრისი წესებს დაემორჩილა, მაინც მიუახლოვდა მღვრიე წყალს, სადაც აქსელი სასოწარკვეთილი ფართხალებდა. როგორც ჩანს, ჩამოქცევის შემდეგ უბედურს ფეხები ნაპრალში მოჰყოლოდა. როგორც კი კრისი დალანდა, დახმარება ჟესტებით სთხოვა.

- კარგი, კარგი, დაგეხმარები, - ჟესტებითვე მიუგო კრისმა, - მარამ ცოტა მოცდა მოგიწევს, ჯერ ჩემი გამარჯვების დამადასტურებელი საბუთი უნდა ამოვიღო - ჟეტონი №1.

აქსელმა თვალები გადმოკარკლა, ხელები აბათქუნა, იყვირა, იხავლა... შესთხოვა, შველა არ გადაედო.

- არა, ჩემო ვაჟკაცო, ჩემთან ეს სპექტაკლი არ ჭრის, ტყუილად ნუ ცდილობ, - გაიფიქრა კრისმა და მარცხნივ გაუხვია, - ძალიან კარგად ვიცნობ ამ ხრიკს. მე კი დაგეხმარები, მაგრამ ვიცი, შენ რასაც მოიმოქმედებ; როგორც კი თავს უსაფრთხოდ იგრძნობ, ხელს მკრავ და ყველანაირად ეცდები, ჩემი კუთვნილი ჟეტონი თვალსა და ხელს შუა ამაცალო. ისე, კაცმა რომ თქვას, ამაში საჩოთიროს ვერაფერს ვხედავ, მეც იმავეს ჩავიდენდი. მაგრამ რახან არჩევანი ჩემზეა, მოდი რა, ჯერ საკუთარ თავს მოვემსახურები. დროებით, რიგით მეორევ!

კრისმა საგანძურისკენ აიღო გეზი. აქსელი შეძრწუნებული სახით იქნევდა ხელებს, უკანასკნელი ხმით გაჰკიოდა, გრძნობდა აღსასრულის მოახლოვებას...

„ აჰ, გასაკვირი არაფერია, - მხიარული მზერა შეავლო კრისმა მეტოქეს, - იცის, რომ წააგო და ისტერიკაში ჩავარდა“.

კრისს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, სკივრისთვის თავი რომ მოეხადა. კარგა ხანს ეძება თითებით ჟეტონი №1. ჟილეტის

ჯიბეში ჩაჩურთა და კმაყოფილმა აქსელისკენ იბრუნა პირი.

რამდენიმე მეტრში რაღაც არანორმალური იყნოსა: ბუშტულები აქსელის ზურგიდან ამოდიოდა და არა ნიღბიდან. სხეულს კი მოძაობა შეეწყვიტა. რა ხდება?

კრისს მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. იქნებ კლდის ჩამოქცევისას ჟანგბადის მილები გასკდა? პანიკაში ჩავარდნილმა გაათკეცებული სისწრაფით აქნია ფარფლები. დააგვიანდა ყმაწვილს: აქსელს თვალები დახუჭოდა, პირი დაეღო, უსიცოცხლო სხეულს ტალღები არწევდა. ფეხები ისევ კლდის ნამსხვრევებს შორის ჰქონდა გაჩხერილი.

ამ დროს კრისმა მისგან საკმაოდ შორს ლანდს მოკრა თვალი: ბოლო ნიშნულის მაძებარი კიმი ძალ-ღონის უშურველად წინ მოიწევდა.

პიანისტმა სწრაფად მოისაზრა: ან აქედან ფეხი არ უნდა მოეცვალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მალევე აეხსნა ყველასთვის, თუ რატომ არ გამოეშურა უფრო ადრე აქსელის საშველად, ან კიდევ შეუმჩნევლად გამქრალიყო, რათა სხვებისთვის გვამის დამოუკიდებლად აღმოჩენის საშუალება მიეცა.

ზედმეტი გათვლების გარეშე, კრისმა რიფებისკენ გაცურა: ალბათ კიმი სულ მალე მიუახლოვდებოდა შემთხვევის ადგილს, თუმცა ჯერჯერობით უთავბოლოდ დაცურავდა. კრისი გაძვრა-გამოძვრა და ნაპირსაც მიადგა. პალმების ხეივანში შერგო თავი, სადაც საცურაო აღჭურვილობა გადამალა. ცდილობდა, მხედველობიდან არ გამოპარვოდა ნებისმიერი გადაადგილება, როგორც ზღვაში, ასევე ხმელეთზე. შიშობდა, შეჯიბრის სხვა მონაწილეებს არ შეემჩნიათ. შემდეგ ველოსიპედისკენ გაქანდა. წამში მოახტა ზედ და ელვის სისწრაფით მოქუსლა. უზომოდ კმაყოფილი იყო, რომ კიმის მზერას დაემალა. ვერანაირად ვერ იტყოდა, კრისი შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდაო. სულ მალე სუნთქვაშეკრულმა და გულამომჯდარმა ბანაკს ჩააღწია და გამარჯვებულის იერით საფინიშო ხაზიც გადაკვეთა.

კრისს მხურვალედ მიულოცეს გამარჯვება სტაჟიორებმა, ბანაკში დარჩენა რომ ამჯობინეს ან გამოეთიშნენ შეჯიბრს. ჟღალი პოლ ბრაუნიც მათ შორის იყო. მის ჭორფლიან კანს მზეზე დგომისგან ცეცხლი ეკიდა, შუბლიდან და იღლიებიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

- ბრავო, კრის. გამოდის, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. სანაძლეოს შენზე და აქსელზე ჩამოვედი.

- მადლობა.

- უკან ვინ მოგყვება?

- ვერ გეტყვი. ბოლოს მგონი კიმი დავლანდე. რომელიღაც ეტაპზე აქსელიც დაწინაურდა, მაგრამ მალევე ჩამორჩა. ვფიქრობ, ისინი ეცილებოდნენ ერთმანეთს მეორე ადგილს, მაგრამ ჩემგან ძალიან შორს. როცა ბოლო ეტაპს, უბეს ვტოვებდი, არც ერთი მინახავს და არც მეორე.

გულის სიღრმეში კრისი თავად იყო საკუთარი მონაჩმახით აღფრთოვანებული. ეს უცოდველი, შეიძლება ითქვას, სიმპათიური სიცრუე კლდის ჩამოქცევის დროს უბეში მის არყოფნას სრულ დამაჯერებლობას შესძენდა, ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოუხსნიდა.

პოლი თავის კანტურით დაეთანხმა და ერთ-ერთ თანაშემწეს ბარგის მოტანა ანიშნა.

- იცი თუ არა, ჩემო პატარა კორტო, შენი გამგზავრების ჟამმა რომ მოაწია? მგონი, დანარჩენების დაბრუნებამდე უნდა გაუდგე გზას.

- ვიცი.

- მოჰკიდე ჩანთას ხელი. გემი უკვე გელოდება. ისე, გილოცავ. ყოჩაღი ხარ ძალიან. ლამაზ და საინტერესო ცხოვრებას გისურვებ, წარმატებულ კარიერას, თუმცა ფუჭად ვიღვრები სიტყვებად, დარწმუნებული ვარ, რომ დასახულ მიზანს ყოველთვის მიაღწევ.

პოლი მუსიკოსს ამერიკულ ყაიდაზე გადაეხვია. მკერდზე მიიკრა და ზურგზე ხელები დაუტყაპუნა. ფომფლე და უსიცოცხლო მუცლის შეხებაზე კრისს გულისრევის შეგრძნება დაეუფლა და თავისთვის მტკიცედ გადაწყვიტა, პოლის ასაკში არაფრის დიდებით არ მოემატებინა წონაში.

- აღფრთოვანებული ვარ შენი გაცნობით, კრის.

- მეც ასევე, პოლ, ძალიან ბედნიერი ვარ.

ეს პრიმიტიული ბლიც-გამომშვიდობებაც კი დიდი

ძალისხმევის ფასად დაუჯდა კრისს. არა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გასცლოდა აქაურობას.

მომდევნო საათებში, გემზე, ჯიპში, თვითმფრინავის სალონში შეღონებულ კრისს საკუთარი გეგმის დეტალები უტრიალებდა თავში: რამდენად დამაჯერებელი იყო მისი ჩანაფიქრი? შეძლებდა კი ბრალდების და საერთოდ მისთვის არამომგებიანი მოსაზრებების გაქარწყლებას. უარესი ვარიანტიც უნდა წარმოედგინა და მისგან თავდაღწევის გზებიც დაესახა.

კრისს აქსელის ბედ-იღბალი საერთოდ არ აღელვებდა. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა - შესაძლო ბრალეულობაზე, უფრო სწორად, იმ საყვედურებზე, რომელიც ურწმუნო და კირკიტა ადამიანებს შეიძლება გამოეთქვათ.

1980 წლის 4 სექტემბერს კრისი პარიზში ჩაფრინდა. მთელი გზა ძილი არ მიეკარა. საბაჟო მშვიდობით გაიარა, კითხვის დასმა აზრადაც არ მოსვლია არავის. „უუჰ, ესეც ასე. მგონი, გადავრჩი, - გაიფიქრა თავისთვის, - ჩემ საძებნელად ახლა აქ ხომ არ ჩამოეხეტებიან. ყველაფერი უკანაა. ვაშა!“ სიხარულისგან შეიკუნტრუშა კიდევაც, გამარჯვების საამო განცდა დაეუფლა. ბარგის მოლოდინში მოძრავი ბილიკის შორიახლო მდგომი სამყაროს იმედით შესცქეროდა. ალბათ ახალი განცდები და აღმოჩენებიც არ დაახანებდნენ. „ო, ეს მაღალი ქათქათა კედლები რა მშვენიერებაა! ადრე კი არ დავკვირვებივარ. მომწონს მარმარილოს იატაკი, ქრომირებული დეტალები კარგად მოუფიქრებიათ. გამჭვირვალე ჭერსაც ვერაფერს დაუწუნებ, მისგან გადმოღვრილ დღის სინათლეს ხომ მერკურის ელფერი დაჰკრავს“.

კრისმა შუშის მაღალ გამყოფ კედლებს მიღმა მოსაცდელ დარბაზში დედას მოჰკრა თვალი. მზერას არ აცილებდა, შეწუხებული ჩანდა. ალბათ თვითმფრინავის დაგვიანების გამო ინერვიულა. ბუნებრივია, ერთადერთ ვაჟთან შეხვედრა გაეწელა. აი, ახლა უკვე გარკვევით ხედავს მას და მაინც სასოწარკვეთილი ჩანს. რა უბედურებაა! შეიძლება, ადამიანები ასე აწამონ? რამდენი სიყვარული იმალება ამ მღელვარების უკან...

კრისს გააჟრჟოლა.

სიდნეიში მეორე დედა ასეთივე სასოწარკვეთილი იერით სულ

მალე ვაჟიშვილის დაღუპვას შეიტყობს.

ჭეშმარიტებით შეძრულმა კრისმა ცხადად გააცნობიერა, რომ აქსელი გარდაიცვალა და მისი მკვლელი თვითონ იყო.

*

2001 წლის ივნისი. საკულტო ნივთებით მოვაჭრე ბატონი და ქალბატონი გომონები უზომოდ ბედნიერნი იყვნენ, ისევ რომ მოუწიათ შანხაიში ჩასვლა.სამუშაოს კი ვერ უდებდნენ გულს. წამდაუწუმ თავს სწევდნენ და მონუსხული მზერა ქაღალდებით დახუნძლული გოგრის ხის მაგიდიდან მსუბუქად დაბურული მინის კედლისაკენ გაურბოდათ, საიდანაც თვალუწვდენელ სივრცეზე 20 მილიონიანი ჩინური მეგაპოლისი გაწოლილიყო - საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლების ზედახორა სახურავებზე აჩონჩხილი ანტენებით, სარეკლამო ბანერებითა და იდეოგრამებით აჭრელებული ფასადებით... მინერალების მოთუხთუხე და მხრჩოლავი ოკეანე, საიდანაც ამოზვირთული ბასრთავიანი ცათამბჯენები მოელვარე შუბებით შეიარაღებულ ლაშქარს მოგაგონებდათ.

- ძვირფასო, ერთი იქით გაიხედე. იმ თვალისმომჭრელად მოელვარე შენობას ხედავ, რაკეტას რომ წააგავს? ორმოცდაათსართულიანი მაინც იქნება, არა?

- ჰო, სულ მცირე, - დაუდასტურა ქალბატონმა ბომონმა.

მადმუაზელ მი დაშაქრულ და ხილის არომატებით გაჟღენთილ თანხმოვნებიან ფრანგულზე ამეტყველდა და ფრანგი კომერსანტები საქმეს დაუბრუნა: - ბატონებო, შეიძლება თქვენ მიერ წარმოდგენილ სიას კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი და ერთგვარად შევაჯეროთ?

- კეთილი, დაიწყეთ, - ბომონი თავის მიმწოდებელს ისე ელაპარაკებოდა, როგორც სამეფო ტახტის მპყრობელს.

- კეთილი, დაიწყეთ, - დასძინა ქალბატონმა ბომონმაც, რომელსაც მეუღლის მხარდასაჭერად მის მიერ წარმოთქმული ბოლო ფრაზის გამეორება დასჩემდა.

მადმუაზელ მიმ ბლოკნოტში კალმით ფრიადოსანი მოსწავლის სიბეჯითით სიის ყოველი პუნქტი მონიშნა.

- მოკლედ, თქვენი არჩევანი ასეთია: ჩამოფასებული გასაღების რგოლები წმინდა რიტას გამოსახულებით - 15 ათასი მეტალის, 15 ათასი გუმფისის; მანქანის ნომრები ასევე წმინდა რიტას გამოსახულებით - 4 ათასი ცალი. 22-თვლიანი კრიალოსნები თანდართული მედალიონებით წმინდანთა გამოსახულებით - 50 000. ასევე ჭიქები - 4 ათასი, კვერცხის ქვესადგამები - 4 ათასი, სასანთლეები - 5 ათასი და თასები - 10 ათასი. ამას ემატება სასინჯ ფასად, უფრო კონკრეტულად - ერთ დოლარად ასიოდე სამკერდე თხუპნია ჩვილებისათვის ასევე წმინდა რიტას გამოსახულებით. იქნებ წმინდა რიტას პატარა ქანდაკებაზეც გეფიქრათ? სულ 6 სანტიმეტრია და მანქანის სალონში თქვენთვის სასურველ ნებისმიერ ადგილას ფიქსირდება. წებოვანი ძირი დამაგრების შესანიშნავ შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

- ფასი გვითხარით, გეთაყვა.

- ოთხი დოლარი. თუ ხარისხს მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, ამ ფასად ნაჩუქარია. თან არ დაგავიწყდეთ, მოვერცხლილი მეტალისგანაა დამზადებული.

მადმუაზელ მიმ „მოვერცხლილი მეტალი“ ისეთი პათოსით წარმოთქვა, გეგონება, სუფთა ვერცხლზე იყო ლაპარაკი.

- ჩაწერეთ 1000 ცალი. მძღოლებს შორის ძალიან ბევრია ჭეშმარიტად მორწმუნე, - თქვა ბატონმა ბომონმა.

- წმინდა რიტას ემბლემებზე რას იტყვით?

- დღესდღეობით ემბლემები საფრანგეთში უკვე აღარ იყიდება.

მოულოდნელად ქალბატონმა ბომონმა წაიწკმუტუნა: - აბების ჩასაყრელი კოლოფები?

- რისი ჩასაყრელი? უკაცრავად, ვერ გავიგე.

- აბების ჩასაყრელი კოლოფები ავადმყოფებისთვის. წმინდა რიტას თაყვანისმცემლები, ადამიანები, რიტას სასწაულების რომ სწამთ, ხშირად სხვადასხვა სამკურნალო კურსს გადიან და აუარება სამედიცინო პრეპარატს მოიხმარენ. ვფიქრობ, დაიტაცებენ ამ კოლოფებს.

- დაამატეთ 40 ათასი საერთო სათვალავს, მადმუაზელ მი და ვფიქრობ, ამით ჩვენმა გარიგებამ საბოლოო სახე მიიღო.

მადმუაზელ მიმ კომერსანტებს დაკვეთის ბლანკი გადააწოდა. ბატონმა ბომონმა ხელი მოაწერა. საკუთარი პიროვნების მნიშვნელოვანებით აღფრთოვანებულს სახეზე ალისფერი გადაეკრა.

- იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონ ლანგთან შეხვედრის პატივიც გვექნება.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - დაეთანხმა ჩინელი, - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავად პრეზიდენტი შეგპირდათ.

- რა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თანამშრომლობა დავიწყეთ... - განაგრძო ბატონმა ბომონმა, - მიხარია, რომ მისთვის პირადად ხელის ჩამორთმევის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ მომეცემა.

- ოჰ, ეს იდუმალებით მოცული მისტერ ლანგი, - წაისისინა ქალბატონმა ბომონმა.

მადმუაზელ მიმ პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. მისთვის რომ გეკითხათ, მისი ბოსი შორს იყო ყოველგვარი იდუმალებისგან, არც რაიმე ჰქონდა გასაიდუმლოებული. პირიქით, ერთი ჩვეულებრივი ნაძირალა გახლდათ, რომლის მსგავსი ადამიანთა მოდგმას იშვიათად თუ ახსოვს.

მიმ ტელეფონით პრეზიდენტის მისაღები გააფრთხილა, შემდეგ კი ბომონები ოთახში მარტო დატოვა... მათაც დრო იხელთეს და შუშის კედელს აეკვრნენ. წინ გადაშლილი პანორამა მომნუსხველად მოქმედებდა. სულ „ოჰ“ და „აჰ“ გაუდიოდათ. ისე გაერთნენ, ზურგს უკან მომდგარი მამაკაცი ვერც შეამჩნიეს.

- მოგესალმებით! - გაისმა წვრილი ხმა.

ბომონები მყისიერად შემოტრიალდნენ და ქათნაურებადაც დაიღვრებოდნენ, მაგრამ ინვალიდის ეტლში გაჭედილი ინდივიდუმის ზიზღნარევმა შემფასებელმა მზერამ მათი კეთილი ზრახვა უცბად გაანელა...

მუქი ფერის სამოსი ცხიმიან ლაქებს დაეფარა. სამი დღის გაუპარსავი წვერი განსაკუთრებით გამოკვეთდა მის ავადმყოფურ იერს. მისტერ ლანგს ცხვირზე შავი სათვალე დაეკოსებინა და თვალები თითქმის არ უჩანდა. თავზე უფორმო ქუდი ეხურა, რის გამოც ვერ გაარკვევდით, შერჩა თუ

არა საერთოდ თმა. ემოციების წაკითხვის საშუალებას სახეზე მორგებული მკაცრი ნიღაბი არ იძლეოდა. ისე, ჰქონდა კი მათი გამოხატვის უნარი ოდესმე? ელექტროტლს მარცხენა ხელით მართავდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რა დაემართა მის ფეხებს ან მარჯვენა ხელს. აშკარად ჩანდა მხოლოდ კიდურების სიგამხდრე, სიმახინჯე და დეფორმაცია. არა, ეს ნამდვილად არ იყო ადამიანი. ეს იყო ადამიანის იმიტაცია, გაურკვეველი ჩანახატი, ესკიზი, კაცთა მოდგმის წარუმატებელი ნიმუში.

- ჩვენი სახელოსნოების დათვალიერებას ხომ არ ისურვებდით?

სანახობისგან ენაჩავარდნილმა ქალბატონმა ბომონმა გაიფიქრა, რომ მისტერ ლანგმა ეს ხრჭიალა, უემოციო ხმა საგანგებოდ მოირგო, გეგონებოდათ, ვიღაცა ფრჩხილებით შუშას ფხაჭნის და კაწრავსო. ქალბატონი ქმრის მკლავს ჩაებღაუჭა და ბრჭყალები ჩაასო.

- გსურთ თუ არა? - გაიმეორა კითხვა ფრანგების დუმილით გაღიზიანებულმა გიდმა.

ბატონი ბომონის მთელი სხეული შეირხა, გეგონება, ვიღაცამ ძილ-ბურანს გამოსტაცაო.

- სიამოვნებით.

- სიამ... სიამოოოვნებით, - წაილუღლუღა ქალბატონმა ბომონმაც.

მისტერ ლანგის ეტლი ადგილს მოსწყდა და ლიფტისკენ გაგორდა. როგორც ჩანს, სტუმრებს ამით მიანიშნა, მის კვალს გაჰყოლოდნენ. გაოგნებულმა ბომონებმა ერთმანეთს გადახედეს: ყოველგვარი ენთუზიაზმისგან დაცლილებმა და ბრიჯივით დაბნეულებმა ბუნებრივი ქცევის უნარი დაკარგეს. ავადმყოფთა, მით უმეტეს, ხეიბართა დანახვაზე წყვილს ყოველთვის თანადგომის, თანაზიარობისა და სიბრალულის განცდა ეუფლებოდა ხოლმე. ამჯერად კი პირიქით მოხდა. შეუკავებელი აგრესიით განაწყენებულებმა ლანგს ლამის უსაყვედურეს, ფიზიკური უძლურების არსენალს უკიდურესი თავხედობა, მტრული განწყობა და უცერემონიო გამოწვევა რომ დაურთო.

ნულოვან სართულზე ლანგი ლიფტიდან გამოგორდა. გაცოფებული ჩანდა იმის გამო, მთელი 25 სართულის

მანძილზე ამ ტურისტებთან ერთი სასუნთქი სივრცის გაზიარება რომ მოუწია. უკმეხმა გიდმა ნეონის შუქით გაჩახჩახებულ სახელოსნოზე მიუთითა, სადაც ასობით ჩინელი თავაუწევლად ღვრიდა ოფლს.

- აი, აქ მზადდება მთელი ჩვენი პროდუქცია.

- რატომ მაინცდამაინც წმინდა რიტა? - იკითხა ბატონმა ბომონმა დაშაქრული თავაზიანობით და თან მეუღლეს გამარჯვებული იერით გადახედა: დარწმუნებული იყო, რომ მოხერხებულად დასმული ეს კითხვა მისტერ ლანგს საკუთარ ხეიბრობაზე აალაპარაკებდა, რის წყალობით, შესაძლოა, უფრო ადამიანური იერსახე შეეძინა.

- ეს ნიშა იყო თავისუფალი, - დაუფიქრებლად ატაკა მასპინძელმა.

- უკაცრავად?

- იესო ქრისტესა და ღვთისმშობელ მარიამს ბაზარზე დომინანტურ პოზიციას ვერავინ შეეცილება. მარკეტინგის მონაცემების თანახმად, დღესდღეობით არც ერთი წმინდანი აღარ არის მოდაში, თუმცა, წმინდა რიტასა და წმინდა იუდაზე იმავეს ვეღარ ვიტყვით.

- წმინდა იუდა?

ბომონებს იუდას წმინდანობაზე არასდროს სმენოდათ. არც რომელიმე საკულტო ნივთი ენახათ მისი გამოსახულებით. მსგავსი უმეცრებით გაცოფებულმა ლანგმა ლამის იკივლა: - ეს ხომ ავტოსადგომთა მფარველი წმინდანია. გაგიგიათ ამის არცოდნა? სწორედ მის სახელზე უნდა აღავლინოთ ლოცვა, როცა პარკინგზე ადგილს ვერ პოულობთ. ნაკლებად ცნობილია, ამიტომ დრო უხვად აქვს და ნებისმიერი მთხოვნელისთვის გამოენახება ერთი-ორი წუთი. თვალის დახამხამებაში მოგიგვარებთ პრობლემას.

- რას ბრძანებთ? ესე იგი, მისი ჩარევა ქმედითია?

- მე ხუმრობის ხასიათზე ნამდვილად არ ვარ! ეს უნდა ჩაუდოთ თავში მყიდველს, საქონელი რომ გაგეყიდოთ. რა, მადმუაზელ მის თქვენთვის არ აუხსნია?

- არა.

- ნამდვილი იდიოტი და ქარაფშუტაა. ხვალვე დავითხოვ სამსახურიდან!

ქალბატონი ბომონი ყურის ძირებამდე გაწითლდა იმის დანახვაზე, რაც მუშას ყალიბიდან ამოჰქონდა.

- კი მაგრამ...

- დიახ, დიახ, ჩვენ არც ამის წარმოებას ვთაკილობთ, - დაუდასტურა მისტერ ლანგმა, - პორნოაქსესუარები გაინტერესებთ?

თავის მხრივ ბატონი ბომონიც ყურადღებით დააკვირდა სილიკონის დუნდულებს შორის გარჭობილ ფალოსს.

- ღმერთო! ეს გულისამრევია.

- ცდებით, - შეეპასუხა მისტერ ლანგი, - ეს შესანიშნავი საქონელია; ისეთივე ხარისხიანი, როგორც ჩვენი სარიტუალო ნაწარმი. ამ დროს მთავარია, ყალიბით იყო აღჭურვილი, თორემ მასალა და ტექნოლოგიური პროცესი იდენტურია.

- ეს დამამცირებელია, მკრეხელობაა! წარმოიდგინეთ, ჩვენი წმინდა რიტა ამ... არ ვიცი რა ვთქვა, ამ საძაგლობის გვერდით თუ ამ საძაგლობისგან იბადება.

- წმინდა რიტაც და ჩვენ ყველანი, ბატონო. თქვენ ბითუმად მხოლოდ ღვთისმსახურების ნივთებით ვაჭრობთ. ფრიად სამწუხაროა. არადა, როცა უკვე კომერციაში ხარ ჩართული...

გაისმა ტელეფონის ზარი. ლანგმა ყურადღებით მოისმინა, რაც უთხრეს და უპასუხოდ დაკიდა ყურმილი. მალე ბომონების არსებობაც კი გადაავიწყდა: - წავედი, ჩემთან უნდა ავიდე.

ლანგი სწრაფად შეგორდა ლიფტში და კარიც უმალ დაიხურა. ფრანგებმა ძლივს მოასწრეს გამომშვიდობება.

ლანგი როგორც კი კაბინეტში დაბრუნდა, თავის მდივანს მიაშურა, დაახლოებით 25 წლის კორეელს, გამხდარსა და ყანჩასავით აყლაყუდას.

- აბა, რას მეტყვით?

- მათ ის შეამჩნიეს, ბატონო.

მდივანმა ცხოვრებაში პრიველად დაინახა მომღიმარი უფროსი.

ტუჩები შეხსნოდა და წარმოქმნილი ნაპრალიდან დამცინავი და ირონიული ხითხითი იფრქვეოდა.

- როგორც იქნა!

ახალგაზრდა მამაკაცი დარწმუნებული იყო, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ტირანს უდავოდ მალამოდ წაეცხებოდა გულზე. ზედმეტი დაყოვნების გარეშე მოხსნა გუდას პირი: - ის უკვე აღარ მუშაობს იმ სფეროში, სადაც ჩვენ ძიების მონაცემების მიხედვით ვვარაუდობდით. თქვენი მითითებით ის კლასიკური მუსიკის სამყაროში მოიაზრებოდა არა?

- დიახ. მაშ, რას საქმიანობს ახლა? რომელ ესტრადაზე მოექცა?

- მის ამჟამინდელ საქმიანობას საერთოდ არ აქვს ხელოვნებასთან შეხება. აი, მისი საქმიანობის ამსახველი სარეკლამო ბუკლეტი. მითითებულია ადგილიც, სადაც დღესდღეობით მუშაობს.

მისტერ ლანგი დოკუმენტს ჩააფრინდა. ყოველთვის მშვიდს, შეუვალსა და უემოციოს წარბები აეწკიპა. დღეს სახეზე უკვე მეორედ აღებეჭდა გაოცება.

- დარწმუნებული ხართ, რომ ისაა?

- აბსოლუტურად.

მისტერ ლანგმა თავი გაიქნია.

- ახლავე წავალ იქ. დაუყოვნებლივ დამიჯავშნეთ თვითმფრინავის ბილეთი.

ახალგაზრდა მდივანი მაგიდისკენ გავარდა და ტელეფონის ყურმილს სწვდა. სანამ ის ნომერს კრეფდა, ლანგმა გულგრილად წარმოთქვა: - მადმუაზელ მის ამ საღამოსვე აუკარით გუდა-ნაბადი აქედან. პროფესიული არაკომპეტენტურობა ედება ბრალად!

ამასობაში მდივანმაც მიაწვდინა ტურისტულ სააგენტოს ხმა: - გამარჯობა. საფრანგეთის მიმართულებით მინდოდა ერთი ბილეთის დაჯავშნა. კონკრეტულად ანესის რეისზე. ამბობთ, რომ პირდაპირი ფრენა არ არსებობს? დარწმუნებული ხართ? ააა, გასაგებია. ჯერ შანხაი-პარიზი, შემდეგ პარიზი-გრენობლი და ბოლოს ტაქსით ანესიმდე. ან მეორე ვარიანტი: შანხაი-

ჟენევა და იქიდან ისევ ტაქსით.

მდივანმა ყურმილს ხელი დააფარა და უფროსს მიუბრუნდა: - ეს ვარიანტი მოგწონთ, ბატონო?

რელიგიური და პორნოაქსესუარების ვაჭრობით გამდიდრებულმა კომერსანტმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

- კეთილი, ბატონო! - განაგრძო მდივანმა, - შანხაი-ჟენევა, პირველივე რეისი... ბიზნეს-კლასი. დაჯავშნეთ ბატონ ლანგის სახელზე. აქსელ ლანგი.

აქსელი ფანჯარას მიუახლოვდა. მეტი სინათლე სჭირდებოდა, სარეკლამო ბუკლეტი ჯეროვნად რომ შეესწავლა. ბევრი ატრიალა იქით-აქეთ. ძნელი იყო უამრავ პაწაწინა ფოტოს შორის მკაფიოდ გაერჩია მამაკაცი, რომელსაც აგერ უკვე რამდენიმე თვეა ინტენსიურად დაეძებდა. მამაკაცი, რომლის სახელი 20 წელია მეხსერებიდან ვერა და ვერ წაშალა და ლამის აკვიატებად ექცა.

ოთახში ლანგის მასაჟისტი, ქონიანი ურჩხული, ყოფილი ჩემპიონი ძიუდოში, სუნილი შემობაჯბაჯდა და ტაშისკვრით ბოსს ბუკლეტის კირკიტი გააწყვეტინა.

- სეანსის დრომ მოაწია, მესიო.

რამდენიმე წუთში აქსელის ზეთნაცხები სხეული მისი რეაბილიტაციისთვის ყოველდღიურად ასე აუცილებელ სამკურნალო პროცედურას გადიოდა. მასაჟის მაგიდაზე ცხვირისა და თვალებისთვის განკუთვნილ ჭრილქვეშ ბუკლეტი ამოედოთ. პაციენტი ღიღინით განაგრძობდა მის კრუპულოზურ შესწავლას.

- დღეს ჩვეულზე უკეთეს გუნებაზე მეჩვენებით, მესიე ლანგ.

„ამ კრეტინს ვინ ეკითხება ერთი, როგორ გუნებაზე ვარ, - წაიბუზღუნა აქსელმა, - ან ჩემი კარგი თუ უჟმური განწყობა ვითომ მის ყოველდღიურ ყოფაზე რამეზე გავლენას ახდენს? ამ გაუთლელს, ეტყობა, თავი ფსიქოლოგი ჰგონია და დაავიწყდა, რომ ერთი უბრალო მასაჟისტია!“

ხუთი წუთის შემდეგ მოღიღინე პაციენტისადმი კეთილგანწყობილმა ყოფილმა ძიუდოისტმა თავს იმავე

შეკითხვის ხელმეორედ დასმის უფლება მისცა. ალბათ იფიქრა, რომ აქსელი ემოციების გაზიარებას არ დაზარდებოდა.

- რამ გაგამხიარულათ აგრერიგად, მესიე ლანგ?

- დაპირება! საკუთარ თავს შევფიცე, როგორც კი პირველ მილიარდს მოვაგროვებ, ერთ ჩემს სანუკვარ ოცნებასაც ფრთებს შევასხამ-მეთქი...

- აი თურმე, რა ყოფილა! მომილოცავს! პირველი მილიარდი მაქვს მხედველობაში.

- მეტკინა, იმბეცილო!

- ოჰ, უკაცრავად. და თქვენს სანუკვარ ოცნებას ხომ ვერ გამიმხელთ?

- საფრანგეთში გამგზავრებაა ჩემი ოცნება.

- მესმის, მესმის...

- ანესიში ჩასვლა.

- არ ვიცი ეს ადგილი.

- არც მე. ვილა „სოკრატეში“ გავჩერდები.

- ვილა „სოკრატე“? ეს რა არის? - იკითხა კინეზითერაპევტმა გაჭიმული ხმით, - რესტორნის სახელწოდებაა თუ თალასოთერაპიის ცენტრი? იქნებ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კლინიკაა?

- არაფერი მაგის მსგავსი. ეს ის ადგილია, სადაც შურისძიებას შევძლებ. ისე, სიმართლე თუ გნებავთ იცოდეთ, ვორჭოფობ წამებასა და შურისძიებას შორის. მართლა ვერ გადამიწყვეტია, ვაწამო თუ უბრალოდ შური ვიძიო.

- ეტყობა, დღეს ხუმრობის გუნებაზე ხართ, მესიე ლანგ!

ურჩხულის სიცილს სიყალბე დაჰკრავდა. უფრო უგუნურებით იყო სავსე, ვიდრე სიხარულით. აქსელმა გაიფიქრა, რომ ყოფილი ფალავნის უდარდელობა გვარიანად მობეზრდა, მეტიც - ყელში ამოუვიდა. მისი ცალტვინა შტერული საუბრები და ოფლიანი ხელები ხომ საერთოდ გულს ურევდა. არა, მეტს ვეღარ მოითმენს. ხვალ გამგზავრებამდე ამოარტყამს პანღურს და ჯანდაბამდის გზა ჰქონია!

დამშვიდებულმა და ნეტარი განცდით შეპყრობილმა აქსელმა ისევ გადაავლო ფოტოებს თვალი: ზრდასრული, ერთმანეთის მხრებზე ხელშემოდებული ადამიანები ობიექტივის წინ თავს იწონებდნენ. და ის სადაა? ნეტა აქედან რომელია? საინტერესოა, როგორ გამოიყურება დღეს კრისი?

*

კონცერტი „ანგელოზის ხსოვნას“ დინამიკებიდან იღვრებოდა - მოკრძალებული, რიდიანი, შემპარავი... ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე გაჟღერებული მუსიკა: მეხსიერებიდან ამოუძირკვავი მოგონებ...

საძინებელ ოთახში, პირდაპირ სახურავის ქვეშ რომ მოიწყო, კრისი არასდროს აძლევდა საკუთარ თავს ხმის აწევის უფლებას. ამ მთის კალთას მიბმულ ხის სახლში ხმებისთვის არანაირი ბარიერი არ არსებობდა: თავისუფლად მოძრაობდნენ ოთახიდან ოთახში და იპყრობდნენ ყველაზე მიუვალ კუთხე-კუნჭულსაც კი. კრისს არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ვილა „სოკრატეში“ მისი პასუხისმგებლობისა და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მოზარდებიდან რომელიმე ამოვარდნილიყო და მისი მუსიკალური გემოვნება ეკრიტიკებინა. თავს იმიტომ კი არ იკავებდა, რომ რცხვენოდა. არა, ნამდვილად არა. უბრალოდ, ეს ნაწარმოები მისი პირადი სულიერი სამყაროს ნაწილი გახლდათ და სულაც არ სურდა, ვინმე თანაზიარი გაეხადა.

...იაფფასიანი აპარატის შიშხინს, ვიოლინოზე სწორხაზოვან ჟღერადობას, ასევე ხმოვან მაგმად ქცეულ ორკესტრს სულაც არ შეუშლია კრისისთვის ხელი, ზუსტად ამოეცნო, რასაც უკრავდნენ და ცოტა ხანში მოგონებებსაც შეუხსნა დაგმანული კარი. ისე უსმენდა ფირფიტას, გეგონება, ფერგადასულ ძველ ფოტოებს ათვალიერებსო; მუსიკა მისთვის ოცნებათა და მოგონებათა მთავარ გენერატორად იქცა.

მას შემდეგ, რაც აქსელი გარდაიცვალა, არ გასულა დღე, კრისს მასზე არ ეფიქრა! თავიდან ეს ნამდვილად არ იყო აკვიატება ან უშრეტი წყარო, წვრილი წყლის ჭავლი იყო მის მეხსიერებაში. დროთა განმავლობაში კი ეს ჭავლი გაიზარდა, გაივსო და წყალუხვ ბობოქარ მდინარედ გარდაიქმნა. გენიოსი, ზრდილი და უნაკლო აქსელი ამიერიდან კრისის გონებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ხატად, წმინდანად, ლამის ღმერთად იქცა, რომელსაც ეს ათეისტი დილემის წარმოქმნის

შემთხვევაში დახმარებისთვის მიმართავდა.

დღის შუქით განათებულ პატარა საწერ მაგიდას მისკუპებული კრისი თავისი საყვარელი სანახაობით ტკბებოდა - წელიწადის დროების მიხედვით მარად სახეცვლილი და განახლებული პეიზაჟით. თუმცა ცხაურიდან ცასა და წყალს თუ შეავლებდა თვალს, ვიდრე მიწას. ქვემოთ, პიტალო კლდეებს შორის გამავალ ანესის გზას ღრმა ძილით ეძინა. კრიალა ცაში კი არწივები ირაოს კრავდნენ. მეორე ნაპირზე მთის წიწვოვან კალთაზე შეფენილი სახლები მუქ მდელოზე მიმოფანტულ რიყის ქათქათა ქვებს წააგავდა. კიდევ უფრო მაღლა მანძილის გამო ფორმები მქრქალდებოდა, მხოლოდ ცისკენ ამაყად ასვეტილი მთის მწვერვალები იწონებდა თავს თავიანთი სპეტაკი თავსაბურავებით.

- კრის, მოდი რა სწრაფად, პრობლემაა!

ოთახში მისმა კოლეგა-აღმზრდელმა, ლორამ შემოყო თავი. სხეული ვიწრო ჯინსებში ჩაეკვეხებინა, ზემოდან განიერი მაისური ჩაეცვა, რომელიც უფრო გამხდარს აჩენდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

კრისი უსიტყვოდ ადგა და ლორას მიჰყვა. არც ერთი კითხვა არ დაუსვამს. პანსიონატის მობინადრეთ მათი საუბარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეგოთ. ორივემ დირექტორის კაბინეტისკენ აიღო გეზი. ეს მთელ შალეში ერთადერთი იზოლირებული ადგილი იყო, სადაც მშვიდად შეიძლებოდა მასლაათი. როცა შვიდივე აღმზრდელმა ერთად მოიყარა თავი, მონტინომ, დაწესებულების დამაარსებელმა განაცხადა: - ჩვენი ახალი აღსაზრდელი კარიმი გაიქცა. ყველაფერი თავდაყირა დააყენეს, მაგრამ მის კვალს ვერავინ მიაგნო. არც ლოგინში იყო და არც სახელოსნოში, არც კალოზე.

- ჟანდარმერია უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში, - წამოიძახა ლორამ.

მონტინომ წარბები შეიჭმუხნა.

- რა თქმა უნდა, თუ სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვეთ. მაგრამ ჯერ უნდა ვეძებოთ. არა მგონია, უპრიანი იყოს, გაქცეულ ბიჭუნას ჟანდარმები მივუსიოთ. ადრეც არაერთხელ ჰქონია წესრიგის დამცველებთან საქმე და განყოფილებაში წოწიალიც ყელში ექნება ამოსული. მე ვიცი, რასაც იზამს. უსაფრთხო ადგილის

მოძებნას შეეცდება, ან იერიშზე გადმოვა. თუ ჩავარდა, ძალიან გაგვინაწყენდება. პოლიციელებთან გაგვაიგივებს. ეს, ასე ვთქვათ, არაპროდუქტული გზა უნდა გამოვრიცხოთ. საერთოდ დავკარგავთ მასზე ზეგავლენას.

დამსწრენი, ლორას ჩათვლით, დაეთანხმნენ. ძნელად აღსაზრდელთა ცენტრში, სადაც ძირითადად ნარკომანი, ნაცემი, გაუპატიურებული და ქურდბაცაცა მოზარდები ხვდებოდნენ, აღმზრდელი პედაგოგები, ხშირად საკუთარი ეგოს საზიანოდ, ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ შესაძლებელია მცდარი ნაბიჯი გადაედგათ. მათთვის მთავარი საზრუნავი მაინც ბავშვები იყვნენ.

- ვვარაუდობ, რომ თქვენგან რომელიმემ უკვე მოახერხა მასთან გარკვეული კონტაქტის დამყარება. ვინ იცნობს მას ცოტათი მაინც?

კრისმა ხელი ასწია.

- აბა, კრის, მოგვიყევი. რამე მინიშნებები უსათუოდ გექნება.

- ვშიშობ, რომ აქ საუბარი არ მოგვიწევს გაქცევაზე.

- ამით რა გსურს, გვითხრა? - იკითხა აღელვებულმა მონტინომ.

- კარიმს აშკარად აღენიშნებოდა თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება.

გაოგნებულმა აღმზრდელებმა ეს განცხადება უკომენტაროდ დატოვეს. ცოტა ხანში სპეციალისტები მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ და იმაზე დაიწყეს მსჯელობა, თუ რა გზით შეეძლო კარიმს საკუთარი სიცოცხლე მოესწრაფა.

*

ოცი წუთის შემდეგ კრისი უკვე ვილა „სოკრატეს“ ქვემოთ გამავალი რკინიგზის ლიანდაგისკენ მიემართებოდა. ჯერ უნდა გაერკვია, რა მიმართულებით დაეწყო ძებნა. ამის დასადგენად თავი უბადრუკ, ხელისუფალთა ყურადღებას მოკლებულ უბანში გაზრდილი კარიმის ადგილას წარმოიდგინა. უდავოა, რომ სიკვდილისკენ სწრაფვა რეგრესული ქცევაა - საქციელი, ბავშვობისდროინდელი კომფორტის დაბრუნებას რომ ისახავს მიზნად. ბიჭუნას ამისთვის სრულიად უჩვეულო ეგზოტიკურ ალპურ პეიზაჟში აუცილებლად უნდა მოენიშნა ისეთი კუთხე,

მშობლიურ ადგილ-სამყოფელს - პარიზის ერთ-ერთ გარეუბანს რომ მოაგონებდა. ამ კუთხით რკინიგზა მოზარდისთვის იდეალური ელემენტი უნდა ყოფილიყო. როგორც ქალაქად, ასევე სოფლად ის ერთნაირად ყარს - ზეთის, ქვანახშირისა და ორგანული ნარჩენების გულისამრევი მინარევი, აქაც და იქაც იდენტური წარწერები; საფრთხეც იდენტურია, თუ ლიანდაგებზე სიარულისას ფიქრებში გართულს მოულოდნელად მოგრუხუნე შემადგენლობა დაგადგა თავს.

კრისი ვიწრო მდინარის ნაპირს დინების მიმართულებით აჰყვა. ქვა-ღორღიან კალაპოტში წყალი ხმაურით მიჩუხჩუხებდა, მოსახვევებში ქაფს იკიდებდა, ალაგ-ალაგ მდორედ მიედინებოდა და ხავსმოკიდებულ ქვებს ნაზად ეფერებოდა. კრისს გამყინავი ჰაერისგან სახე აეწვა. უკვე იგრძნობოდა მოახლოებული მკაცრი ზამთრის სუნთქვა.

კრისი ლიანდაგს მიუახლოვდა. შედგა. ორივე მიმართულებით გაიხედა. კაცის ჭაჭანება არ იყო. გაიფიქრა, რომ ცოტა მოშორებით ყმაწვილის ყურადღება შეიძლებოდა კიდევ ერთ ელემენტს მიეპყრო: ლიანდაგების კორიდორს ზემოთ გადებულ ხიდს. დეტალურად გაიხსენა ის ადგილი და საბოლოოდ დარწმუნდა საკუთარი ჰიპოთეზის სისწორეში. კარიმი იქაა და მატარებლის გამოჩენას ელოდება, რათა ბორბლებში ჩაუვარდეს.

კრისმა ნაბიჯს აუჩქარა, თან ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო. არა, ხიდამდე დარჩენილი ერთი კილომეტრი უნდა გაირბინოს. სხვა გამოსავალი არაა. აი, ხიდიც. როგორი სწორი აღმოჩნდა მისი გათვლა! ხიდზე სილუეტი გამოიკვეთა, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა ჰორიზონტს.

სანამ კარიმი ზურგით იდგა, კრისი დაწინაურებას ცდილობდა. ხელის გაწოდებაზე მისაწვდენი მანძილიდან კი ალაპარაკდა: - კარიმ, როგორც ჩანს, დღეს მაინცდამაინც საამური დილა ვერ გაგითენდა.

ყმაწვილი მყისიერად შემოტრიალდა. ურთიერთსაწინააღმდეგო განცდები დაეუფლა. საშინლად გაცოფდა, რომ ასე მალე მიაგნეს მის კვალს. გაუკვირდა, რომ მდევარი კრისი აღმოჩნდა, აღმზრდელი, რომლის მიმართ ბოლო დროს ყველაზე მეტი სიმპათია გაუჩნდა. პედაგოგის კითხვაზე, ცოტა არ იყოს, აღელდა კიდეც.

- ვერ ხარ კარგად, არა, კარიმ? მთელი სხეული გტკივა, - განაგრძო თბილი ხმით კრისმა.

კარიმს ერთი სული ჰქონდა ეთქვა, დიახაც, მტკივა და თანაც როგორო, მაგრამ გამოლაპარაკება პასუხის გაცემას ნიშნავდა. დღეს კი მას საერთოდ არ სურდა, ვინმესთვის ხმა გაეცა.

- ეს შენი ცხოვრებაა, კარიმ. შენ მას ისე მოეპყრობი, როგორც მოგეპრიანება.

მეამბოხეს დაეუფლა განცდა, რომ კრისი მის აზრებს კითხულობდა.

- მე არ მსურს გადაგათქმევინო, რაც ჩაიფიქრე. პატივს ვცემ შენს გადაწყვეტილებას. არ მინდა, ეს სიმარტოვე დაგირღვიო. საქმე ისაა, რომ მეც მომინდა შენ გვერდით ვიყო და როცა მატარებელი გამოჩნდება, ხელი შეგიშალო გადახტომაში. კი, გეთანხმები, ტვინის ბურღვის მაგარი ოსტატი ვარ.

კარიმმა ზურგი შეაქცია აღმზრდელს. შეწუხდა ამ უკანასკნელის ამდენი მიხვედრილობისგან.

- მოდი, კარიმ, ერთ რამეს შემოგთავაზებ, ოღონდ უარი არ უნდა მითხრა. აი, იქ ზემოთ სადმე ბარში შევიდეთ და თითო-თითო გადავკრათ. მე ვიხდი, იცოდე!

კრისმა ზემოთ მდებარე ტავერნისკენ გაიშვირა ხელი - თავბრუდამხვევად დამრეც კალთაზე ძნელად გასარჩევი წითელი წერტილისკენ გაახედა.

- აი, სწორედ იქ დავილაპარაკოთ ცოტა, შემდეგ კი რაც გინდა, ის ქენი, ნება შენია.

- მე აქ ისევ დავბრუნდები, - წამოიყვირა კარიმმა, სურდა დაემტკიცებინა, რომ მშიშარა სულაც არ არის და არც ფლუგერი, ყოველთვის ქარის მიმართულებით რომ იტრიალოს.

- კეთილი, - დაასკვნა კრისმა, - შენ დაბრუნდები, თუ ამის სურვილი ისევ გაგიჩნდება და მეც დაგანებებ თავს. მანამდე კი ან ყავა მივირთვათ ერთად ან ცხელი შოკოლადი.

- დაიფიცე, რომ მერე ტვინს არ გამიწყალებ და მარტოს დამტოვებ.

- ვფიცავ!

მის სიამაყეს პედაგოგმა პატივი სცა. კმაყოფილმა კარიმმა ხელები ჯიბეებში ღრმად ჩაიჩურთა, მხრებში მოიახარა და თავიც დახარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მზად იყო, გაჰყოლოდა.

ზემოთ, ტავერნის ტერასიდან, ერთი, როგორც ჩანს, დაინტერესებული მამაკაცი გაფაციცებით აკვირდებოდა ხიდის თავზე შემდგარ შეხვედრას. როცა მიხვდა, რომ ორივე სილუეტი მისკენ მოეშურებოდა, სასწრაფოდ გაეცალა ტერასას. ინვალიდის ეტლით შენობაში შეტრიალდა. შეუმჩნეველი რომ დარჩენილიყო, დუქნის სიღრმეში ორ ძელს შორის დიდი ვაი-ვაგლახით შეგორდა.

ორივე სილუეტი ცოტა ხანში დარბაზში აღმოჩნდა. ფანჯრებზე ქათქათა თეთრი ფარდები დაეკიდათ, მაგიდებზე კი კუბოკრული ქსოვილი გადაეფარებინათ. რაფებზე ალპური ზონის მინდვრის ყვავილებით სავსე ლარნაკები შემოეწყოთ. დაწესებულება კაფე რომ იყო, კარიმი მხოლოდ ორი დეტალით მიხვდა: ბარის თუთის დახლზე შემოდგმული ყავის სახარში აპარატით და საპირფარეშოსშორიახლო განთავსებული ელექტრობილიარდით.

კრისმა ორი შოკოლადი შეუკვეთა. მალევე მოიტანეს. სანამ გემოს გაუსინჯავდნენ, ორივემ გაყინული ხელები კერამიკის ცხელ ჭიქებს შემოაჭდო.

- რატომ გადაგიწყვეტია თავის მოკვლა?

- იმიტომ, რომ ყოვლად გამოუსადეგარი ვარ და, ამას გარდა, აუარება სისულელეს ჩავდივარ.

- რამდენის ხარ?

- თექვსმეტის.

- შეიძლება ითქვას, რომ თექვსმეტი წლის ასაკამდე ჭკუა არ მოგეკითხებოდა. სისულელეთა მდიდარი მარაგიც შეიქმენი. ახლა კი...

- რა ახლა? რა? არც არაფერი. თუ რკინისგან ხარ ჩამოსხმული, რა შეგცვლის, რკინისავე დარჩები. თუ ხისგან გამოიჩორკნე, ხისთავა ხარ და სხვა არაფერი. თუ ნეხვისგან დაიბადე, ნეხვივე დარჩები. ნეხვი ოქროდ ვერ გადაიქცევა!

- ცდები. ადამიანი მუდამ იცვლება. ამის დასადასტურებლად

მაგალითების ჩამოთვლა არ გამიჭირდება, მერწმუნე. პირველი ნიმუში მე ვარ.

- შენ? შენ, ალბათ, ყოველთვის ასეთი იყავი.

- აბა კი, ყოველთვის ასეთი ვიყავი! წმინდა ბერნარი, მარად სხვებზე რომ ფიქრობდა და საკუთარი თავი ავიწყდებოდა! შენ წარმოიდგინე, შენი ასაკის რომ ვიყავი, შემეძლო ნებისმიერისთვის მიმეფურთხებინა, გადამევლო ყველასთვის, ოღონდ მე ვყოფილიყავი სხვებზე უკეთ, არაფერს შევეწუხებინე.

- შენ ამას იმიტომ მეუბნები, რომ გსურს...

- იმიტომ გიყვები, რომ ეს სიმართლეა. კარიმ, შეუძლებელია, რომ ადამიანი სამარადჟამოდ ცუდი იყოს. თუ შევიგნებთ, რომ უგვანოდ და უკეთურად ვიქცეოდით, გამოვსწორდებით, უეჭველად შევიცვლებით უკეთესობისკენ. ჩვენ თავისუფლები ვართ, კარიმ, თავისუფლები!

- მე განა თავისუფალი ვარ? არ დაიჯერო! როგორც კი თვრამეტის გავხდები, ციხეში მიკრავენ თავს და მართლებიც იქნებიან. მაგრამ მე ამ ასაკს ვერ დაველოდები.

- შენ თუ გწამს ცოდვების გამოსყიდვის?

- ვერ ვხვდები, რას გულისხმობ.

მათგან ორ მეტრზე მიმალულ ყურებდაცქვეტილ აქსელს სუნთქვა ეკვროდა. არადა, საუბრიდან ერთი სიტყვაც არ უნდა გამოჰპარვოდა. ლამის წაიშალა, გაბრტყელდა და გადასწორდა, ოღონდ შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

- დაატრიალე წაღმა ბედის ბორბალი. აი, რაზე გესაუბრები, კარიმ. ნუ მიჰყვები დინებას, შეეწინააღმდეგე. დამიჯერე, ქურდი და მამაძაღლი შეიძლება პატიოსან ადამიანად იქცეს. მკვლელმა შეიგნოს, რომ ბოროტებას თესავდა და აღარ ჩაიდინოს უკეთურება. მართალია, შენ ხულიგნობით, ძარცვით, ბინებისა და მაღაზიების გატეხითა და განიავებით, ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვით დაიწყე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიკეთე შენთვის უცხოა. მართალია, ნაკლებად ხარ დაცული რეციდივისგან, მაგრამ თავისუფლად შეგიძლია გამოსწორდე. იცი, რა მესახება ამის ნათელ დასტურად? შენ გძულს საკუთარი თავი. გაიძვერას სხვებიც გაიძვერა ჰგონია.

სულელი საკუთარ სიშტერეს, ჯერ ერთი, ვერც ხვდება და რომც მიხვდეს, არაფრის დიდებით არ აღიარებს. შენ კი მომიტევე პირდაპირობა, ერთი საფეხურით მაღლა დგახარ. მე მჯერა შენი, სრულ ნდობას გიცხადებ. პატიოსან სიტყვას გაძლევ, რითაც შემიძლია, - და ვიცი, რომ შევძლებ, - დაგეხმარები.

მოსაუბრეები დადუმდნენ. კარიმი ცხელი შოკოლადისა და კრისის მგზნებარე სიტყვებმა შეათბო, თუმცა, გრძნობების გამომჟღავნება არ ისურვა. საკუთარი პრინციპების ერთგულს სისუსტე სახეზე არ უნდა აღბეჭდოდა. შეგულიანებულმა იერიში განაახლა.

- შენ ვინ ოხერი ხარ და რას გადამეკიდე? იქნებ ძმა ხარ ჩემი და მე არ გიცნობ?

- ნაწილობრივ.

- ეს კიდევ რაღას ნიშნავს?

- შემიძლია თავი შენს ძმად მივიჩნიო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ძარღვებში განსხვავებული სისხლი ჩქეფს.

- წმინდა წყლის ტაკიმასხარა ხარ, რა. ღვიძლი ძმების ძარღვებში ერთი სისხლი ჩქეფს, სხვა დანარჩენი პამპულაობაა და მეტი არაფერი.

- აი, თურმე როგორ ფიქრობ. ეტყობა, უბანში არ გინახავს, თუ როგორ უმტვრევენ ეს შენი ღვიძლი ძმები ცხვირ-პირს და დასანახად ვერ იტანენ ერთმანეთს. მითხარი, შენს ოჯახში საკუთარმა ძმებმა რამე სასიკეთო გაგიკეთეს?

- ძალიან პატარები არიან. მე ვარ უფროსი.

- და შენ გადაგიწყვეტია, სიცოცხლე მოისწრაფო?! ყოჩაღ! იდეალური ძმა ჰყოლიათ იმ პატარებს.

- გეყოფა ახლა! რასაც ვიზამ, არავის საქმე არ არის!

- აი, აქ უკვე ძალიან ცდები. თუ მოგიკრავს ყური ორი ღვიძლი ძმის - კაენისა და აბელის ისტორიისთვის?

- როგორ არა, კი, სულ გადაბულბულებული მაქვს! მათი ამბავი ყურანშია მოთხრობილი, არა?

- ბიბლიაშიც. ადამისა და ევას ეს ორი ნაშიერი მშვიდად და

წყნარად ცხოვრობდა, სანამ იმ ცნობილი ძღვენის საკითხი არ წამოიჭრა. პირველი საქონლის მომშენებელი იყო და ღმერთს თავისი საქმიანობის ნაყოფი, სავარაუდოდ, ხარი ან ცხვარი შესწირა. მეორემ, მიწათმოქმედმა, საკუთარ ბაღში მოყვანილი ხილ-ბოსტნეული მიართვა. ღმერთი სრულიად გაუგებარი მიზეზით, აბელის ძღვენს სიამოვნებით დათანხმდა, ხოლო კაენისას ზურგი შეაქცია. თავად მოგეხსენება, როგორიცაა ცხოვრება - მოულოდნელობებით აღსავსე, უსამართლო და უთანასწორო. მაგრამ რას იზამ, უნდა შეეგუო ისეთს, როგორიც გეძლევა. მაგრამ ამაყი კაენი არ შეეგუა შემოთავაზებულს, აუმხედრდა და აუჯანყდა მას. ღმერთმა დატუქსა ეს ბუნტისთავი და დაშოშმინება ურჩია. ნურას უკაცრავად, კაენი გაჯიქდა, თავისი ვერა და ვერ მოიშალა. შურით გონებაამღვრეულმა ბრაზის შემოტევისას საკუთარი ძმა გამოასალმა სიცოცხლეს. მოგვიანებით ღმერთი ძმის მკვლელს ჩადენილი ბოროტების მიზეზს ეკითხება. „მე რა, ჩემი ძმის მცველი ვარ?“ დაცინვით პასუხობს კაენი. არადა, სინამდვილეში ის საკუთარი ძმის მცველი იყო, მაგრამ ვერ შეეგნო ეს. არასდროს დაფიქრებულა იმ საერთო დიდ ოჯახზე, ადამიანები რომ ვქმნით. თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავზეც აგებს პასუხს, საკუთარ ძმაზეც და სხვებზეც. მოკვლა სხვა არაფერია, თუ არა ამ მოვალეობის უგულებელყოფა, დავიწყება. სისასტიკეც და ძალადობაც დავიწყებას ნიშნავს. მე სულაც არ მსურს, ეს მოვალეობა დავივიწყო. მე შენი მცველი ვარ, კარიმ, და დაცემის უფლებას არ მოგცემ. შენ, შენი მხრივ, შენი პატარა ძმების მცველი ხარ. ვერ მიაგდებ მათ, პირიქით, დახმარების ხელი უნდა გაუწოდო.

- კარგი. და მერე რა ხდება?

- ღმერთი კაენს ისეთ ქვეყანაში გადაასახლებს, სადაც ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს, დაიტანჯება სინდისის ქენჯნით, ეყოლება აუარება ბავშვი. კაცობრიობა თვით ნოეს ჩათვლით, მის მემკვიდრედ მიიჩნევა. ხედავ, ძალადობითა და სისასტიკით პროგრესი არ შეჩერებულა. ცხოვრება წარმოუდგენელია სისასტიკის გარეშე. მხოლოდ მისი ალაგმვაა აუცილებელი.

- როცა გკითხე, მერე რა ხდება-მეთქი, საკუთარი თავი მყავდა მხედველობაში და არა კაენი.

- ჩემთან ერთად დაბრუნდები. ნდობას გამოუცხადებ ჯერ

საკუთარ თავს, მერე კი - მე. იქნებ შეძლო გახდე ის, ვინც ხარ - ნამდვილი კარიმი. და არა ის, ვინც იმ ხულიგნებმა და ქურდბაცაცებმა შექმნეს, შენს უბანში რომ პარპაშებენ.

- შენ თავად თუ გწამს ღმერთის?

- არა, მაგრამ მიყვარს ამბები, სიმარტოვის გაქარწყლებაში რომ მშველიან და გონიერებას მმატებენ.

- მე კიდევ მწამს ღმერთის! - ამაყად წარმოთქვა კარიმმა. როგორც ჩანს, ამ განცხადებით თავისი აღმატებულობისათვის სურდა ხაზი გაესვა.

კარიმის რეაქციამ კრისი დაარწმუნა, ეს ბრძოლა მოგებული რომ ჰქონდა. ბიჭი მეორედ არ დაბრუნდება აქ მატარებელის ბორბლებში ჩასახტომად!

ცოტა ხანში კარიმმა და კრისმა ტავერნა დატოვეს და ერთმანეთის გვერდიგვერდ ვილა „სოკრატესკენ“ მიმავალ ბილიკს ჩაუყვნენ.

აქსელი გადმოიხარა და სანამ მზერას არ მოეფარნენ, ყურადღებით აკვირდებოდა მათ. ერთადერთი სიტყვა უტრიალებდა თავში - „იმედგაცრუებული“. დიახ, დიახ, „ღრმად იმედგაცრუებული“. აბა, რას იფიქრებდა, რომ ამხელა გზას იმისთვის გამოივლიდა, მსგავსად განწყობილი, ასეთნაირად გონებამომართული კრისი აღმოეჩინა.

ისე თვითონაც ხომ გვარიანად შეიცვალა?

სადღაა ის ზეიმისა და მოლხენის განცდა, რომლის დაუფლებას ასე ნატრობდა? აღარც შურისძიების სიახლოვე ჩანდა ისეთი მომნუსხველი, როგორც უწინ. გამანადგურებელი დარტყმით მონიჭებული შავბნელი სიხარულიც აღარ შთააგონებდა. არა უშავს, არა უშავს. ეს ალბათ დროებითია! აქსელი დაიბრუნებს უწინდელ განწყობასა და აღტყინებას.

შემინული აუზი სწორედ იმისათვის იყო მოფიქრებული, მობანავეს ალპურ ბუნებაში აღმოჩენის სრული განცდა რომ დაუფლებოდა, - თითქოს ციცაბო კალთებზე შეფენილი იალაღებიდან დაეშვა და ლურჯად მოკამკამე ტბას გადაუფრინა; შეგრძნება იმისა, რომ მას არაფერი ემუქრება, ვინაიდან თავზე გუშაგად მზის სხივებისგან მოელვარე და თეთრ ქათქათა მანდილში თავმომწონე მყინვარწვერები

დაჰყურებენ. იმ დღეს კი ეს ადგილი გარე სამყაროსგან საერთოდ მოკვეთილი ჩანდა: სქელი ნისლი მთლიანად დაეპატრონა ხეობას, სასტუმრო უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა, აუზის მინები ორთქლისგან დაიბურა და სრულიად გაუმჭვირვალე გახდა. ადამიანთა ჭაჭანებაც შეწყდა... დიდ აუზში რამდენიმე მოცურავე მაინც ჩასულიყო. საოცარი სიმსუბუქით უნაცვლებდნენ ილეთებს ერთმანეთს, ყველა დამოუკიდებლად ვარჯიშობდა. ტრამპლინს ქვემოთ ერთი მოხუცი ხელების ნელი მოძრაობით ჰაერში უცნაურ წრეებს კრავდა. გამობერილი მუცლითა და რახიტული ფეხებით რომელიღაც მწერს მოგაგონებდათ.

სქელი, ქონიანი და თანთალათეძოებიანი მწვრთნელი მაღალ სკამზე შემოსკუპებულიყო. ასე აღზევებულს მთელი არემარე შეეძლო მიმოეხილა. ამჯერად პირში სასტვენგარჭობილი თვლემდა და გიგანტურ ჩვილს წააგავდა.

ხალათში გახვეული აქსელი მომცრო აუზამდე სასტუმროს მოსამსახურე ბიჭმა მიაგორა. წამში ამოიღო მიზანში მისთვის საინტერესო ობიექტი. მიზანი, ბოლო ხანს მაინც აკვიატებად რომ ექცა.

კრისი წყალში რევმატიზმით დავრდომილ დაახლოებით ოთხმოცი წლის ქალს ავარჯიშებდა. ხელების მსუბუქი და გააზრებული მოძრაობებით, - ცხადია, წყლის უწონობაც შველოდა, - მოხუცს აიძულებდა, ისეთი ვარჯიშები განეხორციელებინა, ხმელეთზე ვერანაირად რომ ვერ დაძლევდა. კრისის ცდას პარალიზებული პაციენტის კუნთები უნდა გაემაგრებინა და კუნთების არტიკულაცია გაეუმჯობესებინა. წყლის თერაპია შედარებით ახალი მეთოდი გახლავთ და ჩვენი მწვრთნელი მის ავტორად თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკოსად მოიაზრებოდა.

ეს დეტალი აქსელმა ჯერ კიდევ სასტუმროში დააფიქსირა. როცა ექთანი მოითხოვა მისთვის აუცილებელი ყოველდღიური პროცედურების ჩასატარებლად, დირექტორის მიერ შემოთავაზებულ სიაში კრისი ამოიკითხა განყოფილებაში სახელწოდებით „სიახლე - აკვატიკური კინეზითერაპია“.

- დიახ, - დაუდასტურა სასტუმროს დირექტორმა, - ეს ის ახალგაზრდაა, ვილა „სოკრატეშიც“ რომ მუშაობს აღმზრდელად. იცით, ალბათ, ძნელადაღსაზრდელ მოზარდთა

ცენტრში. თითქოს, ადვილად აღსაზრდელებიც არსებობენ. თუმცა, ეს სხვა საკითხია. მოკლედ, მე თამამად შემიძლია კრისსაც გავუწიო რეკომენდაცია. მისით უკმაყოფილო აქედან ჯერ არავინ წასულა. ჩაგწეროთ მასთან შეხვედრაზე?

- ჩამწერეთ, ოღონდ სასტუმროს სახელზე, ჯერჯერობით ჩემ გვარს ნუ მიუთითებთ.

აქსელს სურდა, ამ შეხვედრით ესარგებლა. გვარი რომ გაეცხადებინა, კრისი უმალ მიხვდებოდა, ვინც იყო დამკვეთი. ვინაობის დამალვით იყო შანსი, მყისიერად მაინც ვერ ამოეცნო და შედეგად სიურპრიზიც საამური გამომდგარიყო.

აქსელი თვალს არ აცილებდა მოწინააღმდეგეს, დაკვირვებით სწავლობდა. მასაჟისტის მოუცლელობაც მის წისქვილზე ასხამდა წყალს. ის შეუმჩნეველი რჩებოდა. ისე, დააკვირდი, როგორი თავაზიანია პაციენტთან, ამ დაჭმუჭნილ და დაფეხვილ დინოზავრთან! ალბათ არც იცნობს... მორიგი სნეულია მისთვის... საკუთარი დედის მიმართაც ვერ იქნებოდა ასეთი თბილი, ასეთი ტკბილი და ყურადღებიანი. შეუძლებელია. თვალს არ აცილებს ამ დამჭკნარ, წლებისგან გაცვეთილ სახეს, სხეულს კი ისე ეპყრობა, როგორც შეყვარებული ტანგოს მოცეკვავე - პარტნიორს - ატრიალებს, აბურთავებს, ძირავს... თვალებში შესცინინებს. მის მზერაში ნეტარების, კმაყოფილებისა და მადლიერების განცდის ამოკითხვა სურს. და თავად როგორ გამოიყურება? მშვენივრად. ალბათ, ორმოცი უკვე შეუსრულდა, მზე მოჰკიდებია და უხდება, თუმცა ნარუჯს თვალის კიდეებში ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები მაინც ვერ დაუფარავს. არც მისი ხვეული ჟღალი კულულები შელანძღულა ჟამთასვლის გამო. ერთი გრამი ცხიმიც კი არ შემატებია მის სხეულს. პირიქით, დაკუნთულა, მუცელიც სწორი და მკვრივი გახდომია; ფართო მხრები, ვიწრო წელი, თითქმის უთმო მკერდი და მუცლის ქვედა ნაწილიც შესანიშნავია!

აქსელს თვალი ვერ მოეწყვიტა კრისისთვის. ბრაზნარევი აღფრთოვანება მისი სხეულის საკუთართან შედარებისკენ უბიძგებდა. განსაკუთრებით კრისის ჩამოსხმული ფეხებისა და ბურთებივით გამობურცული საჯდომის შეშურდა. უბედური შემთხვევის შემდეგ მის თეძოებსა და დუნდულებს ჯერ ჩვეული ფუნქცია დაეკარგათ, შემდეგ ჩამოდნენ, ჩაიფუშნენ, სრული ატროფია განიცადეს.

- და ვის მიუძღვის ამაში ბრალი? - ჩაილუღლუღა ბრაზმორეულმა აქსელმა და ჯანსაღი ხელით უსიცოცხლო კიდურები დაიზილა.

კრისის ფიზიკურმა ბრწყინვალებამ, მისმა შესაშურმა ათლეტურმა აღნაგობამ აქსელი მიღებული გადაწყვეტილების სისწორესა და მისი აღსრულების აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაარწმუნა. არავითარი შებრალება! არავითარი შეცოდება!

წელში მოხრილი აქსელი გონებაში შურისძიების დეტალებს ჩაჰკირკიტებდა. ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ მიუახლოვდა კრისი. ხელით შეხებაზე გამოფხიზლდა.

- თქვენი ჯერია, მესიე, - უთხრა კრისმა.

აღელვებულმა აქსელმა თავი წამოსწია. საინტერესოა, რა მოხდება, კრისმა ანაზდად რომ ამოიცნოს?

- მე კრისი მქვია. თქვენ ერთსაათიანი მასაჟი დაუკვეთეთ. ხომ ასეა?

აქსელმა თავის კანტურით დაუდასტურა.

- როგორ მოგმართოთ, მესიე?

აქსელმა ის სახელი წარმოთქვა, რამაც პირველად გაუელვა თავში: - ალბანი!

აქსელმა ტუჩებზე იკბინა. „რა იდიოტი ვარ, ეს რა სახელი წამომცდა. ის ხომ ორივეს საერთო მოგონებასთანაა დაკავშირებული, ნაწარმოებთან, მის წინაშე რომ დავუკარი - ალბან ბერგის „კონცერტი ანგელოზის ხსოვნას.“ დამთხვევა იმდენად აშკარაა, რომ კრისს ჩემს ამოსაცნობად ორი წამიც არ დასჭირდება.“

- ალბან, წყალში უნდა ჩავიდეთ. ნება მიბოძეთ, ეტლი გავაგორო. კიბეზე კი ხელში აგიყვანთ. თანახმა ხართ?

- მმმ.. კეთილი.

კრისმა ვერ იცნო. როცა აქსელმა მას შეპარვით შეავლო მზერა, მიხვდა, თუ რატომ. ერთი მხრივ, კრისი არაფრის დიდებით არ ელოდა მასთან შეხვედრას; მეორე მხრივ, იქცევა როგორც თავის საქმეში დიდად გამოცდილ პროფესიონალს შეჰფერის,

თავაზიანია და ყველანაირად ცდილობს, პაციენტის ხეიბრობითა და უძლურებით განცდილი შოკი დამალოს, მისადმი ზიზღი ან გულგრილობა არ გამოავლინოს და ამით შეურაცხყოფა არ მიაყენოს. მთელი ყურადღება ტექნიკურ დეტალებზე გადააქვს. მაგალითად, ეხმარება ხალათის გახდასა და რკინის საყრდენების მოხსნაში, იცის ხელების რაც შეიძლება მოხერხებულად და უმტკივნეულოდ შემოხვევაც.

დაწყნარებული აქსელი გადაწყვეტს, მოდუნდეს და მთლიანად კრისის ხელების მაგიას მიენდოს.

წყალში კრისი უკუჩვენებებით დაინტერესდა, იქნებ საჭირო იყო რომელიმე მოქმედებას საერთოდ მორიდებოდა? აქსელმა თავის ქნევით დაუდასტურა, რომ ამ მხრივ საფრთხილო არაფერი იყო. მაშინ კრისმა ბრძანა, თვალები დაეხუჭა და პროცედურაც დაიწყო. გზადაგზა მშვიდი ხმით ყოველი მოძრაობის მნიშვნელობასაც უხსნიდა.

კრისის ჩურჩულზე აქსელი ცოტა შეცბა. ზოგადად, როცა ორი ადამიანი ერთმანეთს ეჩურჩულება, ორივე თვალებს ხუჭავს ხოლმე და თითქმის შიშველი სხეულებითაც ეხება ერთმანეთს. ასე ხდება სამიჯნურო ურთიერთობებისას. ამჟამად კი აქსელი დაუნდობელი მტრის მკლავებში იყო მოქცეული, რომლის სიამაყემ ოდესღაც კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. აბსურდია ეს ყველაფერი, წმინდა წყლის აბსურდი...

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უხერხულობაში არაფერი იყო მტკივნეული და მტანჯველი. პირიქით, კრისი მას მხოლოდ ეხმარებოდა. საკუთარი სხეულის სიმძიმის შეგრძნება საერთოდ დააკარგვინა. ექმნებოდა სრული განცდა იმისა, რომ სიმძიმის გაქრობასთან ერთად, მისი უძლურებაც ქრებოდა: ტივტივებდა, ტრიალებდა, ყვინთავდა, იხრებოდა, იმართებოდა, ბრუნავდა... ეს დაუგეგმავი კეთილმოქმედი სეანსი მას ბავშვობის დროინდელ შეგრძნებებს აღუძრავდა. გაახსენდა პირველი სიახლოვე წყალთან მამასთან ერთად სიდნეის მუნიციპალურ აუზში... ზრდასრული მამაკაცის გაკაჟებული და დაკუნთული, შთამბეჭდავი სხეულის გვერდით როგორი ჩია და უღონო ჩანდა პატარა ბიჭის... უაიტჰევენ ბიჩიდან წყნარი ოკეანის სივრცეში ჩატარებული ექსპედიციებიც დაუდგა თვალწინ... ძალიან პატარა იყო მაშინ. ამ კონტაქტით აღელვებული ცდილობდა, ენერგიული ბრასით მოცურავე მამაკაცს ზურგზე ან ფეხებზე ჩაბღაუჭებოდა...

რა უცნაურია, დაიბრუნო ბავშვობის დროინდელი ნდობისა და უსაფრთხოების განცდა და თან ვის გვერდიგვერდ ცურვისას? - საკუთარი მკვლელის. რახან კრისი მისი მონა-მორჩილი გახდა, იქნებ რევანშიც ამით ამოიწუროს - მიტაროს ეს მასაჟები, სანამ პირში სული მიდგას... მაგრამ შურისძიების ეს უჩვეულო ფორმა გაუსაძლისი არ იქნება როგორც მწამებლის, ასევე წამებულისთვის?

- ალბან, როგორ გრძნობთ თავს?

აქსელმა თვალები გაახილა. წამებული განაგრძობდა მკვლელის მკლავებში რწევას. კრისის სახე პაციენტის სახისგან სულ რაღაც ოცი სანტიმეტრით იყო დაცილებული.

- კარგად, ძალიან კარგად.

მათი მზერა გადაეჯაჭვა ერთმანეთს. შემდეგ კრისმა ფეხებზე მიანიშნა და ჰკითხა: - რა მოგივიდათ ფეხებზე?

- ეს ოცი წლის წინანდელი უბედური შემთხვევის შედეგია.

კრისს გააჟრჟოლა. არა იმიტომ, რომ მიხვდა პაციენტის ვინაობას, არამედ იმიტომ, რომ ამ განსაზღვრულმა ვადამ - ოცმა წელმა - მასში წარსულის მოგონებები გააღვიძა. აქსელი ცდილობს კრისის ყურადღების მიპყრობას: - საიდან მოგივიდათ აზრად, ეს ხელობა შეგესწავლათ? აკვატიკური კინეზითერაპია საუცხოო რამაა.

- არ ვიცი... ვერ გეტყვით, რამ მიბიძგა ამისკენ. ისე კი, წყალში რამე სასარგებლოს კეთების სურვილი ყოველთვის მქონდა.

- ვერ გავიგე, წყალში შესაძლოა რამე უსარგებლოც გაკეთდეს?

კრისი გვერდზე გადგა, შხაპქვეშ მობანავე ღიმილიან ქალბატონს რომ მისალმებოდა და აქსელის კითხვას წაუყრუა. აქსელმა განაგრძო: - უბედური შემთხვევის მსხვერპლი სწორედ წყალში გავხდი.

კრისი შემოტრიალდა და გაშეშდა. აქსელს შემსწავლელი მზერა მიაპყრო. ჯერ შეკრთა, მერე დაეჭვდა და აღელდა, ბოლოს შეძრწუნდა. აქსელმა ბოლომდე გაუძლო მის მზერას. კრისი ყველაფერს მიხვდა. გეგონება, მის მეხსიერებას ბნელი ფარდა ნელ-ნელა აეხადა და სინათლე მოეფინაო. ნერწყვი გადაყლაპა და ჩამქრალი ხმით ძლივს ამოილუღლუღა: - ეს შენ ხარ, აქსელ?

- მე ვარ.

კრისს თვალები აუწყლიანდა. გაღიმებისგან თავის შეკავება სცადა.

- გამოდის, რომ... გამოდის, რომ ცოცხალი ხარ.

- შენ რას ფიქრობდი? - შეჰყვირა აქსელმა.

ორი ათეული წლის მანძილზე ავსტრალიელი დარწმუნებული იყო, რომ კრისმა შესანიშნავად უწყოდა, რა შედეგით შეიძლებოდა წყალქვეშა ინციდენტი დასრულებულიყო. საწინააღმდეგო ჰიპოთეზა არც არასდროს მოსვლია თავში.

კრისმა თავი დახარა. გეგონება, ვიღაცამ თავში მთელი ძალით ჩასთხლიშაო.

- მე ვფიქრობდი, რომ...

- შემომხედე ერთი, მიცვალებულს ვგავარ? უფრო ინვალიდს, არა? წყლიდან ამომიყვანეს და სიცოცხლე დამიბრუნეს. ხუთი თვე კომიდან ვერა და ვერ გამომიყვანეს. როცა გონს მოვედი, ადამიანი კი არა, მისი მიმსგავსება, უხეირო იმიტაცია ვიყავი. ყველაფრის თავიდან შესწავლა მომიხდა. ვიმეორებ, შესწავლა და არა გახსენება. დიახ, ვისწავლე წერა-კითხვა, მეტყველება... რაც მართალია, მართალია, ტვინი, გონება, აზროვნების უნარი არ დამიკარგავს. სამაგიეროდ...

აქსელმა დამოკლებულ და გაშეშებულ მარჯვენაზე მიუთითა: - ...სამაგიეროდ ვიოლინოს სამუდამოდ გამოვემშვიდობე.

და მერე მზერით ფეხებზეც მიანიშნა: - სპორტსაც.

ბოლოს კი საცურაო კოსტიუმზე შეჩერდა და უსიცოცხლო, მომჩვარულ ფეხებს დააკვირდა.

- სექსსაც, როგორც მიხვდი. თუმცა ვერც კი მოვასწარი ამ სიამოვნებისთვის ჯეროვანი გემო გამესინჯა...

აღიარებით დათრგუნულ კრისს ეუხერხულა, აქსელის სხეულს ისევ შეხებოდა. მოწიწებით, აკურატულად და პატივისცემით მაინც დასვა აუზში ჩამავალი პატარა კიბის ერთ-ერთ საფეხურზე.

- ისე მიხარია, ისე მიხარია, რომ ცოცხალი ხარ!

კრისმა აქსელის დამცირებული, განადგურებული და უფერული, სიცოცხლესმოკლებული სახე შეათვალიერა. საწყალი აქსელი, სადღაა მისი სწორნაკვთებიანი უნაკლო სახე? უგზო-უკვლოდ გამქრალა. მისგან მხოლოდ უმეტყველო, მკაცრი ნიღაბიღა დარჩენილა. მარცხნივ მოქცეულ ნაკვთებს გრძნობების გადმოცემა უკვე აღარ ძალუძთ. გაჩანაგებული, გადასწორებული, ნაწამები ნაკვთები უბედური შემთხვევის მხოლოდ დამთრგუნველ ფრაგმენტებს ასახავენ.

- შეძლებ კი ერთ მშვენიერ დღეს მომიტევო?

- რას შეცვლის მიტევება? - მტრული ხმით შეუბრუნა კითხვა აქსელმა.

დაბნეული კრისი ისევ ფიქრების მორევმა ჩაითრია.

თავის მხრივ აქსელი გრძნობდა, რომ ადუღებული ბოღმა საცაა, დაახრჩობდა.

- ვერ იტყვი, რა შეიცვლება ამით? რომც გაპატიო, რა, ჩემი სხეული, ჩემი სანუკვარი მუსიკა და დაკარგული წლები დამიბრუნდება? - დაჟინებით განაგრძობდა აქსელი.

- ვერა...

- იქნებ ეს ჩემს უბედურებაში საკუთარ წილს შეგიმსუბუქებს? რა თქმა უნდა, პატიებით ცხოვრება ასეთი აუტანელი და გაუსაძლისი არ მოგეჩვენება.

- ჩადენილი დანაშაულის სიმძიმემ მე გამთელა, გამანადგურა, გამსრისა.

- მაშ რაღას ითხოვ პატიებას, გგონია, რომ ამით რამე შეიცვლება? მიპასუხე! ეშმაკმა დალახვროს, მიპასუხე-მეთქი!

აქსელი წონასწორობას კარგავს, თავს კონტროლს ვერ უწევს. ყვირილს იწყებს. მისი გამყინავი, ლითონისებრი მჭახე ხმა აუზის ნოტიო თაღებს ავსებს და გასასვლელს ეძებს. მოხუცმა შეწყვიტა ტრიალი. ენერგიული მწვრთნელი დაიხარა. მზად იყო, ჩასარევად წამომდგარიყო.

აქსელმა და კრისმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. ამ უკანასკნელმა დაასკვნა: - მართალი ხარ. არაფერს შეცვლის.

- ააა, ასე რომ, არ გპატიობ. აქ მე ამისთვის არ ჩამოვსულვარ!

კრისმა ისევ გააპარა მზერა აქსელისკენ. მიხვდა, რომ აქსელის ამხელა მანძილზე გადაადგილება უთუოდ რაღაც გეგმას უკავშირდებოდა.

- რა გინდა ჩემგან?

- შეხვედრა რვის ნახევარზე რესტორან „გრიზლიში“, ორ ნაბიჯზე რომაა ჩემი სასტუმროდან.

*

ვილა „სოკრატეში“ დაბრუნების შემდეგ კრისი კარიმის მოსანახულებლად სადურგლო სახელოსნოსკენ გაეშურა. ცოტა ხანს მეგობრულად ენა მოიქავა მოზარდთან, შემდეგ კი თავის ოთახში დაბრუნდა და საღამოსთვის მომზადებას შეუდგა.

წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შედეგით დასრულდებოდა პაემანი. არც ის იცოდა, რას ფიქრობდა აქსელი ნაშუადღევის მოულოდნელი შეხვედრისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ. აქსელს რომ პირში სული ედგა, ნამდვილად კარგი ამბავი იყო, მაგრამ ეს კრისს დანაშაულს არ უმსუბუქებდა. პირიქით, უასკეცებდა. ამ გაწამებულ, დაქანცულ, მომავალდაკარგულ ხეიბარს სიკვდილი სამუდამო წამებით შეეცვალა. ხომ არ აჯობებდა... შემზარავია! მხეცობაა ამის გონებაში დაშვებაც კი! არა, ის ისევ ცდილობს, პასუხისმგებლობას გაექცეს. აი, ლაჩარიც ამას ჰქვია...

კრისისთვის მძიმე იყო იმის წარმოდგენა, რომ აქსელი მუხანათური ღალატის შემდეგ იმქვეყნად გამგზავრებას ასცდა. ამ ველური, მახინჯი დანაშაულის ერთადერთი მოწმე გადარჩა და აგერ უკვე ორი ათეული წელია, ამ კონსტატაციით ცხოვრობს. აი, რა თრგუნავდა კრისს.

კრისს საკუთარი თავი შესძულდა.

*

რესტორანში ინვალიდის ეტლი მოხერხებულად მიედგათ მაგიდასთან. აქსელი მოთმინებით ელოდა კრისს.

ჯერ ვახშამი შეუკვეთეს, შემდეგ კი საუბარი გააბეს. კრისმა მოკლედ გაიხსენა სამშობლოში დაბრუნება, თვითმკვლელობის გადაწყვეტილება, გონების მოულოდნელი განათება და განსხვავებული გამოსავლის პოვნა -

ადამიანებისგან მოწყვეტა კი არა, პირიქით, მათკენ შემობრუნება და ზრუნვა. აქსელი უფრო ენაწყლიანი აღმოჩნდა. დეტალებიც კი არ გამორჩენია, ყველაფერი დაწვრილებით გაიხსენა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამის შესახებ აქამდე არავისთან უსაუბრია, მეორეც იმიტომ, რომ ამ საღამოს გაუჩნდა სურვილი, საკუთარი თავი მოსწონებოდა და რატომაც არა, მოსწონებოდა სხვასაც.

კრისი და აქსელი საუბარში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. „სოკრატეს“ აღმზრდელი თანდათან მიხვდა იმ მეტამორფოზას, აქსელმა რომ განიცადა. ეს აღმოჩენა თავზარდამცემი გამოდგა... სადღაც გაქრა ის ანგელოზი, ოდესღაც რომ იცნობდა; ყმაწვილი, მხოლოდ მუსიკაზე რომ ფიქრობდა, ხელოვნებით სუნთქავდა, ამაღლებულსა და უზენაესს ესწრაფოდა. ამჟამად მის წინ ერთი გაქექილი, სასტიკი და დაუნდობელი საქმოსანი იჯდა. სინდის-ნამუსგარეცხილი, იატაკქვეშა და ამორალურ გარიგებებზეც ხელისმომწერი, თუ ეს მას ჯიბის გასქელების საშუალებას მისცემდა. ტოქსიკური საღებავებით დაფერილი მილიონობით საბავშვო სათამაშო უკვე გაასაღა. რამდენიმე პატარაც იმსხვერპლა. როცა ამის შესახებ აცნობეს, ხუმრობის ხასიათზეც კი დადგა. არც სახელმწიფოსთან თაღლითობას შეუშინდა. არაერთ თანამდებობის პირს გამოსძალა ფული; ადამიანთა სიდუხჭირესა და ცხოვრების გაუსაძლისობასაც გაუწია მისთვის სასარგებლო ექსპლოატაცია. აქსელი იყო მდიდარი მაგნატი უღიმღამო, ცარიელი და უსიყვარულო, ყოველგვარი იდეალებისგან დაცლილი ცხოვრებით. მთხრობელის როლში შეჭრილს ნაკლებად აწუხებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელზე. 20 წლის წინ კრისი შესაძლოა ამ თავბრუდამხვევი აღმასვლით, ფულითა და ძლაუფლებით აღფრთოვანებულიყო კიდეც, მაგრამ ამჟამად რადიკალურად განსხვავებულ, „სოკრატეს“ ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა პედაგოგს, განახლებულ კრისს ხეიბრის ბოდვა მხოლოდ გულს ურევდა.

ერთ მაგიდასთან მჯდარ ორ 40 წლის მამაკაცს შორის გაუგებრობა წარმოიშვა. თითოეულს საკუთარ წარმოსახვაში მეორის სრულქმნილი, ძლიერ ცვლილებებს დაუქვემდებარებელი ხატება ჩამოუყალიბდა. კრისის თვალში აქსელი სრულყოფილებისა და უმანკოების ეტალონი გახლდათ, აქსელისთვის კრისი - წარმატების განსახიერება. ორივემ საკუთარი ცხოვრების კეთილმოსაწყობად მოდელად

მეორე გამოიყენა და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად მის დაჯაბვნას თუ გაქრობას ეცადა. ამჟამად ამ ქიმერულ კონსტრუქციებს სრული გაცამტვერება ემუქრებოდა.

დესერტის დროს აქსელი მიხვდა, რომ მისმა ბაქიობამ თანამოსაუბრეს მეტყველების უნარი წაართვა და მტრულად დაადუმა. კრისმაც გაისიგრძეგანა არსებული მდგომარეობა. დროთა განმავლობაში ორივემ განიცადა სახეცვლილება. ახლა ვერც ერთი ვეღარ იტანდა მეტოქის განახლებულ იმიჯს. ეს სიძულვილი კიდევ უფრო აგრესიული ჩანდა იმის გამო, რომ კრისს ჯერ კიდევ ახსოვდა ის უწინდელი აქსელი - ხელგაშლილი, გულუხვი და უანგარო, რომლისგან თითქმის აღარაფერი დარჩა და ვერც მომავალში გახდებოდა ისეთი, როგორიც უწინ იყო.

დიდხანს დუმდნენ თანამეინახეები. ბოლოს კრისმა ღრმად ამოიხვნეშა და სიჩუმე დაარღვია. გადაწყვიტა, რომ კითხვის დასმა სავალდებულოც კი იყო.

- აქსელ, რატომ ჩამოხვედი?

- გარიგება მსურს შემოგთავაზო.

- კეთილი, გისმენ.

- დღეის შემდეგ მე დამემორჩილები.

- მე...

- პირადად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ვითხოვ. დღეიდან შეასრულებ იმას, რასაც მოგთხოვ!

- კი მაგრამ...

- არ იფიქრო, რომ მორჩილებას გაიძულებ. თამამად შეგიძლია უარი თქვა. ოღონდ ამ შემთხვევაში პირადი ადვოკატის გამოძახება მომიწევს. განვუცხადებ, რომ მოგაგენი, ხელს დაგადებ და სასამართლო პროცესის დაწყებასაც არაფერი დაუდგება წინ. ორივეს კარგად მოგვეხსენება, რომ ჩვენს შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა მხედველობაში არ მიიღება.

- მიდი, ვინ გიჭერს, დამაბეზღე. ნუ გგონია, რამის უარყოფას ვაპირებ. მზად ვარ, ჩადენილზე პასუხი ვაგო. ამ დღეს ჯერ

კიდევ როდიდან ველოდი...

- ნუ ჩქარობ, ნუ ჩქარობ. ციხეში შენ იმ დანაშაულსა და ზარალს გამოისყიდი, საზოგადოებას რომ მიაყენე. ჩემთან კი ანგარიშს ვერ გაასწორებ. აბა, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის შენს დილეგში ჩასმას?! სამართლიანობა იზეიმებს, მართლმსაჯულება თავის მოვალეობას შეასრულებს. მაგრამ მე ვერ ვისარგებლებ მისი ნაყოფით. გამოდის, რომ არ გსურს სამსახური გამიწიო?

- კი, აქსელ, როგორ არა. თანაც დიდი სიამოვნებით. ჩათვალე, რომ შენი მონა-მორჩილი ვარ.

- მაშინ ამ წუთიდან ჩემი მორჩილი ხარ.

- თანახმა ვარ.

- დაიფიცე.

- გეფიცები!

აქსელმა კიდევ ერთი ბოთლი შამპანური შეუკვეთა და ჭიქები გაავსო.

- გაგვიმარჯოს!

- გაგვიმარჯოს... - მხარი აუბა კრისმა და ეცადა, სახეზე გაკვირვება არ აღბეჭდოდა.

აქსელმა ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა და უმალ გაავსო.

- ხვალიდან სამსახურს დატოვებ. ნახვამდის „ვილა სოკრატე!“ შუაღამისას შანხაიში გავფრინდებით. აი, მისამართი, რომელიც შეგიძლია გაუზიარო იმ ადამიანებს, რომლებსაც შენთან ურთიერთობის შენარჩუნება სურთ.

აქსელმა კრისს ხელში ლამის ძალით ჩაუჩურთა ბარათი, რომლის ერთი გვერდი ინგლისურ, მეორე კი ჩინურ ენებზე იყო შევსებული.

*

იმ საღამოს კრისმა საკუთარ ოთახში დაბრუნებისთანავე ფირსაკრავი მექანიკურად ჩართო და „ანგელოზის ხსოვნას“ დაატრიალა. პირველი ბგერები როგორც კი გაისმა, საწოლზე გაიშხლართა, საშინლად მოუნდა ტირილი, მაგრამ ვერ შეძლო.

მან ნიჭიერი, პერსპექტიული მევიოლინე პარანოიით შეპყრობილ უმოწყალო, სასტიკ და გულქვა, ქოლერიკული აფეთქებებისკენ მიდრეკილ ტირანად, ერთ რიგით თაღლითად აქცია, რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ისეთი ცნებები, როგორებიცაა სინდის-ნამუსი, პატიოსნება, სინდისის ქენჯნა. საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, თითქმის უნებლიეთ, კრისმა უცოდველის მკვლელობაზე უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა: საერთოდ დაასამარა უცოდველობა. მისი მსხვერპლი ჯალათად გადაიქცა... ალბან ბერგის ჰარმონიულ მუსიკაში კრისი საკუთარ ისტორიას ხედავდა: გარდაიცვალა არა მარტო ბავშვი, არამედ ნამდვილი ანგელოზიც. თავდაპირველი აქსელისგან აღარაფერი გადარჩა, მთლიანად ბოროტებამ შთანთქა, ბოროტებამ დააქცია და გაავერანა ყველაფერი.

როდისღა ვხდებით ისეთები, როგორებიც უნდა ვიყოთ? ახალგაზრდობის წლებში თუ მოგვიანებით? ყრმობისას, არა აქვს მნიშვნელობა საკუთარ გონებრივ თუ ფიზიკურ მონაცემებს ან ტემპერამენტს, ჩვენ მაინც მეტწილად მიღებული განათლება, მშობლების მზრუნველი ხელი და წრე გვძერწავს, რომელშიც ავიდგით ფეხი და გავიზარდეთ. მოზრდილები გაკეთებული არჩევანის მიხედვით, თვითონვე ვქმნით საკუთარ თავს. თუ თავად კრისი ამბიციური, პატივმოყვარე, ოპორტუნისტი, მებრძოლი, მაგრამ უპრინციპო იყო, ამაში მხოლოდ დედამისს - მარტოხელა ქალს მიუძღვის ბრალი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ, რახან თვითონ ყველაფერში მოეცარა ხელი, ერთადერთი ვაჟიშვილისთვის მაინც შეეწყო ხელი, რათა გაეგო წარმატების გემო. დედის იმედების გასამართლებლად კრისს უნდა ებრწყინა, ებრძოლა და დაეპყრო, ტრიუმფული სვლით ევლო. დედის რწმენით, ქმარმა იმიტომ მიანება თავი, რომ მის თვალში არასაკმარისად მიმზიდველი და თანამედროვე იყო. დღევანდელი გადასახედიდან კრისი მიიჩნევდა, რომ მისი ჩამსახველი, არც მეტი არც ნაკლები, არათანამიმდევრული ეგოისტი იყო, ჩვეულებრივი რიგითი ნაძირალა. 20 წლის ასაკში, ტაილანდიდან დაბრუნების შემდეგ, კრისს მიეცა შანსი, წინაღდგომოდა დედამისის ზეწოლას. აქსელის მიმართ მოურიდებელმა, თამამმა, თითქმის კრიმინალურმა საქციელმა თვალნათლივ დაანახა, რამდენად ასცდა სწორ გზას. ამის გამო ყველაფერი თავიდან დაიწყო და ღირებულებათა ახალ სისტემას მიუსადაგა. ერთი რამ ვერ განჭვრიტა წინასწარ

მხოლოდ: კარგი ადამიანი შეიძლებოდა ნაძირალად და მამაძაღლად ქცეულიყო. მაგალითიც სახეზე იყო. მისი მეტოქე-ანტიპოდი სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდა. თუ მონანიება, დანაშაულის, ცოდვის გამოსყიდვა არსებობს, მის გვერდით შეჩვენებაც, დაგმობა-გაკიცხვაც უნდა მოვიაზროთ. ადამიანების არჩევანი მეტ-ნაკლებად თავისუფალი და გააზრებულია. ცხოვრებაში ჩვენს დაუკითხავად, შეიძლება უბედურება შემოიჭრას. ყველაფერი თავდაყირა დადგეს, დიდი ბზარიც გაჩნდეს. ცხადია, ბედის უკუღმართობაზე ყველანი განსხვავებულად ვრეაგირებთ. აქსელმა ეგოისტისა და ცინიკოსის ნიღაბი მოირგო და კაცობრიობის მიმართ ზიზღით აღივსო. კრისი პირიქით - სიყვარულს გაეხსნა, სიყვარულს გაუღო ფართოდ კარი.

თუ კრისს საკუთარი თავის პოვნის შთაბეჭდილება ექმნებოდა, ეუფლებოდა თუ არა აქსელსაც იდენტური განცდა? რა წილი ერგო ამაში თავისუფლებას ან ბედ-იღბალს?

კრისს ფიქრებისგან თავბრუ ეხვეოდა, ძილი არ ეკარებოდა.

იმ ღამეს არც აქსელს მოუხუჭავს თვალი. საკუთარი პორტატიული კომპიუტერი ჩართო და ინტერნეტში შეძვრა. გადაამოწმა, საკუთარ საწარმოებში ყველაფერი ხომ წესისამებრ ფუნქცინირებდა. ერთ-ერთ ინტერნეტ-გვერდზე მეტად კურიოზულ ინფორმაციასაც გადააწყდა: თურმე მსოფლიოში დღეში მილიონობით ანტიდეპრესანტი საღდება. აქსელის გონებაში ერთი მეტად მიმზიდველი აზრი დაიბადა.

რა მოხდება წმინდა რიტას სახელობის ანტიდეპრესანტიც შეიქმნას, დეპრესიის გამანადგურებელი, უებრო საშუალება? არც არაფერი. სახელიც მოუფიქრა ახალ სასწაულს. წარმოიდგინეთ „წმინდა რიტას სასწაულმოქმედი წყალი“ იმ ურიცხვ საქონლს შორის, მისი ქარხნები რომ აწარმოებდნენ - სათამაშოები, სამოსი, ელექტრონული გაჯეტები, პორნოგრაფიული აქსესუარები... აქსელს განსაკუთრებით საკულტო ნივთები ართობდა. „მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ღმერთის რწმენა დაკარგეს, შეუძლიათ ნებისმიერი მონაჩმახი დაიჯერონ. ხომ სწამთ ასტროლოგიის, ნუმეროლოგიის, ახალი აღმსარებლობის, აღორძინებული წმინდანების. ჩვენ, კომერსანტებს, ისღა დაგვრჩენია, ადამიანების გულუბრყვილობა ჩვენთვის სასიკეთოდ გამოვიყენოთ“.

ევროპის დექრისტიანიზაციამ რაციონალიზმის გაძლიერებას კი არ შეუწყო ხელი, არამედ ცრურწმენათა რიცხვი გაზარდა, მიმზიდველად გაამრავალფეროვნა ისინი. ოდესღაც ქრისტიანობა რწმენის ბურჯი გახლდათ, რომელიც კარგა ხანია, მოიშალა. აქსელსაც შესანიშნავი შანსი ეძლევა, ადამიანებისთვის დამახასიათებელი მიმდობობისა და გულუბრიყვილობის ახალი ასპექტები შემოსავლის წყაროდ აქციოს. და რატომ ამოიჩემა მაინცდამაინც რიტა? სიდნეის ერთ-ერთი საავადმყოფოს პალატის კედელზე დაკიდებულ გრავიურაზე, სადაც აქსელი თავიდან სწავლობდა ყველაფერს, მათ შორის წერა-კითხვასაც - სწორედ წმინდა რიტას სახე იყო ამოტვიფრული. იმის ნაცვლად, რომ სიკეთის ამ ხატებისთვის თაყვანი ეცა, აქსელმა ის შეიძულა; ასევე შეიზიზღა ყველა ის რიტუალი, ადამიანებს სიკეთის, თავაზიანობისა და თავმდაბლობისაკენ რომ მოუწოდებდნენ. ერთხელ შეაფურთხა კიდევაც წმინდა რიტას და თავისთვის მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: სამარადისოდ გამარჯვებულთა და დამპყრობელთა კლანში გამწესებულიყო.

*

მეორე დღეს კრისმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა და მონტინოს შეუტანა. ამ უკანასკნელმა კრისის ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება ჯერ ძალიან გაიკვირვა, შემდეგ კი გულწრფელად გამოუტყდა, რომ გულწრფელად წუხდა მისი წასვლის გამო. ოფიციალური მხარის მოგვარების შემდეგ კრისმა კარიმი მოინახულა და ჩინეთის მისამართი დაუტოვა. დღე კოლეგების მიერ მის პატივსაცემად მოწყობილ საღამოზე მონაწილეობით დაასრულა.

- როდის მიდიხარ?

- ამ საღამოს. გეზი პირდაპირ შანხაისკენ!

კოლეგებმა დაკითხვა მოუწყვეს. კრისმა აუხსნა, რომ შეხვდა ბავშვობისდროინდელ მეგობარს, ამჟამად ჩინეთში დამკვიდრებულსა და მძიმედ ავადმყოფს, რომელსაც მისი დახმარება სჭირდება. ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ აღმზრდელ-პედაგოგებმა კრისი ალტრუიზმის ჩემპიონად აღიარეს და ჰუმანური გადაწყვეტილებისათვის მხურვალედ გადაკოცნეს.

ცხრამეტ საათზე კრისი ჩემოდნებით ხელში აქსელთან მივიდა, რომელიც მისაღებში ანგარიშს ასწორებდა. კრისმა აქსელი მანქანაში ჩასვა.

ლიმუზინმა ტბას წრე დაარტყა და ცოტა ხანში ფეშენებელურ სასტუმროს წინ გაჩერდა.

- ჩვენ ხომ ჟენევის აეროპორტიდან შანხაიში უნდა გავფრენილიყავით? - გაიკვირვა კრისმა.

- გავფრინდებით ზეგ.

კრისმა და აქსელმა ამ სასტუმროში ორი დღე დაყვეს. შეყოვნების მიზეზი კრისმა ვერც ვერასდროს გაიგო. გამგზავრებამდე აქსელის უმნიშვნელო ბრძანებებს ასრულებდა. მაგალითად, ეხმარებოდა ადგომასა და ბანაობაში, ნივთების ჩემოდნებიდან ამოღება-ჩალაგებაში...

გარიგების თანახმად, კრისი ყველაფერში ემორჩილებოდა. ეს მორჩილება მისგან დიდ ფიზიკურ ძალისხმევას არ მოითხოვდა, განსაკუთრებით მბრძანებლის სამ საათში ერთხელ აუზში ჩაყვანა და მისთვის აკვა-სეანსის ჩატარება. თუმცა კრისს უწინდებურად აფრთხობდა პაციენტის სხეულის მდგომარეობა, ჩონჩხის საეჭვო სიმსუბუქე, მოძრაობათა დისბალანსი. კრისს ერთი შეკითხვა უტრიალებდა თავში: „ნუთუ მომავალი წლები სულ ამის კეთება მომიწევს?“

დროდადრო კრისი აქსელის სატელეფონო საუბრებს მიაყურადებდა ხოლმე. დაასკვნა, რომ აქსელი ყველასთან ყაჩაღივით იქცეოდა. ვერ იტანდა შეპასუხებას, იყო ქედმაღალი, კაცთმოძულე, შეუწყნარებელი, უსამართლო.

- აქსელ, მთელი ამ ბოლო წლების განმავლობაში ადამიანებისთვის რამე კარგი თუ გაგიკეთებია?

- არაფერი და ღმერთმა დამიფაროს მსგავსი ნაბიჯის გადადგმისგან!

- მე გაიძულებ.

თავისუფალ დროს კრისი თვალწარმტაცი ალპური პეიზაჟის ცქერით ტკბებოდა. მალე „მოუწევდა“ ამ სიამოვნებასთან განშორება: უსასრულობაში გარდამავალი მთის ტბა... ზოგჯერ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წყალმა გიგანტური ნაპრალი

პირამდე აავსო. უფსკრულს გადაფარებულ უზარმაზარ ხუფს აგონებდა... ხანდახან ლანდშაფტი აღიქმებოდა, როგორც წყლის პირას გადაჭიმული, მწვანედ მობიბინე, ჰარმონიულად გაჭრილი ჭალები. მოკლედ, ადგილი, სადაც მან ბოლო 10 წელი დაყო, ხან პირქუში და დამზაფვრელი ეჩვენებოდა, ხანაც თბილი, ახლობელი და მიმზიდველი.

საფრანგეთში გატარებული უკანასკნელი ღამის მიწურულს მოგრიალდა დაჯავშნილი ტაქსი და მორჩილიც და მბრძანებელიც ბარგი-ბარხანიანად აეროპორტში წააბრძანა. შემდეგ ჟენეველი ჩინელი გამოეცხადათ შავი მანქანით. მძღოლისა და აქსელის საუბარს კრისმა ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო. ეს გასაგებიცაა, ისინი ჩინურად ლაპარაკობდნენ. ერთი ის შენიშნა, რომ დამფრთხალი აზიელი ქაღალდის ნაგლეჯზე მრისხანე აქსელის ნაკარნახევს ფხაჭნიდა.

*

განთიადს არ დაელოდნენ. 5 საათზე აქსელმა კრისს უბრძანა, შხაპის მიღებასა და ჩაცმაში დახმარებოდა, შემდეგ კი ეტლში გადაესვა. მანქანის მართვაც კრისს დაევალა.

ირგვლივ სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო. განთიადი ზოზინობდა, სიბნელესთან გამკლავება უჭირდა. მანქანამ სასტუმროს ტერიტორია დატოვა და ნელი სვლით ტბისკენ დაეშვა. ნისლით დატბორილი გზა გაუვალი ჩანდა.

- შეჩერდი. მანქანა სადმე დააყენე! - ბრძანა აქსელმა.

გუშინდელი ჩინელი გზისპირას გაჭიმულიყო სარგადაყლაპულივით და ხელით რაღაცაზე მიანიშნებდა. დაძაბული ჩანდა.

მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ. ჰაერი ობისა და ნეშომპალის მძიმე სუნს გაეჟღინთა.

ჩინელი ორად მოიკეცა. პონტონის ბოლოს დანახშირებულ ფიცრებსა და იქვე მიბმულ ხის ნავზე მიუთითა. აქსელის ბრძანებით, კრისმა ხეიბარი მაქსიმალური სიფრთხილითა და მორიდებით გადაიყვანა. როგორც კი ნავის უკანა სკამზე მოთავსდა, გაღიზიანებულმა მბრძანებელმა მორჩილი ხელისკვრით მოიშორა.

სამარისებრი სიჩუმე რომ არ დაერღვიათ, ძრავა ნახევარი

სიმძლავრით დაქოქეს. ნავი დაიძრა. ნაპირზე მდგარი ჩინელის სილუეტი ნელ-ნელა შეთხელდა, მინავლდა, სანამ საბოლოოდ აისის ნისლმა არ შთანთქა.

- სად მივდივართ?

- ნახავ.

კრისს ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა იდო მათ შორის დაყრილ ჩანთებში. რაც უფრო წინ მიიწევდა ნავი, მით უფრო სქელდებოდა ნისლი, ერთგვარ ბლანტ წვნიანს ემსგავსებოდა. ტბის შუაგულში, ამ ნამდვილ ყინულის სამყაროში, სადაც საერთოდ გაქრა მთისა და სანაპიროს კონტურები, აქსელმა ძრავის გამორთვა ინება.

- მოგზაურობა აქ მთავრდება.

- აქ?

- დიახ, სწორედ აქ, ტბის შუაგულში.

ამ სიტყვის გაგონებაზე, კრისი უმალ მიხვდა, რაც მისმა კომპანიონმა ჩაიფიქრა. ალპების ღრმა ტბა ტაილანდის მზით გაჩახჩახებული უბის სილურჯეს ჩაენაცვლა. აქსელი აშკარად მიანიშნებდა კრისს, რომ დადგა დრო, მასაც გაეგო, თუ რას ნიშნავს დახრჩობა. კრისი ინსტინქტურად ზეზე წამოხტა. მზად იყო, ნავიდან გადამხტარიყო და თავისთვის ეშველა.

- არ გაინძრე!

რევოლვერის ლულა პირდაპირ მისკენ იყო მიშვერილი. აქსელმა ის ჯიბიდან დააძრო.

- არ ვხუმრობ, - ჯიუტად წარმოთქვა მან, - დაუბრუნდი შენს ადგილს. გაფრთილებ, თუ არ დამემორჩილები, ტყვიას პირდაპირ შუბლში დაგახლი.

კრისმა ბრძანება უდრტვინველად შეასრულა. მოლაპარაკების წარმოება სცადა. პირიც დააღო.

- ხმა ჩაიგდე. დღეს ვლაპარაკობ მე! - შეუბღვირა მბრძანებელმა.

მიუხედავად კატეგორიული და შეუვალი ტონისა, აქსელი აკანკალდა. იქნებ სიცივისგან? იქნებ შიშისგან ან სულაც ცოფისა და ღვარძლისგან? გადატანილი კომის შედეგად

აქსელის სახეს სრული ატროფია განეცადა. მოდუნებული კუნთები ემოციებს ვეღარ გამოხატავდა. მოკუმულ ტუჩებზე თუ მიხვდებოდით შინაგან დაძაბულობასა და ნერვიულობას.

- ერთ დღეს შენ ჩემს გადარჩენას №1 ჟეტონი ამჯობინე. ცხადია, მაშინ ვერც კი წარმოგედგინა, რომ ეს შესაძლოა სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. წამითაც არ გიყოყმანია. მოგებასა და ჩემს ხსნას შორის გამარჯვებულის გვირგვინი აირჩიე. ამჯერად მოგების არანაირი შანსი არა გაქვს. გახსენი ჩანთები.

იარაღის ლითონი ბრწყინავდა. მისი ანარეკლი ელვას მოგაგონებდათ. კრისი მძიმე ჩანთებისკენ დაიხარა, ნავის ძირზე გაათრია და ფეხებს შორის მოიქცია. გახსნა. ჩანთაში ღვედებით ერთმანეთზე გადაბმული ტყვიის ზოდები აღმოჩნდა.

- შეიკარი ღვედები!

კრისი გაპროტესტებას შეეცადა. პასუხად აქსელმა რევოლვერის ლულა პირდაპირ შუბლზე მიაბჯინა.

კრისი მბრძანებლის ნებას დამორჩილდა.

- მიდი, მიდი, უფრო მაგრად მოუჭირე. არ შეგიძლია უფრო რთულად გაკვანძო? მათგან გათავისუფლების შანსი უნდა გამოირიცხოს, - აქსელი სასხლეტს თითით დააწვა.

უეცრად თავზე შავმა ყორანმა გამყინავი ჩხავილით გადაუფრინათ. კრისი უკვე მორჩილად ცდილობდა ბრძანების ზედმიწევნით შესრულებას. მისი მიზანდასახულობა აქსელსაც არ გამოჰპარვია, მაგრამ კომენტარისგან თავი შეიკავა.

- აი, უკვე შებორკილი ვარ. ახლა რას მიბრძანებ?

- ოო, ჩანს, რომ ძალიან გეჩქარება.

- რა აზრი აქვს ზოზინსა და გაჭიანურებას. მე ხომ უკვე ვიცი, რით დასრულდება ეს ამბავი: წყალში უნდა გადავხტე, თუ ჯერ მესვრი?

- მოთმინება, მოთმინება! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შემოთავაზებულ როლს გემო აუღე.

- ეს სასურველია, მეტიც, აუცილებელია.

- დამშვიდდი, კიდევ ერთხელ გიმეორებ. აქ ყველაფერი ჩემთვის სასურველ რიტმს უნდა დაექვემდებაროს. მე მოვაბი ყველაფერ ამას თავი და არა შენ.

- შენ წარმოიდგინე, მეც შევიტანე პატარა წვლილი. მე ვარ პასუხისმგებელი იმაზე, რადაც იქეცი.

- პასუხს აგებ იმაზე, რომ მილიარდერი გავხდი? - ქირქილით უთხრა აქსელმა.

- არა, მკვლელი! გაიხსენე მეტსახელები, პოლ ბრაუნმა რომ შეგვირჩია, მუსიკალური პროგრამების ამერიკელმა ორგანიზატორმა. მის თვალში ჩვენ ერთმანეთს მტრად გადაკიდებული ძმები - აბელი და კაენი ვიყავით. მე ცუდი, ანუ კაენი ვიყავი. შენ კეთილ აბელად მოგიაზრებდა. მე ვიყავი ის, ვისაც ღვიძლი ძმა უნდა მოეკლა, რაც ჩავიდინე კიდევაც.

აქსელი კრისს ზიზღით აღსავსე თვალებთ მიაშტერდა.

- თუ სწორად გავიგე, გამოდის, რომ თავს დამნაშავედ გრძნობ?

- რა თქმა უნდა. თუმცა, ამჟამად როლები შეიცვალა - კაენი შენ ხარ, მე კი - აბელი. სისულელეა, არა? ორი ათეული წელი მოვანდომეთ როლების გადაცვლას. შენ ტანჯვა-წამების, სასოწარკვეთისა და ზიზღის ნაღმად იქეცი. ჩემ გამო სიკეთის, თანადგომისა და თანაგრძნობის განსახიერება ურჩხულად გარდაიქმენი. როგორ ფიქრობ, ჩემ მიერ ჩადენილის არ უნდა მრცხვენოდეს?

აქსელმა იარაღი მიუშვირა და მზად იყო, გაესროლა.

- ხმა ჩაიგდე!

კრისი აღარ უსმენდა და მგზნებარედ განაგრძობდა.

- მე შენ დაგღუპე, აქსელ! გავანადგურე არა მარტო შენი ცხოვრება, არამედ თავად შენ გაგაცამტვერე! შენ აბსოლუტურად განსხვავებულ ადამიანად იქეცი. ვისაც მე ოცი წლის წინ ვიცნობდი, ანგელოზი იყო. ახლა კი დემონის წინაშე აღმოვჩნდი.

- გაჩუმდი! მე ვაგებ პასუხს იმაზე, როგორიც გავხდი. ასეთი იყო ჩემი სურვილი. ამიერიდან ამას არასდროს დავუშვებ. დავიფიცე, როცა კომას თავი დავაღწიე. „ამიერიდან არასდროს! არასდროს! არასდროს გავხდები მსხვერპლი!“

- რა უცნაურია. „ამიერიდან არასდროს...“ სწორედ ეს აღვუთქვი მეც ჩემს თავს: „ამიერიდან არასდროს გავხდები მკვლელი!“

წამიერად ორივე ბედის ირონიამ დააფიქრა, ნაძირალა ალტრუისტად რომ აქცია, ხოლო წმინდანი - გაიძვერად.

ირგვლივ ღრმა და მსუბუქი ნისლი უხმაუროდ, ფეხაკრეფით ჩამოწვა. თეთრმა ღრუბელმა ნავში მსხდომნი სქელ, ყრუ სამოსელში გაახვია.

ჩაფიქრებულმა აქსელმა განაგრძო.

- ამას წინათ კაფეში რომ დაგინახე, შენს ერთ-ერთ სასოწარკვეთილ აღსაზრდელს მონანიებაზე, ცოდვების გამოსყიდვაზე ესაუბრებოდი. საუკუნეა, ამ სიტვისთვის ყური არ მომიკრავს. არც მის მნიშვნელობაზე მიფიქრია. ისეთი თავდაჯერებული ჩანდი, ისეთი რწმენით შეპყრობილი, უმალ მივხვდი, საკუთარ თავზე რომ საუბრობდი. მას შემდეგ, რაც წყლის სიღრმეში მომისროლე, როგორც უსარგებლო თევზსაჭერი სატყუარა, როგორც ჩანს, მონანიების გზას დაადექი. სწორედ მაშინ გავიაზრე, რომ ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო მარშრუტი ავირჩიეთ: მე დაღმა დავეშვი, შენ აღმასვლას შეუდექი. რა შეიძლება მონანიების საპირისპირო იყოს. დეკადანსი? შეჩვენება? გაკიცხვა? მოკვეთა?.. ალბათ მაინც შეჩვენება... როცა ამ სიტყვას წარმოვთქვამ, ცუდად ვხდები. თავი ისევ მსხვერპლი მგონია.

- არასწორად მსჯელობ. როცა ადამიანი ყოველთვის სხვების მსხვერპლი ხდება, ცდილობს, საკუთარი თავის მსხვერპლი მაინც არ გახდეს. ეს მის შესაძლებლობებშია და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

- მე ძალა უკვე აღარ შემრჩა, კრის. როცა ცინიზმის მორევი ჩაგითრევს, ძნელია იქიდან თავის დაღწევა. ემშვიდობები იდეალებს, მიგიფურთხებია ყველაფრისთვის, გარდა ტკივილებისა. შენთან შეხვედრის დღიდან მოყოლებული ტკივილი გასაქანს არ მაძლევს, აღარ მეშვება. თან ძალ-ღონეს იკრებს და გაუსაძლისი ხდება. შეიძლება იმიტომ, რომ მდგომარეობაც შეიცვალა... სულ ცოტა ხნის წინ ვერ გიტანდი, მეზიზღებოდი, ახლა კი მხოლოდ საკუთარი თავი მეზიზღება. შენი თვალებით ვუცქერ საკუთარ პიროვნებასაც. მახსენდება, როგორი ვიყავი უწინ, ვადარებ... რაღა დამრჩა, კრის, მითხარი, რის ამარა დავრჩი?

კრისს აქსელისთვის სათვალე რომ მოეხსნა, ცრემლებით სავსე თვალებსაც დაუნახავდა.

- რაღაც-რაღაცეების გაკეთება მეც შემიძლია შენთვის, - წარმოთქვა კრისმა წამოდგომისას.

- შეუძლებელია ჩემთვის რამის გაკეთება.

- ცდები. მე შემიძლია დაგეხმარო, რომ ისევ კეთილ, ნამდვილ ადამიანად იქცე.

- შეუძლებელია-მეთქი. არც მაქვს ამის სურვილი.

- გაიძულებ.

კრისმა ტყვიის ზოდები აკრიფა, ნისლს შეხედა და მარჯვენა ბორტიდან წყალში გადახტა.

ყველაფერი ისე სწრაფად დატრიალდა, რომ აქსელი მომხდარს სხეულის გაუჩინარების შემდეგ მიხვდა. კრისის თავმა წყლის ზედაპირზე მხოლოდ წამიერად გაიელვა. სანამ კუნთებს წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ, მოასწრო, ერთი მზერა აქსელისთვისაც შეევლო... წონამ მაინც თავისი გაიტანა და კრისის სხეული ტბის სიღრმემ ჩაითრია.

აქსელს ჰაერის ბუშტულები არ დაუფიქსირებია. როგორც ჩანს, კრისმა სუნთქვა შეიკავა.

აქსელი წყლის ზედაპირზე კონცენტრულ წრეებს აკვირდებოდა. ცოტა ხანში ტბა პირვანდელ მშვიდ და ბრტყელ მდგომარეობას დაუბრუნდა.

ერთი შეხედვით, მომხდარს აქსელისთვის კმაყოფილება უნდა მოეგვარა. მისი ნება აღსრულდა. თუმცა თავად მსგავსი არაფერი უგრძნია. უეცრად წყლის ბუშტულებმა ტბის სიღრმიდან ზედაპირზე ხმაურით ამოხეთქა. ეს შხუილი ადამიანის ხმას წააგავდა, სიხარულით გაჟღენთილს, მისდამი მტრულად განწყობილ სამყაროს თავი რომ დააღწია და ჩვეულ გარემოს დაუბრუნდა.

ეს განცდა აქსელისთვის სულ უფრო და უფრო დამთრგუნველი და აუტანელი ხდებოდა. მიხვდა, რომ მისი თანამგზავრი აგონიაში იყო.

- კრის! - იბღავლა მან.

გულში ჩამწვდომი მთრთოლვარე ყიჟინა ზეცაში აიჭრა და მთების გულგრილ დუმილში ჩაიკარგა.

შეძახილი უპასუხოდ დარჩა. მაშინ აქსელი კრისის გადასარჩენად წყალში გადაეშვა.

*

წარმოშობით სავოიელი ბებერი კერაზი ღია ცის ქვეშ ცხოვრებისგან გადახრუკული სახით წლების განმავლობაში უყვებოდა ტურისტებს და საერთოდ ყველას, ვისაც მისთვის ყურის გდება არ ეზარებოდა, ამბავს, სრულიად შემთხვევით რომ წაესწრო ერთხელ ტბის კლდოვან სანაპიროზე თევზაობისას და მოსვენებას არ აძლევდა.

ერთხელ დილით კერაზი კომბაზის შალედან ჩამომავალი გზიდან შორიახლო მდებარე კონცხზე თევზაობით იქცევდა თავს. რატომღაც იმ დღეს ნავით ტბის სიღრმეში გასვლა არ ინდომა და კლდოვან შვერილზე მოკალათება ამჯობინა. უცნაური, თითქმის დაუჯერებელი სცენის თვითმხილველი კი გახდა. სქელი ნისლი, როგორც ეს ხშირად ხდება ნოემბრის თვეში, წყლის ზედაპირს თეთრ ზეწრად მოჰფენოდა. მსუბუქი ტალღები ხან გამოჩნდებოდა, ხანაც თეთრ სამოსელს გადაიფარებდა. უეცრად შორს ბებერმა კერაზმა ნავი დალანდა. ორ მგზავრს ძრავა გამოერთო და მშვიდად საუბრობდა. სცენა სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მერე ყველაფერი რძისფერი ნისლით შეინიღბა: თუმცა ცოტა ხანში სქელი ფარდა შეიხსნა. ერთ-ერთმა მგზავრმა ტვირთით ხელში წყალში ისკუპა. ვითომ მყვინთავი იყო? მეორე, აღელვებული, რაღაც გაურკვეველს გაჰკიოდა და ცოტა ხანში პირველს უკან მიჰყვა. სცენას ღრუბელმა გადაუარა. სულ რაღაც ორ წუთში მხედველობა აღსდგა. კერაზმა წყლის წედაპირზე ორ თავს მოკრა თვალი. მოეჩვენა, რომ მეორე მამაკაცი პირველის გადარჩენას ცდილობდა და დიდი გაჭირვებით მათგან საკმაოდ შორ მანძილზე მოქანავე ნავისკენ მიათრევდა. სპექტაკლს კერაზმა ბოლომდე ვერ მიადევნა თვალი. ამოვარდნილი ქარისგან კვლავ ყველაფერი დაიბურა. სიბნელე ათ წუთს მაინც გაგრძელდა. ბოლოს, როცა ინათა, ტბის შუაგულში წარმოდგენის მხოლოდ ერთი მონაწილე დარჩენილიყო - ცარიელი ნავი მგზავრების გარეშე. ნეტა სად წავიდნენ მონაწილეები? ჩაიძირნენ თუ სამშვიდობოს გავიდნენ? დაიხრჩვნენ თუ გადარჩნენ? კერაზმა დაასკვნა, რომ თვალღიას

დღისით მზისით უცნაური რამ ესიზმრა.

ბებერი კერაზი ერთ კვირას მაინც ორჭოფობდა. ბოლოს გვარიანად გამოტყვრა, სითამამეც მოემატა, ადგა და პოლიციას მიაშურა. ნანახი სულ დეტალურად მოჰყვა.

- თუ ორი მამაკაცის გაქრობის შესახებ შეგვატყობინეს, - ხუმრობით მიუგო მორიგემ, - აუცლებლად დაგიკავშირდებით და ცხადია, მოგიწევს შენი რომანის თავიდან მოყოლა. ახლა კი სახლში დაბრუნდი. ერთი კარგი გამოძინება არ გაწყენს.

ჟანდარმებმა ცალი ყურით მოისმინეს ამ ჩერჩეტი ბებრის ზმანება. ცხადია, ალკოჰოლისგან აქოთებულ ფანტაზიორს არ დაუჯერეს და რეაგირებაზე არც კი უფიქრიათ.

ბებერი კერაზიც თავის მხრივ ძალიან გაუნაწყენდა სამართლის დამცველებს. ცხელ გულზე მუქი უფილტრო „გალუაზის“ მოწევა დაიწყო და ალპური ლიქიორის წრუპვასაც უხშირა.

შთანთქმულმა ალკოჰოლმა ბებერ კერაზს მთლად დაუბინდა გონება და მისი მეხსიერებიდან ბევრი რამ ამოშალა. ერთი პერიოდი მოხუცმა აკვიატებული ხილვებისგანაც დაისვენა. მაგრამ ერთმა მოვლენამ მაინც წარსულს დააბრუნა.

10 წლის თავზე, როცა ფსკერის დასუფთავების მიზნით ტბა წყლისგან დაცალეს, შლამში ორი გვამი აღმოაჩინეს: ერთმანეთს გადახვეული ორი სხეული, როგორც ორი ტყუპისცალი დედის საშოში.

ვერც ვერასდროს დადგინდა მათი ვინაობა. სამაგიეროდ, ჩონჩხების მსგავსებით გაოცებულმა მუშებმა კლდოვან კონცხს, სადაც ოდესღაც ბებერი კერაზი თევზაობით ერთობოდა და საკუთარი თვალით იხილა გადარჩენისათვის მათი ბრძოლის ბოლო წუთები, აბელისა და კაენის კონცხი შეარქვეს.

სიყვარული ელისეს სასახლეში

ქუჩებს რომ გაჰქცეოდა, ლამის სირბილით დაბრუნდა სახლში,

მაგრამ როგორც კი ოთხ კედელშუა გამოიკეტა, გულმა ისევ გარეთ გაუწია. ვერა და ვერ დაადგა მის ტანჯვას საშველი, პირიქით, დღითი დღე სულ უფრო შეუძლოდ გრძნობდა თავს. შვებას ვერსად პოულობდა.

ოთახი მიმოათვალიერა. იქნებ რამე დეტალს - ავეჯს, ფერწერულ ტილოს, ან უმნიშვნელო სამშვენისს მაინც დაემშვიდებინა, მისთვის რწმენა და თავდაჯერება დაებრუნებინა, წარსულთან დაეკავშირებინა. სულ ფუჭად. მზერა ვერაფერზე შეაჩერა. სასახლის ბოლო სართულზე კეთილმოწყობილი აპარტამენტები დახვეწილი გემოვნების ნამდვილი დასტური გახლდათ. ყველაფერი - უმნიშვნელო ჩუქურთმითა თუ ნაძერწით დაწყებული, სავარძლების შალითებით დამთავრებული, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტორის მიერ იყო მოფიქრებული. საკმარსი იყო, სკამი ცოტათი გადაგეადგილებინათ, ან მყვირალა ფერის სამოსი სავარძელზე - ნაცრისფერი და ლიმონისფერი ხის ამ შესანიშნავ კომბინაციაზე მიგეგდოთ, ყოველგვარი ჰარმონია მყისიერად გაქრებოდა. ნებისმიერი ჩარევა, თუნდაც პირადი ცხოვრების ნებისმიერი ნიშანი, ხელოვანის აკვიატებებს რომ დაუპირისპირდებოდა, შესაძლოა უპატიებელ უხამსობად აღქმულიყო. შექმნილ გარემოში ის თავს მარად უცხოდ გრძნობდა.

ლამპების ანთებაზე უარი თქვა. დივანზე ჩამოჯდა, ისევ დაემსგავსა მოჩქარე დამთვალიერებელს.

გარეთ მოქუფრული, უსინათლო და სევდის მომგვრელი ამინდი იდგა. მხოლოდ ვერცხლის ზარდახშების პრიალა ზედაპირები თუ ბრწყინავდა. ზანტად თოვდა. ქუჩიდან ავტომანქანების ყრუ, თითქმის ჩახშული გუგუნი მის სმენამდე მაინც აღწევდა.

კატრინმა გადაწყვიტა, რომ მისი ცხოვრება კვირა დღის ნაშუადღევს დაემსგავსა; უსასრულოდ გრძელს, შავბნელს, უხალისოს, გაურკვეველი იმედებითა და აუხსნელი სინანულით აღსავსეს, როცა დაუთრგუნველი სიმწარე დარჩენილი ცხოვრებით პირის ჩატკბარუნების უმნიშვნელო შანსსაც ხელიდან გართმევს.

უსაქმურობისგან კატრინმა ჟურნალს დაავლო ხელი, რომელიც პირად მდივანს, როგორც ჩანს, საგანგებოდ მისთვის

დაეტოვებინა. გარეკანზე მისი და მეუღლის პორტრეტები გამოეტანთ. თან წარწერა დაერთოთ: „სანიმუშო სიყვარული“.

კატრინი ილუსტრირებული ჟურნალისკენ დაიხარა. გაეღიმა. რაც მართალია, მართალია, ელეგანტურად კი გამოიყურებოდა. სახე ნატიფი, თხელი, თითქმის გამჭვირვალე უჩანდა. ფაიფურისგან ნაძერწს წააგავდა.

- სანიმუშო სიყვარული... რა მდიდარი წარმოსახვა აქვთ ადამიანებს!

თითის წვერებით, - ფრჩხილების ელვარებაზე მოცხარის ჟელე გაგახსენდებოდათ, ის სასოწარმკვეთი ფერი, რომლითაც ბოლო დროს ასე ხშირად ღებავენ მანქანებს, - კატრინი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ყოველკვირეულის ფურცვლას შეუდგა. ჭორების ამ ანთოლოგიას არავინ ყიდულობს, მაგრამ რაღაც სასწაულის ძალით საბოლოოდ მაინც აღმოჩნდება ხოლმე, რომ ყველას ფურცელ-ფურცელ აქვს გადაბულბულებული. ნომერს მათი ოჯახური წყვილის ფოტო-გალერეისთვის რამდენიმე გვერდი შეეწირა. ყოველი მათგანის წარწერაზეც ეზრუნათ, დაახლოებით „სანიმუშაო სიყვარულის“ სტილში დაესათაურებინათ. ხელიხელიჩაკიდებული და მხარიმხარს მიდებული კატრინი და ანრი ობიექტივს უღიმოდნენ. უნაკლო საპრეზიდენტო აპარტამენტში მოსიყვარულენი, ალერსიანნი, სუფთა და მოვლილნი ჩანდნენ.

- ნუთუ მართლა ლამაზები ვართ? - დაინტერესდა კატრინი.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა გაუჭირდა. თვალით, ოცწლიანი პოლიტიკური გამოცდილების შედეგად პროფესიონალური რომ გაუხდა, აშკარად ხედავდა, რომ ფოტოებს უხარისხობას ვერ დასწამებდი, დიდებულად იყო გადაღებული, მაგრამ აი, თვითონ იყვნენ კი სინამდვილეში უზადონი? ცხადია, მაკიაჟის წყალობით სახეზე პატარ-პატარა ხინჯები არ აღენიშნებოდათ, რეტუშს პირიქით, მათი ღირსება გამოეკვეთა. ამას გარდა, თვითონაც და მეუღლეც ფრანგისთვის შესაფერ სამოსში იწონებდა თავს. დიახ, მათ დაამარცხეს ჟამთასვლის უმოწყალო, გამანადგურებელი ზემოქმედება, შესაშური იერსახე დაიყენეს, მაგრამ მაინც იყვნენ კი ასეთი ლამაზნი და მიმზიდველნი, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა ეფიქრათ?

- ამ წყვილს სრულიად შემთხვევით ცხოვრებაში სადმე რომ გადავყროდი, საინტერესოა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე? ნუთუ მეც მოვიხიბლებოდი?

ძნელია, ძნელი ამის თქმა. თუ დროებით მაინც დაივიწყებდა, რომ საკუთარ ანაბეჭდს დასცქეროდა, კატრინი სურათზე მხოლოდ ძალაუფლების მპყრობელთა წყვილს ხედავდა, რომლის საარსებო საშუალებები სხვებისას საგრძნობლად აღემატებოდა. უცნაურია, მაგრამ ეს უპირატესობა მაინცდამაინც არ ხიბლავდა. სოციალურ საფეხურზე თავბრუდამხვევი აღმასვლის მიუხედავად, მასში მაინც ნატიფი ხელოვნების აკადემიის ის სტუდენტი ბუდობდა, ყველაფერს ანტიკონფორმიზმი რომ ამჯობინა და სრულიად უპერსპექტივო სპეციალობა აირჩია. ველურმა, მოუხელთებელმა გოგონამ მშობლების გაუთავებელ ჩიჩინს თვეების განმავლობაში მაკარონით კვება ამჯობინა და ის, თავისუფალი ქალი ერთ მშვენიერ დღეს სრულიად შემთხვევით ასასთან ახლოს მდებარე ბარში ანრის გადაეყარა. მაშინ არც უფიქრია, რომ ამ შეხვედრას მომავალი ეწერა. 25 წლის თავზე ეს ბოჰემური სულისკვეთების სტუდენტი დიდებისა და პოპულარობის ჯაჭვით ხელ-ფეხშებორკილი აღმოჩნდა - მადამ მორელის ოფიციალურ უსიცოცხლო იმიჯში გაყინული, საფრანგეთის პირველი ლედი, რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლე, ელისეს სასახლის ძვირფას გვირგვინში ჩასმული მოელვარე ძვირფასი თვალი.

ყოველ შემთხვევაში აი, ამ დედაკაცთან, სურათებზე ასე რომ იწონებს თავს, პირადად მე საქმეს არ დავიჭერდი. ურთიერთობის დამყარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, არც კი გავიცნობდი.

საკუთარი თავის შეფასებაში კატრინი უკომპრომისო აღმოჩნდა: ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ძვირადღირებული ქსოვილისგან შეკვეთით შეკერილი პიჯაკი, მაღალქუსლიანი, თუმცა არაგამომწვევი ფეხსაცმელი, ჩაფხუტივით გამძლე ვარცხნილობა, სიმორცხვისა და მოკრძალების გამომხატველი თავდაჭერის მანერა - ღმერთო, როგორ დაემსგავსა ბურჟუაზიის კლასიკურ, აუტანელ წარმომადგენელს. ეს მეტამორფოზა მოხდა არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა, მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. თავიდან არც კი ფიქრობდა, რა უნდა ეტარებინა.

გაუაზრებლად შეეძლო ნებისმიერი ტანსაცმელი მოერგო: კაბები ან პერანგები, გრძელი ქვედაბოლოები, ინდური უსახელოები... რაც მთავარია, ყველაფერი თვალში საცემად და გამაღიზიანებლად ჭრელი, თან ძალიან იაფი. უყვარდა პოპულარულ, ხალხმრავალ რაიონებში - თვითონაც ერთ-ერთ მათგანში ცხოვრობდა, ჩრდილოეთის ვაგზლის მახლობლად მანსარდას ქირაობდა - ძველმანებით მოვაჭრეთა ბაზრობებზე ქექვა. საკუთარი არჩევანის გასამართლებლად შეეძლო ეთქვა, ბამბის ქსოვილის სიუხეშეზე ჭკუა მეკეტებაო, ან კიდევ ჩემს გამხდარ სხეულზე მსუბუქი ქსოვილების შეხება ისე მსიამოვნებს, პირდაპირ ექსტაზში ვვარდებიო. მოგვიანებით, როცა სოციალურ საფეხურზე საკმაოდ დაწინაურებულ მეუღლესთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა მოუწია, ჩაცმისას მისი უგულისყურობა და დაუდევრობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. პირადად მისთვის სამოსი ხომ ბოლო საზრუნავი გახლდათ, მაგრამ მისი თავისუფალი, მოდის მკაცრ კანონებს დაუქვემდებარებელი სტილი განსჯის, უსასრულო კომენტარების, მეტიც, დისკუსიების საგნად იქცა. კატრინის მოდისადმი გულგრილი დამოკიდებულება თავის მოკატუნებად, ფარსად, მეუღლის მიერ საგანგებოდ შერჩეულ, მასებზე გათვლილ სარეკლამო ტაქტიკად აღიქვეს. თუ ვინმეს ქალბატონი მორელი გაახსენდებოდა, საუბარს მის ჩაცმულობაზე ჭორაობით იწყებდა და ამთავრებდა. ზოგი უქებდა სტილს, ბევრს არ მოსწონდა და დასცინოდა. ნართაულებისა და განქიქებისთვის წერტილი რომ დაესვა, კატრინს დათმობა მოუწია - კარადები ჰიპური ჭინჭებისგან დაცალა და მისი ასაკის, პასუხისმგებლობებით დამძიმებული, საზოგადოებაში მაღალი სტატუსის მქონე ქალბატონებისთვის განკუთვნილი სამოსით გაძეძგა... საზოგადოებაში მართებული ქცევის კოდექსიც ხომ ამას ითხოვდა მისგან!

ღირსების საკითხია, სხვა თუ არაფერი!

- ღირსეულად?! გესმის, საწყალო კატრინ? ისე მეტყველებ, როგორც გასივებული დედაკაცი, კანში რომ ვერ ეტევა და თან დარწმუნებულია, „ღირსეულად“ რომ აცვია. არა, კრეტინებმა მოიგეს ომი და გონებაც დამინაგვიანეს.

კატრინი იმ ფოტოს დააკვირდა, ელისეს სასახლის გაყინულ ჰოლში რომ იყო გადაღებული. მაშინ გერმანიის კანცლერს მასპინძლობდა. ამ უკანასკნელის გვერდით მდგომი ქალი ვერ

აიტანა. ცხადია, მშვენივრად გამოიყურებოდა, ელეგანტურიც იყო, ყურადღებიანიც და თავაზიანიც. ამ მხრივ ვერაფერს დაუწუნებდი, რასაც ვერ იტყოდი მის ღიმილზე. გულს ურევდა ის როლიც, ასე ზედმიწევნით რომ თამაშობდა. სახეზე უხერხულობის ნატამალიც არ უნდა აღბეჭდოდა და შესანიშნავადაც ახერხებდა ამას. ეს ის როლია, რომელიც მას საკუთარი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ თავს მოახვიეს - როლი პოლიტიკური მოღვაწის მეუღლისა. თავიდან უბრალო დეპუტატის ცოლი გახლდათ, მოგვიანებით - დეპუტატი მერისა, ერთ დღესაც - მინისტრისა. ყოველ ჯერზე თავისუფლების გარკვეული ნაწილი ხელიდან ეცლებოდა. ერთხელაც ქმარი არჩევნებში დამარცხდა და ოპოზიციის ბელადის მეუღლედ გარდაიქმნა. გაგეცინებათ, მაგრამ ეს პერიოდი მის ცხოვრებაში ყველაზე სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა. ბოლოს მოხდა ენით აღუწერელი უბედურება - სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ პრეზიდენტის ცოლობასაც გამოჰკრა ხელი. „ცხადია, არავინ დამიჯერებს, თუ ვიტყვი, რომ ჩემი ცხოვრება არ შედგა, რომ ხელმოცარული აღმოვჩნდი“.

კატრინი რეპორტაჟის, ანუ „სანიმუშო სიყვარულის“ მორიგ გვერდზე გადავიდა და სიცილიც ვერ შეიკავა: ფოტოზე ბედნიერი წყვილი ოქროს სალონში ხელოვნების ალბომს ათვალიერებს და აღფრთოვანებას ვერ მალავს. ჟურნალისტს ქვეშ შემდეგი კომენტარი მიეწერა: „ქალბატონი მორელი ცდილობს, თანამედროვე ფერწერით საკუთარი გატაცება პრაგმატულ მეუღლესაც გადასდოს“. ვერაფერს უსაყვედურებ იმ მჯღაბნელს - სწორად შეუნიშნავს. კატრინი მართლაც ცდილობდა, ოღონდ მხოლოდ 30 წამის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში, წუთზე მეტხანს ნამდვილად არა, სანამ ფოტოზე დააფიქსირებდნენ. გატაცება? არაფერი მაგის მსგავსი... უბრალოდ, საუბრობდა რაღაც-რაღაცეებზე. რეპროდუქციებისკენ ხელი საჩვენებლად გაიშვირა. ეს იყო და ეს! არც რამე გონივრულზე საუბარს ჰქონდა აზრი. ანრი ხომ არასდროს უგდებდა ყურს. ეს იყო ერთი უბრალო სცენა - მუნჯი ტილო ბაგა-ბაღში.

და ანრი? „ახლა რომ გადავყროდი პირველად, საინტერესოა, რა განცდა დამეუფლებოდა?“

კატრინი ამ აზრით უფრო დაინტერესდა, ვიდრე მისი წინამორბედით: პრიალა ქაღალდზე მეუღლის სახე

ყურადღებით შეათვალიერა.

„მიიღე თამაშში მონაწილეობა, კატრინ, ამოშალე მეხსიერებიდან მოგონებები. წარმოიდგინე, რომ საერთოდ არ იცნობ მას“.

კატრინს გააჟრჟოლა. არა, ეს უცნობი მამაკაცი ნამდვილად ახდენდა მასზე შთაბეჭდილებას.

დიახ, ზემოქმედება სახეზე იყო. და ამას თავისუფლად აღწევდა თავისი გარყვნილი ქუჩის ბიჭის ტუჩებით, ირონიულად აწეული წარბებით, უნაკლოდ ჩაწიკწიკებული ქათქათა კბილებით, მუგუზალივით შავი თმების ბზინვარებით, უზადოდ შეკერილი ლურჯი პიჯაკის საყელოდან ამოზვირთული ჯანიანი კისრით. ნუთუ მსგავსი რამ შესაძლებელია? ოცდახუთი წლის განმავლობაში ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრების შემდეგ კატრინი მისი ძლიერი, ქალის წელზე შემოსახვევად შექმნილი ხელების დანახვაზე კანკალმა აიტანა. არც მისმა კეხიანმა ცხვირმა დატოვა გულგრილი; თვალებში მოგიზგიზე იდუმალმა კოცონმა ხომ საერთოდ მოუთავა ბოლო. აბა, რა გამოვიდა? გამოდის, რომ ამ ოხერს დღეს რომ შეხვედროდა, უცილოდ შეუყვარდებოდა.

კატრინმა თავი ასწია, ღრმად ჩაისუნთქა. გული საგულეში ვეღარ ეტეოდა. დასამშვიდებლად მზერა დათოვლილ პარკზე გადაიტანა. ელისეს სასახლის გაყინული შადრევნის თავზე თოლიები ტრიალებდნენ და თავიანთი მჭახე, გამყინავი, ბრაზიანი ხმით იქაურობას აყრუებდნენ.

აღმოჩენამ კატრინს თავგზა აუბნია. ნუთუ ეს კარგი ამბავია? თუ პირიქით, ცუდი?

ცუდი! ძალიან მოსახერხებელია იფიქრო, რომ ყველაფერი ჩაკვდა და გაიყინა მას შემდეგ, რაც ორივე საკუთარი როლების ტყვეობაში მოექცა. და რაღა საჭიროა ქანდაკების გაცოცხლება? არ ვიცი, ნამდვილად დაგრჩებოდნენ თუ არა მადლიერნი გრევენის მუზეუმში ცვილის ფიგურები, მათთვის სული რომ შთაგებერათ. არც ის ვიცი, ჟანა დარკი მოგიწონებდათ თუ არა, მისთვის კოცონზე შებრაწვის შანსი ხელმეორედ რომ გებოძათ; ან ავიდოდა კი ისევ ლუი XVI გილიოტინაზე? არც ის მგონია, ჯულიეტას ისევ ესურვა იმ კრეტინ რომეოსთან საბედისწერო თავგადასავალი თავიდან განეცადა. არა, არა და არა. არ არის საჭირო ძველი, ღრმა ძილით მძინარე თოჯინების გაღვიძება.

შეეშვით მათ. დაე, დაედოს მტვერი, გახუნდნენ და გაუფერულდნენ, მიეცნენ დავიწყებას და სამუდამოდ გაქრნენ სულდგმულთა მეხსიერებიდან. კარგა ხანია, რაც კატრინ მორელი აგრერიგად ცდილობდა ცხოვრებას: ამიტომ აბა, რა კარგი ამბავი იყო ის, ორმოცდაათი წლის მამაკაცად ქცეული ბატონი მორელი, საკუთარი მეუღლე რომ ინდომა? აბა, სად ხედავთ კარგსა და პოზიტიურს, როცა ახალგაზრდა დაუდგრომელი ანრი საერთოდ არ გახსენებია; ანრი, ოდესღაც მოუხელთებელი მეამბოხე თმით, დღეს კი პრეზიდენტის პიჯაკში ცოცხლად დაბალზამებული: არა, ვერ ვირწმუნებ, რომ ეს კარგი და გულის გასახარი რეალობაა!

და მაინც... ეს რომ სინამდვილე იყოს?.. რა იქნება, ის ფენა რომ ჩამოიფხიკონ, რასაც ჩვევა და შუგუება ქმნიან... იქნებ ისევ მოედოთ ალი და აგიზგიზდნენ... იქნებ უკეთ მოახერონ თავიანთ პერსონაჟთან შესისხლხორცება, უკეთ მოირგონ როლი და დამაჯერებლად გარდაისახონ?

კატრინი ინსტინქტურად ანრის ოთახისკენ გაეშურა. ეს ის ადგილი იყო, სადაც მას შესვლის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. თუმცა, სინამდვილეში იქაურობის ხშირი სტუმარი გახლდათ. სააბაზანო ოთახი დღის განმავლობაში ბურუსითა და იდუმალებით მოცულ ერთგვარ სამეუფოდ გარდაიქმნებოდა. ანრის გარეშეც აქ ყველაფერი ანრით სუნთქავდა, ანრით იყო მთლიანი სივრცეც გაჟღენთილი. ლავანდაშეპკურებულ პირსახოცს, კბილის პასტასა და ჯაგრისს, მარმარილოზე დასხმულ ცივ წყალს, ალოეზე დამზადებულ პირსაპარს ქაფს - ყველაფერს ანრის სუნი ასდიოდა. იდუმალი სამყარო კიდევ იმიტომ იყო, რომ აქ მისი კაცის მოჩვენება დაფრინავდა. საიდუმლო თუნდაც იმიტომ, რომ ანრი უბრალოდ უკრძალავდა მასთან ერთად იქ შესვლას. საიდუმლო კიდევ იმიტომ, რომ ეს გზა იყო განცხრომისა და სიამოვნებათა სამფლობელოსკენ გამავალი; კარიბჭე, ღამით რომ შეიხსნებოდა და ზეწარქვეშ მონატრებულ სხეულთან შერწყმის შანსს გიბოძებდათ... სიყვარულის დერეფანი...

კატრინი სალონში დაბრუნდა, დასტაცა ჟურნალს ხელი და მეუღლის სურათების თვალიერებას ექსპერტის თვალით შეუდგა.

„ეს მამაკაცი მე მნუსხავს იმიტომ, რომ საერთოდ არ ვიცნობ მას. აი, მაგალითად, ვვარაუდობ, რომ ისეთივე პირდაპირი და

სამართლიანი იქნება, როგორც მისი თავდაჭერის მანერა, ისეთივე გახსნილი, ღია და გულწრფელი, როგორიც მისი ღიმილი ჩანს. სინამდვილეში, მე ვიცი, რომ... არა, მეტისმეტად გვიანია... ნამდვილად ვიცი, ვინ არის, რასაც წარმოადგენს, რას იკადრებს და რაზე მოაწერს ხელს... ისიც მომეხსენება...“

ამ დროს სალონში ცისფერ კოსტუმში გამოწკეპილი პრეზიდენტი გამოცხადდა. გაბრაზებული ჩანდა, ტუჩებზე ნაძალადევი, არაბუნებრივი ღიმილი დასთამაშებდა.

- აჰ, აქ ხარ? - წარმოთქვა გაკვირვებულმა, ცოტა არ იყოს, ხისტი ხმით, - მეგონა, საყიდლებზე იყავი გასული...

- სამწუხაროდ, მაღაზიებში არაფერი იყო ჩემთვის საინტერესო და მალევე მოვბრუნდი.

ანრი ცნობისმოყვარე სახით მიუახლოვდა: - ყველაფერი რიგზეა? კარგად გრძნობ თავს?

ნუთუ მართლა აინტერესებდა, როგორ გრძნობდა მეუღლე თავს? თუ თავს იკატუნებდა ?

- არა მიშავს. რეპორტაჟს ვკითხულობდი ჩვენზე.

- შესანიშნავია, არა? რიგოც ძალიან კმაყოფილია პუბლიკაციით.

- თუ რიგოც ძალიან კმაყოფილია...

კატრინს სურდა, დაესრულებინა: „თუ მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში კმაყოფილებას გამოთქვამს, პრეზიდენტის ღრმად პატივცემულ მეუღლეს ისღა დარჩენია, რომ ხმა ჩაიგდოს“. მაგრამ თავი შეიკავა.

- ყველამ აღიარა, რომ შესანიშნავად გამოიყურები, - განაცხადა მან და სააბაზანო ოთახისკენ გაეშურა.

- ვის გულისხმობ ამ ყველაში? რა, გამოკითხვა დაკვეთით განხორციელდა? თუ რეფერენდუმი მოაწყვე?

- „ყველაში“ ჩემი კაბინეტის მამაკაცები უნდა მოიაზრო.

- ქალები რას ფიქრობენ?

- იმავეს.

შეღებული კარიდან ხმაური გმოდიოდა. ანრი უჯრებში

ფათურობდა, ჯერ მოუშვა ონკანი, მერე ისევ დაკეტა, ერთიმეორის მიყოლებით იღებდა და დებდა ფლაკონებს.

უეცრად მოუნდა, აყალმაყალი აეტეხა. ეჭვიც არ ეპარებოდა, მეუღლე საყვარელთან შესახვედრად ემზადებოდა. სურვილმა წამში გაუარა. ღალატი საერთოდ არ აწუხებდა. ეს მისი ბოლო სადარდებელი გახლდათ. უკვე რამდენიმე წელია, ანრი თავად ატყუებს ცოლს, მაგრამ იმ დროს, როცა სხვასთან საგორაოდ ამდენ ძალისხმევას მიმართავს, ასე დაუფარავად და ურცხვად მლიქვნელობა, ქათინაურების ფრქვევა სრულ უსამართლობად და უხამსობად მიიჩნია. კატრინს კინაღამ წამოსცდა: „ეტყვი შენს კახპას, რა ქათინაურებით ამავსე, როცა მისთვის თავის მოსაწონებლად იხეხავდი და იპრიალებდი სხეულს? თუ ჩამოყალიბებული ნათრევი არ არის, ნაწყენი და შეურაცხყოფილი დაგრჩება“. კატრინმა ისევ გადაიფიქრა. ხვნეშით კი წარმოთქვა: - და ვალდებულება? საქმეები?

- ჟუსიეს უნივერსიტეტში მაქვს შეხვედრა დანიშნული.

ანრი შესანიშნავად იყენებდა ოფიციალურ შეხვედრებს, რათა მანამდე მორიგ საყვარელთან შეევლო. ამის შესახებ კატრინმაც შესანიშნავად იცოდა. ანრის ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი. საქმის კურსში იყვნენ მძღოლი და პირადი დაცვის წევრებიც. ნდობით აღჭურვილნი ენერგიას არ იშურებდნენ, ოღონდ პრეზიდენტისთვის ამ პატარ-პატარა დანაშაულებათა ჩადენაში ხელი არ შეშლოდა. მანქანა, სანამ საქმეს მოითავებდა, შენობის შორიახლო ელოდებოდა. თავის პომპადურთან მხოლოდ იმისთვის თუ ეყოფოდა დრო, თავად განეცადა ორგაზმი, პარტნიორს ვინ ჩიოდა. გულის სიღრმეში კატრინს იმ ქალების საერთოდ არ შურდა. აბა, რა შესაშურია მუდამ მოჩქარე, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე მოფიქრალ მამაკაცთან ურთიერთობა?

კატრინს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მაგნიტოფონს მიუახლოვდა. რატომღაც საყვარელი ფირფიტის დაკვრა მოუნდა.

ანრი აბაზანიდან გამოვიდა. ახალი გატკიცინებული პერანგი ჩაეცვა, ახლა ჰალსტუხს ინასკვავდა.

- აბა, ნახვამდის, კატრინ, საღამომდე.

- არ გამოვა. თეატრში ვიქნები. ერიკ-ემანუელ შმიტის ახალი

პიესის პრემიერაა.

- რას მეუბნები? ნუთუ დასწრება ისეთი მნიშვნელოვანია?

- თეატრალური ხელოვნების მოყვარული ადამიანისათვის, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია. სხვებისთვის, აბა, რა გითხრა. ბევრმა არც იცის, რომ თეატრი ჩვენს დროშიც ფუნქციონირებს. ნუ იდარდებ. იქ ჩვენი ოჯახის სახელით მივდივარ. როგორც ყოველთვის, მე უნდა გავწირო თავი.

- კი ბუზღუნებ, მაგრამ ვიცი, გიჟდები თეატრზე.

ანრი ძალდაუტანებელი, სრულიად უწყინარი სახით კატრინს მიუახლოვდა, საკოცნელად ტუჩები მიუშვირა, იმ მამაკაცის პოზა მოირგო, მუდამ რომ საქმიანია, მაგრამ მეუღლისთვის სითბოს გაცემას არასდროს ივიწყებს. კატრინმა ქმრის სუნი შეიყნოსა, გული შეეკუმშა. სხეული დაეძაბა და დაეჭიმა. საიდან გაჩნდა ეს სუნამო? ნეტა ვინ მიართვა? ვინ აარჩია ეს სრულიად უცნობი და არაორდინალური სურნელი? ეჭვი გამორიცხულია. ახალი ტურფა გაიჩინა, თანაც, როგორც ჩანს, მუდმივი. მეძავები სუნამოებს არ ჩუქნიან! მხოლოდ შეყვარებულმა და სენტიმენტალურმა ქალმა თუ შეიძლება მსგავსი საქციელი ჩაიდინოს. მართალია, კატრინი ყოველთვის ცდილობდა, საკუთარი ფიქრები არ გაეხმოვანებინა, მაგრამ ამჯერად ჩვევას უღალატა და დაინტერესდა: - სუნამო ვინ გაჩუქა?

- ჰო... ვის უნდა ეჩუქებინა შენ გარდა.

- მე ნამდვილად არ მიჩუქებია.

- ააა, მეგონა, რომ...

- არა.

- სიმართლე გითხრა, არც ვიცი, რა გითხრა... არ მიმიქცევია ყურადღება... იმდენ საჩუქარს ვიღებ...

- ახლა უკვე მამაკაცების მიერ შერჩეულ სუნამოებს იპკურებ?

- რატომაც არა? შენ რა, გადაწყვიტე, სუნამოს გამო ეჭვიანობის სცენა მომიწყო?

- ისეთი სულელი ნამდვილად არ ვარ, როგორც შენ ფიქრობ. სცენის მოსაწყობად სუნამოზე უკეთესი საბაბი მაქვს. მინდა

გითხრა, რომ არჩევანი იმდენად შთამბეჭდავია, რომ შეიძლება დავიბნე კიდეც.

ანრიმ მეუღლეს, ცოტა არ იყოს, აღელვებული მზერა შეავლო. თუმცა უკან დახევას არ აპირებდა. სისხლისმწოველი პოლიტიკოსი მზად იყო, მსხვერპლს ყელში სწვდომოდა.

კატრინმა დაასწრო ქმარს და მშვიდად დასძინა: - დაწყნარდი. სკანდალს არ მოგიწყობ და ისიც იცოდე, რომ სულაც არ ვეჭვიანობ.

- ოოო... კარგია, კარგი.

- გარწმუნებ, ნამდვილად არ ვეჭვიანობ. მშვიდად ვარ ძალიან. დაგუბებული წყალი გინახავს? აი, ზუსტად მისი ზედაპირივით აუღელვებელი... უცნაურია, მაგრამ ასეა... ალბათ, სრული ჭეშმარიტებაა ხალხური სიბრძნე, რომელიც ქადაგებს, ეჭვიანობა სიყვარულის დასტურიაო.

ანრის გააჟრჟოლა. როგორც ჩანს, მეუღლეს სიტყვებმა ამჯერად ნამდვილად ატკინა გული: „საწყალი პრეზიდენტი, - თავისთვის ხალისობდა კატრინი, - პირფერობასა და მლიქვნელობას ჩვეული, ზედმეტად დაცული და უზრუნველყოფილი ადვილად გასანადგურებელიც კი გახდა. ერთი ამას დამიხედეთ, ანაზდად ნათქვამი შენიშვნისაგან ღრმად დაგვეჭრა, გეგონება, წინასაარჩევნო კამპანია წააგო!“

- ვშიშობ, რომ ნათქვამს ვერ მიგიხვდი, - ხმაურიანად ამოიოხრა ანრიმ.

ანრი შეფუცხუნებული ჩანდა. სიტყვის ბანზე აგდებასაც არ აპირებდა. სხვა დროს ნერვიც კი არ აუტოკდებოდა. მსგავსი დისკუსიები სულაც არ აშინებდა, დარწმუნებული იყო, მსგავს საყვედურებს მეუღლე თავისთვის ინახავდა.

კატრინს მისი ხასიათისათვის ნიშნეული თვისება გაახსენდა და მიიჩნია, რომ ანრის მეტისმეტად გაუმართლა, ასეთი თვინიერი და მორჩილი მეუღლე რომ შეხვდა. არა, ასე შეუძლებელია გაგრძელება. პრეზიდენტის მეუღლემ გადაწყვიტა, სისხლში გამჯდარი ჩვევების საწინააღმდეგოდ ემოქმედა.

- შენ ყველაფერს შესანიშნავად ჩაწვდი, ანრი. აღარ მიყვარხარ. საერთოდ, ოდნავადაც კი.

უეცრად პრეზიდენტი იმ ბიჭუნას დაემსგავსა, დანაშაულის ჩადენისას რომ წაასწრეს, ყმაწვილს გაკვირვებულს, დასჯილს, წამებულს, ტკივილის მოთმენასა და მამაკაცურად მოქცევას რომ ცდილობს.

მეუღლის საბოლოოდ გასანადგურებლად კატრინმა დასძინა: - ჩემთვის ეს სიახლე ნამდვილად არ არის. დიდი ხანია, ვხვდები, რომ გული გამიცივდა.

- კატრინ, ხუმრობ თუ მართლა ასე ფიქრობ?

- ვატყობ, ჩემი სიტყვები გართობს, არა?

- არა, სულაც არა.

- მაშინ გაიგე, რომ სულაც არ ვარ ხუმრობის ხასიათზე.

პრეზიდენტმა რაღაც ჩაიბურდღუნა. ბოღმა ახრჩობდა. მანქანის ფარების შუქზე დამფრთხალ კურდღელს დაემსგავსა. ძლიერ აღელვებულმა უკან დაიხია, სახე მოეღრიცა, აკანკალდა. პირიდან სრულიად გაურკვეველი, ერთგვარი ბუყბუყი ამოუვიდა. იმ დროს, როდესაც ძლივძლივობით შეკოწიწებული ფრაზის წარმოთქმა დააპირა, კატრინი დააცხრა თავს: - ანრი, მსურს დაგამშვიდო, შენ არც არაფერი გტკივა და არც არაფერი გაწუხებს. უბრალოდ, შენი თავმოყვარეობა შეილანძღა, ოდნავ დაიჭრა და სისხლმაც ამოხეთქა. შენი პიროვნება თავიდან ბოლომდე პატივმოყვარეობისგანაა ნაძერწი. იმდენი გაქვს, სხვებსაც შეგიძლია უწილადო. და მაინც რამდენი? შენი „მეს“ 80-85 პროცენტი მაინც. საბედნიეროდ, რამდენიმე წუთში შენი გულის ვარდი, ის პარფიუმერი, მე ვიტყოდი „გამოცდილი ცხვირი“ შვებას მოგგვრის.

ანრის სახეზე მკვდრის ფერი დაედო. ვერ გაერკვია, რამ შეძრა აგრერიგად, კატრინის სიტყვებმა თუ მის მიერ შერჩეულმა ტონმა, ასეთი გაუცხოებული, ასეთი დამცინავი, ცინიკური, თითქმის უსულგულო რომ ეჩვენა?

- დიდი ხანია, ასეა?

- ვერ გავიგე, ანრი, რას ნიშნავს „დიდი ხანია ასეა“?

- ის, რომ შენ... რომ შენ უკვე... აი, ის რაც წეღან თქვი.

- აა, მიგიხვდი.. რომ დიდი ხანია, აღარ მიყვარხარ.

კატრინი ჩაფიქრდა.

- დიახ, ანრი, ეს დიდი ხნის წინ დაწყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩემთვის ერთი საათის გამონახვაც კი გაგიჭირდა. თუმცა, სინამდვილეში დაიწყო ჯერ კიდევ როდის! იმ პერიოდში, როცა გადაწყვიტე, ჩვენი ოჯახი ფრანგების დასარწმუნებლად გამოგეყენებინა, გეთქვა მათთვის, რომ შენც ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც ყოველი მათგანი. მაგრამ ეს შორსაა სიმართლისგან. სიმართლე თუ გსურს შეიტყო, ეს კიდევ უფრო ადრე დაიწყო. დაიწყო მაშინ, როცა საჯაროდ ხვევნა-პროშნა დაგჩემდა, სახლში კი, როცა მარტონი ვრჩებოდით, სათოფეზეც არ მეკარებოდი. მაგრამ ამის დათარიღება, ალბათ, უფრო ადრეული ეპოქითაც შეიძლება. იმ დროიდან, რაც საყვარლები გაიჩინე. მაგრამ არც ეს არის სრული სიმართლე. კიდევ უფრო ადრე, ანრი! შემიძლია თამამად გითხრა, რომ მას შემდეგ, რაც სინდის-ნამუსზე ხელი აიღე და მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და გულის ასაჩუყებლად გამომიყენე. შემიძლია შორეულ წარსულში გადავინაცვლო, თუ მაინცდამაინც დაიჟინებ. სიმართლე კი ერთია: დაიწყო თავდასხმიდან. დიახ, ფურმიონის ქუჩაზე განხორციელებული თავდასხმიდან.

ანრის შეაბარბაცა, ტუჩები ცოფისგან აუკანკალდა. მისმა გამოციებულმა მჭახე ხმამ საუკუნოვან თაღებქვეშ უეცრად ამოვარდნილი ქარივით გაიზუზუნა: - რისი თქმა გსურს ამით?

- ვიცი, მშვენივრად მიმიხვდი სათქმელს.

- და რა იცი, რო?

*

ფურმიონის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების შესახებ მოგონება ფრანგების მეხსიერებიდან ჯერ კიდევ არ წაშლილიყო. პოლიტიკური ექსპერტების აზრით, თუ ანრიმ წინასაარჩევნო კამპანიების დროს დააგროვა ხმების ის რაოდენობა, ასე ჰაერივით რომ სჭირდებოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ოდიოზური აგრესიის მსხვერპლი გახდა - ერთხელ, ერთ-ერთი გადაადგილების დროს ორმა ნიღბიანმა ადამიანმა მისი მანქანა დაცხრილა. დაჭრილმა ანრიმ დადევნებაც კი სცადა, მაგრამ განზრახვა მალევე გადაიფიქრა. დაჭრილი მძღოლი სისხლისგან იცლებოდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა. მეორე დღესვე საზოგადოებამ მისი გმირული ნაბიჯი

მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. ორ დღეში ანრის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ექსტრემისტებად, მკვლელებად და ნაძირლებად მოინათლნენ. ფურმიონის ქუჩაზე მომხდარ ამბავს ანრის ოპონენტების სრული დისკრედიტაცია მოყვა, რამაც საბოლოო ჯამში საპრეზიდენტო არჩევნებში მისი ტრიუმფი უზრუნველყო.

- ვიცი, ჩემო ძვირფასო ანრი, ძალიან კარგად ვიცი, რომ მავანსა და მავანს შენში ეჭვი შეეპარა, მაგრამ დაწერა ვერ გაბედეს. ვიცი, მზად რომ ხარ, მტკიცედ და აღშფოთებულმა უარყო ყველაფერი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. ვიცი, რაც ჩაიდინე! ის თავდასხმა შენი ჩაფიქრებული იყო. ორგანიზატორებსა და შემსრულებლებსაც შენ გადაუხადე გვარიანი თანხა. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, წმიდა წყლის სარეკლამო აქცია იყო. წარმატებული, სხვათა შორის, საზოგადოების მიერ კარგად აღქმული. შენმა გათვლებმა გაამართლა. შედეგი სახეზეა: ხომ ხედავ, პრეზიდენტობას გამოჰკარი ხელი. სამწუხაროა, რომ შენი ყოფილი თანამშრომელი შენი დაუოკებელი ამბიციების წყალობით კიდურების დამბლით ინვალიდის სავარძელს სამუდამოდ მიეჯაჭვა. იმ დღიდან მოყოლებული მძულხარ!

ჩამოწოლილმა ხანგრძლივმა მძიმე სიჩუმემ ცოლ-ქმარს შორის გაჩენილი უფსკრული კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა. ცივმა, დაუნდობელმა ზიზღმა მთელი სივრცე მოიცვა.

- ვფიქრობ, საბოლოოდ გააფრინე, - წყნარად წარმოთქვა პრეზიდენტმა.

კატრინმა ჟურნალს დასტაცა ხელი და ქმარს მიაჩეჩა: - შეხედე. ხომ იცი, რომ ვიცი. ამიტომაც შეხედე, შეხედე, როგორ გრანდიოზულ მსახიობთან გიწევს ცხოვრება... ჩემთვის შენ მიერ ჩადენილი ყველა სიმდაბლეა ცნობილი, მაგრამ მე, ვითომც არაფერი, ვიღიმები. სევდამ მომიღო ბოლო, მაგრამ ვიღიმები. უბედური ვარ, მაგრამ ვიღიმები. მძულხარ, ვეღარ გიტან, მაგრამ მაინც ვიღიმები. გადასარევია, არა? არც მსხვერპლს ვგავარ და არც ჯალათს. შესანიშნავად გამომდის თამაში, ტაშს რატომ არ მიკრავ? აპლოდისმენტები არ უნდა დაგეშურა, იმიტომ, რომ მხოლოდ შენ ხარ ჩემი სასცენო ოსტატობის შემფასებელი. „სანიმუშო სიყვარული“. მართალია რიგო, სტატიის შესახებ კმაყოფილებას რომ ვერ მალავს: შენ უარესისგან დაიზღვიე თავი!

- ომს მიცხადებ?

- არც მიფიქრია. მაგრამ უბრალოდ მსურს შეგახსენო, როგორიცაა ჩვენი ცხოვრება.

ანრის შეპასუხება სურდა, მაგრამ სათქმელს ვერა და ვერ მოუყარა თავი. გასასვლელისკენ დაძაბული, შეძრული, დამძიმებული და ღვარძლით სავსე გაემართა.

კართან შეყოვნდა. მოტრიალდა და მეუღლეს ესროლა: - გუდას მაინცდამაინც დღეს რატომ მოხსენი თავი? ვერ ამიხსნი? მაინცდამაინც დღეს?

კატრინს თვალები გაუფართოვდა, დაუმრგვალდა, საათის ციფერბლატს დაემსგავსა.

- სიმართლე თუ გინდა იცოდე, ნამდვილად არ ვიცი, რატომ გადავწყვიტე მაინცდამაინც დღეს.

- დაგიჯერე პირდაპირ! ვითომ არ იცი, - ჩაიბურდღუნა უნდობლობით შეპყრობილმა ანრიმ.

- გეფიცები, ანრი, მართლა არ ვიცი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს ისეთი შვებაა ჩემთვის, წარმოდგენა არა მაქვს, რას ველოდი აქამდე.

ანრიმ მხრები აიჩეჩა, ზღურბლს გადაალაჯა, კარი მთელი ძალით გაიჯახუნა და ხმაურით დაეშვა კიბეზე.

ბრაზს რომ ასე არ გამოეყვანა წყობიდან და ლამის არ დაებრმავებინა, შეეძლო მიახლოვებოდა კატრინს, მის სახეს ყურადღებით დაკვირვებოდა და შეამჩნევდა, რომ მისი მეუღლე უკვე რამდენიმე წუთია, ტირის.

*

მომდევნო თვეებში ცოლ-ქმარს შორის დაძაბულობა მხოლოდ გაიზარდა. ერთი შეხედვით გარედან თითქოს არაფერი შეცვლილა: საპრეზიდენტო წყვილი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს პირწმინდად ასრულებდა - მიღებები, ვიზიტები, - ვალდებულებებს შორის, ცხადია, ქვეყნის თვალში თავდავიწყებული სიყვარულის გათამაშებაც მოიაზრებოდა. არც ერთი საშინელი ან განმგმირავი სიტყვა არც საჯაროდ, არც განმარტოებით შეხვედრისას არ წარმოთქმულა.

მიუხედავად ყველაფრისა, ეს დუმილი მათ სულაც არ ჰგვრიდა შვებას, პირიქით: ჩხუბის დასაწყისში წარმოთქმული ფატალური ფრაზების მნიშვნელობას სულ უფრო და უფრო ამძაფრებდა. რაც შეეხება წლების განმავლობაში მათ დახვეწილ ქცევას, ეს უბრალოდ ფარდა გახლდათ, რომლის მიღმა საომარი მოქმედებანი არც დღე და არც ღამე არ წყდებოდა.

მოულოდნელობით შეძრული ანრი, თქმა არ უნდა, უფრო იტანჯებოდა, ვიდრე კატრინი. როგორც ამაყ და ამპარტავან მამაკაცებს სჩვევიათ, ანრი ვარაუდობდა, რომ შეიძლებოდა ვიღაცას არ ჰყვარებოდა. სამაგიეროდ, არავითარ შემთხვევაში არ სურდა იმის გავლება გულში, რომ არ იყო გამორიცხული, ვინმეს შესძულებოდა. მით უმეტეს, თუ ეს სიძულვილი და ზიზღი ახლობლისგან მომდინარეობდა. ადამიანისგან, მას რომ ყველაზე უკეთ, თითქმის ზედმიწევნით იცნობდა. ანრის არჩევანი სამ შესაძლო ვარიანტს შორის უნდა გაეკეთებინა: პირველი - გაემართლებინა კატრინი, ანუ ეღიარებინა, რომ ბოროტად გმოიყენა ახლობლების ნდობა და არჩევნების დროს ხმების მოპოვების მიზნით თაღლითობას მიმართა. მეორე - ეცადა, მეუღლის თვალში თავი როგორმე გაემართლებინა და ბოლოს მესამე - უარეყო ნებისმიერი დადანაშაულება.

ძნელი მისახვედრი არ არის, ანრიმ არჩევანი მესამე ვარიანტზე გააკეთა. ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად, დაეხმარებოდა მეუღლის ამბოხის უსაფუძვლობის აღიარებაშიც. დამშვიდებულმა ყველაფერი მიუტევა საკუთარ თავს და ისტორიაც ხელახლა გადაწერა. ანრი უკვე აღარ მოიაზრება პრობლემის საწყისად, მიზეზად და საფუძვლად, პრობლემად იქცა თავად კატრინი. ანრიმ დაიწყო წუწუნი და ჩივილი იმის თაობაზე, მსგავსი მეუღლის გვერდით რომ უწევდა თანაცხოვრება - შეშლილის, შიზოიდის, ღვარძლიანის და რაც ყველაზე დასანანია, შურიანის, ქმრის წარმატება, მეტიც - წარმატებები რომ არ აძლევდა ძილსა და მოსვენებას. ეს რა უცნაური ქმნილება აღმოჩნდა! დაუჯერებელია. ყალბი, გაუბედურებული, ხელმოცარული, ორპირი, ერთი შეხედვით ხიბლიანი, მაგრამ სინამდვილეში ღვარძლიანი და კაცთმოძულე. ერთი ჩვეულებრივი დოქტორი ჯეკილი მისტერ ჰაიდად რომ გარდაიქმნა.

კატრინს ახალი სიტუაცია ძალიან ართობდა. უზომოდ ხალისობდა. მეუღლის წამება ენით აღუწერელ სიამოვნებას განაცდევინებდა. მთავარი იყო, ბუტაფორიის, უნიათო, მარად მოტყუებული მეუღლის როლისთვის დაეღწია თავი. ანრის კი მეუღლე უკვე შიშის ზარს სცემდა. ყველანაირად ცდილობდა მორიდებოდა. კატრინი აიძულებდა ქმარს, განუჭვრეტელი, შეუცნობადი, გაუცხოებული ცოლის გვერდით ეცხოვრა, რომელიც ასე აფრთხობდა. მის დანახვაზე სახე ებრიცებოდა, შუბლზე ცივი ოფლი ასხამდა. ანთებული შავი თვალები კი კითხულობდნენ: „ღმერთო, ახლა რას მოიმოქმედებს? ნეტავი რას წამოროშავს? რას ფიქრობს?“ „ყოველი მისი შეკითხვა დატოვე უპასუხოდ, ნურც რამეზე მიანიშნებ, გამორიცხე ყოველგვარი საბაბი და მიზეზი,“ - აი, რა გახდა კატრინის საბრძოლო ლოზუნგი, პატივისა და ღირსების საკითხი. რაც უფრო სცილდებოდა ქმარს, მით უფრო ბოჭავდა მას, აიძულებდა, მალულად თუ ღიად ეცქირა ცოლისთვის. ერთი სიტყვით, კატრინი ანრის აკვიატებად გადაიქცა. ცხოვრების სცენაზე კატრინი მხოლოდ ანრის გულისთვის თუ გავიდოდა. მაყურებელი არც ადრე დაკლებია. მილიონობით თაყვანისმცემელს ითვლიდა, როგორც საფრანგეთში, ასევე მის საზღვრებს მიღმაც. ეს გასაგებიცაა. სოციალურმა სტატუსმა ის საყოველთაო ყურადღებისა და ტკბობის საგნად აქცია. მიუხედავად ყველაფრისა, აქამდე კატრინი მხოლოდ მიამიტთა მოჯადოებას თუ ახერხებდა, იმ უბრალო, ხშირად უმეცარი და გაუთლელი ადამიანებისა, ასე ბრმად რომ სჯეროდათ მისი ანრისადმი ერთგულების; იმათი, ვინც მას ქმარზე უზომოდ შეყვარებულ ქალად მოიაზრებდნენ და კიდევ იმათი, ვისაც სწამდა, რომ ის პირველი ლედის პოზიციით და მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებით უზომოდ ბედნიერი იყო.

აღიარების წყალობით კატრინმა რადიკალურად განსხვავებული მაყურებელი გაიჩინა - გონიერი და შორსმჭვრეტელი, მისი ნიჭის დანახვა და დაფასება რომ ძალუძს. მაყურებელი, რომელიც გრძნობს, ხედავს, თუ რაოდენ ოსტატურად და დამაჯერებლად გადმოსცემს სცენაზე საკუთარი გრძნობების საწინააღმდეგოს. ამიერიდან ანრი ხელებაწეული აღიარებდა კატრინის გარდასახვის შეუდარებელ ნიჭს, თან მეუღლის ოსტატობა აფრთხობდა კიდეც. აი, სიამოვნება!..

მიუხედავად ყველაფრისა, ანრიმ, როგორც გამოცდილმა პოლიტიკოსმა, მშვენივრად უწყოდა, რომ ბოლომდე ერთგული ამქვეყნად არც არავინ იყო, რომ ადამიანები უღმერთოდ ცრუობენ, ათასგვარ ეშმაკობასა და ხრიკს მიმართავენ, არიგებენ დაპირებებს, რომლებსაც მალევე ივიწყებენ... მაგრამ როგორც გაქექილ პოლიტიკოსს, ასევე სწამდა მისთვის განკუთვნილი როლის ჭეშმარიტებისა, თამაშის დამაჯერებლობისა. მის მიერ გადმოცემული ემოციების, აღშფოთების, აღფრთოვანების, ბრაზის, ძლიერებისა და უძლურების უნდა ერწმუნათ. კატრინის უსაზღვრო ცინიზმი მას იმ ჯურღმულად წარმოესახა, სადაც მხოლოდ სამუდამოდ ტანჯვისთვის განწირულნი თუ ფართხალებდნენ.

ანრის საკუთარ ცოლთან იძულებითი თანაცხოვრება შეზიზღდა. მოგვიანებით ეს სიძულვილი კატრინზეც გაავრცელა.

ანრი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ცდილობდა, საკუთარი გრძნობები და განცდები მიეჩქმალა. როგორც კი მოწმეთა თვალს განერიდებოდა, უმალ იხსნიდა ყურადღებიანი და მოსიყვარულე მეუღლის ნიღაბს. საკმარისი იყო, მანქანაში ჩაჯდომა ან სასახლეში დაბრუნება, პრეზიდენტ მორელს გაღიზიანების, უგუნებობისა და ცოფისგან სახე მყისიერად რომ მოღრეცოდა. დროთა განმავლობაში გულღრძოობის განსახიერებად იქცა. ერთთავად ბოღმა ახრჩობდა, შეკავებული გააფთრებისა და მძვინვარებისგან დუღდა.

შუღლის და მტრობის გამძაფრება კი კატრინს მხოლოდ აღაფრთოვანებდა, ძალასა და ენერგიას ჰმატებდა. სიცოცხლის ჟინი გაუათკეცდა, როგორც იქნა, დაეხსნა მომაკვდინებელ სევდასა და უღიმღამობას. იმ ხეს დაემსგავსა, ზამთრის ხანგრძლივი გარინდების შემდეგ გაზაფხულზე ფესვებიდან წამოსული მაცოცხლებელი ძალა რომ გამოაღვიძებს. ჯანდაბას ეს მათი სიყვარული. ხელმეორედ დაბადება თუ აღარ იყო, მათი სიცოცხლის განახლება ნამდვილად ეთქმოდა.

ერთ დღესაც კატრინი სენ-ჟერმენ დე პრეზე ძვირადღირებულ მაღაზიებში ორი მცველისა და მძღოლის თანხლებით თავშესაქცევად დახეტიალობდა. სეირნობისას ნაცრისფერ ლაბადაში გამოწკეპილი მამაკაცი რამდენჯერმე მოხვდა თვალში. უმალ მიხვდა, რაც ხდებოდა. მეუღლემ სპეციალური აგენტი აადევნა, რომელიც მის ნებისმიერ გადაადგილებას

აფიქსირებდა. ამ დეტალმა უზომოდ გაახარა. თავი მოიკატუნა, დეტექტივის არსებობა საერთოდ არ შეიმჩნია. მეტიც, ეცადა, მცველთა ყურადღებაც მოედუნებინა.

- რა ჩაიფიქრა ანრიმ? ნეტა რისი გარკვევა სურს?

ერთი თვის თავზე კატრინი ჩაწვდა გამუდმებული თვალთვალის მიზანს. პრეზიდენტი მეუღლის მეგობართა სიას ადგენდა. როგორც კი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა, ელისეს სასახლეში მათ „არაფორმალურ სადილზე“ მიპატიჟებას შეუდგა. ცხადია, კატრინს ამ შეხვედრებზე არაფერი ესაქმებოდა. ქვეყნის პირველ პირს სტუმრებისათვის რაიმე ხელმოსაჭიდი უნდა დაეცინცლა. ყოფილმა ადვოკატმა, ამჟამად უკვე პრეზიდენტმა დაადგინა (თანაც ისე, რომ წვეულნი განზრახვას ვერც კი მიუხვდნენ) ყოველი მათგანის სიახლოვის ხარისხი თავის მეუღლესთან. შეიტყო მათი მტრული და კეთილი განწყობა საკუთარი პიროვნების მიმართაც. მთავარი მისთვის იმის გაგება იყო, მოასწრო თუ არა კატრინმა ფეთქებად საიდუმლოებათა მესაიდუმლეებთან გაზიარება.

მეგობრების მონათხრობებისგან კატრინი მშვენივრად გაერთო. ცხადია, პატივდადებული, ნაალერსები და თავმოქონილები პრეზიდენტის ყურადღებისა და გულუხვობის ნამდვილ მიზეზს ვერც კი ჩაწვდნენ - მას ხომ მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სურდა. „კუდში იმიტომ კი არ დამდვს, რომ ჩემზე ზრუნავს. მას მხოლოდ საკუთარი თავი აინტერესებს“.

რადგან ლაბადიანი დეტექტივი და დროდადრო მისი უღიმღამო, არაფრით გამორჩეული შემცვლელი თვალთვალს განაგრძობდნენ, კატრინმაც გადაწყვიტა, ვალში არ დარჩენილიყო. გულისმოსაფხანად ერთი გემრიელად გაეცურებინა. „თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ“.

კატრინმა ერთ-ერთ მეგობარს, მარცხენა სანაპიროზე ანტიკვარული ნივთებით მოვაჭრეს, ვინმე შარლს, უცოლშვილოს, სთხოვა, ერთხელ კატრინი თავის ბინაში დაეპატიჟა. ორმოცი წლის სიმპათიურმა, მაღალმა, ტანადმა და ელეგანტურმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ჟინით აღსავსე მამაკაცმა წინადადება დიდ პატივად აღიქვა და დიდი ენთუზიაზმით დათანხმდა. ასე და ამგვარად, პრეზიდენტის

მეუღლე ხუთიდან შვიდ საათამდე კომერსანტის სასურველ სტუმრად იქცა. ჩამოშვებულ ფარდებს მიღმა ნება-ნება მიირთმევდნენ ჩაის, საუბრობდნენ ათასგვარ ბანალობაზე, ბჭობდნენ, იცინოდნენ ჩაბჟირებამდე, ტკბებოდნენ მუსიკით... ასე რომ, კმაყოფილი და ნეტარი სახე, რომლითაც კატრინი იქაურობას ტოვებდა და რომელიც, ცხადია, მსტოვართა მიერ გადაღებულ ფოტოებზე ფიქსირდებოდა, სულაც არ იყო განგებ მორგებული. საკითხავია, იყო კი საკმარისი ეს პაპარაცული ნანადირევი პრეზიდენტის საეჭვიანოდ?

კვირის თავზე ანრის გამომეტყველებისა და მზერის შესწავლის საფუძველზე კატრინმა დაასკვნა, რომ პრეზიდენტისათვის ყველაფერი ჩაეკაკლათ. იკითხავთ, რა ნიშნებმა ამცნო კატრინს მეუღლის ინფორმირებულობა? ბედნიერებით სავსე გამოხედვამ, სინათლემ, მის თვალებში რომ კიაფობდა. ანრი დარწმუნებული იყო, რომ ცოლს დანაშაულის ადგილზე ჩაავლო ხელი.

კატრინმა ვიზიტებს მეორე კვირაც მთლიანად დაუთმო.

ეჭვებში განმტკიცებულ ანრის ძალიან უჭირდა შინაგანი ზეიმის დამალვა. კატრინი კი ამას ზედმიწევნით ახერხებდა: ყველაფერს გაუმჭვირვალე ფარდა ჩამოაფარა.

მესამე კვირას, როგორც იქნა, კატრინმა მეუღლე შეიწყალა და ფარდა აუშვა: პარიზში მასთან ერთად გასეირნებასაც დასთანხმდა, რესტორანში სადილსაც. ჰო, სპექტაკლზეც კი გაუწია კომპანიონობა. სასურველი რეაქცია კი აგვიანებდა. კატრინი ისევ დატრიალდა, ერთი-ორი წინასწარ შეთანხმებული სატელეფონო ზარიც მოიშველია და ახლად შეძენილ მეგობართან ერთად პაპარაცული ფოტოებიც მალევე გამოცხვა.

შაბათ დილით ერთ-ერთ ყველაზე საძაგელ, ყველაზე ჭორიკანა ყოველკვირეულში ერთი კადრიც კი დაიბეჭდა, რომელზეც წაეწერათ: „მსგავსი ფავორიტით პირველ ლედის ნამდვილად გაუჭირდება პრეზიდენტის ეჭვიანობის აღძვრა“. იქვე ჟურნალისტი არაორაზროვნად მიუთითებდა პარიზელი ანტიკვარული ნივთებით მოვაჭრის გახმაურებულ მამათმავლურ მიდრეკილებებზე. პრეზიდენტის გარემოცვიდან ამ დეტალის აუთენტურობით დაინტერესდნენ: შარლის გამოკვეთილი ექსკლუზიური სწრაფვა მამაკაცებისკენ

უმალ დადასტურდა. იმ ორ შავლაბადიან ჯაშუშსა - იმიტომ, რომ ნამეტანი სულელები იყვნენ - და მეუღლეს კი - იმიტომ, რომ ჭკუა ეკეტებოდა ქალებზე, - რატომღაც ეს დეტალი ყურადღების მიღმა დარჩათ და მიიჩნიეს, რომ კატრინმა შარლის სახით საყვარელი გაიჩინა.

იმავე საღამოს ელისეს სასახლეში რუსეთის პრეზიდენტის პატივსაცემად გალა-საღამო უნდა გამართულიყო. კატრინმა საგანგებოდ გრძელი შავი კაბა გადაიცვა, სამკაულებითაც მოირთო, საპარადო დერეფნები გაიარა და მეუღლესაც მალევე შეეჩეხა. ეს უკანასკნელი ისეთი მოქუფრული ჩანდა, იფიქრებდით ნაწყენია, ცოლმა სინამდვილეში რომ არ უღალატაო. შინაგანად ანთებულ და თვითკმაყოფილ კატრინს ვინ იცის, რიგით მერამდენე სახელმწიფო ვახშმის ატანა მოუწია. ფრიად მოსაწყენი რამ კი იყო. გულის ამრევად დინჯი, აუჩქარებელი და მოზომილი. თავი პედაგოგთა თათბირზე გეგონებოდათ. თითო-ოროლამ თუ ამოიღო ხმა და ისიც ძლივს გასაგონად, ლამის ჩურჩულით. დამსწრეთ უსიცოცხლო და უღონო ჟესტები აღენიშნებოდათ. აზრის გამოთქმა, შენიშვნის მიცემა არავის უცდია, კამათზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს იყო მაღალ, მონუმენტური გობელენებით დამშვენებულ კედლებს შუა თავმოყრილი ცვილის გარინდული ფიგურების მუზეუმი.

მიღების მიწურულს საპრეზიდენტო წყვილი აპარტამენტებისკენ ამავალ კიბეს აუყვა. ქმარი რისკზე წავიდა და რამდენიმე სიტყვა ამოშაქრა: - მაინტერესებს, როგორ იტან, ამდენი საყვარელი რომ მყავს?

- ბედნიერი ვარ, რომ სხვა ქალები ჩამენაცვლნენ და მშვენივრად ართმევენ იმ სამუშაოს თავს, რომლის შესრულების სურვილი პირადად მე დიდი ხანია, გამიქრა.

პრეზიდენტი მყისიერად შეჩერდა და მეუღლეს თვალი თვალში გაუყარა. ხელები მომუჭა. დარტყმისგან თავის შეკავება დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა.

- იცი, მსგავსი პასუხისთვის სხვა პირდაპირ სიფათში გამოგიქანებდა!

კატრინმა თავი გააკანტურა.

- შესაძლოა, მაგრამ როგორ ფიქრობ, მსგავს პასუხს სხვა

მამაკაცს ვაკადრებდი?

ანრი კატრინს მიუახლოვდა... სახეზე დაუფარავი მუქარა აღებეჭდა: - რატომ არ დამანებებ თავს, რატომ არ გამშორდები?

- ამით მეტისმეტ სიამოვნებას მოგანიჭებდი.

- და თავად ვერ მიიღებდი არა, სიამოვნებას?

- ჩემი შურისძიება შენს გვერდით ყოფნაში მდგომარეობს.

- თუ გამშორდები, ხომ იცი, შეუზღუდავი თავისუფლებით დატკბები.

- შენც გაგეხსნება ხელ-ფეხი, ჩემო ძვირფასო და სანუკვარო ანრი. ეჭვიც არ მეპარება, ჩემზე უკეთესად რომ ისარგებლებ მოპოვებული თავისუფლებით. მაგრამ ნაადრევად ნუ მიეცემი ლხენას. მირჩევნია, მე ვიყო ხელფეხშებორკილი, ვიდრე შენ გაპარპაშო ბოძებული თავისუფლებით. მსხვერპლთშეწირვაში ვერავინ დამიდებს ტოლს, ცხადია, ვერც შენ.

კატრინის გამოსვლა სრულიად გულწრფელი ჩანდა. მიუხედავად დაგროვილი ბოღმისა და აგრესიისა, ის ქმარს ვერ უღალატებდა, მარად მისი ერთგული დარჩებოდა, ზუსტად ისეთივე, როგორიც მეუღლის საპრეზიდენტო მანდატის დასაწყისში იყო. ამ წმინდანს ვერაფერს დასწამებდი, ვერც უკეთურ ნაბიჯში გამოიჭერდი. არც ერთი ქალი ცდილა ამდენს, ოღონდ მეუღლისადმი ერთგულება შეენარჩუნებინა. თუ ამას უწინ პატივისცემის სახელით სჩადიოდა, დღეს მთელი ძალისხმევა მის დასამცირებლად იყო მიმართული.

- შენ გარყვნილი ხარ, - თქვა ანრიმ.

- შესაძლოა, ჩემო სიხარულო, ამის გამო არ მოგვეწონა ასე ძლიერ ოდესღაც ერთმანეთი?

ცოლ-ქმარმა მათთვის განკუთვნილ ოთახში შეაბიჯა.

ანრიმ კარი გასაღებით ჩაკეტა. დილამდე არც ერთს და არც მეორეს სიტყვა არ დასცდენია.

*

მეორე დღეს ელისეს სასახლის მდელოებსა და ხეივნებს კაშკაშა მზის სხივები მოეფინა. შესანიშნავი ამინდი იდგა.

გეგონებოდათ, სამყარო სასწაულების მოლოდინშიაო.

საკუთარი ჩვევების საწინააღმდეგოდ ანრიმ გადაწყვიტა, იმ დილას მეუღლესთან ერთად ესაუზმა. ბრძანა, ორი თეფში მოეტანათ, რომელიც სამზარეულოს მაგიდაზე თვითონვე განალაგა. წინა დღის დაძაბულობაც გადაივიწყა და მზრუნველი და თბილი ხმით კატრინს მიმართა: - წელიწად-ნახევარში ახალი არჩევნები დაინიშნება. გადავწყვიტე, ისევ ვიბრძოლო პრეზიდენტის მანდატის მოსაპოვებლად.

- ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ასე მოიქცეოდი.

- შენ თავად რას ფიქრობ, შენი აზრი მაინტერესებს.

- ვერ ვიტყვი, რომ მეორე ვადით პრეზიდენტობა გარანტირებული გაქვს.

- ვიცი, მაგრამ ვიბრძოლებ.

- როგორ აპირებ ბრძოლას? თავდასხმის ხელმეორედ გათამაშება ხომ გამორიცხულია?!

ანრის კეფა დაეჭიმა. სახე მოეღრიცა.

- ვერ ვხვდები, რაზე საუბრობ.

- რა თქმა უნდა, ვერ ხვდები!

ცოლ-ქმარი წუთიერად დადუმდა.

ორივემ მთელი ყურადღება საუზმეზე გადაიტანა. სცადეს, საკუთარ ულუფა პურზე კარაქი და მურაბა ისე წაესვათ, რომ თითები არ დასვროდათ და არც მაგიდაზე დაესხათ.

ანრიმ, ვითომ არაფერი მომხდარაო, ენერგიულად განაგრძო: - მეორე ვადის დადგომამდე განქორწინებას გთავაზობ.

- რატომ?

- შენი აზრით?

- დიდ პოლიტიკურ რისკზე მიდიხარ, ჩემო ძვირფასო ანრი.

- განქორწინებული პრეზიდენტი გყავს მხედველობაში? იცი, დრო საგრძნობლად შეიცვალა. ადათ-წესებიც, სხვათა შორის.

- ამ სიურპრიზს, შესაძლოა, სრულიად გაუთვალისწინებელი

შედეგები მოჰყვეს. ოდითგანვე, უფრო ზუსტად, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დაბადებიდან მოყოლებული ადამიანებს ღრმად სწამდათ ჩვენი გულწრფელი სიყვარულის - „სანიმუშო სიყვარული“. ეს ლეგენდა ხომ ჩვენზე შეითხზა?! თუ ეს წმინდა წყლის მონაჩმახია, მტკნარი სიცრუეა, სატყუარა, ნისლი და ბურუსია, მზის პირველივე სხივი რომ გაფანტავს და გააქრობს, შენი ამომრჩეველი, განსაკუთრებით კი ის, ჯერ კიდევ რომ ორჭოფობს და საბოლოო არჩევანი ვერ გაუკეთებია, დაიბნევა და შენდამი ნდობას დაკარგავს. ნუთუ პრეზიდენტი მორელი აქამდე ზღაპრებით გვაბრუებდაო, იტყვიან. შენი ნამოღვაწარის ავკარგიანობითაც დაინტერესდებიან. შესაძლოა, შენი გამოსვლები და მოქმედება მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აღიქვან.

- მიმიფურთხებია, რასაც ამომრჩეველი იფიქრებს. ყელში ამომივიდა ასე ცხოვრება.

- მეც, ალბათ.

- შენც, საკუთარი თავიც.

- ჰორიზონტზე, შემთხვევით, ახალი საყვარელი ხომ არ გამოჩენილა, ჩემ ჩასანაცვლებლად რომ გამოდგებოდა?

- არაფერი მაგის მსგავსი.

- მაშინ რა ხდება, ვერ ამიხსნი?

- ვეღარ ვიტან შენს მზერას.

კატრინს ხმამაღლა გაეცინა: - ცხადია, ვეღარ აიტან. ჩემი მზერა ლაკმუსია. სიმახინჯეს ვეღარ დამალავ.

ანრის სახე ბრაზით აუჭარხლდა. დასამშვიდებლად მაგიდას ხელის გულებით მთელი ძალით დააწვა და თქვა: - არ გსურს, ჩემი წინადადება განიხილო?

- ვფიქრობ, აღარ არის საჭირო. მე უარს ვამბობ.

- რატომ?

- მე ვიპოვე ჩემი გზა, მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ აღარ მიყვარხარ. ერთი რამ შემიძლია მოვიმოქმედო - შეგიძულო სულით ხორცამდე. მსგავსი პოზიცია სავსებით უპრიანია ჩემთვის.

- კატრინ, შენს არსებობას ვეღარ ვიტან. მძულს შენს გვერდით ცხოვრება.

- კეთილი, მაგრამ მოგიწევს წინასწარ გაფრთხილება. ახლა კი სიტუაციის ჯეროვანი შეფასების საშუალება მიბოძე, ძვირფასო. მეორე მანდატზე ოცნების უფლება საკუთარ თავს მხოლოდ ჩემი თანხმობის მოპოვების შემდეგ შეგიძლია მისცე.

- ვერაფერი გავიგე.

- მომიწევს პირის მომუწვა. ჩემი საიდუმლოებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავამხილო. ფურმიონის ქუჩაზე მომხდარი ეგრეთ წოდებული თავდასხმა საერთოდ უნდა ამოვიძირკვო მეხსიერებიდან.

ანრის თავბრუ დაეხვა. გეგონება, ვიღაცამ დანა პირდაპირ მუცელში გაუყარაო. როცა დარწმუნდა, რომ მისმა სიტყვებმა ადრესატამდე წარმატებთ გაიკაფა გზა, კატრინმა გამოსვლა განაახლა: - მეორე ვადით არჩევნებისას მე მუდამ შენ გვერდით ვიქნები. „სანიმუშო წყვილი“ ვართ, ხომ არ დაგავიწყდა.

ანრიმ ყავით პირი გაისველა. ფინჯნის ფსკერს მიაშტერდა. მზერაზე ეტყობოდა, რომ მზად იყო მეუღლე იქვე მიეხრჩო.

- რატომ მიწყობ ამ ჯოჯოხეთს? - დაინტერსდა.

- იმიტომ, რომ მოგეცეს საშუალება, ყველა ჩადენილი ცოდვა გამოისყიდო. დიახ, გამოისყიდო ის ზიანი, პირადად მე, ჩვენს ქალიშვილს, პრინციპებს, საერთოდ ჩვენს ცხოვრებას რომ მიაყენე. ცოდვა, შენი ყოფილი მძღოლის გამო კისერზე რომ გაწევს.

- კატრინ, ვფიქრობ, ჭკუიდან გადადექი, სრულიად შეიშალე. მარტო ჩემი ცოლი კი აღარ ხარ, არამედ ზეცით მოვლეილი მართლმსაჯულება.

- ზუსტად ეგრეა, ყოჩაღ!

კატრინი წელში გაიმართა, შეტრიალდა და სამზარეულო დატოვა.

*

მომდევნო კვირას მომხდარი ინციდენტისათვის კატრინს თავიდან მაინცდამაინც განსაკუთრებული ყურადღება არ

მიუქცევია. როდესაც უიქენდზე ალპებში მდებარე კონენში გაემგზავრა, რათა ყრუ-მუნჯთა და მხედველობადაქვეითებულთა ცენტრში გამწესებული ქალიშვილი მოენახულებინა, მძღოლმა რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მანქანა შეაჩერა. მუხრუჭები აღარ ემორჩილებოდა, საბურავებმაც დააეჭვა. გაუმართაობა პროფილაქტიკის პუნქტშიც დადასტურდა. კატრინმა მძღოლს ყურადღებიანობა შეუქო. სამხრეთის მიხვეულ-მოხვეული გზები შესაძლოა მათთვის ფატალური აღმოჩენილიყო.

ამ შემთხვევის შემდეგ 10 დღე გავიდა. კატრინი კომპიენში გაემგზავრა, რომ ოპერა „შავი დომინოსთვის“, მე-19 საუკუნის ყველასგან მივიწყებული ნაწარმოების აღდგენილი ვერსია მოესმინა. უკანა გზობაზე მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: კატრინი ავარიაში მოყვა.

ღამის პირველ საათზე, უკაცრიელ პარიზში კატრინის ლიმუზინი სენის გასწვრივ მდებარე გვირაბის გავლით ალმას ხიდს უახლოვდებოდა. მოულოდნელად მას უკნიდან თეთრი მანქანა წამოეწიათ. ფარების დამაბრმავებელმა შუქმა, თავბრუდამხვევმა სიჩქარემ და სახიფათო სიახლოვემ მარტენი საგონებელში ჩააგდო. დამფრთხალმა გაზს დააჭირა ფეხი და წინ გავარდა. ამ დროს წინიდან მეორე მანქანა გამოფრინდა, ზიგზაგურად მოქროდა. მარტენი საბოლოოდ დაიბნა, მარჯვნივ გადაუხვია და რამდენიმე წამში მთელი ძალით შეასკდა ბოძს. გაისმა ლითონის გამაყრუებელი ხრჭიალი. მანქანის საბურავი დაიჭმუჭნა. მარტენმა ტკივილისგან არაადამიანური ხმით იღრიალა. უკანა სავარძელში მოკალთებული კატრინი წელს ქვემოთ ფეხებს ვეღარ გრძნობდა.

სასწრაფო დახმარების მანქანა და მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე მალევე მივიდნენ. მგზავრები დაჭყლეტილი ლიმუზინიდან დიდი სიფრთხილით გამოიყვანეს. მძიმედ დამტვრეულები ჩანდნენ, მაგრამ გონება არ დაეკარგათ.

საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე ექიმების კომენტარებიდან კატრინმა დაასკვნა, რომ არც მის სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე და არც მძღოლისას. თუმცა ამან ვერ დაამშვიდა, ვინაიდან მან გაიაზრა, რა იყო ნამდვილი საფრთხე - ანრი!

სანამ სირენის ღმუილი გარინდებული პარიზის სიმშვიდეს

არღვევდა, კატრინმა საკუთარი მდგომარეობის მთელი სიმახინჯისა და საშინელების ნათლად წარმოსახვაც მოასწრო: ანრიმ მისი ფიზიკური განადგურების ბრძანება გასცა, ვინაიდან არც საარჩევნო კამპანიის ჩატარებისას და სავარაუდოდ, არც მეორე ვადით პრეზიდენტობისას გვერდით ცოლი აღარ სჭირდებოდა. საერთოდ აიღო სინდის-ნამუსზე ხელი და მზად იყო, ნებისმიერ უკეთურებაზე მოეწერა ხელი.

როცა პიტიე-სალპეტრიერის სასწრაფო დახმარების განყოფილების საწოლზე აღმოჩნდა, კატრინმა შვებით ამოისუნთქა. ის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ საავადმყოფოში მოათავსეს და არა კერძო კლინიკაში, სადაც მძევლის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ზეწოლის განხორციელება და საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით მართვა ანრისთვის ადვილზე ადვილი გახდებოდა.

კატრინი ყველაზე გამოცდილმა ტრავმატოლოგებმა გასინჯეს. გაუკეთეს ნემსები, შეუერთეს ხელოვნური სუნთქვის აპარატს და ჟანგბადით გაჭყიპეს, აუღეს სისხლი ანალიზებისთვის და ბოლოს გამოაცხადეს, რომ გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა სჭირდებოდა.

*

ნარკოზისგან გამოღვიძებისას პირველი ადამიანი, ვინც კატრინმა დაინახა, მისკენ დახრილი ანრი გახლდათ შეწუხებული და მზრუნველი სახით.

ანრის უმალ სახე გაებადრა, მეუღლის მარჯვენა ხელებში მოიქცია, ყვრიმალებზე მიეფერა. შეშინებულ და ღონემილეულ კატრინს წინააღმდეგობა არ გაუწევია: მალე ანრიმ ენაც ამოიდგა. ილაპარაკა და ილაპარაკა. აღარ გაჩერდა. კატრინი ბურდღუნითა და კვნესით პასუხობდა. ანრიმ შესანიშნავად ისარგებლა შემთხვევით და მგზნებარე მონოლოგი გამოაცხო. კატრინს დაეუფლა განცდა, რომ ეს ყბედობა აღარასდროს დამთავრდებოდა. ანრიმ კი ოსტატურად უნაცვლა როლები ერთმანეთს. ხან იდეალური მეუღლის ნიღაბი მოირგო, ხანაც მომხდარით სულით ხორცამდე შეძრულისა, ხანაც დამფრთხალი და დაბნეული სახე მიიღო, საყვარელი და ძვირფასი ადამიანის შესაძლო გაქრობით შეშინებული. უსირცხვილოდ განუცხადა, რომ როცა ასეთ მდგომარეობაში გიხილე, ღონემიხდილი და განადგურებული, სიკვდილს

ბეწვზე გადარჩენილი, უმალ გავისიგრძეგანე, რამდენად უაზრო და უშინაარსო იყო ჭიდილში, ბუტიაობაში, კინკლაობასა და ერთმანეთის ლანძღვაში გატარებული ბოლო თვეებიო. გულწრფელობის დასადასტურებლად ანრის აზიელის მსგავსი წვრილი თვალებიდან ცრემლის რამდენიმე წვეთი გადმოუგორდა. გამოუთქმელი ტკივილით ტანჯულ კატრინს არც საკუთარი თვალების სჯეროდა და არც ყურების.

როგორ შეუძლია ადამიანს ასე უსირცხვილოდ, ასე უნამუსოდ იცრუოს? მსგავს ფარისევლობას თვითონ, რომც ცდილიყო, ვერანაირად ვერ მოახერხებდა. ღმერთო, რა მსახიობია! კატრინმა ბოლომდე ითმინა, ხელოვანს ნომრის დასრულებაში ხელი არ შეუშალა. ისე, რეაგირებისთვის არც ძალ-ღონე გააჩნდა და არც სურვილი.

მომდევნო დღეებში ანრი წარმატებთ განაგრძობდა უკვე ნაცადი და საგულდაგულოდ დამუშავებული შეწუხებული, საგონებელში ჩავარდნილი მეუღლის პარტიის შესრულებას. გამოსვლა უფრო ხშირად თითქმის ცარიელ დარბაზში უხდებოდა - კატრინი გახლდათ ერთადერთი მაყურებელი, თუმცა, იყო დღეები, როცა აუდიტორია სხვა მოწმეებითაც ივსებოდა. სხვათა შორის, მისმა გარდასახვის ნიჭმა არაერთს აუჩუყა გული.

მიუხედავად ყველაფრისა, კატრინმა როგორც კი იგრძნო, ნერვების მოთოკვას რომ შეძლებდა, მეუღლესთან სიმარტოვის პირველივე შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და პირდაპირ ჰკითხა: - სადამდე შეგიძლია შეტოპო?

- რას გულისხმობ, ძვირფასო?

- ძალაუფლების გულისთვის კიდევ რაზე შეგიძლია ხელი მოაწერო?

- არ მესმის, რაზე მელაპარაკები.

- შეგიძლია საკუთარი მეუღლეც კი გამოასალმო სიცოცხლეს?

- ეს უბედური შემთხვევა იყო, კატრინ.

- ორი შემთხვევა ერთ კვირაში? საინტერესოა, არა? ჯერ იყო, რაღაც ეშმაკის მანქანით მუხრუჭები მოეშვა, მერე ეს გვირაბში დაგებული ხაფანგი...

- ძალიან ნაჩქარევად გამოგაქვს დასკვნები. გამოძიება უკვე დაიწყო და სულ მალე ყველაფერი გაირკვევა. როგორც კი ხელს ჩავავლებთ იმ ვაი-მძღოლს, სასამართლოში წავაბრძანებთ.

- თუ ჩაავლეთ ხელი კი, მაგრამ მას ვერასდროს მიაგნებთ.

- რატომ ვითომ?

- ცნობილია, რომ საიდუმლო აგენტები უკვალოდ ქრებიან. ან მათ დოსიეს „გრიფით საიდუმლოს“ ადებენ, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ საბუთად ნათლავენ.

- არ მესმის, რას ამბობ.

- ორი უბედური შემთხვევა ერთმანეთის მიყოლებით, თითქმის ინტერვალის გარეშე? ორივეჯერ შენი მეუღლის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა... შენ ალბათ შემთხვევითობაზე ან კიდევ სერიულობის კანონზე დამიწყებ ლაპარკს. ერთადერთი რამ მაინტერესებს - შენი განზრახვა. ჩემი მოშორება გსურდა? მაშინ შენი საიდუმლო სამსახურის აგენტები არაფრად ღირან. თუ ჩემი შეშინება გსურდა? ასეთ შემთხვევაში მათ ნამუშევარს წუნს ვერ უპოვი. მაინც რა მოხდა სინამდვილეში - წარმატებული დაშინება თუ შეუმდგარი მკვლელობა?

- ჩემო საწყალო კატრინ, შენ ჯერ კიდევ ვერ გამოსულხარ შოკური მდგომარეობიდან.

- ჰო, აბა რა. ახლა შენი ფსიქიატრები დამასიე, რომლებიც დაუფიქრებლად გიჟის იარლიყს მომაკერებენ. აბა, შენ იცი, როგორ მომიღებ ბოლოს! კარგი სანახავი კი ვიქნები: ფეხები თაბაშირში, სხეულის დარჩენილი ნაწილი კი გიჟის პერანგში. ჯერჯერობით შენი წყალობით ეს მინიმუმი გარანტირებული მაქვს.

- კატრინ, დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდობლობისა და ეჭვიანობის პერიოდი დიდი ხანია, გადავლახეთ.

- ვის აწყობს დანაშაული? შენ, მხოლოდ შენ.

- დანაშაული არავის ჩაუდენია.

- ეს ზღაპარი ბრიყვებს მოუყევი!

- ყური დამიგდე, კატრინ, მე ვოცნებობდი, იმედებს ვეპოტინებოდი, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

ძალისხმევას არ ვიშურებდი. მაგრამ ვატყობ, სულ ტყუილად. ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვმეტყველებთ, საერთოდ არ გვესმის ერთმანეთის. როგორც კი საავადმყოფოდან გამოეწერები, აჯობებს, ყველაფრის შესახებ გულღიად ვისაუბროთ, ყველა პრობლემა განვიხილოთ და რაღაც გამოსავალი ერთად ვიპოვოთ.

- განქორწინება? არც იოცნებო. ჩემგან თანხმობას ვერ ეღირსები! გესმის? განქორწინებაზე არასოდეს დაგთანხმდები!

კატრინის ყვირილზე ანრი დაფრთხა. სასწრაფოდ წელში გაიმართა. დაბნეული თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა. შიშობდა, მეუღლის მიერ ნასროლმა სიტყვა „განქორწინებამ“ კორიდორში მომლოდინე მდივნის ყურამდე ხომ არ მიაღწიაო. ბოლოს შიშითა და სინანულით აღბეჭდილი მზერა ისევ თანამეცხედრეზე გადაიტანა.

- ხვალამდე, კატრინ. გათავისუფლდი შენი მდაბალი და უღირსი ეჭვებისგან, აიყვანე თავი ხელში.

ანრიმ პალატა სწრაფი ნაბიჯებით დატოვა.

მარტო დარჩენილი კატრინი პანიკამ მოიცვა. „როგორ დავიცვა მისგან თავი? როგორ დავეხსნა?“

აქ, საავადმყოფოში შეუძლია მშვიდად იყოს, მაგრამ რა მოიმოქმედოს აქედან გაღწევის შემდეგ? ის ხომ ისევ ძლევამოსილი ქმრის საიდუმლო სამსახურის სამიზნე გახდება.

შიში, ცნობილია, შესანიშნავი სტიმულია. ესეც ასე, გამოსავალი ნაპოვნია! კატრინმა გადაწყვიტა, დარჩენილი სამი დღის განმავლობაში ნაცნობ-მეგობრების რაც შეიძლება დიდი რაოდენობა შემოეკრიბა გარშემო. ვიზიტებზე ნებართვაც ოფიციალურად მოითხოვა. სატელეფონო მიპატიჟებებს შესაშური შედეგი მოჰყვა - ორმოცამდე ადამიანმა მოინახულა. ყოველ გამოვლაზე ანრიმ მეუღლე მეგობრებით გარშემორტყმული იხილა. იფიქრა, კატრინს გუნება რადიკალურად შეეცვალაო და გაიხარა.

გაწერის წინა დღეს, საღამო ხანს ანრიმ, როგორც იქნა, კატრინთან სიმშვიდესა და სიმარტოვეში გასაუბრება შეძლო.

ცოლმა ქმარს ფართო ღიმილი მიაგება.

- მიხარია, რომ სახლში ვბრუნდები, ანრი, ძალიან მიხარია.

- ჰოდა, ძალიან კარგი, - გაუღიმა ანრიმაც. შვება, რომელიც ამ ფრაზამ განაცდევინა, არც კი დაუმალავს.

- ადრე აქედან წასვლის, სიმართლე გითხრა, მეშინოდა. ეს მგლის ხახაში ჩავარდნის ტოლფასი იქნებოდა. არ მსურდა, იმ ადამიანებს ჩავბარებოდი, ბოროტებას რომ მიმზადებენ. ახლა კი თავს სრულიად უსაფრთხოდ და დამშვიდებულად ვგრძნობ.

- შენი პარანოიდული ბოდვები წარსულს ჩაბარდა და ხედავ, ალბათ როგორ მახარებს ეს. ძალიან ვღელავდი...

კატრინმა აშკარად იგრძნო, რომ პრეზიდენტი გულწრფელად ლაპარაკობდა. გულის სიღრმეში მის მსახიობის ოსტატობას უმაღლესი შეფასება მისცა. „ეს რა ნიჭი მოუვლინა მაღალმა ღმერთმა ადამიანებს“.

- დიახ, ვბრუნდები ელისეს სასახლეში ყოველგვარი შიშის გარეშე. პირიქით, წესით, ამჯერად შენ უნდა გეშინოდეს.

- უკაცრავად?

- უნდა გეშინოდეს, რომ არაფერი შემემთხვას.

- ბუნებრივია, ბუნებრივია. მეშინია, რომ რამე ცუდი არ მოგივიდეს. შენ რომ არაფერი მოგსვლოდა, ყოველთვის ჩემი საზრუნავი იყო. მზისქვეშეთში, ხომ იცი, ახალი არაფერია.

- არა, ამჯერად უფრო ძლიერ შეგეშინდება, ვიდრე უწინ. დამიჯერე, რასაც გეუბნები. ბოლო დღეებში ახლო მეგობრების ვიზიტით ვისარგებლე და გარკვეული გადაწყვეტილება უკვე მივიღე. ხვალინდელი დღიდან საკმარისია რამე მომივიდეს, პრესის ფურცლებზე უმალ შესატყვისი სტატია რომ დაიბეჭდოს. ეს წერილი საიმედო ადგილასაა გადამალული. აქ კი არა, არამედ უცხოეთში, შენი მსტოვრებისა და შეიარაღებული თანაშემწეებისგან შორს. ამ წერილში ფურმიონის ქუჩაზე მომხდარი თავდასხმის შესახებ ვყვები. ვყვები იმას, რაც მშვენივრად მოგეხსენება; ანუ ძალიან, ძალიან ბევრ რამეს. არც ბოლო პერიოდში ერთიმეორის მიყოლებით მომხდარ უბედურ შემთხვევებს ვივიწყებ, თან მონაყოლს დამკვეთებზე ჩემს ჰიპოთეზებს ვურთავ. თუ ვინმემ სიცოცხლე მომისწრაფა, მაშინ პრესაში წერილის დაბეჭდვას

მიუკერძოებელი, ამჯერად მკაცრი და ნამდვილი ძიება მოჰყვება. ძიება, რომელსაც შენ ვერ გააკონტროლებ.

- შენ შეშლილი ხარ!

- თავიდან ერთი ღერი თმაც რომ ჩამომივარდეს, გაფრთხილებ, შენ საქმე წასულია.

ცოლ-ქმარმა ზიზღით შეათვალიერა ერთმანეთი. ეს ზიზღი ისეთივე მწველი და დამპყრობელი იყო, როგორც წადილი. ისეთივე დაუდგრომელი და ბობოქარი, როგორც სიყვარულის სურვილი. მოუხელთებელმა ზიზღმა მათ გაახსენა, თუ რამდენად ღირებულნი იყვნენ ოდესღაც, ურთიერთობების დასაწყისში ერთმანეთისთვის. ამჯერად მოზღვავებული გრძნობები ორივეს აიძულებდა, მეორისთვის სიკვდილი ესურვა და არა ერთ ჭერქვეშ საერთო მომავალი.

მოულოდნელად ექიმმა შემოაღო კარი. ამ ორი უკიდურესად დაძაბული ადამიანის დანახვაზე შეცბა. იფიქრა, მგზნებარე აღიარებას შევუშალე ხელიო. მორიდებით ჩაახველა.

- ბოდიშს გიხდით, უდროო დროს რომ შემოგეჭერით, ქალბატონო. ბატონო პრეზიდენტო, მომიტევეთ.

კატრინს სახეზე უმალ თავაზიანი ღიმილი აღებეჭდა და თავაზიანად მიუგო: - შემობრძანდით, პროფესორო ვალანსიენ, გთხოვთ, შემობრძანდით.

არც ანრიმ ისურვა, ცოლს რამეში ჩამორჩენოდა და უმალ თავაზიანობის კოცონი გააჩაღა. განყოფილების გამგეს წარმატებით ჩატარებული ოპერაცია მიულოცა, მადლობა უხადა და ბოლოს სკამიც კი მიუჩოჩა, რათა მათ სიახლოვეს ავადმყოფის საწოლთან ჩამომჯდარიყო.

შებოჭილი, დაძაბული ექიმი საპრეზიდენტო წყვილს გაუბედავი ნაბიჯებით მიუახლოვდა.

- ბატონო პრეზიდენტო, მინდა მოგახსენოთ, რომ როცა ქალბატონი ჩვენს განყოფილებაში გამწესდა, სერიოზულად გამოვიკვლიეთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. გაკეთდა საჭირო ანალიზები. რაც შეეხება ტრავმას და მის შედეგებს, ვფიქრობ, ჩვენმა სამსახურმა მაქსიმალური გააკეთა. ქალბატონს შეუძლია უწინდელი რიტმით განაგრძოს ცხოვრება. მიუხედავად ზემოთქმულისა, მსურს დავძინო, რომ

გამოკვლევისას ერთმა დეტალმა ფრიად დაგვაფიქრა.

პრეზიდენტმა ექიმს ხელით ანიშნა დამჯდარიყო. ამ უკანასკნელმა იუარა და კატრინს მიმართა: - სამწუხაროდ, ჩვენ უფრო სერიოზულ პრობლემაზე მოგვიწევს საუბარი. სისხლის ანალიზის შედეგები აშკარად მიუთითებს სიმსივნეზე.

- სიმსივნეზე?

- თქვენ გინდათ თქვათ, კიბოზე?

ექიმმა თანხმობის ნიშნად თავი დააკანტურა.

კატრინმა და ანრიმ ერთმანეთს არეული თვალებით შეხედეს. ანრი სასწრაფოდ სკამიდან წამოდგა. ავტორიტეტული მბრძანებლური ტონით დასმული კითხვა გადაუდებელ და გულწრფელ პასუხს ითხოვდა: - ექიმო, ეს სერიოზულია?

ექიმმა ვალანსიენმა მღელვარებისგან სულ დაიკბინა ტუჩები. მზერა ჯერ მარჯვენა კედელზე გადაიტანა, შემდეგ კი მარცხენაზე. შთაგონების ძიება უშედეგოდ დასრულდა. პასუხი ისე გასცა, რომ კედლისთვის თვალი არ მოუშორებია.

- ძალიან დამაფიქრებელია, უკიდურესად დამაფიქრებელია.

უკეთეს პასუხს ალბათ კაცი ვერ მოიფიქრებდა.

პრეზიდენტმა ოდნავ გასაგონად წაიბურდღუნა ამოჩემებული: „ეშმაკმა დალახვროს“. კატრინს კი გული წაუვიდა.

კატრინის ჯანმრთელობის მდგომარეობა ელვისებური სისწრაფით უარესდებოდა. ელისეს სასახლის მანსარდიან აპარტამენტებში დაბრუნებული კარგა ხანს ეპოტინებოდა გამოჯანმრთელების იმედს. სულ ტყუილად. ანალიზებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გვიან გამოვლენილი ავადმყოფობა უკან დახევას არ აპირებდა. პირიქით, შემაძრწუნებელი ტემპით პროგრესირებდა.

ქიმიოთერაპიისგან კატრინი დაიქანცა და დაძაბუნდა, უკანასკნელი ძალა გამოეცალა! აღარც ჭამდა და აღარც სვამდა. მადა საერთოდ დაკარგა. თმა გასცვივდა. ექიმებმა მთელ სხეულს მოდებულ მეტასტაზებთან ბრძოლაზე უარი თქვეს და მკურნალობის ყოველგვარი კურსი შეწყვიტეს. ამ გადაწყვეტილებამ კატრინი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ

ვერასდროს გამოჯანმრთელდებოდა. და უცნაური შვებით აღივსო.

- გამოდის, რომ ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. ალბათ ასეთი დასასრული მეწერა... და ახლა კი...

სიკვდილის წინათგრძნობაში შიშის სამ, ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნულ ტიპზე შეიძლება ლაპარაკი: პირველი, არასდროს იცი იმქვეყნად გადაბარგების ზუსტი, თუნდაც მიახლოებითი თარიღი; მეორე - არც გარდაცვალების მიზეზზე უწყი რამე, და ბოლოს მესამე - სიკვდილი ხომ თავისთავად უკვე ნიშნავს გაურკვეველსა და გაუცნობიერებელს. კატრინისთვის ორი ელემენტი უკვე საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა: ის მალე გამოემშვიდობებოდა სიცოცხლეს და ამის მიზეზი მთელ ორგანიზმს მოდებული კიბო იქნებოდა. ამიერიდან მისთვის ერთადერთი შიში რჩებოდა - სიკვდილის შიში. მაგრამ მას, როგორც ღრმად მორწმუნეს, ეს საიდუმლოება სულაც არ აშინებდა. მართალია, მის შესახებ სხვებზე მეტი ნამდვილად არ მოეხსენებოდა, მაგრამ რაც მთავარია, კატრინს ხელთ ეპყრა ერთი მთავარი იარაღი - რწმენა.

ანრიმ დაჟინებით მოითხოვა, რომ კატრინი ელისეს სასახლეში, მის გვერდით დარჩენილიყო, რათა მეგობრებს მისი მონახულების საშუალება არ მოსპობოდათ.

კატრინის სიმშვიდემ და სირბილემ ყველა განაცვიფრა, მათ შორის მეუღლეც. კატრინმა გაითავისა ავადმყოფობა, შეეგუა და შეესისხლხორცა. მისი სიწყნარეც ამით აიხსნებოდა. ერთ დღეს კატრინმა ახალგაზრდა მედდას, რომელსაც მისთვის ვენაში მორფიუმის განსაზღვრული დოზა უნდა შეეყვანა, ჰკითხა: - უფრო ადრე რომ ამომედგა ენა და გადმომეფრქვია ის, რაც ასე მძიმე ლოდად მაწვა გულზე, კიბოს ავიცილებდი. ტკივილი სიტყვებით რომ გამომეხატა, იქნებ ჩემში ეს სენი არ განვითარებულიყო?

- კიბო უბედური შემთხვევაა, ქალბატონო.

- არა, ეს შედეგია, ფორმაა, ყველა ის საიდუმლოება რომ იძენს, რომელთა შენახვაც გვამძიმებს და გვტანჯავს.

ცხადია, კატრინს არ ჰქონდა პრეტენზია იმაზე, რომ რასაც ფიქრობდა, სრული ჭეშმარიტება იყო. მაგრამ მსგავსი მოსაზრება შველოდა ეღიარებინა, რომ რაც მოხდა, მხოლოდ მას

ერთს, მას ერთადერთს შეეხო. მისი რწმენით, კიბო არ იყო გარედან შეკოწიწებული თავდასხმა. ეს იყო ფენომენი, გნებავთ, მოვლენა, მისმა სხეულმა, მისმა სულმა რომ შვა.

რიგო, პრეზიდენტის მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, დღეც და ღამეც შორიახლო დაბორიალობდა. კატრინმა იცოდა, რომ ამ ვაჟბატონს ისე აშინებდა ნებისმიერი ავადმყოფობა, რომ საავადმყოფოში სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვული საკუთარი მამის მოსანახულებლადაც კი არ შეადგა ფეხი. სწორედ ამ გარემოებამ აფიქრებინა, რომ მისი აქ წრიალის მიზეზი თანაგრძნობა კი არა, სრულიად სხვა რამ იყო, რომელიც უნდა დაედგინა. ერთხელაც რიგო ფინჯან ჩაიზე მიიპატიჟა და ამით მრჩეველს საკუთარი სინდის-ნამუსის შემსუბუქება შესთავაზა.

- რაღაც მსურს გკითხოთ, - გამოტყდა რიგო, - ალბათ, თავად პრეზიდენტს უნდა ეტვირთა ეს საქმე, მაგრამ მოგეხსენებათ, იმდენად შეძრულია მომხდარით, რომ ვერ გაბედა. აი, რა საგონებელში ჩავცვივდით: შეგვიძლია თუ არა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა საჯარო გავხადოთ და თქვენი გასაჭირი პრესაში გავახმოვანოთ?

კატრინმა რიგო ზიზღნარევი მზერით ყურადღებით შეათვალიერა. „წარმოგიდგენიათ?! ძლივს მოითვინიერა საკუთარი ავადმყოფობა. ამათ კი მისი წართმევა გადაუწყვეტიათ“.

- რატომ?

- პრეზიდენტი მალე მეორე ვადით არჩევასთან დაკავშირებულ კამპანიას წამოიწყებს. თქვენი გაუჩინარებით უკვე ინტერესდებიან ადამიანები. ერთნი იმასაც კი ამბობენ, რომ თქვენ ახალი მანდატის წინააღმდეგი ხართ, სხვები უკვე ჩურჩულებენ, რომ პრეზიდენტსა და მის მეუღლეს შორის შავმა კატამ გადაირბინა და საერთო ენას ვერ პოულობენო. მავანი და მავანი კი ნახატებით მოვაჭრე ნიუ-იორკელთან თქვენს ინტიმურ კაშირზე ალაპარაკდა.

კატრინმა სიცილისგან თავის შეკავება ვეღარ მოახერხა.

- ო, საწყალი შარლი. ანტიკვარიატით მოვაჭრე პარიზელი ნახატებით მოვაჭრე ნიუ-იორკელად გადაქცეულა. ატლანტის

ოკეანის გადასერვისას ჰომოსექსუალობას დამშვიდობებია და ჰეტეროსექსუალი გამხდარა. არა, ჭორებისთვის ბარიერი არ არსებობს, წამში მთელ პლანეტას მოედება ხოლმე.

რიგო ცოტათი კი შეიშმუშნა, მაგრამ ჩამოგდებულ თემას არ უღალატა: - დიახ, ქალბატონო, ჭორები ელვის სისწრაფით მრავლდება. თან ერთიმეორეზე უარესი და უსაზიზღრესი. პრეზიდენტის მწუხარე სახეც ხომ ამის ერთგვარი დასტურია. სწორედ ამ საბაბთ გეახელით მეც. სიმართლე უნდა გახმოვანდეს. თქვენ ეს, უპირველეს ყოვლისა, თქვენი, შემდეგ კი პრეზიდენტის კეთილდღეობისთვის უნდა გააკეთოთ. თქვენს სანიმუშო ალიანსს ჩირქი არ უნდა მოეცხოს. მოდით, ერთად გავფანტოთ ეს ბინძური აჩრდილები.

კატრინი ჩაფიქრდა.

- ეს ადამიანებს ააღელვებს, რიგო?

- ისინი გაღმერთებენ, ქალბატონო. ჩვენი ვარაუდით, სიმპათიებისა და სინანულის უზარმაზარი ტალღა აგორდება. მოემზადეთ ამისთვის.

- არა, მე იმის თქმა მსურდა, რომ ამ კეთილი და გაბედული ანრი მორელის დანახვაზე ადამიანებს ისევ აუჩუყდებათ გული, ის ხომ პირველი არჩევნების წინ თავდასხმას ძლივს გადაურჩა და ახლა, მეორის დაწყებისას ღირსეულად იტანს საკუთარი მეუღლის აგონიას.

- სიმართლეს ბრძანებთ, ქალბატონო. უბედურებამ არც ჩვენი საწყალი პრეზიდენტი დაინდო.

- რიგო, გჯერათ კი იმის, რასაც თავად ბრძანებთ?

რიგო კატრინს მიაშტერდა უკომპრომისო, შეუვალი, მწველი, დაძაბული მზერით და მიიღო გადაწყვეტილება - სიცრუეს დუმილი ჯობს.

რიგოს მდუმარება კატრინმა თავის კანტურით დაადასტურა. მიახვედრა, რომ სულელი ნამდვილად არ იყო და ბევრი რამ იცოდა...

ერთი წუთის განმავლობაში არც ერთი არც განძრეულა და არც კრინტი დაუძრავს.

- თანახმა ვარ, - გადაწყვიტა კატრინმა.

ერთი საათის შემდეგ რიგოს მიერ ინფორმირებული ანრი აპარტამენტებში კი არ შევიდა, არამედ შეფრინდა უზომო მადლიერების გრძნობის გამომხატველი სახით.

- დიდი მადლობა, კატრინ. ესე იგი, მეორე ვადით საარჩევნო კამპანიის წამოწყებას ეთანხმები.

- განა მაქვს იმდენი ძალაუფლება, რომ შეგაჩერო?

ანრი გაურკვეველმა გრძნობებმა მოიცვა. ვერ დაედგინა, წამლებითა და პროცედურებით გაბრუებულ ცოლს უწინდელი მუქარა გადაავიწყდა, თუ არა. ფრთხილად მიუახლოვდა, ხელი ჩაავლო.

- შეგიძლია შენი მოსაზრება გამიზიარო?

არა, კატრინს ეს არ შეეძლო. უფრო სწორად, უკვე აღარ იცოდა, რომელი მოსაზრება უნდა გაენდო მისთვის. ყველაფერი ისე აერ-დაერია, თვალებიც ცრემლებით აევსო...

ანრი გადაეხვია კატრინს და დიდხანს ჰყავდა ასე გულში ჩაკრული. როცა იგრძნო, რომ კატრინს მთლიანად მოეხსნა დაძაბულობა, მიღონდა და ძილიც მოერია, ბალიშზე მიასვენა და გამოძინების საშუალება მისცა.

სენმა ბევრი რამ შეცვალა მათ ურთიერთობებში. აგრესიულობა ნონ-გრატად გამოცხადდა, ვიზიტის უფლება ჩამოერთვა.

კატრინი შეეგუა თავის ტრაგიკულ ბედს და კბენა-ღრენას შეეშვა. ჯერ ერთი, ეს ეწინააღმდეგებოდა მის ბუნებასა და ხასიათს, მეორეც - იმ კვირებს აგონებდა, ავადმყოფობას რომ უძღოდა წინ. სადღაც ბუნდოვნად, თითქმის გაუცნობიერებლად ირონიას, სარკაზმსა და აგრესიულ გამოხტომებს საკუთარი ჯანმრთელობის განადგურებას უკავშირებდა!

კატრინმა საკუთარ თავს სიჩუმისკენ მოუწოდა, ანრიმ ამნეზია „დაიმართა“ - ისე იქცეოდა, თითქოს მეუღლეს მის მიმართ ზიზღი არასდროს გამოეხატა, თითქოს არც არასდროს დამუქრებოდა, საჯარო გაეხადა ყველაფერი ის, რაც ფურმიონის ქუჩაზე მომხდარი თავდასხმის შესახებ იცოდა, თითქოს უცხოეთში საიმედო ადგილას მამხილებელი ანდერძი არ გადაეგზავნოს. ამ ეპიზოდების მუდმივი მიჩქმალვითა და გვერდის ავლით, ანრიმ ლამის მათი ირეალურობაც კი

ირწმუნა. იდეალური მეუღლის როლს ჩაებღაუჭა, როგორც წყალწაღებული ხავსს. ეს იყო მისი შვება, ოცნება, რეალობა, რომლის შეკოწიწებას ცდილობდა. „სპექტაკლი უნდა გაგრძელდეს, - უჩიჩინებდა საკუთარ თავს, - არ უნდა გამოხვიდე მორგებული როლიდან, დარდს, ჭმუნვას, შინაგან შფოთს გამომჟღავნების ყოველგვარი საშუალება უნდა მოუსპო“.

ანრი განა მართებულად არ იქცეოდა? ხშირად ფორმა ერთადერთ მხსნელად გვევლინება. როცა უწესრიგობა გვემუქრება, არ არის გამორიცხული, გარეგნული იერსახის, ფასადის შენარჩუნებამ დაღუპვისგან, ქაოსში გაუიჩნარებისაგან გვიხსნას. იერსახე ძლიერია, ბევრ რამეს იტანს და ჩვენც ძალას გვმატებს, გვაძლებინებს. „მთავარია, არ დაეცე, - უმეორებდა ანრი საკუთარ თავს, - არ აგიცდეს ფეხი და არ გაიშხლართო, საკუთარ შიშს იოტის ოდენაც არ უნდა დაუთმო. არც იმ შიშს, კატრინი რომ განიცდს და არც იმ შიშს, მე რომ მიმზადებს“.

მათ უკვე დანამდვილებით არც კი იცოდნენ, რას ფიქრობდნენ საკუთარ თავზე, ან სხვებზე. უბედურებამ მაგიდაზე მიმოყარა კარტები, რომლის თამაშის წესის არაფერი გაეგებოდათ. მიუხედავად ყველაფრისა, ავადმყოფობამ ორივე მოულოდნელად დაადინჯა, წამიერებით ტკბობისა და წამიერებით ცხოვრებისაკენ უბიძგა, საკუთარი წარმავლობა შეაგნებინა. ასე და ამგვარად შეუდგნენ გიგანტური მთის აღმართს. დღეს მხოლოდ მისი ერთი მონაკვეთი უნდა დაელაშქრათ, ხვალ კი... ხვალინდელი დღე არ არსებობდა. მართალია, მათ შორის უამრავი პრობლემა დარჩა გადაუჭრელი, უამრავ კითხვას პასუხი ვერ გაეცა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ნაადრევად ტვინის ჭყლეტა უაზრობაა.

*

კატრინის ავადმყოფობის მასმედიის საშუალებების მიერ გახმოვანებამ ატომური ბომბის აფეთქების ეფექტი იქონია. რადიოს, ტელევიზიასა და პრესას მთელი კვირის განმავლობაში სხვა არაფერი გაუშუქებია. ეს გასაკვირი არც იყო - კატრინი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, ხალხს გულწრფელად უყვარდა.

კატრინს სრული განცდა ჰქონდა იმისა, რომ სამგლოვიარო

ნეკროლოგს კითხულობდა. ზოგიერთი კომპლიმენტი გულზე მალამოდ მოეფინა, მის პატივმოყვარეობას მოელამუნა. ხშირად ძველ ფოტოებზე, ტელეარხების მიერ არქივებიდან ამოქექილ ვიდეო მასალებში მიიჩნია, რომ საკმაოდ მომხიბლავია, მეტიც, რომ ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. იმის ფონზე, თუ როგორ შეილანძღა მისი ხიბლი ბოლო კვირეების მანძილზე, ხომ საერთოდ. როცა გაისიგრძეგანა, რომ თავმომწონეობითა და საკუთარი თავის ქებათა-ქებით იყო დაკავებული, კატრინს ცოტა არ იყოს, შერცხვა, ყურებამდე გაწითლდა. თუმცა მალევე მიუტევა საკუთარ თავს ეს ქალური სისუსტე. ბოლოს და ბოლოს, კიდევ რომელი სხვა ნარცისული სიამოვნებანი დარჩენოდა?

თუმცა, როცა აღმოაჩინა, რომ პაპარაცები მეზობელ ქუჩებში ურცხვად დაბანაკებულიყვნენ და სკვერის შესასვლელთანაც ფუთფუთებდნენ, რომ არაფერი ვთქვათ იმ თავხედებზე, დაუძლურებული პირველი ლედის ფოტოობიექტივებსა და ვიდეოკამერებზე აღბეჭდვის მიზნით კედელზე ძრომიალსაც რომ არ თაკილობდნენ, კატრინმა საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში პრეზიდენტის პირად მრჩეველს უხმო და საკმაოდ კატეგორიული ტონით განუცხადა: - ჩემო ძვირფასო რიგო, დროა, ჟურნალისტებმა აქ პარპაში შეწყვიტონ, თორემ ვშიშობ, ჩემს გასვენებაზე ფირები აღარ ეყოფათ.

შეფუცხუნებულ რიგოს კექსის ნაჭერი კინაღამ ყელში გაეჩხირა, კატრინს კი შეჰპირდა, რომ მოიერიშეებს პრეზიდენტისკენ გადაამისამართებდა.

მართლაც, მორელის წინასაარჩევნო კამპანიამ, მისმა ღირსებამ და სიმამაცემ, იმ დაუჯერებელმა ძალამ, თავგანწირული ბრძოლის უნარს რომ უასკეცებდა, მთელი ფრანგული საზოგადოების ყურადღება დაიპყრო. ცნობილია, რომ ფოტორეპორტიორები პოლიტიკურ მოღვაწეებს ყურებამდე მომღიმარეებს აღბეჭდავენ ხოლმე, მაგრამ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ნაცადი კრიტერიუმები ანრის არ ეხებოდა - ყაბულს იყვნენ, პირმოკუმული და შუბლშეკრულიც კი გადაეღოთ პირქუში გამოხედვით.

გადატვირთული განრიგის მიუხედავად, ანრი ავადმყოფთან შევლასაც ახერხებდა; უფრო ხშირად, სხვათა შორის, ვიდრე კატრინი ვარაუდობდა. დუმდნენ ერთად. მეტ ინიციატივას

ანრი იჩენდა. ხანგრძლივ, შესანიშნავად მოფიქრებულ მონოლოგებში ძირითადად საარჩევნო ბრძოლებსა და შეხლა-შემოხლაზე ჰყვებოდა. ეხებოდა მომავლის გეგმებსა და განზრახვებსაც. განსაკუთრებით კარგად მოწინააღმდეგეთა მარცხის დეტალური აღწერა გამოსდიოდა. კატრინი მეუღლეს თბილად უგდებდა ყურს.

ბოლოს დადგა დღე, როცა კატრინის მკურნალმა ექიმმა ავადმყოფის სპეციალიზებულ, მისი სუსტი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან მისადაგებულ დაწესებულებაში გადაყვანა მოითხოვა. ანრი ეცადა, ექიმის გადაწყვეტილებას შეწინააღმდგებოდა. კატრინმა კი თანხმობა თავის კანტურით გამოხატა.

*

როგორც კი სამკურნალო დაწესებულება დატოვეს, კატრინს გონებაში ანრის კატეგორიულმა უარმა გაუელვა. „ვუყვარვარ და იმიტომ სურს, გვერდით ვყავდე, თუ შიშობს, რომ მისგან შორს ჯერვნად ვერ გამაკონტროლებს?“

*

კატრინი წმინდა რიტას სახლში გადაჰყავდათ - კლინიკაში, ლუარას გასაოცარი სილამაზისა და სიმწვანის ბუნებაში რომ იყო ჩაფლული. შესანიშნავი არქიტექტურის ნაგებობა საუკუნოვანი ხეებით იყო გარშმორტყმული და პარკის ცენტრალურ ნაწილში წამოჭიმული. აბრა იუწყებოდა, რომ აქ ფუტკარიც ჰყავდათ მოშენებული. სკები თითქმის მთელ ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული.

- „რიტას სახლი“... ამ სახელწოდების მომფიქრებელს გემოვნებას ნამდვილად ნამდვილად ვერ დაუწუნებ. რა შუაშია აქ რიტა? გაგიგია განწირულთა მფარველის სახელის სამედიცინო დაწესებულებისთვის მიკერება?

- ანრი, ჩემი გაცურება ასე ადვილი ნუ გგონია. მშვენივრად ვიცი, რომ ეს პალიატიური მკურნალობის ცენტრია, აქ მხოლოდ იმათ იღებენ, სასიცოცხლოდ დიდი დრო რომ არ დარჩენიათ.

- კი მაგრამ...

- ვიცი, რომ აქედან ცოცხალი ვეღარ გამოვალ.

- ნუ ამბობ ამას.

- კი, ვიტყვი. ასე რომ, „რიტას სახლი“ ჩემთვისაა ზედგამოჭრილი. ისე, თუ იცნობ წმინდა რიტას ისტორიას?

მანქანა ხეივანს აუყვა. ბორბლებს ქვეშ გზაზე მიმოყრილი ხრეში გამაღიზიანებლად ხრაშუნებდა. ანრი მეუღლეს გაკვირვებული სახით შესცქეროდა. ვერ გაერკვია, სერიოზულოდ ეკითხებოდა, თუ დასცინოდა. იფიქრა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და ნეიტრალური ტონით შეეპასუხა.

- არა, არ ვიცი. ჰაგიოგრაფიის ცოდნაში ნამდვილად მოვიკოჭლებ.

- სანამ რელიგიური კომერციის საგანი გახდებოდა, რიტა რეალურად არსებული ერთი უბრალო ქალი იყო. წარმოშობით იტალიელი. მე-15 საუკუნეში ცხოვრობდა. მან შეუძლებელი შეძლო: ორი ოჯახი, მტრობის, შუღლისა და სიძულვილის შესანიშნავი მიზეზები რომ ჰქონდათ, შეარიგა. ესენი იყო საკუთარი მეუღლისა და მისი მკვლელის ოჯახები. ამ უკანასკნელმა მისი ქმარი დაშნით განგმირა. რიტაზე უკეთ ზიზღის, უსულგულობისა და შუღლის ჩაცხრობა, სიყვარულისა და მიმტევებლობის აღზევება ვერავინ შეძლო. თავად რიტამ ღრმა სიბერემდე იცოცხლა, ოღონდ ავადმყოფობა ტანჯავდა, შუბლზე არსებული ჩირქიანი, შეუხორცებელი ჭრილობა გაუსაძლისი ტკივილით სიცოცხლეს უმწარებდა. გულუხვი და გულმოწყალე დაუოკებელი ენერგიითა და ოპტიმიზმით იყო აღსავსე. გარშემო მხოლოდ სიკეთეს თესავდა.

- მაოცებ, კატრინ.

- შეიძლება კათოლიკური ეკლესიის წმინდანების მაინცდამაინც არ გწამდეს, მაგრამ ის მაინც უნდა ირწმუნო, რომ ამ ტიტულის ტარების უფლება უკეთურ ადამიანებს ნამდვილად არ ეძლეოდათ.

- დაე, იყოს ისე, როგორც ამბობ.

- ვინ იცის, რა შეიძლება დატრიალდეს მსგავსი სახელით მონათლულ დაწესებულებაში? - დასძინა კატრინმა. შუშა ჩამოუშვა და მიწის მაცოცხლებელი სურნელი ღრმად

ჩაისუნთქა. ფოთლების ჩუმმა შრიალმა და წითლად მოხასხასე ყაყაჩოების გაზონებმა გული აუჩუყა.

პრეზიდენტმა მორელმა მეუღლის მიერ წარმოთქმული ფრაზა აღიქვა, როგორც გამოჯანმრთელების სურვილი და ჯერ კიდევ იმედიანი მომაკვდავისადმი სიბრალულით აღვსილმა საუბრის შეწყვეტა ამჯობინა.

მაღალი, შთამბეჭდავი შენობა მუხის ტყის შუაგულიდან ამოზვირთულიყო და არემარეს ამაყად გადაჰყურებდა. ერთდროულად ციხე-კოშკსაც წააგავდა და სასახლესაც. განიერი სადარბაზოსკენ აღმავალ კიბეს ორივე მხარეს ჩამწკრივებული ლომის ქანდაკებები ამშვენებდა, ხის კარზე ყველგან საგვარეულო გერბები ამოეჭრათ. ქერათმიანი დირექტორი საპრეზიდენტო წყვილს კართან ელოდა. მოსამსახურე პერსონალი კიბის მთელ სიგრძეზე გამწკრივებულიყო, შუა საუკუნეებში მბრძანებლის ნადირობიდან დაბრუნების მომლოდინე მსახურების მსგავსად. მასპინძელმა პრეზიდენტსა და პირველ ლედის ათასჯერ მაინც გაუმეორა, თქვენი მიღება ჩემთვის დიდი პატივიაო და ვერც მიხვდა, მწარე რეალობა ოფიციალურ ვიზიტში რომ აერია. როცა წყვილს რეგიონში მოწეული სურსათ-სანოვაგით დახუნძლული მაგიდისკენ იმ ქალის ამაყი იერით წარუძღვა, გეგონება საკუთარ ბაღჩაში ხილ-ბოსტნეული თავისი ხელებით დაეკრიფა, კატრინმა და ანრიმ ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, სიცილისგან თავი რომ შეეკავებინათ. მსგავსი განცდა არც ერთ მათგანს უკვე წლებია, არ დაუფლებოდათ.

კატრინს ვრცელი პალატა გამოუყვეს შესანიშნავი გადასახედით პარკზე. პრეზიდენტმა მალევე დატოვა სავანე. გამომშვიდობებისას მეუღლეს შუბლზე ეამბორა და შეჰპირდა, მალე დავბრუნდებიო.

*

მომდევნო სამი დღის განმავლობაში, მიუხედავად გულწრფელი სურვილისა, პრეზიდენტს არ მიეცა საშუალება, მეუღლის მოსანახულებლად წმინდა რიტას სასახლეში მიბრუნებულიყო. საარჩევნო კამპანია ძალას იკრებდა. ბრძოლა ქვეყნის პირველი პირის პოსტის დასაკავებლად მთელ დროსა და ენერგიას იწირავდა. ისე, მეუღლეს მთლად არ ივიწყებდა.

ყოველ ორ საათში დაწესებულებას უკავშირდებოდა და მკურნალი ექიმისგან დაწვრილებით ინფორმაციას იღებდა. ერთხელაც მოახსენეს, კატრინმა ბლოკნოტი მოგვატანინა და რაღაცას წერსო.

პრეზიდენტი უმალ მიხვდა, რაც ხდებოდა.

„ვიცი, ვიცი, რასაც წერს. აღსარებას ჯღაბნის. ჩემი განადურება აქვს განზრახული. სასწრაფოდ უნდა ვეწვიო და საერთოდ უფრო ხშირად უნდა მოვინახულო. რაც უფრო ნაკლებად მნახავს, მით უფრო მეტ ღვარძლს გადმოანთხევს ჩემზე“.

პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ გახშირებული ვიზიტები კატრინს დაამშვიდებდა, მაგრამ მისთვის სამი საათი ვერც იმ დღეს და ვერც მომდევნო დღეებში ვერა და ვერ გამონახა.

კვირას ვერტმფრენმა პრეზიდენტი პირდაპირ წმინდა რიტას სახლის წინ, პერონზე ჩამოსვა.

ლაქუცა, პრეზიდენტის გადაადგილების საშუალებათა მრავალფეროვნებით მუცელში ენაჩავარდნილი დაწესებულების მესვეურმა მაღალი რანგის ვიზიტიორი მეუღლის პალატამდე თეძოების ქნევა-ქნევით მიაცილა და კარი შეუღო. პრეზიდენტს სუნთქვა შეეკრა.

მაგიდასთან მოკალათებულ კატრინს თავი ბლოკნოტში ჩაერგო. ძალიან გამოცვლილიყო. ადრე კალმით ნახატიაო, ვერ იტყოდი, მაგრამ ლამაზი ნამდვილად ეთქმოდა. უნაკლო სახე ჰქონდა, არც ხიბლი აკლდა. ახლა კი ავადმყოფობის უმოწყალო შემოტევებისგან ნაწამები და ტანჯული სახე ცვილისფერი გახდომოდა, თვალები ამოღამებოდა. მიუხედავად ამისა, ეს იყო გასაოცარი სილამაზის ნიღაბი, კეთილშობილი, იერარქიული, დინჯი, უფრო გამაოცებელი და შთამბეჭდავი, ვიდრე მიმზიდველი. სანამ ანრი კატრინს ყოველდღე ნახულობდა, ეს შემზარავი ტრანსფორმაცია არც შეუმჩნევია. მხოლოდ ახლა გააცნობიერა თანამეცხედრეში მომხდარი ცვლილებები. ქალი, რომელსაც ახლა შესცქეროდა, სანახევროდ გასულიყო ხორციელი გარსიდან, უკვე დაეტოვებინა ცოცხალთა სამყარო.

- გამარჯობა, ძვირფასო.

რეაგირებას კატრინმა რამდენიმე წამი მოანდომა - ძლივს შემობრუნდა და ანრი დაინახა. გაუღიმა. პრეზიდენტს მოეჩვენა, რომ ეს გაღიმება გულწრფელი იყო.

როგორც კი პრეზიდენტი მუახლოვდა, დაწერილ გვერდს კატრინმა ხელები დააფარა. არ ისურვა, ქმარს ერთი სიტყვა მაინც ამოეკითხა. მერე დახურა ბლოკნოტი და მუხლებს შორის მოიქცია.

ამ ქმედებამ პრეზიდენტს გუნება წაუხდინა: გამოდის, რომ მართალი იყო. კატრინი მას მტრობს, შურისძიების გრძნობითაა ანთებული.

პრეზიდენტი მთელ ერთ საათს ენად გაიკრიფა, ათასი მიზეზი მოიყვანა, მოუსვლელობა რომ გაემართლებინა. დეტალურად აღუწერა, მთელი კვირის მანძილზე რაც თავს გადახდა. თან ხუმრობდა და ცდილობდა, მეუღლე გაემხიარულებინა.

დაღლილობის მიუხედავად, კატრინი მეუღლის ყბედობას მაინც უგდებდა ყურს. გაღიმების თავიც არ ჰქონდა. იმ მომენტებში, სადაც ადრე გულიანად იხარხარებდა, ახლა უბრალოდ თვალების მოჭუტვას თუ ახერხებდა.

პრეზიდენტმა ერთიმეორის მიყოლებით ნაირ-ნაირი ამბები მიაყარა, მაგრამ თავში მაინც ბლოკნოტი უტრიალებდა: რატომ არ ეყო ძალა, გამოერთმია მისთვის ნამოღვაწარი? იქნებ თხოვნა სჯობს?

მოულოდნელად პრეზიდენტმა თითით ბლოკნოტზე მიანიშნა.

- წერ?

კატრინს სახეზე ნათელი გადაეფინა.

- თუ საიდუმლო არ არის, ვერ მეტყვი, რას წერ?

კატრინი თავიდან შეყოყმანდა. საპასუხოდ სიტყვებს თავი ვერ მოუყარა. ბოლოს, როგორც ჩანს, მიაგნო საჭირო სიტყვებს და გაბადრულმა წარმოთქვა: - ვერ გეტყვი. საიდუმლოა.

პრეზიდენტმა მშვიდად განაგრძო: - საიდუმლო, რომელსაც ვერ გამიზიარებ? სწორად გავიგე?

კატრინი ისევ შეცბა. მერე შეტრიალდა და ჩუმად წარმოთქვა, ისე, რომ ჩამავალი მზის ფონზე ოქროსფრად შეფერილი

პარკისთვის მზერა არ მოუცილებია: - თუ გაგიზიარებ, რაღა საიდუმლო იქნება.

ანრიმ ნერწყვი გადაყლაპა. მოწოლილ ბრაზს გამომჟღავნების საშუალება არ მისცა. სანდომიანი ხმით კი განაგრძო: - შევძლებ კი ერთ მშვენიერ დღეს მის წაკითხვას?

კატრინს თვალები გაუბრწყინდა, ტუჩები მოკუმა, სახეზე კი სიმწრის ღიმილმა გადაურბინა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე მძაფრდებოდა და უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდებოდა. გარეთ კი დღის შუქს ნელ-ნელა ბინდი ერეოდა. ღია ფანჯრებიდან ოთახში ჩიტების ჟივილ-ხივილი და ნისკარტის ხის ქერქზე კაკუნის ხმა აღწევდა. არემარე სიმშვიდით, სიწყნარითა და თავდავიწყებით სუნთქავდა. ბუნება ისვენებდა.

ანრის შუქის ანთება არ უცდია. ოთახი ნელ-ნელა ბინდმა მოიცვა. ეს მწუხრი რაღაცით მათ სიყვარულს წააგავდა - რაც ადრე ბრწყინავდა და კაშკაშებდა, მქრქალი, შავბნელი და წებოვანი გამხდარიყო. სიბნელე გზად ყველაფერ მაცოცხლებელს სპობდა და აქრობდა.

ანრიმ კატრინს შუბლზე აკოცა და პალატა დატოვა.

ორშაბათს, დილის 6 საათზე, სრულიად საიდუმლოდ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაზვერვის სამსახურის მეთაური, გენერალი რეინო გამოიძახა და მსუბუქი და შელამაზებული ფორმით საკუთარი სადარდებელი გაანდო: შიშობდა, რომ სარეცელს მიჯაჭვულ, მძიმედ ავადმყოფ, წამლების ზემოქმედებისგან გაბრუებულ და გათანგულ მეუღლეს დღიურისთვის ისეთი ფრაზებიც არ გაენდო, მტრულად განწყობილ მოწინააღმდეგეს არასასურველი ინტერპრეტირებისა და მის საზიანოდ გამოყენების საშუალებას რომ მისცემდა. გენერალს დიდხანს არ უფიქრია - სამკურნალო დაწესებულებაში საიდუმლო აგენტი მიავლინა, რომელსაც ქაღალდების სასწრაფოდ ამოღება დაევალა.

დროებით დაწყნარებული პრეზიდენტი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში პრეზიდენტს ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ მიეცა. მთლიანად

გადაუდებელმა საქმეებმა შთანთქა - მიტინგიდან მიტინგზე გადადიოდა, რამდენიმე ხმაურიან სატელევიზიო გადაცემაშიც მიიღო მონაწილეობა. სინდისის ქენჯნით წამებულმა კატრინის მონახულება მხოლოდ სამჯერ მოახერხა. ყოველ ვიზიტზე ისე უხერხულად და ისე ცუდად გრძნობდა თავს, რომ მეუღლესთან მხოლოდ ცივი, უგულო, ლამის უხეში საუბრები თუ გამოსდიოდა. კატრინის ჯანმრთელობის მდგომარეობის თვალში საცემი გაურესება ერთი-ორად ძაბავდა. კატრინს რეაქციაზე ეტყობოდა, რომ მეუღლის საქციელი მაინცდამაინც არ სწყინდა. მაგრამ ანრი ხომ შესანიშნავად გრძნობდა, რომ შეურაცხყოფას აყენებდა, აღიზიანებდა, მეტი ღვარძლისა და დაუნდობლობისთვის განაწყობდა.

როგორც იქნა, არჩევნების დღეც დადგა. პირველ ტურში პრეზიდენტმა ხმათა ორმოცდაოთხი პროცენტი კი დააგროვა, რაც აბსოლუტური გამარჯვებისთვის საკმარისი სრულიადაც არ იყო, თუმცა მეორე ტურის წარმატებულად დაგვირგვინების იმედს ნამდვილად იძლეოდა. მისმა დაქუცმაცებულმა, ქარიზმატულობას მოკლებულმა მეტოქეებმა მხოლოდ ხმათა 10-10 პროცენტს მოუყარეს თავი. მსგავსი მონაცემებით შეგულიანებული პრეზიდენტი ვარაუდობდა, რომ ხმათა მომავალი გადათამაშება მის სასარგებლოდ წარიმართებოდა.

ანრი თავით ფეხებამდე ბრძოლაში გადაეშვა. ენერგია არ დაუზოგავს, მით უმეტეს, რომ ეს კატრინის აგონიისა და შესაძლო შედეგების დავიწყებისა და გულის გადაყოლების შესანიშნავ საშუალებას აძლევდა.

კვირადღეს დანიშნულ მეორე ტურში ანრი მორელმა ხმათა 56 პროცენტი დააგროვა და პრეზიდენტის პოსტი დაიკავა: ტრიუმფს პრეზიდენტის შტაბ-ბინა ზეიმობდა. ზეიმობდა მისი პარტიაც, უზომოდ კმაყოფილი ამომრჩევლებიც. ხალხი სამღერად, საცეკვაოდ და დროშების საფრიალებლად ქუჩებს მოეფინა. თვითონაც მოუწია ელისეს მინდვრებზე გადახსნილი მანქანით ჩამოვლამ. ხალხი ოვაციებით ხვდებოდა. პრეზიდენტიც ძალუმად აფრქვევდა მადლიერების სიტყვებს...

მოგვიანებით პრეზიდენტი სტუდიის კამერების წინ აღმოჩნდა. პოლიტიკურმა მიმომხილველებმა გამარჯვების შესახებ კომენტარის გაკეთება სთხოვეს. ანრიმ ყველა კითხვას დინჯად და თავშეკავებულად უპასუხა. სულაც არ სურდა, რამდენიმე დღეში კატრინის გასვენებაზე ზედმეტი მხიარულება

ესაყვედურათ. მისდა გასაკვირად, პრეზიდენტს ღირსეული, გაწონასწორებული, ლამის უემოციო და თავის თავში ჩაკეტელი ადამიანის ნიღბის მორგება სულაც არ გასჭირვებია. ცხადია, ამაში მიმდინარე სადარდებელმაც შეუწყო ხელი. ღამით პრეზიდენტმა გამარჯვება თანაგუნდელებთან ერთად იზეიმა.

გამთენიისას სრულიად მარტო უზარმაზარ აპარტამენტებში შიშველი პრეზიდენტი სარკის წინ შეუვალი სახით, უემოციოდ, ლამის ზიზღით ათვალიერებდა საკუთარ შიშველ სხეულს. რამდენიმე წუთი აკვიატებული ფიქრებისა და გრძნობების ანალიზს დაუთმო. ანრის არ უნდოდა, რომ კატრინი მომკვდარიყო. ამის როგორც კარგი, ასევე ცუდი მიზეზებიც ჰქონდა. კარგი იმიტომ, რომ ავადმყოფობის მიერ განადგურებული მეუღლის შემხედვარეს თვითონაც ღრმა სევდა ეუფლებოდა, უფრო ღრმა, ვიდრე თავად წარმოედგინა. ცუდი იმიტომ, რომ კატრინის გარდაცვალება ფორმიონის ქუჩაზე მომხდარი თავდასხმისა და სხვა სამარცხვინო დეტალების ზედაპირზე ამოტივტივებას და საბოლოო ჯამში სიმართლის ზეიმს ნიშნავდა. ეს იქნებოდა აფეთქება, რომელიც ყველაფერს მოუშორებელი ჭუჭყით მოსვრიდა, მის პოლიტიკურ მომავალს, ოფიციალურად ასე ბედნიერსა და წარმატებულს, არარაობამდე დაიყვანდა.

*

შუადღისას ანრი „რიტას სასახლეში“ გამოცხადდა. კატრინი კომაში ჩავარდნილიყო. სასთუმალთან მჯდომი ჟღალთმიანი მედდის თქმით, არჩევნების მთელი პროცესისთვის წუხელ ტელევიზორში უდევნებია თვალ-ყური, ბევრიც უტირია, შემდეგ ჩასძინებია. დილით კი უკვე გონებადაკარგული უნახავთ.

მოვიდა ექიმი, რომელმაც დაადასტურა, რომ კატრინი ვეღარასდროს მოეგებოდა გონს. ფატალური დასასრული ორი დღის თავზე უნდა დამდგარიყო.

ანრიმ ამ სულის შემძვრელი საშინელი ამბების ნიაღვარი ავტომატურად მოისმინა. შოკი იმდენად ძლიერი იყო, უკვე ვეღარაფერს გრძნობდა. დაწესებულების დირექტორის ცივი, მშრალი და უემოციო ყბედობისგან გულისრევის განცდა დაეუფლა. რა საჭირო იყო იმის თავიდან გამეორება, რაც უკვე

ათასჯერ მოესმინა? სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილს, მაგრამ ამჯერად სრულიად უმწეოს, მეუღლესთან მარტო დასარჩენად რამდენიმე წუთი გამოუყვეს. პრეზიდენტი ეცადა, ეს წუთები დღიურის მოსაძებნად გამოეყენებინა, თუმცა, ვერაფერი იპოვა.დაბნეულმა თავი დაიიმედა, რომ გენერალ რეინოს მიერ მივლინებულმა აგენტმა დაასწრო და ჩხრეკამ შედეგიანად ჩაიარა. როგორ გაეგო დანამდვილებით?

პარიზში საღამო ჟამს პრეზიდენტისა და გენერალის საიდუმლო შეხვედრა შედგა. ამ უკანასკნელმა გულწრფელად აღიარა, რომ პალატაში გამწესებული აგენტის არაერთგზის მცდელობა, კატრინისთვის დღიური აეცინცლა, სრული კრახით დამთავრდა. როგორც წესი, პრეზიდენტის მეუღლე თავის ნაამაგარს ლეიბის ქვეშ მალავდა, მაგრამ დღეს, როცა კატრინის კომაში ჩავარდნის შესახებ შეიტყო, ნდობით აღჭურვილმა პირმა დღიური ნაგულებ ადგილას ვერ აღმოაჩინა.

ანრი გრძნობდა, თუ როგორ ეცლებოდა ფეხ-ქვეშ მიწა. მეორე დღეს კატრინის საწოლთან 24-საათიანი მორიგეობის დაწესების მომიზეზებით პრეზიდენტი „რიტას სასახლეს“ მიუბრუნდა. შუადღისას დაწესებულების ადმინისტრაცია შავ დღეში ჩააგდო - სად გაქრა დღიური, რომელსაც მისი მეუღლე ავსებდა? დღიური არა უგვიანეს ერთი საათისა, მის ხელში უნდა იყოს. სახელდახელოდ შეკოწიწებულ მაძებარ ბრიგადას „რიტას სასახლის“ მლიქვნელი დირექტორი ჩაუდგა სათავეში. მთელი შენობა გადააქოთეს, დაწყებული სხვენით, სარდაფით დამთავრებული. პირად კარადებსა და ჩანთებშიც კი ჩაყვეს ცხვირი, მაგრამ უშედეგოდ. პრეზიდენტმა დაიჟინა, თითოეული მათგანი უნდა დაიკითხოსო. დაკითხვის სეანსებს თავად ადევნა თვალ-ყური. ხელმოსაჭიდი ვერაფერი აღმოაჩინა. ბოლო მედდის მოსმენისას ქვეყნის პირველ პირს უკვე ნერვებმა უმტყუნა. ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და ექიმმა მეუღლის გარდაცვალება აუწყა.

კატრინ მორელი ამქვეყნიურთა შორის უკვე აღარ მოიაზრებოდა.

ამ წამიდან პრეზიდენტმა გაყინულ დერეფანში შეაბიჯა, რომლის გავლა კვირების განმავლობაში მოუწევდა. მთელი სიცხადით გააცნობიერა, რომ საქმე უკუღმა წაუვიდა და თვითონაც დაიღუპა.

*

ელისეს სასახლეში პრეზიდენტმა გადაწყვიტა, საკუთარი შოკით ესარგებლა, - ასე მოინათლა იქ მისი მდგომარეობა, - რათა დაკრძალვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო ალიაქოთისგან თავი დაეძვრინა. სამაგიეროდ, მსგავს ღონისძიებებში დიდი გამოცდილების მქონე რიგომ ღვთისმშობლის ტაძარში პომპეზურ სამგლოვიარო ცერემონიას მოაბა თავი, რომლის ყოველი დეტალი შენობის წინ მოედანზე დამონტაჟებულ დიდ პლაზმურ ეკრანზე აისახებოდა. გასვენების პირდაპირ ტრანსლაციას ფრანგებმა საკუთარ სახლში ტელევიზორების ეკრანზე ადევნეს თვალყური.

თეთრი ვარდებით დახუნძლული კუბო მთავარი პორტალისკენ ნელი სვლით მიიწევდა. ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები აქეთ-იქით ჩამწკრივებულიყვნენ. მათი ჩაფხუტების ბრჭყვიალმა და ჯიშიანი ცხენების ცმუკვამ ცერემონიალს მეტი ბრწყინვალება და გრანდიოზულობა შესძინა. მალე ახალგაზრდა მხატვრებმა კუბო მხრებზე შეიდგეს და ტაძარში შეასვენეს. წირვა „ფოლადის რწმენად“ და „ბრინჯაოს ხმად“ მონათლულმა კარდინალმა სტეინმეცმა აღავლინა. მის სიტყვას დროდადრო მგალობელთა ხმა უერთდებოდა, სოლოს საუკეთესო მომღერალი ასრულებდა. პროფესიონალი მუსიკოსებისგან შემდგარი ორკესტრი ინტერმედიებს უკრავდა.

პრეზიდენტს საკუთრხეველთან უხმეს. ცხვირზე მოკრძალებული სათვალე დაეკოსებინა. წარმოთქმული სიტყვის ავტორობა, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა მისთვის მიგეწერათ, სინამდვილეში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული ბრწყინვალე ლიტერატორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის მიერ იყო შეთხზული. რაც მართალია, მართალია, ანრის ამჯერად მაინც ვერავინ დასდებდა ბრალს გადაჭარბებული ლირიზმისა თუ უადგილო სენტიმენტალურობის მოზღვავებაში. ბოლო ფრაზების ჩაკითხვისას შემთხზველის მიერ ტექსტში ჩაქსოვილი მწუხარებისა და ტაძრის თაღებს ქვეშ გაბატონებული მღელვარებისგან თავად სულით ხორცამდე შეძრული ანრი აღარც ცდილა, ათასობით სტუმრისთვის დაემალა, დიდ ძალას რომ მიმართავდა, რათა თავი ღირსეულად სჭეროდა. როცა მათი ყრუ-მუნჯი ქალიშვილი

გამოჩნდა, რათა ნიშნების, მიმიკებისა და ჟესტებისგან შემდგარი თითქმის ყველასთვის გაუგებარი სიტყვით დედისათვის უკანასკნელი პატივი მიეგო, დამსწრე საზოგადოება ენით აღუწერელმა ემოციამ მოიცვა. ისეთი მეტყველი და სულის შემძვრელი იყო გოგონას გამომშვიდობება, სამგლოვიარო ცერემონიის კულმინაციური წერტილი სწორედ ეს მომენტი აღმოჩნდა: უტყვი ქალიშვილის მდუმარე მიმართვა გაყინული, უმეტყველო კუბოსადმი. აქა-იქ აპლოდისმენტებიც გაისმა. თავდაჩრილმა, ცოტა არ იყოს დარცხვენილმა, ანრიმ გაიფიქრა, რომ მსგავსი ექსჰიბიციონიზმი კატრინს გულს აურევდა.

რამდენიმე საათის შემდეგ, როცა მეუღლის ნეშტი მიწას მიებარა, ანრი მოსალოდნელ უსიამოვნებებზე დაფიქრდა - საკუთრივ მის მიერ ჩადენილ მაქინაციებსა და მანიპულაციებზე, საკუთარი სინდის-ნამუსისა და პატივის შებღალვაზე, სასამართლო დევნაზე, არჩევნების შედეგების სავარაუდო გაუქმებაზე.

დღიურის კვალს საიდუმლო სამსახური კი დაადგენდა, მაგრამ აგენტების მცდელობას დამაიმედებელი პირი არ უჩანდა. უშედეგო აღმოჩნდა კატრინის ახლო მეგობართა სახლების (მათ შორის ანტიკური ნივთებით მოვაჭრე შარლის ბინის) ჩხრეკაც. არც ყრუ-მუნჯი გოგონა დაინდეს. ამაოდ - დღიური უგზო-უკვლოდ გაქრა.

არც რიგოს, მით უმეტეს, არც გენერალი რეინოსთვის ანრი მორელს არ გაუმხელია, რომ დღიურის შინაარსი მისი კარიერისათვის შეიძლებოდა დამანგრეველი გამომდგარიყო. არც ის უთანხმოებები უხსენებია, მეუღლის აგონიას წინ რომ უძღოდა და თან ახლდა. რიგოსაც და რეინოსაც, როგორც მილიონობით ადამიანს, სწამდათ „სანიმუშო სიყვარულის“.

ერთ დღესაც გენერალმა რეინომ ქვეყნის პირველ პირს აუდიენცია სთხოვა.

ანრიმ კაბინეტიდან ყველა მრჩეველი დაითხოვა. რეინოს ნერვიულობის ციებ-ცხელება შეჰყროდა.

- მაშ, გენერალო, მიაგენით მას? მითხარით, ჩაიგდეთ თუ არა ხელში დღიური? - სრაფად ჰკითხა პრეზიდენტმა.

- ვერა, ბატონო პრეზიდენტო, თუმცა ობიექტის ლოკალიზება

კი მოვახერხეთ. ის კანადაშია.

- და კანადაში როგორ აღმოჩნდა?

- ერთ-ერთი გამომცემლობა მის დაბეჭდვას აპირებს.

- რა?

- აზრს გამოცდილ იურისტებს დავეკითხე: ვერაფერს ვუსაყვედურებთ, სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია, ყველაფერი ლეგალურია. ტექსტი კატრინის მომვლელ მედდას ანდეს, თან ნოტარიუსის დამოწმებული, თქვენი აწ გარდაცვლილი მეუღლის მიერ ხელმოწერილი წერილი აქვთ დართული. ნოტარიუსმა დასახა და დააკანონა სამოქმედო გეგმაც. პუბლიკაცია ქალბატონის უკანასკნელი ნების აღსრულებად მოიაზრება.

- უნდა მოვედავოთ, განვაცხადოთ, რომ დღიური ყალბია.

- შეუძლებელია. ყოველი გვერდი მისი ხელითაა დაწერილი. ამას კლინიკის მოსამსახურე პერსონალიც დაგიდასტურებთ. ისინი კვირების განმავლობაში ხედავდნენ, რომ კატრინს კალამი ხელიდან არ გაუგდია.

ანრიმ ხელები თავში შემოირტყა.

- ტუტუცი დედაკაცი, ყველაფერი წინასწარ გათვალა და მოაგვარა!

რეინომ გაიფიქრა, რომ ყველაფერი მოესმა. პრეზიდენტი ამას თავის სათაყვანებელ მეუღლეზე ვერ იტყოდა. ძველმა, ათას ფათერაკგამოვლილმა მეომარმა ჩაახველა, ყურებამდე გაწითლდა, სავარძელში წრიალს მოჰყვა, ძალიან დაიმორცხვა, რომ ნათქვამი მართებულად ვერ აღიქვა.

- მადლობა, რეინო, მადლობა. სთხოვეთ რიგოს, თქვენი ანალიზი ოფიციალურად დაგიდასტუროთ და შემდგომი სვლა მისცეს. მაშ გამოდის, რომ ჩარევა დაგვიანებულია...

- ახლავე ვეახლები რიგოს, ბატონო პრეზიდენტო.

გენერალი გაიჯგიმა და გამოემშვიდობა. კართან პრეზიდენტმა დააწია: - რეინო, რა ჰქვია წიგნს?

- „მამაკაცი, რომელიც მიყვარდა“.

- „მამაკაცი, რომელიც მიყვარდა...“

- დიახ. ლამაზი სათაურია, არა, ბატონო პრეზიდენტო?

ანრის ერთი სული ჰქონდა, გენერალი თავიდან მოეცილებინა და თანხმობის ნიშნად სასწრაფოდ თავი დააკანტურა.

აი, რეგვენიც ამას ჰქვია. „მამაკაცი, რომელიც მიყვარდა“ თურმე ლამაზი სათაურია. იმას კი ვერ მიხვდა, რომ ეს ნამდვილი მოწმის ჩვენებაა. ეს იგივე იქნებოდა, შემდეგნაირად რომ დაესათაურებინა: „მამაკაცი, რომელიც მიყვარდა და რომელიც უკვე აღარ არსებობს,“ ან კიდევ „მამაკაცი, რომელიც ასე ფუჭად მიყვარდა!“

ამ სათაურიდან ღვარძლი ინთხევა. საწამლავია, ნამდვილი აპოკალიფსი. ნათელი გზავნილია ფრანგებისადმი. „ადამიანი, რომელიც ასე ტყუილად გიყვარდათ, ადამიანი, ღირსეულად რომ მიიჩნევდით, პატიოსანი, ალალმართალი და გულუხვი გეგონათ, სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი ნაძირალაა“. არც მეტი, არც ნაკლები. მოკლედ რომ ვთქვათ, შეეძლო დაეწერა - „ადამიანი, რომელმაც თითზე დაგიხვიათ“.

- რიგო!

პრეზიდენტი ყურმილში ბღაოდა. გულამოვარდნილი რიგო რამდენიმე წუთში უკვე მის კაბინეტში ითქვამდა სულს.

- რიგო, სასწრაფოდ გაემგზავრეთ კანადაში. როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. გნებავთ, მოიპარეთ, გნებავთ შეიძინეთ, გნებავთ გადაიღეთ, მაგრამ წიგნის ერთი ეგზემპლარი სასწრაფოდ მომგვარეთ! გაიგეთ? სასწრაფოდ!

*

36 საათის გავლის შემდეგ, რიგო რუასის აეროპორტში დაეშვა, ელისეს სასახლემდე გზის მოსაჭრელად მოტო-ტაქსის მოახტა და უმოკლეს დროში პრეზიდენტის კაბინეტში შევარდა.

- ბატონო პრეზიდენტო, ინებეთ, ეგზემპლარი წიგნისა „მამაკაცი, რომელიც მიყვარდა“.

- რას იტყვით?

- ვერ გავიგე, ბატონო პრეზიდენტო.

- წაიკითხეთ?

- მე ამის უფლება არ მქონია. არც ვინმეს მოუცია ინსტრუქცია. თქვენ არ გსურდათ, რომ...

- რიგო, მე თქვენ მოხარშულს გიცნობთ. თქვენ ის წაიკითხეთ! არ მითხრათ, რომ ვცდები.

- წავიკითხე, ბატონო პრეზიდენტო.

- და რას ფიქრობთ? თქვენი აზრი მაინტერესებს, - შეუღრინა ანრიმ.

რიგოს სახეზე ალმურმა აჰკრა, პრეზიდენტს მზერა აარიდა და ამოღერღა: - ბრწყინვალეა, ბატონო პრეზიდენტო... სულის შემძვრელია. სიყვარულის ესოდენ წრფელი აღსარება ცხოვრებაში არ წამიკითხავს.

რიგომ ჯიბიდან ვეებერთელა, თითქმის სველი ცხვირსახოცი დააძრო.

- მომიტევეთ, ბატონო პრეზიდენტო, ნაწერს რომ ვიხსენებ, ცრემლებს ვეღარ ვიკავებ.

კიბორჩხალასავით გაწითლებულმა რიგომ ცხვირის ხოცვა-ხოცვით პრეზიდენტის კაბინეტი დატოვა.

დაბნეულმა, შეცბუნებულმა, შეწუხებულმა და ცნობისმოყვაროებით ანთებულმა ანრიმ ნაწერი ხელში აიტაცა და გადაშალა: „ყოველ წუთს, ყოველ წამს ამ ოთახში, ბოლო საათის მოლოდინში, გული სიხარულით მევსება, ბედნიერების განცდისგან მიფართხალებს; სულს მადლიერება სურს, გამოხატოს. მე გამიმართლა და შევხვდი მას. მართალია, სულ მალე ჩემი სული ზეცას შეუერთდება, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვიცოცხლე. ვიცოცხლე სწორედ მისი წყალობით. და განა აქვს კი მნიშვნელობა, ცოტა თუ ბევრი? ჩემთვის ბოძებულ დროს ანრის - მას ერთადერთს ვემადლიერები!

ხშირად გამაჟრჟოლებს ხოლმე იმის გაფიქრებაზე, რომ სიგარეტის შესაძენად პარიზის იმ ბისტროში შესაძლოა სულაც არ შევსულიყავი და არ ჩამევლო პლასტმასის მაგიდის გვერდით, სადაც ანრი თავის მეგობარ სტუდენტებთან ერთად მსოფლიო წესრიგის შეცვლაზე ქადაგებდა. როგორც კი თვალი

მოვკარი...“

ანრიმ სანამ ბოლო ფრაზა არ ჩაიკითხა, სიტყვების ნიაღვარს ვერა და ვერ დაეხსნა. დღიური როცა დახურა, ის არა მარტო ცრემლებად დაიღვარა - ასეთივე დღე დაადგა ყველას, ვინც მონათხრობს გაეცნო, - არამედ გარდაიქმნა. ანრიმ ისევ იპოვა კატრინი, ანრი ისევ აღმერთებდა კატრინს.

მომაკვდავმა კატრინმა დიადი და ამაღლებული სიყვარულის ჰიმნი შეთხზა, რომელიც ერთადერთ მამაკაცს მიუძღვნა. ადამიანს, რომელმაც მონუსხა და შთააგონა, მამაკაცს გონიერს, გაბედულსა და მიზანდასახულს, მარად რომ აოცებდა და აღაფთოვანებდა.

ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ როცა მზერას წარსულს მივაპყრობთ, ის ხან საშინელი, ხან ბრწყინვალე გვეჩვენება. ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება შეფასდეს, როგორც წარმატება ან როგორც სრული კატასტროფა. თუ ჩხუბისა და კინკლაობის დროს კატრინი თავიანთ ცოლქმრულ ურთიერთობებს სიცრუისა და ფლიდობის ისტორიად აღიქვამდა, დედამიწაზე გატარებული ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ანრის გვერდიგვერდ განვლილ წლებს კრიტიკული თვალით შეხედა და მიიჩნია, რომ ეს იყო დიდი სიყვარულის წლები.

როგორც ადამიანები, ასევე წმინდა წიგნები ერთსა და იმავე ბედ-იღბალს იზიარებენ: წმინდა ნაწერს სიცოცხლეს მკითხველი შთაბერავს ხოლმე. დახურული წიგნი მუნჯია, ის მხოლოდ მაშინ ამეტყველდება, როცა დაინტერესებული მკითხველის ხელში მოხვდება. ენა, რომელზეც ისაუბრებს, იმ ადამიანის ენა იქნება, მის გვერდებს რომ ჩაუღრმავდება. ეს გვერდები კი მკითხველის მოლოდინით, სურვილებით, წადილით, მისწრაფებებით, აკვიატებებით, მოელვარებით, მოუსვენრობით, შფოთითა და მძვინვარებით გაიჟღინთება.

წიგნში გადმოცემული ფაქტები და ფრაზები, თავისთავად ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. ისინი მხოლოდ იმ მნიშვნელობას თუ შეიძენენ, რომლის მინიჭებაც თქვენ გსურთ. კატრინს გულწრფელი, ხალასი სიყვარულით უყვარდა ანრი. გულწრფელი იყო მაშინაც, როცა ქმარი შეიძულა. კატრინის წარსულისადმი დამოკიდებულებას ყოველთვის აწმყოში განცდილი გრძნობები განაპირობებდა. სიკვდილის

ზღურბლზე კატრინში ისევ სიყვარული აღზევდა. გამოდის, რომ ის საიდუმლო ოქროს ძაფი, რომლითაც მის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები - მისი წიგნი აიკინძა, სიყვარულის ძაფი იყო.

წიგნის ტრიუმფული გამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ მედდას, კატრინის მესაიდუმლეს, პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში თავად უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი კეთილგანწყობილი ჩანდა, - შეიძლება მართლაც კეთილად განეწყო მის მიმართ, - სტუმარმა ქვეყნის პირველ პირს პატიება სთხოვა: მაშინ „რიტას სასახლეში“ მან ხომ პრეზიდენტი მოატყუა და ცოცხალი თავით არ მისცა დღიური, ასე დაჟინებით რომ ითხოვდა. მედდა სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. კატრინისათვის მიცემულ პირობას ვერ დაარღვევდა, მომაკვდავის უკანასკნელი ნება უნდა აღსრულებულიყო.

- რომ იცოდეთ, როგორ გაღმერთებდათ, ბატონო პრეზიდენტო. დილიდან საღამომდე თქვენს მოლოდინში იყო. მხოლოდ თქვენთვის ცოცხლობდა. იცოდა, რომ აღსასრულის დღე ახლოვდებოდა და მხოლოდ ორი რამ დაისახა მიზნად: დაეწერა ეს წიგნი და თქვენი ხელმეორე მანდატისთვის არ შეეშალა ხელი. მხოლოდ თქვენი გულისთვის ეჭირა თავი მხნედ, თქვენი გულისთვის გაუძალიანდა სენს. კვირადღეს თქვენი გამარჯვება ტელევიზორში საკუთარი თვალით რომ იხილა, ცხარე ცრემლებით იტირა და თქვა: „მშვენიერია, მან გაიმარჯვა, ახლა კი შემიძლია წავიდე“. რამდენიმე სათის შემდეგ კომაში ჩავარდა. მხოლოდ ზეადამიანურმა სიყვარულმა გააძლებინა ასე დიდხანს.

პრეზიდენტის ბოლო მანდატმა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა მიმომხილველებმა მის ხინჯებზე არაერთხელ აიქაფეს ენა (სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო) ყველას მისცა შანსი, მის დაუძინებელ მეტოქეებსაც კი, მისი პიროვნებით მოხიბლულიყვნენ და თაყვანი ეცათ.

პრეზიდენტს არამცთუ საყვარელი არ გაუჩენია, არამედ გარდაცვლილი მეუღლის ერთგვარი კულტიც კი შექმნა - კულტი გულწრფელი, მოკრძალებული და საიდუმლო. კატრინის ფოტოებმა, ნახატებმა და პორტრეტებმა პრეზიდენტის მთელი ინტიმური სივრცე დაიპყრო, მათ შორის საბაზანო ოთახიც. ანრიმ საკუთარი ფულითა და რამდენიმე

მეცენატის თანადგომით ჩამოაყალიბა თანამედროვე ხელოვნების ფონდი, რომელზეც მეუღლე ოცნებობდა და მისივე სახელით მონათლა. ფონდი ახალგაზრდა ფერმწერთა მხარდაჭერასა და მათი მოგზაურობებით, გრანტებითა და დოტაციებით წახალისებას ისახავდა მიზნად. პარალელურად, როგორც ჩანს, პრეზიდენტს დაკარგული დროის ანაზღაურება გადაეწყვიტა. როგორც იქნა, გამონახა დრო იმ წიგნების წასაკითხად, რომლებსაც მეუღლე ოდესღაც ურჩევდა. ყოველ საღამოს ძველ მისაღებში განმარტოვდებოდა ხოლმე, ჩართავდა კატრინის საყვარელ მუსიკას, აანთებდა არომატულ შანდალს განწყობისთვის და იწყებდა კითხვას. ფურცვლისას კატრინის გაქრობა ავიწყდებოდა, ისევ მის გვერდით გრძნობდა თავს და დიალოგის გაგრძელებას თუ გაბმას ცდილობდა...

ამ უღალატო თაყვანისცემამ, ერთგულებამ და მოწიწებამ უცხოეთში არაერთი წმინდა და უმანკო სული შეძრა.

რომელი გრძნობა არ მოიცავს თავის თავში საწინააღმდეგოს? რომელი სიყვარულია თავისუფალი სიძულვილისგან? ხელი, სულ რაღაც წამის წინ რომ ეფერებოდა, შეიძლება დაშნას ჩააფრინდეს. რომელი გამორჩეული გატაცებისთვისაა უცხო მძვინვარება? განა არ შეგვწევს უნარი, ურთიერთშერწყმით აგზნებულმა სული გავაფრთხობინოთ იმას, ვისი მეშვეობითაც სიცოცხლეს გადავცემთ? ჩვენი გრძნობები ცვალებადი თუ არა, ორაზროვანნი მაინცაა. ჩვენი გატაცება ხან შავბნელია, ხან კი ნათელი, ყველაფერს წინაღობათა სიძლიერე განსაზღვრავს. გრძნობებს, დაუდგრომელსა და ბობოქარს, ძალუძს, ერთდროულად ყველაზე დიდი სიკეთისა და ბოროტების ჩადენისკენ გვიბიძგოს.

სიყვარულს გზა აებნა დროის კულუარებში. ანრისა და კატრინს თავიდან მგზნებარე სიყვარული აერთიანებდათ. მოგვიანებით ეს სიყვარული მინავლდა. ისინი ასცდნენ ერთმანეთს, ურთიერთპატივისცემა კი შემორჩათ. დროდადრო, როცა ერთი სიყვარული ცეცხლში იწვოდა, მეორეს სიძულვილი და ბოღმა ახრჩობდა. მაგრამ სიკვდილმა რეალობა მისთვის დამახასიათებელი ყველა მანკიერებით გააცამტვერა. მოგონებები შეცდომების გასწორების, გაუგებრობათა აღმოფხვრისა და დანგრეულის აღდგენის შანსს იძლეოდა. ახლა უკვე ანრის გონებაშიც ყველა გრძნობას სიყვარული

სჯაბნიდა, ოღონდ გულწრფელი.

როცა პრეზიდენტმა მორელმა მესამე მანდატზე უარი თქვა და პენსიაზე გავიდა, წარსულის პირისპირ აღმოჩნდა, ნელ-ნელა მთლიანად შეერწყა მას. მარტოსულმა, დაწყნარებულმა და მარად მომღიმარე დიდმა ადამიანმა დარჩენილი წლები მემუარების წერას მიუძღვნა. პირველად ისტორიაში სახელმწიფოს მეთაურის აღსარება, - მიუხედავად იმისა, რომ მემუარებში ძირითადად პრეზიდენტის პოლიტიკური ამბიციები და მოღვაწეობა იყო გადმოცემული, - იმ ადამიანის პატივსაცემად, ასე ხშირად რომ ენატრებოდა და სულით ხორცამდე ეთაყვანებოდა, დასათაურდა სავსებით უბრალოდ და მარტივად: „სანიმუშო სიყვარული“.

მწერლის დღიური

გუშინ დილით ჩემს გონებაში ერთი აზრი შემოიჭრა, თანაც ისეთი ძლიერი, ისეთი მომაჯადოებელი და კატეგორიული, რომ სულ რაღაც ორ დღეში სრულიად უცერემონიოდ ჩემში დამკვიდრდა. მუსრი გაავლო ჩემს გეგმებს, განწყობას, ორჭოფობასა და კითხვებს და მომავალსაც დაეპატრონა. როგორც ჩანს, მე მისი ნებისმიერი ნების აღმსრულებელ მორჩილ პარტნიორად აღმიქვამს. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ მარტო კი არ გამომეცხადა, არამედ მთელ ოჯახთან ერთად.

თავიდან კარის შეღებით დავკმაყოფილდი. სწორედ აქ დავუშვი საბედისწერო შეცდომაც. განაჩენიც უმალ გამომიტანეს: იძულებული გავხდი, მეწერა. სხვა არჩევანის უფლება არც დამიტოვეს.

*

და მაინც, რა იქნება თემა? მავანმა ახალგაზრდობაში არ ისურვა, მეორისთვის დახმარების ხელი გაეწოდა. მოგვიანებით დამნაშავე ხვდება ჩადენილი ქცევის არაადამიანურობასა და მთელ სისასტიკეს და მწარე სინანულს გამოთქვამს. შედეგად რადიკალურად განსხვავებულ ადამიანად გარდაიქმნება. ჩაივლის ორი ათეული წელი, მსხვერპლი გულმოწყალე

ალტრუისტად ქცეულ კრიმინალს ხვდება. დაზარალებულმაც სრული ტრანსფორმაცია განიცადა: ხანგრძლივმა ტანჯვამ გააბოროტა, შეუწყნარებელი და გულღრძო გახადა. განვლილმა ცხოვრებისეულმა გზამ ამ ორ ადამიანს პოზიციები შეუცვალა. მსხვერპლი ჯალათის როლს ირგებს, მკვლელი კი გულისხმიერისას. მონანიება შეჩვენების პირისპირ აღმოჩნდება. რას უნდა ველოდოთ ამ შეხვედრისგან?

როგორც კი ეს აზრი დღიურში ჩავინიშნე, მისმა ამფსონებმაც არ დაახანეს. გაკეთებული არჩევანისა და სულიერი ტრავმებით განპირობებულმა ევოლუციის თემამ ჩემს მარაგს არა ერთი სხვა ამბავიც შეჰმატა.

საღამოსთვის ჩემი არსენალი საკმაოდ გამდიდრდა. რვა თუ ცხრა ამბავი დავითვალე. განცდილი სიხარული დაღლილობის შეგრძნების უნარსაც მიკარგავს.

ერთ რამეში ნამდვილად ვარ დარწმუნებული: ეს ის წიგნია, რომელმაც უთუოდ უნდა იხილოს დღის სინათლე.

*

გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ მივიჩნევ, რომ ნოველების წიგნი ერთი საერთო თემითა და ფორმით შეკრული ჭეშმარიტი წიგნია. თემისა და ფორმის ერთიანობა სულაც არ გამორიცხავს ცალკეული ნოველის ავტონომიურობას. მკითხველს თამამად შეუძლია თითოეულს საკუთარი არჩევანის მიხედვით გაეცნოს. უბრალოდ ჩემთვის ეს ნოველები ერთ გლობალურ პროექტში მონაწილეობენ, რომელსაც აქვს დასაწყისიც, განვითარებაც და დასასრულიც.

წიგნის შექმნის იდეა წინ უსწრებს ნოველებს. ის უხმობს და ქმნის ნოველებს ჩემს წარმოსახვაში.

ასე და ამგვარად წარმოვისახე „ოდეტ ტულმონდი“ და „მეოცნებე ოსტენდედან“. მე განსხვავებული ჯიშისა და სურნელების ყვავილებისგან კი არ ვკრავ თაიგულს, არამედ პირიქით, ჩემს წარმოსახვაში უკვე შექმნილს ვუხამებ ყვავილებს.

*

ზოგჯერ ხდება ისეც, რომ ნოველას ამა თუ იმ კონკრეტულ მოვლენას, შემთხვევას თუ ვინმეს ხსოვნას ვუძღვნი. მსგავსი

ნოველები დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობენ. თუ ერთ დღესაც მათ ერთად მოვუყრი თავს, რა თქმა უნდა, გამოცემას „ნოველათა კრებულს“ დავარქმევ და ამით ვეცდები, განვასხვავო ის ნოველების წიგნისგან, ერთ მთლიან, დამოუკიდებელ ნაწარმოებად რომაა ჩაფიქრებული. ასეთი წიგნისგან განსხვავებით, ეს ნოველებიც კი გაერთიანდებიან, მაგრამ ამ გაერთიანებას წიგნად მაინც ვერ მოვნათლავ.

ქალი, რომელიც მამაკაცებს წამლავდა

როგორც ყოველთვის, პერსონაჟმა, ჩემი კალამი რომ ძერწავს, მთლიანად მომაჯადოვა და დამიპყრო. და აი, ერთ დღესაც ხანდაზმულ ქალბატონად გარდავიქმენი - მე ამას უკვე ჩვეული ვარ - უფრო ზუსტად, პროვინციელ სერიულ მკვლელად - ამ როლს, ვაღიარებ, ნაკლებად ვეგუები... სულ მიკვირს ხოლმე, როგორ ახერხებენ საშინელებათა რომანების ავტორები ნორმალური ადამიანური ცხოვრებით ცხოვრებას? ხშირად ამ დროს ჩემი ახლობლების გამო შიში მიპყრობს... უკვე რამდენიმე დღეა, რაც ისეთივე ბიწიერი გავხდი, როგორიც ჩემი მკვლელია. ჩემში კეთილმოწყალეობის ნატამალიც კი არ დარჩა, გონებაში ადამიანებს ერთიმეორის მიყოლებით ვხოცავ და ჩადენილს არც ვუფიქრდები, პირიქით, სიკვდილი ენით აღუწერელ სიამოვნებას მანიჭებს. დანაშაულის ჩადენა სულის ზეიმად მექცა. სამზარეულოში ძმრისა და ზეთის ნაცვლად სასიკვდილო საწამლავით სავსე კოლბები მელანდება, სოუსების შეკმაზვისას კი ენით გამოუთქმელ რაღაცეებზე ვოცნებობ. გუშინ საღამოს სტუმარს ფრიკასეთი გავუმასპინძლდი და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარმა სინანულის გრძნობამ შემიპყრო, მასში რამე საწამლავი რომ არ გავურიე.

მაშინაც კი, როცა არ ვწერ, პერსონაჟი მოსვენებას არ მაძლევს. კუდში დამდევს, ერთი ნაბიჯითაც არ მცილდება და ზოგჯერ ჩემ მაგივრადაც ლაპარაკობს. როლით არა მარტო ჩემი კანი იჟღინთება - ეს არ არის მაინცდამაინც საშიში, - არამედ სულიც. გმირი ჩემში აღვიძებს ყველაფერს იმას, რასთანაც მსგავსებას პოულობს. თუ პერსონაჟი უარყოფითია, აუცილებლად ღვარძლითა და ბოროტებით მავსებს.

როცა „სხვის წილს“ - რომანს ვწერდი ჰიტლერზე, მაძაგძაგებდა...

ამ საღამოს ძალიან აღელვებული ვიყავი. სულის განსაკურნად გადავწყვიტე, წმინდა ფრანსუა ასიზელის ბიოგრაფია შემეთხზა... თუ კაზანოვასი?

*

ეს ამბები დაბორიალობენ გზებზე და საკუთარ თავს ეკითხებიან - ეს თავისუფლების ბილიკებია თუ დეტერმინიზმის მიერ გაჭრილი გზები?

ვართ თუ არა თავისუფლები?

კითხვა, მე ვიტყოდი, ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე მასზე გაცემული პასუხები. და საერთოდ, მიმაჩნია, რომ უსინდისობაა, სიბრიყვეა რამის ხელაღებით, თავგამოდებულად მტკიცება.

თავისუფლების განცდა მხოლოდ მაშინ გვიპყრობს, როცა ვაზროვნებთ, ვბჭობთ, ვორჭოფობთ, ვირჩევთ. განა, ეს გრძნობა სრული ილუზია არ არის? გადაწყვეტილება ხომ ნებისმიერ შემთხვევაში იქნება მიღებული? ჩვენი გონების მიერ გაკეთებული არჩევანი განა უკვე წინასწარ არ არის განპირობებული? იქნებ ეს სულაც თავისუფალი არჩევანის სამოსში გახვეული თავმომწონე გვერდაუქცეველი აუცილებლობაა?

ფილოსოფოსები, დეკარტის მსოფლმხედველობას რომ იზიარებენ თავისუფლების არსებობის შესახებ, ან კიდევ სპინოზას უჭერენ მხარს და ამბობენ, თავისუფლება არ არსებობსო, მუდმივად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ორთაბრძოლაში ვერც ერთი მხარე ვერასოდეს გაიმარჯვებს. რატომ? იმიტომ, რომ მათი საბრძოლო იარაღი არგუმენტებია და არა მტკიცებულებანი. თეორია თეორიის წინააღმდეგ. შედეგი - პრობლემა გადაუჭრელი რჩება.

ვაღიარებ, რომ პირადად მე თავისუფლების ქომაგნი უფრო მხიბლავენ, ისეთები, როგორებიც კანტი ან სარტრი არიან. შეიძლება იმიტომ, რომ ცხოვრებაში მქონდა შანსი, თავისუფლების გემო გამესინჯა. ერთს დავძენ კიდევ: მორალურ მიზეზთა გამო ჩემთვის აუცილებელია, მწამდეს თავისუფლების. თუ ადამიანი მოკლებულია თავისუფლებას, არ გახლავთ საკუთარი ქმედებების ავტორი, არც მათზე პასუხისმგებელი, მაშინ ეთიკისა და მართლმსაჯულების

საფუძვლები ქრება. ვერც დანაშაულზე ვილაპარაკებთ, ვერც დასჯასა და დამსახურებაზე. განა შეიძლება ქვას ვუსაყვედუროთ, რომ დაეცა? ვსჯით მას? არა!

მიუხედავად ზემოთქმულისა, მორალური თვალსაზრისით, თავისუფლების აუცილებლობის განცდა არ ნიშნავს იმის ცოდნას, რომ ის არსებობს: თავისუფლების პოსტულირება იგივეა, რაც მისი დემონსტრირების მცდელობა.

კითხვა კითხვად რჩება.

ასეთი გახლავთ ადამიანის არსებობის წმინდათა წმინდა არსი: იცხოვრო მეტი კითხვით, ვიდრე პასუხით.

*

ოქტომბერი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ანგლოფონურ კანადაში დაგეგმილი ტურნე ნოველების პირველი წიგნის, „ოდეტ ტულმონდის“ პრეზენტაციას ისახავს მიზნად, რომელსაც თარგმნის ჯადოსნურობის წყალობით „The most beautiful Book in the World“ - „სამყაროს ყველაზე ლამაზი წიგნი“ უწოდეს (ასე ჰქვია კრებულის ბოლო ნოველასაც), რაც უეჭველად მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოკრძალებულ დასათაურებად უნდა მივიჩნიოთ.

წიგნი პუბლიკამ შესანიშნავად მიიღო. დაუჯერებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამჯერად პრესაში საფრანგეთს მეტი ადგილი ეთმობა და ბევრად უკეთესადაა წარმოჩენილი. არადა, ადრე აქ გამოცემული რამდენიმე ფრანგული წიგნისადმი პუბლიკის თავშეკავებული დამოკიდებულება ნათელი დასტური იყო ამ ქვეყნებს შორის არსებული არც ისე ჯანმრთელი საერთაშორისო ურთიერთობებისა. შევიტყვე, რომ (და ამან ძალიან გამახალისა) თურმე მხოლოდ ფრანგებს თუ ძალუძთ ანეკდოტებისა და ფილოსოფიის ასე პიკანტურად ერთმანეთში აღრევა, უსერიოზულეს თემებზე ერთდროულად ასეთი მსუბუქი და თან სიღრმისეული ანალიზი. დღეს მსგავს დამოკიდებულებას ადამიანები მიესალმებიან, ტაშს უკრავენ, ადრე კი მსაყვედურობდნენ...

ამ ლიტერატურული ფესტივალებისა და საჯარო კითხვების დროს, სადაც ვცდილობ, ძირითადად ამერიკულ თარგმანს დავეყრდნო, მსმენელთა და მკითხველთა რეაქცია პირდაპირ აღმაფრთოვანებს. მაუწყეს, რომ დეტალების შესაშური

შეგრძნება მაქვს, გაცვივდნენ უახლოეს წიგნების მაღაზიაში და ბოლო ეგზემპლარები დაიტაცეს. აქვე ვაღიარებ, რომ ჩემი ნაწერები დეტალების სიუხვით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ის კია, რომ სწორედ ამ ელემენტების დახმარებით ვახერხებ არსის, მთლიანობის გადმოცემას. ბარემ ერთ ფრანგულ ტრადიციასაც გავიხსენებდი, „მახვილს“ „სამართებლად“, ხოლო „გემს“ „აფრად“ რომ ნათლავს. ლიტერატურაში ამას სინეკდოქას უწოდებენ, რაც მთლიანობის ნაწილით გადმოცემას ნიშნავს. მე ვცილდები სტილის ჩარჩოებს და სინეკდოქას დრამატურგიასაც ვუქვემდებარებ და თხრობასაც.

სინეკდოქათი აღფრთოვანება ამ ანგლოსაქსონურ სამყაროში, სადაც დეტალებითა და აღწერილობებით გადაძეძგილი მილიონობით სქელტანიანი წიგნი ცხვება, ერთი ინფორმაციის გადმოცემას ასიოდე გვერდი მაინც სჭირდება (შედეგი გიგანტური კვლევითი სამუშაოებისა და დოკუმენტალისტიკისა), მართლაც რომ გასაოცარია.

მე მიმაჩნია, რომ მწერლის, ისევე, როგორც მხატვრის ხელოვნება არჩევანის გაკეთების უნარში მდგომარეობს: შექმნა ჩარჩო, შეარჩიო თხრობისათვის ყველაზე მომგებიანი მომენტი, ცოტათი ბევრი თქვა.

*

ისევ ამერიკას მივუბრუნდბი... ჭეშმარიტი ბედნიერების განცდა მეუფლება, როცა ჩემთვის აქამდე უცნობ წიგნსა თუ მწერალს გადავეყრები: არაფერი ჯობია სადმე კაფეში ამერიკელ მწერლებთან ბაასსა და ჭიქა ღვინის წრუპვას, სამყაროს გადაწყობას, ლიტერატურის არსზე კამათს ზუსტად ისე, როგორც მაშინ, ოცი წლის რომ ვიყავი... მათი თავმდაბლობა და თავაზიანობა, სხვების პატივისცემა გულისამაჩუყებელი და თან შთამაგონებელია.

დღეს ნაშუადღევს უზარმაზარ აუდიტორიაში საჯარო კითხვისას რამდენიმე მწერალი ენაცვლებოდა ერთმანეთს. ტექსტი ნამდვილად არ იყო ურიგო. კითხულობდნენ ამერიკელი და კანადელი ავტორები. უკმარისობის განცდა მაინც დამეუფლა. აი, რომ ჭამ, ჭამ და მუცელს კი ამოიყორავ, მაგრამ შიმშილის გრძნობას ვერ იცხრობ.

არც ერთი რომანის არც ერთი სამ გვერდამდე დაყვანილი ამონარიდი ვერ სუნთქავდა დამოუკიდებლობთ, მსმენელი

ყოველ ჯერზე მთლიან რომანს ითხოვდა.

ასე რომ, ჩემთვის ერთი მთლიანი ნოველით კათედრაზე ასვლა და მსმენელთა დატკბობა ბევრად უფრო ადვილი საქმე აღმოჩნდა.

იცით, რა არის ბრწყინვალე და შესაშური ამერიკელებში? fair play[5] . არა მგონია, იქ ჩემს წარმატებას რომელიმე კოლეგაში შური აღეძრა. უკლებლივ ყველამ გამაოგნებელი გულწრფელობით მომილოცა. მაშინ ჩემთვის კი გავიფიქრე, რომ მათგან ბევრი რამ მქონდა სასწავლი...

*

ტორონტოში ლიტერატურის კრიტიკოსთან მომიწია საუბარი. ჩვენ გარშემო წიგნის მთები იყო წამომართული. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული: უაზრო მარკეტინგის მიერ ჩაშვებული კომერციული რომანები, იქვე ნამდვილი ლიტერატურული პროდუქცია; ასევე სპორტისა და აუდიო-ვიზუალურ სამყაროს ვარსკვლავებისადმი მიძღვნილი რომანები - წიგნები, რომლებსაც არანაირი წვლილი არ შეუტანია თავიანთი გმირის პოპულარობის გაზრდაში, უბრალოდ მხოლოდ იმიტომ დაიწერა, რომ ისინი უკვე იყვნენ სახელგანთქმულები და ა.შ.

ერთგვარი გულისრევის შეგრძნება დამეუფლა, არც დამიმალავს.

- როგორ ახერხებთ ამ წიგნების დახარისხებასა და შესატყვის თაროებზე შემოლაგებას?

- მე მხოლოდ მკვდრებს ვითვლი.

- უკაცრავად?

- მე მკვდრებს ვითვლი. ორზე მეტი მიცვალებული კომერციულ პროექტს ნიშნავს. ერთი ან ორი - ლიტერატურულს. მხოლოდ საბავშვო ლიტერატურაშია სიკვდილიანობა ნულამდე დაყვანილი.

„დაბრუნება“

ამ ნოველას სახლიდან შორს ვწერ, დიახ შორს, ჩემი თხრობის მთავარი გმირი მეზღვაურივით. სასტუმროდან სასტუმროში გადაბარგებისას მუდამ სახლზე დარდი მტანჯავს. ერთი სული

მაქვს, სანამ ოჯახს დავუბრუნდები. ამის მოლოდინში ტექსტსაც მათთვის ვთხზავ, რათა დაბრუნებისას მიხვდნენ, როგორ მენატრებოდნენ და რაოდენ მიყვარს ისინი. მსურს ასევე იცოდნენ, როგორ მინდა შევძლო მათი ათასჯერ უფრო ძლიერ შეყვარება.

მუშაობა საათებს იწირავს. დროის მონაკვეთები ფრაზებად გარდაიქმნება. ყოველი მათგანი განსხვავებული სიგრძისაა.

ცხოვრებაზეც ისევე რომ ვმუშაობდე, როგორც ნოველაზე, ჩემგან ალბათ არაჩვეულებრივი ადამიანი დადგებოდა...

*

ყოველთვის მეპარებოდა ეჭვი, ვანკუვერი სინამდვილეში რომ არსებობდა. დასავლეთის დასავლეთში, ანუ ოკეანის გაღმა მდებარე კონტინენტის მეორე დასალიერზე მდებარე ეს ქალაქი ჩემს წარმოდგენაში ყოველთვის ერთგვარ აბსტრაქტულ სახეს იძენდა, რაღაც წარმოსახვითს, როგორც უსასრულობაა მათემატიკაში. ვანკუვერი ჩემთვის ის ჰორიზონტი იყო, მიახლოებისას სულ უკან რომ იხევს - უკიდურესი დასავლეთი, შორეული დასავლეთი.

შორეული დასავლეთი კიდევ უფრო შორსაა, ვიდრე აღმოსავლეთი. მხოლოდ ოცნებებმა და გაბედულებამ უბიძგა ადამიანებს, გაერისკათ და თავგადასავლების საძიებლად ამ სიშორეს წასულიყვნენ. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იქ ნამდვილი ქუჩები არსებობს, ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობენ, მაღაზიებსა და კინოთეატრებში დადიან, კითხულობენ პრესას.

ამჟამად გრენდვილის ნახევარკუნძულზე ვიმყოფები, ალტერნატიული კულტურის უბანში, შუშის მაღალსართულიანი შენობების წინ, რომლებზეც ასე მკაფიოდ აირეკლება ცის კაბადონზე მოცურავე გიგანტური ღრუბლების მთელი კოჰორტა.

ამ ადგილით დანახვისთანავე მოვიხიბლე, მომეწონა მკითხველებიც მკვეთრად განსხვავებული იერსახით. ისინი თავად მაგონებენ წიგნებს. ყოველი მაცხოვრებელი საკუთარი რომანის განსახიერებაა, ანარეკლი მათი ემიგრანტობისა, ისტორია მათი ინდიური, აზიური, სკანდინავიური, გერმანული, ინგლისური წარმოშობისა, ისტორია მათი

რეკონსტრუირებული ცხოვრებისა.

ვანკუვერი ისე მომეწონა, ისე მომეწონა, რომ მაიძულა, ჩემს ნოველაშიც კი მიმეჩინა ადგილი. ის „დაბრუნების“ სამშობლოდ იქცა.

*

ევროპში როგორც კი დავბრუნდი, მაშინვე პირველი ორი ტექსტის გაშალაშინებას შევუდექი.

ამას წინათ ერთ ნაცნობთან სიტყვამ მოიტანა და ნოველაზე საუბარი დავიწყეთ. ჩემს თანამოსაუბრეს ლამის სახე მოენჯღრა. თითქოსდა, ეს მოკლე თხრობები მწერლის სიზარმაცისა და დაღლილობის გამოვლინება იყო და სხვა არაფერი. მივხვდი, რომ მიუხედავად მოპასანის, დოდეს, ფლობერის, კოლეტის ან გნებავთ, მარსელ ემეს არსებობისა, რაოდენ ზერელე დამოკიდებულება აქვთ ფრანგებს ამ ჟანრისადმი.

ნოველას მუდამ რომანი ამჯობინო, ჩემთვის მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ მიდგომას ნიშნავს. მიდგომა, რომლის ერთგული ქალბატონი და ბატონი ფრომაჟები გალერეაში თავიანთი სალონისთვის ნახატს კი არ ყიდულობენ, არამედ ტილოს - „ნახატი მომცრო ზომისაა, შორიდან ვერც კი შეამჩნევ და ვერც მიხვდები, დასრულებულია თუ არა“. საკუთარ თავს ვეკითხები, ეს ფაქტი მდიდართა მდარე გემოვნებას ხომ არ ასახავს? მათ სქელტანიანი გამოცემის ხილვა ურჩევნიათ, თავებად დაყოფილი აღწერილობები უნდა მიართვა, არც ვებერთელა დიალოგები გამოგრჩეს, ხშირ შემთხვევაში უაზრო ყბედობის შთაბეჭდილებას რომ გვიტოვებენ. თუ რომანი წარსულს ეხება, მწერლისგან დაჟინებით ითხოვენ ისტორიულ ფაქტებს; თუ თანამედროვეობას - მაშინ აუცილებლად ჟურნალისტური გამოძიება უნდა გამოუცხო. მოკლედ, ისინი აფასებენ შრომას, ოფლისღვრას, აშკარად გამოხატულ კომპეტენტურობას, ნამუშევარს, რომელიც ჩანს და რომლის მეგობრებისათვის ჩვენებაც არ შეგრცხვება იმის დასადასტურებლად, რომ ხელოვანსა და გამყიდველს შენი გაყვლეფის საშუალება არ მიეცი.

„როცა რვაასგვერდიან რომანს უცქერ, - გაიძახის ბატონი ფრომაჟი, - ხვდები, რომ ავტორმა ნამდვილად ძალ-ღონე არ დაზოგა და პატიოსნად გაისარჯა“.

იქნებ სულაც არა?!

დაიყვანო თხრობა მთავარ არსამდე, თავიდან აიცილო ფუჭი პერიპეტიები, ვრცელ აღწერილობებს უბრალო მინიშნება ამჯობინო, წერო ეკონომიურად, მოერიდო უხვსიტყვაობას, გამორიცხო ავტორის მიკერძოებულობა - ეს ყველაფერი უთვალავ დროს იწირავს, ავტორისაგან საათობით ანალიზსა და მკაცრ კრიტიკულ მიდგომას ითხოვს. სინამდვილეში, ბატონი და ქალბატონი ფრომაჟები მიიჩნევენ, რომ რომანი უფროა ხელოვნება, ვიდრე ნოველა. რატომ? იმიტომ, რომ რომანი გაბღენძილი ხელოვნებაა.

*

წინა აბზაცის გადაკითხვისას მივხვდი, რომ პოლემიკის მახეში გავები - ბინარული აზროვნება. და აი, მეც ზუსტად ისევე ვიწყებ ფიქრს, როგორც ისინი, რომელთაც არასწორ აზროვნებას ვსაყვედურობდი: ვუპირისპირებ, განვაცალკავებ, ვაორებ, ერთს მეორის საზიანოდ უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ. რა სისულელეა?! ფიქრი განა სირთულის აღიარებას არ ნიშნავს? პოლემისტებს კი ყველა სირთულე ორ ნიშნულამდე, გაორებულ დაპირისპირებამდე დაჰყავთ.

და ბოლოს, რეზიუმეს სახით გეტყვით, რომ რომანიც ისევე მიყვარს, როგორც ნოველა, მაგრამ ორივე სხვადასხვა, განსხვავებული მიზეზების გამო.

*

იტალიაში ჩემი ნოველების მეორე წიგნის - „მეოცნებე ქალი ოსტენდედან“ გამო ლიტერატურული პრიზი გადმომცეს. იქ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ადგილობრივმა კრიტიკოსებმა ზედმიწევნით გაიგეს, რის მიღწევაც მქონდა განზრახული, იმიტომ, რომ მათ ზეპირად იციან იტალო კალვინოს „ამერიკული გაკვეთილები“, რომელსაც მეც ერთ-ერთ სამაგიდო წიგნად მივიჩნევ. ინტელექტუალი, სიმსუბუქესა და უბრალოებას რომ ელტვის, მათ სრულიადაც არ შოკავს. პირიქით, ტაშს უკრავენ მას, ვინაიდან იციან, რამდენად დამღლელია ეს. ლათინური სინატიფით აღჭურვილნი უბრალოებასა და გამარტივებას ერთმანეთში როდი ურევენ.

გამარტივება სირთულეების არცოდნას ნიშნავს.

უბრალოება კი სირთულეების აღმოფხვრის უნარს გულისხმობს.

*

ვერონაში ერთი ფრიად თავშესაქცევი ამბავი მოვისმინე.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ვერონაში ცხოვრობდა ერთი მებაღე, რომელიც უვლიდა სასაფლაოს, სადაც ჯულიეტას აკლდამაც მდებარეობდა. უამრავი ტურისტი აწყდებოდა ამ ადგილს. შეყვარებულები აქ მხურვალედ კოცნიდნენ ერთმანეთს, სიყვარულში ხელმოცარულები კი ცრემლის ნაკადულებად იღვრებოდნენ. ყოველდღიური ამაღელვებელი სცენების თვითმხილველმა მებაღემ ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, გაეწვრთნა მტრედები, რომლებიც მის ნიშანზე ტანჯულ სულებს მხრებზე დაასხდებოდნენ და ნისკარტით ტუჩებზე მსუბუქად „აკოცებდნენ“. ეს სასწაული ბევრმა მოიწონა და არა ერთი დაინტერესდა. მებაღესთან მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან წერილების ნიაღვარმა იწყო დინება - ყველა, როგორც ერთი, სასიყვარულო ამბავში რჩევას ჯულიეტას შესთხოვდა. მებაღე ლამაზი ხელწერით დაუზარლად პასუხობდა ყველა უსტარს და ქვეშ აწერდა: „ჯულიეტა“.

60-იან წლებში ხანდაზმული მებაღე გარდაიცვალა. წერილების ნაკადი მისამართით „იტალია, ვერონა, ჯულიეტას“ არ წყდებოდა. გამოსავალი უნდა ეპოვათ. შეიკრიბა რამდენიმე ვერონელი, რომლებმაც მებაღის საქმის გაგრძელება იტვირთეს. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ჯულიეტას სახელობის კლუბი, სადაც შვიდი ქალი გაერთიანდა. ისინი პასუხობდნენ ტანჯულებსა და მარტოსულებს, სასიყვარულო პრობლემების გადაჭრაში თანადგომას რომ ითხოვდნენ.

გუშინ საღამოს სწორედ ამ ჩვენი დროის შვიდ ჯულიეტას შევხვდი: ინტელექტუალებს, ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, ადვოკატებს, აქტიური მიმოწერა რომ აქვთ სიკვდილმისჯილებთან ტექსასში, ჩინელ შუქურას მცველთან...

ფრიად უცნაური ქალაქია ეს ვერონა, იტალიელებმა რომ ააშენეს, სახელი კი ერთმა მოკრძალებულმა ინგლისელმა გაუთქვა, გვარად შექსპირმა.

*

მე ვეღარ ვცხოვრობ ჩვეულებრივი ცხოვრებით. წერის ჟინმა დამიპყრო მთლიანად და მეორე პლანზე გადასწია ყველაფერი, რაც მას არ ეხება. არტახებში მოქცეული ერთგვარ მჯღაბვნელს დავემსგავსე, გადაუდებელ საქმეებს რომ ემსახურება: პერსონაჟებს, ნებისმიერ ფასად არსებობის უფლებას რომ ითხოვენ; ამბებს, სიტყვებში მარადიულობას რომ ეძებენ. არც დეკემბრის დღესასწაულებისთვის მცხელა. ნამდვილ მოჩვენებას ვემსგავსები. აკვიატება ჩემთვის დასასვენებლად მხოლოდ რამდენიმე საათს თუ გაიმეტებს. ამ დროს სიამოვნებით ვსაუბრობ მშობლებთან, დასთან, სიძესთან, დისშვილებთან. თუმცა, როგორც კი ოთახს ვტოვებ, დაუმთავრებელი ნაწარმოები მიხმობს და მიმორჩილებს.

ზოგჯერ ისეთი განცდა მეუფლება, რომ მწერლობამ ჩემი ოჯახი და მეგობრები მოიძულა. შეუვალ, მომთხოვნ და უმოწყალო საყვარელს ემსგავსება, მარად სხვებისგან ჩემ გამოცალკავებასა და გამოგლეჯას ცდილობს.

შეიძლება სწორედ ამის გამო ვრთავ ახლობლებს წერის პროცესში. ხშირად ვფიქრობ მათზე, მაწუხებს, რისი კითხვა მოუწევთ მომავალში, ჩემდა თავად ვცდილობ მათ გაკვირვებას. ყოველთვის ვიტოვებ იმედს, რომ ჩემი ნამოღვაწარი მოეწონებათ და ნაძლევსაც კი ჩამოვდივარ, რომ ნამდვილად ასე მოხდება.

მე მოვუწოდებ ახლობლებს, ჩემი ტექსტის პოტენციური მკითხველები გახდნენ. როგორც კი მათთან პირისპირ აღმოვჩნდები, უკვე სხვაგან ვარ. თავს ვიკატუნებ, რომ მე მე ვარ; ბუნდოვნად მახსენდება, რომ ისინი ნამდვილად ისინი არიან.

*

ნოველა გამოწურული, შეიძლება ითქვას, გამოხდილი, არსამდე დაყვანილი რომანია. შეგვიძლია კონცენტრატიც ვუწოდოთ.

ეს მომთხოვნი ჟანრი ღალატს არამც და არამც არ გპატიობს.

რომანს შეიძლება სკივრის ფუნქცია მიანიჭო და ყველაფერი შიგ ჩაჩურთო. ნოველის შემთხვევაში კი ეს ყოვლად

წარმოუდგენელია. მისხალ-მისხალ უნდა გაზომო აღწერის, დიალოგისა და ფრაგმენტისათვის გამოყოფილი სივრცე. არქიტექტურაში უმნიშვნელო შეცდომაც კი თვალში საცემია; მიმნებებლობაც, სხვათა შორის.

ზოგჯერ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნოველა შეიძლება იმიტომ გამომდის, რომ მე, უპირველეს ყოვლისა, თეატრის ქომაგი და მოტრფიალე ვარ.

ჩეხოვის, პირანდელოს ან თუნდაც თენესი უილიამსის პერიოდიდან მოყოლებული ცნობილია, რომ ნოველა დრამატურგების მიერ ამოჩემებული ჟანრია. რატომ? ნოველისტი დარწმუნებულია, რომ თავის გემოზე მართავს მკითხველს, ჩაავლებს ხელს ქეჩოში პირველი ფრაზის წაკითხვისთანავე და სანამ ბოლომდე ჩავა, თავს არ ააწევინებს, სულს არ მოათქმევინებს. ამასაა ის ჩვეული თეატრშიც. დრამატურგებს უყვართ ნოველა: მათი წარმოდგენით, ნოველა მკითხველს თავისუფლებას ართმევს, იმ მაყურებლად გარდაქმნის, დარბაზიდან გასვლას რომ ვერ ახერხებს. თუ, რა თქმა უნდა, საკუთარი სავარძლის სამუდამოდ დატოვება არ გადაწყვიტა. ნოველა მწერალს სწორედ ამ ძალაუფლებას გადასცემს - ძალაუფლებას, მართოს დრო, შექმნას დრამა, მოლოდინი, სიურპრიზი. ამ ძალაუფლებით აღჭურვილი ავტორი ხან ინტელექტის ძაფს გამოქაჩავს, ხანაც მგრძნობიარობას. შემდეგ კი მოულოდნელად ჩამოუშვებს ფარდას.

ლაკონურობით ნოველა, თეატრი და მუსიკა შეიძლება ერთ რანგში გავამწესოთ. ეს დროის ხელოვნებაა. კითხვის ხანგრძლივობას, ისევე როგორც კონცერტზე ან სპექტაკლზე, შემომქმედი არეგულირებს.

სისხარტე, სიმოკლე ნოველას დამატყვევებელს ხდის.

*

ერთი რამის მიმართ ვარ უკიდურესად მგრძნობიარე, რომლის შესახებ ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობს. ეს გახლავთ წიგნის ზომა.

როგორც მკითხველი, მივიჩნევ, რომ წიგნების უმრავლესობა, რომელთა წაკითხვაც მიწევს, სრულიად მოკლებულია შესატყვის სიგრძეს. აი, მაგალითად, ეს სამას გვერდზეა გადაჭიმული, როცა სიუჟეტისთვის ასი სრულიად საკმარისი

იქნებოდა. ის კიდევ ას ოცით შემოფარგლულა, არადა, თემას ხუთასიც არ ეყოფოდა. რატომ უვლის გვერდს ლიტერატურული კრიტიკა ამ კრიტერიუმს ასე ჯიუტად? მხოლოდ მაშინ თუ გაამახვილებს ყურადღებას, როცა ნაწარმოები უსაშველოდ გრძელია და დასაშვების ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

მსგავსი მიდგომა მით უმეტეს გასაკვირია, როცა ვიცით, რომ ხელოვნების არც ერთ სხვა დარგში ფორმისა და არსის თანაფარდობა ყურადღების მიღმა არასდროს რჩებათ.

სკულპტურაში ყველა გაოცდება, თუ მოქანდაკემ მონუმენტური ანსამბლის გამოჭრა მომცრო ზომის ქვაში დაიწყო, ან ბაბუაწვერას ექვსმეტრიანი ლოდი შესწირა. ფერწერაში აუცილებლად გაითვალისწინებენ თანაფარდობას ჩარჩოს, ტილოს მოცულობასა და სიუჟეტს შორის. მუსიკაში ხშირად მიიჩნევენ, რომ მოცემული მუსიკალური მასალა არასაკმარისია ამა თუ იმ ნაწყვეტის ხანგრძლივობისათვის. ლიტერატურაში ასე არასდროს ხდება.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველ სიუჟეტს საკუთარი სისქე აქვს, რომელიც მისადაგებულ წერის ფორმატს ითხოვს.

რომანების უმრავლესობა ფარშირებულ რულეტს წააგავს (ეთმანეთში არეული საქონლისა და ფრინველის ფილე). მისი შექმნისას ყველაფერი ფარშის გაზრდას ემსახურება. ამის გამო თხრობა უსაშველოდ იწელება, ამომწურავი აღწერები სასამართლოს აღმსრულებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტების ჩამონათვალს ემსგავსება, დიალოგები კი ყოველდღიური ყოფისათვის დამახასიათებელი ბანალური და უინტერესო საუბრების იმიტაციაა და სხვა არაფერი... შედეგად ინგრევა სტილი, ხდება თეორიების აღრევა და თვითნებური გადამუშავება, სიუჟეტური პერიპეტიები კიბოს უჯრედებივით მრავლდება.

როცა ნიუ-იორკის ერთმა გამომცემლობამ „ბატონი იბრაჰიმი და ყურანის ყვავილები“ დაბეჭდა, მეორე გამომცემელმა შემომთავაზა, მეც სიამოვნებით გამოვცემ, ოღონდ ეს 24-გვერდიანი თხრობა იბრაჰიმის მეუღლის, მომოს მშობლების, ბებიების, ბაბუებისა და სკოლის მეგობრების ხარჯზე ას ორმოცდაათამდე გამიზარდეთო...

„კონცერტი ანგელოზის ხსოვნას“

ეს ნოველა ალბან ბერგის მუსიკამ შთამაგონა. ნაწარმოებმა მომნუსხა. დაუჯერებელი შეგრძნება აღძრა ჩემში, ახალი ჩანაფიქრებისკენ მიბიძგა. აი, მაგალითად, ადრე არასდროს დავფიქრებულვარ, რამდენად თავისუფალს გვხდის ასაკი. ოცი წლის ასაკში ჩვენ მხოლოდ მიღებული აზრის პროდუქტი ვართ, ორმოცი წლისა კი საკუთარი არჩევანის შედეგი, თუ რა თქმა უნდა, არჩევანის გაკეთება ვცადეთ.

ახალგაზრდა მამაკაცი წლების შემდეგ ისეთი პიროვნება ხდება, როგორსაც ბავშვობაში წარმოიდგენდა. მოწიფული მამაკაცი სწორედ იმ მეოცნებე ჭაბუკის პირმშოა.

შესაძლებელია თუ არა ,შევიცვალოთ? და რაც მთავარია, ვიცვლებით თუ არა ნებაყოფლობით?

როგორც ხედავთ, ამ ამბების ორომტრიალში ისევ თავისუფლების პრობლემას ვეჯახები...

თუ დეტერმინიზმის მომხრეებს დავუჯერებთ, ადამიანი არამც და არამც არ იცვლება, ვინაიდან ის მოკლებულია დამოუკიდებლობას, თავისუფალი არჩევანის უფლებას. ნება მხოლოდ სატყუარაა, ბოლო წამს აღქმული ბრძანებისთვის დარქმეული სახელი. ადამიანი განსხვავებული ახალი იძულებითი ძალების ან მიღებული ტრავმების ზეწოლის შედეგად ხდება. ეს ერთგვარი სოციალური წვრთნაა. თუ მანქანის შინაგანი ცვეთის შემთხვევებს გამოვრიცხავთ, ყველაფერი გარედან მოდის...

იმათთვის, ვისაც თავისუფლების სწამს, საქმე ბევრად უფრო რთულია. ნუთუ ნება იმდენად ძლიერია, რომ ხასიათის შეცვლა ძალუძს? დიახ, არის ის ასეთი მავანისა და მავანისთვის. დიახ, არის იმ პატივმოყვარე და ამბიციური ადამიანებისათვის, მე რომ „წმინდანობის ქომაგებად“ ვნათლავ. სწორედ ასეთ ადამიანებს სწამთ სრული მეტამორფოზის უნარის, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნებიან ისინი რელიგიური აღმსარებლობით - ებრაელები, ბუდისტები თუ ქრისტიანები, ან თუნდაც ათეისტები სარტრის მსგავსად, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი, მეტცი („ეშმაკი და მამაზეციერიდან“) ადვილად გადაადგილდება სიკეთესა და ბოროტებას შორის.

არიან ისეთებიც, პირზე მუდმივად „არა“ რომ აკერიათ. მაგალითად, მე. ასეთებს „გამოსწორებადებს“ ვუწოდებ. ადამიანი კი არ იცვლება, არამედ გამოსწორებას იწყებს. ის საკუთარ ტემპერამენტს სხვაგვარად იყენებს, „ღუნავს“ მას და სხვა ღირებულებათა სამსახურში აყენებს. კრისი, - მთავარი გმირი ნოველისა „კონცერტი ანგელოზის ხსოვნას,“ - საკუთარ თავში შეჯიბრების უნარს აღვივებს, უბედური და სიყვარულში ხელმოცარული დედის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული სრულყოფილებასა და ბრწყინვალებაზე ოცნებობს. ჩადენილი თითქმის მკვლელობის ტოლფასი საქციელის შემდეგ ის თავის პირვანდელ - ენერგიული, მებრძოლი, წარმატებაზე შეყვარებული ადამიანის ხასიათს კი ინარჩუნებს, მაგრამ ამჯერად გადაწყვეტს, ეს თვისებები სასიკეთო საქმეს მოახმაროს. სინამდვილეში ის არ შეცვლილა; უბრალოდ განსხვავებულად ანათებს: ინდივიდუალისტის ნათურას ალტრუისტისა ჩაუნაცვლა.

*

ნებისყოფა.

ის რომ არ არსებობდეს, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაუძლებდა ძალადობისა და სისასტიკის შემოტევებს. ძნელი წარმოსადგენია ადამიანი, რომელსაც მრისხანებით, გულისწყრომით, შიშითა და ცოფით შეპყრობილს წამიერად მაინც არ გაუვლია გულში, მეორისათვის დაერტყა ან თუნდაც მოეკლა.

ხშირად იმასაც კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველანი მკვლელები ვართ. კაცობრიობის დიდი ნაწილი, მხედველობაში მყავს ისინი, საკუთარი თავის ხელში აყვანა რომ ძალუძთ, წარმოსახვითი მკვლელებისგან შედგება; დარჩენილი მცირე ნაწილი კი ჭეშმარიტი მკვლელებისგან.

*

მარგერიტ იურსენარი ამბობდა: „ჩვენ კი არ ვიცვლებით, არამედ უფრო ღრმანი ვხდებით“. ანდრე ჟიდი კი გვირჩევდა, საკუთარ დაღმართს გავყოლოდით, მხოლოდ ერთი პირობით, თუ ეს გზა მაღლა მიიწევდა.

როცა ნება და ჭკუა-გონება საერთო ენას პოულობს, ადამიანი იმ ცხოველს ემსგავსება, რომელთანაც ურთიერთობა შეიძლება.

*

ბრუნომ და იანმა წაიკითხეს „კონცერტი ანგელოზის ხსოვნას“. აღელვებულები მოცვივდნენ ჩემთან და მომახალეს, სიყვარულზე ლამაზი ამბავი დაგიწერიაო. უცნაურია. პირადად მე ეს არც კი შემიმჩნევია.

„სიყვარული ელისეს სასახლეში“

ამ ასინქრონული სამიჯნურო არაკის თხრობისას თავი თითქმის თეატრში მგონია. ანრიც ძლიერი პიროვნებაა და კატრინიც. თავიდანვე ახდენენ შთაბეჭდილებას. უთვალავი ნიღბის მქონე ეს ორი ვირტუოზი იმ ადამიანების შინაგანი სიმდიდრითაა აღჭურვილი, საკუთარი თავის ხელში აყვანა და თვითკონტროლი ნებისმიერ დროს რომ შეუძლია. ისინი ამავდროულად დუმილით მიყენებული ტანჯვით არიან სავსენი.

მოქმედების ადგილმაც მკითხველი შესაძლებელია არაერთ ხაფანგში გააბას: ელისეს სასახლე ფონად უნდა დარჩეს, ხელისუფლებამ კი ჩარჩოს როლი იტვირთოს, რათა მის წარმომადგენელთა საზოგადოებრივი აზრით გამოწვეული მუდმივი შიში გამართლდეს.

დასაწყისის რამდენჯერმე გადაწერა მომიწია. სწორ კუთხეს ვერა და ვერ ვპოულობდი; კუთხეს, მკითხველს ამ იზოლირებული, თითქმის უყურადღებოდ მიგდებული ქალის მიმართ სიმპათიებს რომ გაუჩენდა.

*

ნოველით „სიყვარული ელისეს სასახლეში“ სრულდება წიგნიც, იმიტომ, რომ სწორედ ის გვაწვდის ნაწარმოების მთლიანობაში აღსაქმელად აუცილებელ გასაღებს. ადამიანები, ისევე როგორც ანრი და კატრინი, დროის დერეფნებში იკარგებიან, ისინი თითქმის არასოდეს არ არიან ერთი და იმავე გრძნობებით შეპყრობილნი, მაგრამ საშინლად იტანჯებიან დროში აცდენათა გამო.

მარი მორესტიე, ქალი, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით ქმრებს წამლავდა და აბატი აცდნენ ერთმანეთს.

მეზღვაურ გრეგსაც ავიწყდება, რომ მამაა და თანაც ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი ქალიშვილები სავსებით პატარები არიან.

კრისი და აქსელი მეტისმეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ურთიერთშეფასება რომ შეძლონ. საბოლოო ჯამში ისინი იცვლებიან, მაგრამ ეს სიმეტრიულად ხდება, რაც ისევ დისტანციას შობს...

ადრე თუ გვიან, ახსნა-განმარტება გვაძლევს საშუალებას, გავიაზროთ, რასაც ავცდით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დაკარგულს დავიბრუნებთ.

მონანიება გამოსყიდვის საშუალებას კი იძლევა, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში დაგვიანებულია, ბოროტება უკვე ჩადენილია. სინდისის ქენჯნა, გაუკეთესოება ჩადენილს ვერ წაშლის. გრეგის, გემის მექანიკოსის ქალიშვილები მუდამ ტანჯულნი იქნებიან იმის გამო, რომ ისინი სიყვარულს, ადამიანურ სითბოსა და ყურადღებას იყვნენ მოკლებულნი.

თამამად შემეძლო ეს წიგნი სხვანაირად დამესათაურებინა: „აცდენა სიყვარულში.“

*

რიტა, განწირულთა ქომაგი, გამოუვალ მდგომარეობათა მფარველი მადონა, ამ ამბებში შემოიჭრება, როგორც მრავალწახნაგოვანი ბრდღვიალა ბრილიანტი. ეს ძვირფასი ქვა ხან ცინიზმს აფრქვევს, ხან მწარე ირონიას, ხანაც იმედის ნაპერწკლებს. მისი ათინათი სიკეთის ორაზროვნებას ირეკლავს. ის, რაც ერთს კეთილდღეობად, მადლად ესახება, შესაძლოა მეორის უბედურების საწინდარი გახდეს. ის, რაც პოლს ღუპავს, გადაარჩენს პიერს.

წმინდა რიტა მხოლოდ ნივთია და ცხადია, უტყვი. ის არაფერს ჰყვება. სამაგიეროდ, მისი მეშვეობით მყარდება ერთის კონტაქტი მეორესთან.

ეს ლეიტმოტივი - ახსნა-განმარტება - მე, მწერალს, არ მეკუთვნის. უფრო გასროლილი ისარია, გამოწვევა, მოწოდება, იდუმალი იმპულსი, მკითხველი რომ უნდა დააფიქროს.

დილით გერმანელი კოლეგებისგან წერილი მივიღე. მწერდნენ „ბატონი იბრაჰიმი და ყურანის ყვავილები“ ყურადღებით წავიკითხეთ და განვიხილეთო. კომპლიმენტს ერთი საყვედური მაინც გაურიეს: „რატომ არ განუმარტეთ მკითხველს, თუ რატომ იმეორებს ბატონი იბრაჰიმი

წამდაუწუმ: მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ჩემს ყურანში წერია.“ ვუპასუხე მხოლოდ ერთი ფრაზით: „მსურდა, თავად გეპოვათ მიზეზი...“

*

წიგნი მხოლოდ მაშინ იწყებს ცხოვრებას, როცა ის დასრულებულია.

დღევანდელი საღამოდან მე უკვე აღარ ვარ მისი ავტორი. ამიერიდან ამ ფუნქციას მკითხველები შეასრულებენ...

ვოლტერი ამბობდა, რომ საუკეთესოდ მხოლოდ ის წიგნები შეიძლება მივიჩნიოთ, სანახევროდ მკითხველთა წარმოსახვით რომ შეითხზაო.

ვეთანხმები ამ მოსაზრებას, მაგრამ შინაგანად ერთი სურვილი მიპყრობს, დავამატო: ღმერთმა ქნას, რომ მკითხველს ნიჭი აღმოაჩნდეს...

*

მსურს წინა აზრს მეტი სიზუსტე შევსძინო: სულაც არ მეუხერხულება, თუ მკითხველი ჩემზე გონიერი აღმოჩნდება. პირიქით...

[1] რომის იმპერატორის, კლავდიუსის მეუღლე (ძვ.წ. 48 წ.), ცნობილი აღვირახსნილი ცხოვრებითა და გარყვნილებით

[2] მუსიკა და სპორტი ზამთარში.

[3] ბოლო ზღვართან (ლათ.) [4] ალფრედ კორტო (1877-1962) – ფრანგი პიანისტი, რომანტიკული მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი

[5] პატიოსანი თამაში